

ISSN—0132—6066



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-7
1993

№ 57
(1-2)

ენისა

და

ლიტერატურის
სერია

1.1993

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



Известия Академии наук Грузии

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1. 1993

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. გვახარია (რედაქტორის მაგიერ),
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, გ. თოფურია, გ. ციციშვილი

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гвахария А. А. (за редактора),
Алексидзе З. Н., Гамкрелидзе Т. В., Топурия Г. В., Цицишвили Г. Ш.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია
1993, № 1

ოცდაქვთის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 29. I. 93; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. VIII. 93;
ანაწყობის ზომა 7×128/4; ქალაქის ზომა 70×108/16; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 11,8;

ტირაჟი 725;

შეკვეთა 87

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

გიორგი ციციშვილი — 70	5
ა. ბარამიძე, ისევ „საკარგავის“ გარშემო	6
ბ. დარჩია, იოსებ თბილელისა და იაკობ შემოქმედელის გაბაასება	10
დ. ბედიანიძე, წიგნი „ქებათა ქება“ და ქართული პოეზია	16
გ. მიქაძე, გიორგი ბაგრატიონი	27
ნ. ანანიაშვილი, გაზეთ „ეოზროედენის“ (1905—1906 წწ.) ისტორიის ზოგიერთი ასპექტი	47
მ. რაფაეა, გრიგოლ ნაზიანზელის პომილია „ნათლისღებისათჳს“ (Or 39) ქართულ მრავალთავებში	58
ლ. ნინიაშვილი, ერთი ასტრონომიული ეპიზოდი „შამ-ნამედან“ და მითები ზოდიაქოთა შესახებ	72
ნ. ჩანტლაძე, მხითარ გოშის ტრაქტატის „ქართველთათჳს“ წყაროები	80
ი. კიკნაძე, ფონეტიკური თავისებურებანი XIX საუკუნის შუა წლების ქართულ დრამატურგიაში	86
ქ. მეგრელიშვილი, „ლორის“ აღმნიშვნელი სიტყვები და მათი სიმბოლიკა „ვის-ო-რამინსა“ და „ვისრამიანში“	107
გ. გოგატიშვილი, ფშური ლექსიკის დარგობრივად შესწავლის მნიშვნელობისათვის	113
მ. ესაკია, არავერბალური სამეტყველო აქტები და მათი კომუნიკაციური გამოხედულება	131
შ. ჩხეიძე, ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა	135
ქ. გადილია, მაკალავებელი არტიკლი და რიცხვითი სახელი „ერთი“ სპარსულ ენაში	138

პუბლიკაცია

ხ. თურნაეა, რობერტ სტივენსონის წერილები ქართველი მეცნიერებისადმი	144
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. რამიშვილი, საინტერესო მონოგრაფია	160
-------------------------------------	-----



СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Г. Ш. Цицишвили—70	5
А. Г. Барамидзе, Вновь о термине «сакаргави»	6
Б. Ш. Дарчия, Спор Иосифа Тбилели и Якова Шемокмедели	10
Д. А. Бедианидзе, Книга «Песнь песней» и грузинская поэзия	16
Г. В. Микадзе, Георгий Багратиони	27
Н. А. Ананиашвили, Некоторые аспекты истории газеты «Возрождение» (1905—1906 гг.)	47
М. А. Рапава, Гомилия «О крещении» (Ог 39) Григория Назианзина в грузинских сборниках «Мравалтави»	58
Л. М. Ниинишвили, Один астрономический эпизод из «Шах-наме» и мифы о зодиаках	72
Н. Т. Чапладзе, Источники трактата Мхитара Вардапета «К грузинам»	80
И. Г. Кикидзе, Фонетические особенности грузинской драматургии XIX в.	86
К. Мегредишвили, Слова, обозначающие «свинью», и их символика в «Вис о Рамине» и «Висрамиани»	107
Г. А. Гогатишвили, О значении отраслевого изучения пшавской лексики	113
М. В. Эсакия, Невербальные речевые акты и их коммуникативная направленность	131
М. М. Чхеидзе, Проблема структурирования лексико-семантической системы языка	135
Ж. Т. Гадиялия, Выделительный артикль и числительное «один» в персидском языке	138

Публикации

С. Э. Турнава, Письма Роберта Стивенсона к грузинским ученым	144
--	-----

Критика и библиография

Е. В. Рамишвили, Интересная монография	160
--	-----



გიორგი გიგობერიძე - 70

20394

ბატონო გიორგი! ყველა თქვენს მრავალრიცხოვან მეგობარსა და ნაცნობს, ვინც თქვენი საიუბილეო თარიღის შესახებ შეიტყობს, ერთი აზრი გაუნდება: ნუთუ უკვე ამ ხნისაა?! მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენი ენერჯიკა და შესაძლებლობის პატრონს წლების სიმძიმე რაიმე დაღს დაასვამს.

საშინელი ომის ქარცეცხლში გამოვლილი გამოჩნდიო ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ასპარეზზე ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში და უმაღლ მიიქციეთ ყურადღება თქვენი აქტიური და მრავალფეროვანი მოღვაწეობით სხვადასხვა დარგში: ქართული ლიტერატურის ისტორია და სალიტერატურო კრიტიკა, თეატრის ისტორია, დრამატურგიის პრობლემები. განსაკუთრებული ადგილი უკავია თქვენს კვლევა-ძიებაში ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს. შემთხვევითი არ არის, რომ თქვენ პირველმა ვახსენით ამ საკითხების შემსწავლელი სპეციალური განყოფილება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, რომელშიც განვლეთ გზა ასპირანტიდან დირექტორამდე. ამავე მიზანს ემსახურებოდა ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“, რომელსაც თქვენ რედაქტორობდით, აგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელსაც მწერალთა კავშირი ატარებდა თქვენი მდივნობის დროს. ამჟამად თქვენ წარმატებით ხელმძღვანელობთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას, რომელიც აერთიანებს წამყვან ეროვნულ ინსტიტუტებს, ამავე დროს სათავეში ჩაუდგეით რესპუბლიკის ვეტერანთა საბჭოს. საყოველთაოდ ცნობილია და მრავალ ენაზეა თარგმნილი თქვენი სამეცნიერო მონოგრაფიები თუ მხატვრული ნაწარმოებები.

მაგრამ ყველაზე დიდი სიყვარული დამისახურა თქვენმა რაინდულმა ბუნებად, კეთილშობილებად, მოყვასის დასახმარებლად მზადყოფნამ.

ბატონო გიორგი! „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის სარედაქციო კოლეგია სულით და გულით ულოცავს ჟურნალის რედაქტორს საიუბილეო თარიღს, უსურვებს მას ჯანის სიმრთელეს და სულის მხნეობას მრავალჟამიერ.

ჟურნალ „მაცნე“- ენისა და ლიტერატურის სერიის სარედაქციო კოლეგია

საბარძილოს
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბარამიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ისევ „საბარგავის“ ბარშემო

ფარსადანმა რომ სარიდანი შეიწყნარა და მისი სამეფო ინდოეთის სახელმწიფოს დიდ ნაწილს შეუერთა, საპატიო სახელოსთან ერთად უწყალობა სამფლობელოდ „ერთი სამეფო საკარგემო“ (316, 1). ასე იკითხებოდა ტექსტი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციაში. და პოემის შემდგენლობაზე უკვე ნახევრად გამოცემაში. ასევეა ტექსტი დაფიქსირებული ხელნაწერი ნუსხების დიდზე დიდ უმეტესობაში, მხოლოდ ორიოდ კარგი ხელნაწერი გვთავაზობს სხვაგვარ წაკითხვას, ფარსადანმა სარიდანს უბოძა „ერთი სამეფო საკარგვად“¹. „საკარგვად“ შეკვეცილი ფორმა სიტყვისა „საკარგვად“. სარიდანის გარდაცვალების შემდეგ ფარსადანმა მამისეული პატივი მიაგო მის მემკვიდრეს, ტარიელს: „ასი უბოძა საქურჭლე, უბრძანა ახდა შავისა, ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა, შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა“ (336, 2—4). საქმის ამგვარი ვითარება ცხადყოფდა, რომ პირველ შემთხვევაშიც თავიდანვე უნდა ყოფილიყო „ერთი სამეფო საკარგვად“ და არა „საკარგემოდ“. მართლაც, „საკარგავი“ რუსთველის ეპოქის კარგად ცნობილი ქართული სოციალური ტერმინია და ნიშანდობლივი რეალია პოემის ლექსიკისა.

აღნიშნულის თაობაზე საკმაოდ ვრცელად მაქვს მოთხრობილი ჩემი წიგნის (შოთა რუსთველი) პირველსავე გამოცემაში (თბილისი, 1958, გვ. 119—122). რაღა თქმა უნდა, მე ვთვლიდი, რომ პოემის მომავალ გამოცემებში უნდა აღდგენილიყო საინალიზო ტექსტის სწორი ფორმა. ჩემი მოსაზრება გაიზიარა ბატონმა აკაკი შანიძემ და შესაფერისადვე დაიბეჭდა ტექსტი პოემის ჩვენეულ გამოცემაში (თბილისი, 1966). ჩვენი გასწორების უცილობლობა აღიარა ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემის ხელმძღვანელობამ (ნოდარ ნათაძემ და ალექსი ჭინჭარაულმა). ჩვენს გასწორებას დაუჭირეს მხარი ისტორიკოსებმა შოთა მესხიამ და მარიკა ლორთქიფანიძემ.

მაგრამ ჩვენი გასწორების წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა თავისი საჯარო მოხსენებების დროს, 1966 წლის პირველ ნახევარში (მოხსენებები ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში და საქართველოს მწერალთა კავშირში) აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა. იმავე 1966 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ტექსტი, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცახვილიძმა და გურამ კარტოზიამ (რედაქტორები გიორგი წერეთელი და ირაკლი აბაშიძე). გამოცემას ახლავს წერილი „რედაქციისაგან“, რომელსაც ხელს აწერს გიორგი წერეთელი. იგი ამბობს, რომ: „ამ გამოცემის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღეს (ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი) კომისიის თანამშრომლებმა: შ. ლლონტმა, ნ. ნათაძემ, ნ. ცქიტივილიმა, თ. ცქიტივილიმა, ნ. წაჭაძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, გ. არაბულმა და გ. ლლონტმა“ (გვ. 319). ცხადია, სადავო ტექსტი დაიბეჭდა ძველი, ტრადიციული რედაქციით: „ერთი სამეფო საკარგემო, უბოძა ამირბარობა“ (გვ. 62). სტროფებს ნუმერაცია არ ახლავს).

¹ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი პირველი, თბ., 1960, გვ. 210 (სტროფი 430).



1966 წელს მკითხველმა მიიღო ვეფხისტყაოსნის სამი გამოცემა: შანიძე ბარამიძის რედაქციით, წერეთელ-აბაშიძის რედაქციით და ე. წ. ოფიციალურ საიუბილეო (სარედაქციო კოლეგია — ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი). ამრიგად, საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილია 1966 წლის ორივე კრიტიკული გამოცემის ხელმძღვანელობა, მას დემატა პავლე ინგოროყვა. მე უკვე ვწერდი² და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ საიუბილეო გამოცემას არ აქვს თავისთავადი, საკუთარი, დამოუკიდებელი სახე, ის ნარევი რედაქციაა. არსებითად ხდებოდა ორი წინა გამოცემების ტექსტთა შეჯერება და ერთმანეთთან შეთანხმება. ეს შეეხება წაკითხვათა რედაქციული სხვაობის მოწესრიგებას, თორემ პოემის სტროფული შედგენილობის საკითხი უკვე ადმინისტრაციული წესით ყოფილა გადაწყვეტილი. წერეთელ-აბაშიძის გამოცემას თავფურცელზე წარწერილი აქვს: „გამოცემის ტექსტი მოწონებულა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მიერ“. „გამოცემის ტექსტით“, ივლის-ნემბა მისი სტროფული შედგენილობა, ეტყობა, ეს დადგენილება მიიღო საიუბილეო კომიტეტის ვიწრო პრეზიდიუმმა (თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა და მისმა ორმა მოადგილემ — დევი სტურუამ და ირაკლი აბაშიძემ). კომიტეტს ეს საკითხი არ განუხილავს. ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი აკაკი შანიძე ძალზე განაწყენებული იყო გიორგი წერეთელზე და დაესწრო კოლეგიის მხოლოდ პირველ საორგანიზაციო სხდომას და განაცხადა, რომ თავის რწმუნებას მე მანდობს. ასე რომ, კოლეგიაში მე ორი ხმა მქონდა, ორიც წერეთელ-აბაშიძის მხარეს. როდესაც ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვის რედაქცია დავას იწვევდა, არბიტრის როლს ასრულებდა პავლე ინგოროყვა, სწორედ იმ რედაქციას ვლუბულობდით, რომელსაც პ. ინგოროყვა ემხრობოდა. ასე ჩატარდა საკარგავის საკითხის განხილვაც. პ. ინგოროყვამ ჩვენ დავეციჩრა მხარი და საიუბილეო ტექსტშიც შევიტანეთ „ერთი სამეფო საკარგავად“. ვასაოცარი ისაა, რომ შემდეგ თავისი რედაქციით გამოცემულ ტექსტში (თბილისი, 1970) პ. ინგოროყვამ ისევ ძველებური „საკარგავო“ აღადგინა.

ჯერი მიდგა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაზე. 1973 წლის შემოდგომიდან (გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ) კომისიამ განახლებული შემადგენლობით განაგრძო მუშაობა: ირ. აბაშიძე (დაქტობრივ სხდომებს არ ესწრებოდა), ალ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ივანე გიგინეიშვილი, გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), შოთა ძიძიგური. ჩვენ იმთავითვე შეეთანხმდით და ერთმანეთს სიტყვა მივეციეთ, რომ არ ვიმოქმედდით წინასწარ მიღებული აკვიატებული აზრით, აჩემებულ პოემიკის არ დავადგებოდით, ერთმანეთს გულდასმით მოვუსმენდით, გადაწყვეტილებას მივიღებდით საკითხის მხოლოდ ყოველმხრივ შესწავლისა და აწონ-დაწონის შემდეგ. ამის შედეგი იყო, რომ აკადემიური გამოცემის ტექსტში შევიტანეთ 1966 წლის საიუბილეო გამოცემით უკუვადებული არაერთი და ორი სტროფი. დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდით ტექსტების რედაქციული სახის დადგენის (ტექსტების რედაქციულად გასწორების) საკითხებს³. რალა თქმა უნდა, შესაფერისი დაკვირვებითა და სიღინჯით განვიხილეთ საკარგავ-საკარგ-

² „ახლო წარსულიდან“, თბ., 1987, გვ. 129.

³ კომისიის მუშაობის ხასიათი შეძლებს დაგვიარად ვაშუქებულა ჩვენს წერილში — ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე“ (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1978, გვ. 5—25).



უმო ტერმინებით სარგებლობის სადავოდ ქცეული ისტორია. უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთელმა შემადგენლობამ ერთსულფულად დაუჭირა მხარი 316,1 ტაეპის ჩემეულ (შანიძე-ბარამიძისეულ) წაკითხვას: „ერთი სამეფო საკარგვად, უბოძა ამირბარბოძა“. ასეა ეს დაფიქსირებული „მაენეში“ გამოქვეყნებული ოქმით (ენისა და ლიტერატურის სერიის მაენე, 1975, № 4, გვ. 189—190, სტროფი 312) და პოემის სრული ტექსტის პუბლიკაციით (თბ., 1988, სტროფი 313).

მართალი რომ ვთქვა, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ჩემი გულწრფელი გაკვირება გამოიწვია სარგის ცაიშვილის წერილმა „რუსთველოლოგიური ეტიუდები, საკარგუმოსა და საკარგავის შესახებ“ (ეურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, № 4, გვ. 145—153).

ს. ცაიშვილი კვლავ საეპეოდ თვლის „საკარგუმოს“ სანაცვლოდ „საკარგავის“ („საკარგვად“) შემოღებას. მისი სიტყვით, უნდა გაკრძელდეს ვეფხისტყაოსნის თუ გინდ უკვე დადგენილი ტექსტის შემდგომი „ჩაბიებული კვლევა“ (გვ. 145). „ხომ არ ავჩქარდითო“, წერს ს. ცაიშვილი, რომ „ასე ოპერატიულად შევეცვალეთ როგორც ეპიზოდის შინაარსი, ისე შესაბამისად ტრადიციული წაკითხვაც? არა და რა მშვენიერი სიტყვაა საკარგუმო“ (გვ. 149).

ჩერ ერთი, ეპიზოდის შინაარსი ოდნავადაც არ იცვლება საანალიზო ტექსტში ჩაწევრით „საკარგვად“ თუ „საკარგუმოდ“. „საკარგუმო“ რომ მშვენიერი სიტყვაა (უკეთ, მშვენიერი ტერმინი), ეს უდავოა, მაგრამ ტერმინის სიმშვენიერე სრულიად არ გამოდგება ამ შემთხვევაში მისი ავთენტურობის რაიმე საბუთად, ხომ არ ავჩქარდითო, ასე ოპერატიულად რომ შევეცვალეთ ტრადიციული ტექსტით, კითხულობს მკვლევარი. კითხვა შეუფერებლად მეჩვენება. ტექსტის შეცვლის საჭიროება დასაბუთებული იყო 1958 წელს დასტამბულ გამოკვლევაში. მის რაგვარობაზე, საგანგებოდ იმსჯელა და მასალების ყოველმხრივ შეჯერების შედეგად მისი უცილობლობა აღიარა ვეფხისტყაოსნის ისეთი კრიტიკული ტექსტის რედაქციამ, როგორცაა 1966 წლის გამოცემა, აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით რომ მომზადდა. გასწორება გაიზიარა სასკოლო გამოცემის რედაქციამაც (ნოდარ ნათაძემ და ალექსი ჭინჭარაულმაც). ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა მთავარმა რედაქციამ საანალიზო ტექსტი გულდასმით განიხილა სრული შემადგენლობით (რა თქმა უნდა, სარგის ცაიშვილის მონაწილეობით) 1974 წლის 1 ნოემბერს და ერთსულოვნად მიიწონა „საკარგუმოს“ „საკარგვად“ შეცვლის კანონზომიერება (იხ. „მაენე“, ელს, 1975, № 4, გვ. 188—190). ჩვენმა სარედაქციო კოლეგიამ ერთხელ კიდევ გადახედა მის მიერ მიღებულ ტექსტს და ბეჭდურად გამოაქვეყნა 1988 წელს. ამრიგად, სადავო ტექსტი მიმოქცევაში იყო და დაკვირვების საგნად გამხდარი ათეული წლების მანძილზე (1958—1988 წლებში) და რა აჩქარებაზე და საკითხის ოპერატიული წესით გადაწყვეტაზე შეიძლება სიტყვის ჩამოკლება? ბატონი სარგისი რამდენიმეჯერ იმეორებს, რომ „საკარგუმო“ ტრადიციულია და მისი გასწორება სახიფათოა. ვიმეორებ, ტრადიციულობა საბუთად არ გამოდგება. ტრადიციული იყო, მაგალითად, ცნობილი ტაეპის წაკითხვა: „ვნახე ორნივე ერთჯან სხდეს სახითა ოდენ სამითა“ (507, 3), მაგრამ ტრადიციული „სახითა“ სპეციალისტთა უყოყმანო დასტურით შეიცვალა სულ სხვა შინაარსის მქონე სიტყვით — „ხასითა“. სარგის ცაიშვილის ფიქრით, „პოემის იმ გადამწერლებმაც, რომელთა დედანში წარყვნილი იყო წაკითხვა საკარგუმო (ან იქნებ იყო სიტყვა, მაგრამ არც ეხმოდათ მისი შინაარსი), მომდგენო ეპიზოდიდან, სადაც ანალოგიური ვითარებაა აღწერილი, გადმოიტანეს, მათი აზრით, შესაბამისი ტერმინი საკარგავი“ (გვ. 153. ხაზი ჩემია. — ა. ბ.).

ძნელია ვირწმუნოთ, რომ გვიანდელი ეპოქის გადაწყვეტილებისათვის უფრო გასაგებები ყოფილიყო „საკარგავის“ შინაარსი, ვიდრე „საკარგემო“. სწორედ პიტაგორას იქითაა მოსალოდნელი. კლასიკური ეპოქის შემდეგ საკარგავი გახდა ვაუგუნი, რი ტერმინი, რადგანაც პრაქტიკულად იგი აღარ გამოიყენებოდა, საკარგემო კი ცოცხალი და გავრცელებული საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის მქონე იყო, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ტექსტოლოგიაში არსებობს ერთი საყოველთაოდ აღიარებული კანონი: გადაწყვეტი (ინტერპოლატორი) ცვლის ან ასწორებს ხმარებიდან გამოსულ თუ მისთვის და მკითხველი საზოგადოებისათვის უკვე გაუგებარ ამა თუ იმ სიტყვას (გამოთქმას, ტერმინს) უფრო გასაგები სიტყვით (გამოთქმით, ტერმინით). შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ XVI—XVII საუკუნის საქართველოში უკეთ ესმოდათ საკარგავის მნიშვნელობა, ვიდრე საკარგემოსი. „როგორც ჩანს (საიდან ჩანს? — ა. ბ.), ასკენის სარგის ცაიშვილი, საკარგემო თვით რუსთველის მიერაა შემოტანილი (იქნებ ხალხური პოეზიის საგანძურიდან)“, ამიტომაც ეს „აშკარად რუსთველური“ საკარგემო „უნდა დარჩეს ვეფხისტყაოსნის მომავალ გამოცემებში“, აცხადებს ბატონი სარგის ცაიშვილი. ასეთი კატეგორიული ხასიათის რეკომენდაციებით ხელმძღვანელობა არ იქნებოდა გამართლებული. ისე კი, რასაკვირველია, მომავალშიც უნდა გავრძელდეს ვეფხისტყაოსნის ტექსტის „ჩაძიებული“ კვლევა-ძიება.

А. Г. БАРАМИДЗЕ

ВНОВЬ О ТЕРМИНЕ «САКАРГАВИ»

Резюме

В статье рассмотрен вопрос о термине «сакаргави» в поэме Руставели «Витязь в барсовой шкуре».

გორის ღარჩია

იოსებ თბილელისა და იაკობ შემოქმედელის
გაბაასება

ქრისტიანული რელიგიური რწმენის გამოსახატავად, კერძოდ, ამ სარწმუნოებრივ მოძღვრებაში მიღებულ სიმბოლურ-ალეგორიულ შეხედულებათა ღრმად გასაცნობად, შესასწავლად და გასავრცელებლად, ძველად მწერლობაში მიღებული იყო მათი გამოცანებად თქმა და ახსნა. ეს საკითხი ჩვენთან დამუშავებული არ არის. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია XVII საუკუნის გამოჩენილ მწერალთა და საეკლესიო მოღვაწეთა — თბილისის მიტროპოლიტის იოსებ სააკაძისა და შემოქმედის მიტროპოლიტის იაკობ ღუმბაძის ერთი ამგვარი ლექსად გაბაასება¹. იოსებ თბილელს იაკობისათვის მოწიწებითა და პატივისცემით შეუთვლია:

„სიბრძნე თვისა თვისისა სახლი იშენა გებულო,
მას შვიდნი სვეტნი შეუდგნა, შვიდნივე წმიდად გებულო,
სიკუდილით მოკლა სიკუდილი, და-ახსნა ცოდვილთ კრებულნი.
და ამისი ახსნა თქვენგან მწაღს, ვიცი, კაცი ხარ მცნებელი“.

იაკობ შემოქმედელსაც ასეთივე თავაზიანობით უბაასუხებია:

„სიბრძნე ქრისტეა და სახლი — უბიწო მისი მშობელი,
მუნ შვიდნი საიდუმლონი ყო მტერთა დასაყოფელი,
სიკუდილი — ქვარცმა ქრისტესი, ლახვართა დასასობელი,
და თვით მცნობსა ცნობა გებრძანა, რას გჯარებ მე უცნობელი?!“²

ამ გაბაასება-გამოცანის ძირითადი მსჯელობის საგანია ბიბლიური გამო-ნათქვამი: „სიბრძნე იშენა თვისისა თვისისა სახლი, და ქუეშე შეუდგნა შვიდნი სვეტნი“ (იგავთა 9. 1).

„იგავთას“ ეს გამონათქვამი ძველად ფრიად პოპულარული იყო და მას მეტ-ნაკლები გაშიფრული სახით მრავალი ავტორის ნაშრომში ვხვდებით, ოღონდ მათი განმარტებანი ყოველთვის მთლად ერთნაირი არ არის.

„იგავთას“ მთლიანი და საგანგებო „თარგმანება“ ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება³ და არ ვიცით, სარგებლობდნენ თუ არა იოსებ თბილელი და იაკობ შემოქმედელი რომელიმე ერთი, პირდაპირი და უშუალო წყაროთი. ამგვარი წყაროს არსებობაზე არც ა. ლოპუხინის რედაქციით გამოსული „განმარტებითი ბიბლია“⁴ მიგვანიშნებს. ამჯერად მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ საძიებელ ლექსებში მოცემული ყველა დებულება სხვა წერილობითს ძეგლებშია დასტურდება.

მივყვეთ ტექსტში წარმოდგენილი რიგის მიხედვით.

ცნობილია, ქრისტილოგიურ ლიტერატურაში სიბრძნე ღმერთის ერთ-ერთი ეპითეტური სახელია. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნაშრომში „სადმართთა სახელისათვის“ სიბრძნე ბრძენის გვერდით ასეთად პირდაპირაა დასახელებული, შემდეგ კი მის ახსნა-დასაბუთებას რამდენიმე სხვა სახელთან ერთად ცალკე ქვეთავი ეძღვნება — „სიბრძნისათვის, გონებისათვის, სიტყვისათვის“⁵. თუმცა, რალა შორს მივიდეთ, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, სადაც



„იგავთას“ აღნიშნული გამოთქმებია მოყვანილი, „სიბრძნე“ ყველგან **ღმერთად** ^{ქრისტიანული} **ქრისტედ** არის გაგებული; ზოგან ის პირდაპირაა დასახელებული, ზოგან ^{ბიბლიური} იგულისხმება. პირველი მაგალითები ქვემოთ, სხვა სიმბოლურ სახეთა განხილვისას, იქნება ნაჩვენები. აქ დავიმოწმებთ მეორენაირ შემთხვევებს.

„ეახტანგინი“:

„ქ. სიბრძნემან სოლომონისმან შვიდ სვეტზედა ჰქმნა ნაშენი, შვიდ სვეტზედ სამკვიდრებელად არ სწრაფად გარდანაშენი, სრული ნებითა დამდაბლდა, კელმყოფთგან იქნა ნაშენი, და რომელს აქებენ მას ნათლად ცანი-ქვეყანა ნაშენი“⁸.

„დავითიანი“:

„ვინც იშენა სიბრძნით ვანი, ქვეშ შეულგა შვიდი სვეტი, — ის არს ჩემი სათაყვანი, არვინ მიყსნის მე მის მეთი“⁷.

ქრისტეს, როგორც ჭვარცმულის, სახე კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მომდევნო სტროფში:

„ვინც რომ ჩემთვის ჭვარზედ წმინდა გარდადინა სისხლის ღვარი, მე მის მეთი არვინ მონდა მას ძნელს გზაზედ წინამძღვარი!“ (13)

ზემოთ აღნიშნული ის მცირეოდენი სხვაობა, რომელიც სიმბოლურ სახეთა გაგებაში გვხვდება, ეხება **სახლს**. თუ იაკობ შემოქმედელი ამ სიტყვას გადაჭრით **ღვთისმშობლად** განმარტავს, სულხან-საბა ორბელიანი **ეკლესიად** მიიჩნევს. ეს უფრო მეიჯვე და ლექსიკოლოგი თავის საქრისტიანო მოძღვრებაში „სამოთხის კარი“, „იგავთას“ საძიებელ ტექსტთან „შვიდი საიდუმლოს“ მიმართების გამო წერს: „... და იგავთა მეცხრეს თავსა თქმულნი: «სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქვეშე შეუდგნა შვიდნი სვეტნი», რამეთუ **სიბრძნე ძე ღმრთისა არს და სახლად იშენა ეკლესია და სვეტნი ეკლესიისანი — შვიდნი საიდუმლონი**“⁸. მისივე განმარტებით, რომელიც „სიტყვის კონაშია“ მოცემული, „ეკლესია“ არის „შესაკრებელი“.

ა. ლოპუხინისიეულ „განმარტებით ბიბლიაში“ **სიბრძნის სახლია** ღვთის სასუფეველი ან ეკლესია: «Дом Премудрости Божией есть, очевидно, Царство Божие или Церковь, основание которой Божественным Домостроительством было положено еще в раю» (с. 452).

ჩანს, „სიბრძნის სახლი“ ამგვარადვე ისმის გიორგი მერჩულესაც. გრიგოლ ხანციტელმა ხანციტის ეკლესიის მშენებლობის დაწყება ასე აკურთხა: „ქრისტე ღმერთო, კორცშესხმისა შენისა განგებულებად ღმრთებრ აჩუენე შენთა დაბადებულთა... და ესე ოთხ კერძო კრებული საღმრთოთა წმიდათა ყოველთა გარე მოდგომილი ზღუდის სახედ უძრავისა სიმტკიცე ექმნენ წმიდათა შენთა ეკლესიათა. რამეთუ **შენ თვთ სიბრძნემან იშენე თავისა თვისისა სახლი** სიწმიდისა და შესავედრებლად ერთა მორწმუნეთა. და რამეთუ **წმიდასა ეკლესიასა სახელსდე გუჟამად შენდა**. და წმიდასა შენსა სახელსა ზედა და სახელსა წმიდათა შენთასა შეუძრველად აღაშენენ და დაამტკიცენ წმიდანი ეკლესიანი...“⁹.



აშკარაა, ეს შეხედულება, რომელიც ეკლესიას, ტაძარს ღვთის სახლად, სხეულად, გუამად მიიჩნევს, მომდინარეობს „სახარებაში“ გაშიფრულად აღწერილ ვიდან: „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაჰკენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე. ჰრქუა მას ჰურიათა: ორმოც და ექუსსა წელსა აღშენა ტაძარი ესე, და შენ სამთა დღეთა აღადგინო ეგე? ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათვის გუამისა თვისისა“ (იოვანე 2. 19—21; შტრ.: მათე 26. 61; 27. 40; მარკოზი 14. 58; 15. 29).

ამავე აზრს ეხმიანება ტიმოთესადმი გაგზავნილი პავლეს პირველი ეპისტოლე: „უკეთეთ ვყოვნო, რამეთუ უწყოდი, ვითარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა სლვად, რომელ არს ეკლესია ღმრთისა ცხოველისად, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისად“ (3. 15).

„ღვთაებრივი სიბრძნის“ სახელზეა აშენებული წმინდა სოფის ტაძარი კონსტანტინოპოლში, რაც მის სახელწოდებაშია გაცხადებული. ამ ტაძრის აშენებისადმი მიძღვნილი ბიზანტიური ტრაქტატის ძველქართული თარგმანი ასეა დასათარებული: „უწყებდა და თხრობდა აღშენებისათვის დიდებულისა ტაძრისა ღმრთისა ეკლესიისა, რომელსა სახელედების წმიდად სოფია, რომელ არს სიბრძნე“¹⁰.

იაკობის ახსნას სხვა საფუძველი აქვს. „ძლისპირნში“ ვკითხულობთ:

„კორცთა შენთავან, სძალო,
იშენა სიბრძნემან სახლი თუხი,
ამისათვის ყოველი მორწმუნენი
ღმრთისმშობლად აღვიარებთ, ქალწულ“¹¹.

იგივე აზრია გამოთქმული მიქაელ მოდრეკილის თხზულებაში:

„სიბრძნემან ღმრთისამან იშენა
თავისა თვისისა სახლი
ოთხთა მათვან
ავებულთა ნეთიერთთა,
გყევადთავან ბუნებათა,
კორცნი უბიწოჲსა სძლისანი;
და დაემკვიდრა მას შინა
უნეთთო არსება...“¹².

თუ სიბრძნემ, ქრისტემ, ღვთისმშობლის ხორცთავან აიშენა თავისი სახლი, ბუნებრივია, ღვთისმშობელი ამ სახლად წარმოგვიდგება.

ღვთის სახლად ეკლესიისა და ღვთისმშობლის მიჩნევა ქრისტიანულ სახის-ნეტყველებაში რაიმე წინააღმდეგობას ან შეუსაბამობას არ ქმნის. სიმბოლოთა ეს წყება სხვა ავტორებთან კიდევ უფრო შორს მიდის და, საბოლოო ანგარიშით, ყველა მათგანი ერთ იდეას გამოხატავს. საისტორიო თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ტექსტში ჩართული თამარის „იამბიკო ხუთელში“ ნახმარი გამოთქმის „ცასა ცათასა“-ს განმარტებისას რევან სირაძეს ნაჩვენებია აქვს, რომ „«ცათა ცა» უმაღლესი ცაა, ისაა სასუფეველი და სამყარო, ღვთიური ზე-ცა. «ცათა ცა» არის ადგილი ღვთისა, სადაც «ღმერთ-მათერობაა» და «მღვდელთ-მათერობა». «ცათა ცა», ვითარცა ადგილი ღვთისა, სიმბოლურად არის ღვთისმშობელიც, როგორც ყოველივეს მომცველი საღვთო უსაზღვროების დამტევი“¹³.

მკვლევარი ამგვარსავე სიმბოლურ გაგებას ხედავს აგრეთვე სვეტიცხოველშიაც. სხვა მასალებთან ერთად ანალიზებს რა ნიკოლოზ გულაბერიძის ნაშრომს „საკითხავი სვეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოჲსი და კათო-



ლივე ეკლესიისაჲ“, იგი გამოყოფს სიმბოლურ გაგებებს, რომელიც სვეტი-ცხოველსა და სვეტიცხოვლის ტაძარს უკავშირდება, ღვთისმშობლისა და საღვთისმშობლისა (სოფიას) ერთიანობის თაობაზე კი წერს: „სვეტი-ცხოველი ზესთასიბრძნეს ანუ სოფიას გულისხმობს. ზესთასიბრძნეს ანუ სოფიას იმითმაც გულისხმობს სვეტი-ცხოველი, რომ მასთან დაკავშირებულია ღვთისმშობელი, რადგანაც სვეტიცხოვლის ტაძარს ეწოდება «სიონი». როგორც ვთქვით, «სიონი» ერქმეოდა ღვთისმშობლის ტაძრებს. ღვთისმშობელში განხორციელდა «სოფია», ანუ ზესთა სიბრძნე. ღვთისმშობელში სილაშაზეა ყოფიერებისა, საზრისია სილაშაზისა. ღვთისმშობელში ყველაფერია: ღვთაებრივი, ანგელოზური და ადამიანური და ეს ყველაფერი ერთად არის სოფიურობა. ღვთისმშობელში არის ლაშაზი აზრი სილაშაზეზე, ჭეშმარიტი აზრი ჭეშმარიტებაზე. ამნაირი ზესთასიბრძნე შემოქმედებითი ძალაა. ამ ძალითაა ღვთისმშობელი დედოფალი მიწისა და ზეცისა. ღვთისმშობელი თვითონაა ეკლესიის განმასახიერებელი. ღვთისმშობლის ეკლესიები წმინდა სოფიას (აია სოფიას) გულისხმობს. ასეა საერთოდაც და, განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც არაა ტაძრები წმინდა სოფიის სახელობისა, მაგრამ ძალზე ბევრია ეკლესიები ღვთისმშობლის სახელზე“¹⁴.

რამდენადმე ამავე სიმბოლოებს უკავშირდება შვიდი სვეტიც.

როგორც ვნახეთ, შვიდი სვეტი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც, შვიდი საიდუმლოა. ანალოგიური აზრი დადასტურებულია ა. ლოპუხინისეულ „განმარტებით ბიბლიაში“: «Толкование числа семи столбов в точном значении дало большею частию неудачные опыты; таково древнеиудейское толкование... Заслуживает лишь внимания христианско-церковное толкование семи столбов в смысле 7 даров Св. Духа (Ис. XI, 2—3, сн. Апок. 1,4—12. III.IV.5), затем — 7 таинств и под.» (с. 452).

რ. სირამემ ისიც აჩვენა, რომ შვიდ სვეტზე საუბარია როგორც წმინდა სოფიის ტაძრის აშენებისადმი მიძღვნილ ტრაქტატში, ისე „ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეულ რედაქციაში. ვინაიდან, „საერთოდ, ლეონტი მროველთან არაერთი ისეთი ძველთა-ძველი ცნობებია, რომელიც «მოქცევაჲ ქართლისაჲში» არაა, — ავტორი ვარაუდობს, — არც 7 სვეტზე არსებული ცნობების სიძველეა გამოსარიცხი. ყოველ შემთხვევაში, 7 სვეტის მოაზრება სვეტიცხოვლის ტაძართან ყოველნაირად სარწმუნოა“. ამ რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებს ის საერთო სიმბოლური ნიშნები, რომლებიც, ერთი მხრივ, სვეტიცხოველისა და, მეორე მხრივ, სოლომონის, ქრისტეს საფლავისა და წმინდა სოფიის ტაძრების შესახებ არსებულ ლიტერატურაში შეიმჩნევა“¹⁵.

რაც შეეხება იმ ახსნას, რომ ქრისტეს ჯვარცმა მის მიერ სიკვდილის სიკვდილით მოკვლაა, რითაც მორწმუნეთა ნამდვილი სიკვდილისაგან დახსნა ხდება, — იგი „იგავთსა“ დამოწმებულ ადგილს არ ეხება, მაგრამ ქრისტიანულ თეოლოგიაში მტკიცედ შემუშავებული და ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისია. დავიმოწმებთ მავალითებს მიქაელ მორდრეკილის საგალობლებიდან:

„უსხეულოთა, საღმრთოთა ბუნებითა
ეგე უხრწნელად, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,
რაჟამს დაიდევ საფლავსა შეუცაო,
მოკალ სიკუდილი სიკუდილითა, უკუდაო,
და აღადგინენ მკუდარნი საფლავისაგან!“¹⁶.

„მოკუდინე შენ სიკუდილი სიკუდილითა,
ღმრთისა სიტყუაო...“ (იქვე, გვ. ტოგ. 411).

„მოხედენ, ღირსო, ძესა შენსა ჟუარს-ცუმულსა,
უენებელსა მას კორციელად დამჭილსა,
ღმრთისა დედაო, და ესეველი აწ ძალსა
მისსა ძლიერსა, რამეთუ მან თავადმან
მოკლას სიყუდილი და მეუღარნი აღადგინეს“. (ტოე, 412).

„ქ[რისტ]ე, შეუწერელთა კორციოთა დაჰსენ, უხრწნელო, ხრწნილება და ს[ი]კ[უ]დილი-
მოკუდიანე, უკუდავო“ (რამ, 492).

„შენ, ღმრთისა სიტყ[უ]აო, მხოლოდ შობილო, ჩ[უ]ენთვის განკაცებულო, სიკ[უ]დილი
მ[ო]კ[უ]დიანე ნეფხით სიკ[უ]დილითა და მოკუდავთა სულსა შიანიჲე განსუენებაჲ“
(რამ, 492).

„ოხილეთ, უღმრთონო, ცხოვრებაჲ თქ[უ]ენი. ძელსა დამოკიდებელი ღმერთი კორციოთა,
მსგავსად ძვრის მოქმედთა, რ[ო]მელი მოკალთ უმშაჲკროთა ბჰობითა და გრცხუენდენ აწ,
მ, ურწმუნონო — უკუდავი ღმერთი ცხოველ არს!.. ამან სიყუდილი მოკლა და მ[ა]ცხო[ი]ნა
ჩ[უ]ენ“ (როგ, 494).

„ოთხე რჩეულო, მითხარ ჩ[უ]ენ: ვინ არს ესე ჟუარსცმული კორციოთა, რომელი გარდა-
მოკსენ ძელით? მაუწყე ჩ[უ]ენ, ნიკოდემოს ქებულთ: ვინ შეჰმურე წესითა მეუღართათა,
შეხე ტილოთა და სუღართა და დასდედ საფლავსა შინა? ესე არს ქრისტე ღმერთი
დაუსაბამო, რ[ო]მელმან იენო და მოკუდა კორციოთა სოფლისა ცხოვრებისათს. ამან სიყუ-
დილი მოკლას და აღდგეს მეუღრეთით!“ (როდ, 494).

„ეგრე მცნა სიყუდილმან, ქრისტე, უკუდავო ღმერთო, მ[ა]ს სიყუდილ მოსრულო ნეფ-
ხით თხით კორციოთა. განაღო პირი ჟოჯოზეთმან შთანქმად შენდა. ხ[ოლო] შენ, ვ[ი]თარცა
ღმერთ ხარ, სიყუდილი მოკალ და მეუღარნი აღადგინენ“ (როდ, 495) და სხვა.

ამრიგად, იოსებ თბილელისა და იაკობ შემოქმედელის განხილული გაბაა-
სება თავიდან ბოლომდე ეყრდნობა და ასახავს ღვთაების შესახებ მიღებულ
ქრისტიანულ ეგზეგეტიკურ შეხედულებებს, რომლებიც, როგორც ერთიანი
კეშმარიტება, მშვენიერი პოეტური ფორმით არის ჩამოყალიბებული და გამო-
ხატული.

შენიშვნები

1. დიდი მოურავიანი, თქმული ხაყაძის-ძის იოსებ თფილელისაგან, დამატებით სხუათაჲ
მისთა თხზულებათა, [პლ. იოსელიანის გამოცემა], თფ., 1851, გვ. 80; ჟურ. „ივერია“, 1879,
№ 7—8, ივლისი და აგვისტო, გვ. 95; მ. ჭანაშვილი, იაკობ შემოქმედელი-ღუმბაძე,
გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912, № 573, გვ. 2; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერა-
ტურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 527; ა. ხინთიბიძე, იაკობ შემოქმედელი, თბ., 1986,
გვ. 14—15; ბ. არველაძე, მხოლოდ რეპლიკა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
1986, 4 ივლისი, გვ. 13; და სხვა.

2. მცირეოდენი განსხვავებული წაკითხვებით დასტურდება მრავალ ხელნაწერში. კ. კეკე-
ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ნუსხებში არის: A ფონდი — №№ 1076
(გვ. 55r), 1221 (4r), 1272 (1r), 1278 (5r), 1541 (1r), 1575g (2r), 1735 (123r—v); H ფონდი —
660 (80v), 771 (გვ. 85), 1132a (1v), 1193 (168r—v), 2781 (8r); S ფონდი — 1508 (გვ. 319—
320), 1512 (74r), 1535 (73v), 3704 (გვ. 191—192).

3. ბასილ კესარიელის ნაშრომის „დაწყებისათს სოლომონის იგავთასას“ ეფთვიე ათო-
ნელისეულ თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ტექსტი განხილული არ არის.

4. Толковая Библия, или комментарий на все книги св. писания Ветхого и Но-
вого Завета, с иллюстрациями, издание преемников А. П. Лопухина, IV, Петербург.
1907, с. 452—453.

5. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები,
ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიონი დაურთო ს. ენუქა-
შვილმა, თბ., 1961, გვ. 12, 68.

6. ყუბანეიშვილი, ვახტანგიანი, კრებ.: ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948,
გვ. 184, სტრ. 1.

7. დ. გურამიშვილი, დავითანი, თბ., 1955, გვ. 262, სტრ. 12.
8. სულხანსაბა ორბელიანი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, შვედლიძეძე ნიშნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1963, გვ. 273.
9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V—X სს.), დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქუციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჭლამაიამ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 260—261.
10. ბიზანტიური ტრაქტატი სოფიის ტაძრის ამენების შესახებ და მისი შუასაუკუნოებრივი ქართული თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ო. ბერიძემ, თბ., 1982, გვ. 121.
11. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია, X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 93; ნეკრობიურული ძლისპირნი (ხელნაწერი A—603), გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. კენაძემ, თბ., 1982, გვ. 285.
12. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, თბ., 1965, გვ. 402; მიქაელ მოდრეკლის ჰიმნები, X ს., წიგნი II, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ე. გვახარია, თბ., 1978, გვ. 47.
13. რ. სირაძე, „ცასა ცათასა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 14 მაისი, 1993, გვ. 13 (დაყოფა აქ და სხვაგანაც ჩვენია).
14. რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 121.
15. იქვე, გვ. 116—122.
16. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, ტექსტები, VIII—X სს., ტფ., 1913, გვ. 60; მიქაელ მოდრეკლის ჰიმნები, II, გვ. 410.

ბ. შ. დარჩია

СПОР ИОСИФА ТБИЛЕЛИ И ЯКОВА ШЕМОКМЕДЕЛИ

Резюме

В статье показано, что темой стихотворного спора церковных деятелей и писателей XVII века Иосифа Тбилели и Якова Шемокмедели является первый пункт девятой главы «Притчи». Тут символические образы: «мудрость», «дом», «семь столпов» и другие разъясняются так же, как это было принято в христианской экзегетической, в том числе и в древнегрузинской литературе.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
ა.ლ. ბარამიძემ

დალილა ბაღინიძე

წიგნი „ქება ქებათა“ და ქართული კონიუნქტივი

ბიბლიამ — ძველმა და ახალმა აღთქმამ — უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს მხატვრულ აზროვნებაზე. მისი მხატვრული სახეები, სიუჟეტები, სიმბოლიკა საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოებს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურასა და ხელოვნებას. გამონაკლისს არც ქართული ლიტერატურა წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მრავალი ნაშრომი მოიპოვება ქართულ ლიტერატურაში, ჩვენ მხოლოდ საკითხის ერთი, ნაკლებად შესწავლილი მხარე გვინდა განვიხილოთ — წიგნი „ქება ქებათა“ მიმართება ქართულ პოეზიასთან.

„ქება ქებათა“ ქართულ ენაზე რამდენჯერმე თარგმნილი. ეს თარგმანები ქართულ მეცნიერებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ღვაწლი კიტა აბაშიძისა, რომელსაც საუკეთესო თარგმანად ათონის მონასტერში დაცული X საუკუნის (978 წ.) ხელნაწერი მიაჩნია (ქება ქებათა, თქმული სოლომონისი, 1909, კ. აბაშიძის წინასიტყვაობა, გვ. 3—5), გამოქვეყნებული ალ. ცაგარლის წიგნში — „Сведения о памятниках Грузинских письменностей“, вып. I, СПб., 1886“. კ. აბაშიძე ზემოხსენებულ გამოცემას აღარებს XVIII ს-ში სლავიანური დაბადებიდან ქართულად თარგმნილ ბიბლიას და აღნიშნავს, XVIII ს-ის თარგმანში ისეა დამახინჯებული ენა და აზრი, რომ კაცია ვერას გაიგებს, ამიტომ იგი „სულ მოსპობილ უნდა იქმნას“ და მეათე საუკუნის (ათონის) თარგმანი გავრცელდესო. თვალსაჩინოებისთვის მრავალი შედარებული ფრაზა მოჰყავს. იგი თავის შენიშვნებში ზოგიერთ ადგილს განმარტავს აბრამ ეფროსის მიერ გამოცემული იმ დროისათვის უახლესი რუსული თარგმანის მიხედვით, რომელიც ძველი ებრაულიდან არის შესრულებული (Песнь Песней Соломона, Пантеон, СПб., 1910).

ა. ეფროსის ხსენებულ წიგნში შეუტანია „ქება ქებათა“ უშუალოდ ებრაულიდან შესრულებული საკუთარი თარგმანი რუსულ ენაზე, მისი გავლენით შექმნილი რუსი პოეტების ლექსები და ასევე — მის შესახებ ევროპულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები. ანალოგიური ხასიათის კრებული, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა „ქება ქებათა“ შესახებ არსებული მასალები, ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნებოდა და კ. აბაშიძის საჭიროდ მიუჩნევია, 1909 წელს ნაწილობრივ მაინც შეეცოდა ეს ხარვეზი. თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „თუ ამ ნაწარმოების გაცნობა სურვილს აღუძრავს ვინმეს, უფრო ეხლანდელის სტილით გადათარგმნოს ეს ნაწარმოები, პროზით ან ლექსად, ეს კიდევ უკეთესი იქნება“.

კ. აბაშიძის მიერ ბიბლიის სახობტო-სატრფიალო წიგნით დაინტერესება არა მხოლოდ აბრამ ეფროსის მალამხატვრული ნაშრომით იყო შთაგონებული, არამედ — ეპოქის საერთო განწყობილებითაც, რასაც თვითონვე აღნიშნავს: „დღევანდელი ევროპული ლიტერატურა დიდ ყურადღებას უთმობს ეროტიულ (სამიწურ) საგნებს. რუსულმა ლიტერატურამ ამაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და რევოლუციის ძლიერი სულის გავლენის ქვეშ თამამად წამოაყენა წინ ეგრეთ წოდებული სქესის პრობლემა. მარტო ბეცსა და უგუნურს შეუძლია, ეს ძლივამოსილი მოძრაობა პორნოგრაფიის სახელით მონათლოს და უდიადესი და უმწვავესი პრობლემა ცხოვრებისა აბუჩად აიგდოს. თავისუფალი




ადამიანი — ეს იდეალია დღევანდელი კაცობრიობისა და მისი კულტურული მსვლელობისა, ხოლო ასეთი თავისუფლება იგულისხმებს არა მარტო თავისუფლებას პოლიტიკურსა და ეკონომიურს, არამედ აბსოლუტურს, უსაზღვრო თავისუფლებას ადამიანის პიროვნებისა. ამ თავისუფლებას საზღვარი ექნება იქ, სადაც ხაზს ვაავლებს უღმობელი კანონი ბუნებისა“.

კ. აბაშიძე აქვეყნებს ათონური „ქება ქებათას“ ტექსტს, რომელიც დრამის ფორმით არის დაწერილი, მისი ქვესათაურები კი მოქმედების მიმდინარეობას და დიალოგის ხასიათს მიგვანიშნებენ, ასევე — აღნიშნავენ მოქმედ პირებს:

I₁₋₃ — შესავალი; I₃ — ქალწულთა სძალი უთხრობს, რა იგი მიანიჭა მას დედამან; I₃ — სძალი უთხრობს ქალწულთა და მათ პრქვეს; I₄₋₅ — ქალწულნი სიძესა უთხრობენ სახელსა; I₆₋₁₁ — სძალი სიძესა ეტყვის; I₁₂₋₁₃ — სძალი თავისთვის და სიძისათვის იტყვის; I₁₄ — II₃ — სიძე სძალისა მიმართ იტყვის და ა. შ.

20394

„ქება ქებათას“ ძველი ქართული თარგმანები — ათონის, ოშკის, ბაქარის ბიბლიისეული, ვენაში დაცული (ზურაბ სარჯველაძის მიერ გამოცემული) ტექსტი, მცხეთური ბიბლიისეული და თანამედროვე ქართულ ენაზე ზ. კიკნაძის მიერ თარგმნილი „ქება ქებათა“ ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ასევე ცნობილია მათი შედარების დროს გაწეული მუშაობა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ და ამიტომ ამ საკითხს აღარ შეევხებით, აღნიშნავთ მხოლოდ ერთს — როგორც ყოველმა ეპოქამ, ჩვენმა თანამედროვეობამაც მოითხოვა თანამედროვე ქართულ ენაზე თანამედროვე სტილით თარგმნილი ბიბლია და მასთან — „ქება ქებათა“. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ზურაბ კიკნაძემ. სამართლიანობა მოითხოვს, აღნიშნოთ, რომ მის თარგმანებს მრავალი ღირსება გააჩნია. რაც შეეხება კონკრეტულად „ქება ქებათას“, მისი თარგმანის პირველი ვარიანტი გამოქვეყნებულია აღმოსავლური მწერლობის ნიმუშთა კრებულში — „არმაღანი“ (თბ., 1965, გვ. 65—74). წინათქმაში აღნიშნულია, რომ ტრადიციის მიხედვით ეს ნაწარმოები მეფე სოლომონს მიეკუთვნება (სოლომონის ავტორობის საკითხი კარგა ხანია, ეჭვის ქვეშ დგას, მაგრამ იგი სათაურში მუდამ და ყველგან იხსენიება), რომ ეს არის „სიმღერათა კრებული, რომლის ერთიანი იდეა არის სიყვარული, უფრო ძლიერად აფეთქებული მას შემდეგ, რაც მოაცილეს თავის საგანს და პარემში დაატყვევეს ფუფუნებათა შორის მწყემსი ქალი, სურნელოვანი სახელის მქონე სულამით; მოწყვეტილი მშობლიურ წიაღს, სოლომონის სასახლიდან უხმობს თავის მიჯნურს, მაგრამ — ამაოდ. უდიდესი ექსპრესიით გადმოცემულ ოცნებაში საყვარელთან შეხედარისა, შორიდან მის ხმობაში და მისი მშვენიერების ქებათა ქებაში გამოსჭვივის მძაფრი ტრაგიზმი, რასაც განიცდის ყოველი დატყვევებული სული. ჰიმნი შეიქმნა ებრაული კულტურის უკიდურესი აყვავების ხანაში (X ს. ჩვენს ერამდე)“. შენიშვნის საბით უნდა ვთქვათ, რომ „ქება ქებათამ“ (ანდა — შესაძლოა, აღმოსავლურ ლირიკაში გავრცელებულმა მოტივებმა, რომელიც ამ ნაწარმოებშია გამოყენებული) დიდი გავლენა მოახდინა პასტორალური პოეზიის ფუძემდებლის — თეოკრიტეს შემოქმედებაზე (III ს. ჩვენს ერამდე). ნაწარმოების მაღალი მხატვრული დონე და მდიდარი სიმბოლიკა განაპირობებს მისი გავლენის ფართო დიაპაზონს და მას დღესაც მრავალი ავტორი მიმართავს თავისი სათქმელის გამოსახატავად. ამ საკითხს ჩვენ ორი სპეციალური გამოკვლევაც მიუძღვნით (იხ.: „პაულ ცელანის „სიკვდილის ფუვა“ და „ქება ქებათა“», „მაცნე“ — ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, № 2; „დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“ და წიგნი „ქება ქებათა“», „მაცნე“, ელს, 1991, № 4).





ზ. კიკნაძის ზემოხსენებული თარგმანი, როგორც ეს ორიგინალშია, არის თავისაგან შედგება, მაგრამ მუხლები დანომრილი არ არის, არამედ წერტილებით არის ერთიმეორისგან გამოყოფილი. განმეორებითი თარგმანი (იხ. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, „ქებათა ქება სოლომონისა“, გვ. 594 — 597) თავებად არის დაყოფილი (თავი პირველი, თავი მეორე და ა. შ.). ორივე თარგმანში თანამედროვე ქართული ენის გვერდით არქაიზმებიც არის გამოყენებული, რაც სიძველის სურნელს და დამახასიათებელ კოლორიტს უნარჩუნებს ნაწარმოებს. ბუნდოვანი ადგილები, ღვლარქნილი ფრაზები, როგორც ეს ზოგ ძველ ქართულ თარგმანებს ახასიათებდა, ზ. კიკნაძის თარგმანებში არ გვხვდება. მას ასევე შეუნარჩუნებია პასტორალური და ურბანისტული ტერმინოლოგია და დაუცავს მათი მონაცვლეობითი გამოყენების პრინციპი. დაცულია ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები და ხერხები. მაგ.: „დამდევე, ვით ბექედი შენს გულზე, ვით ბექედი შენს მკლავზე, რამეთუ ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი — სიყვარული, სასტიკი, ვითარცა ჯოჯოხეთი — შური, არმური მისი, არმური ცეცხლისა, უფლისა აღი“ (ქება მერვე, „არმაღანში“ გამოქვეყნებული ტექსტი). „დამდევი, როგორც ბექედი შენს მკერდზე, როგორც ბექედი შენს მკლავზე, რადგან ძლიერია სიკვდილივით სიყვარული, სასტიკია ჯოჯოხეთივით შური, არმური მისი ცეცხლისა არმურია, უფლის აღი“ (თავი მერვე, 1989 წელს გამოცემულ ბიბლიაში ჩართული ტექსტი). „ვერ დამრეტს სიყვარულს წყალი მრავალი და მდინარე ვერ წარღვნის მას, კიდევ რომ მისცეს კაცმა ყველა ქონება თვისი სიყვარულის წილ, მაინც მძულვარებით უკუაგდებენ“ (ზოგ ძველ თარგმანში „მძულვარების“ ნაცვლად „დაცინვა“ გვხვდება) — („არმაღანში“ გამოქვეყნებული ტექსტი). „ვერ დაშრეტს სიყვარულს წყალი მრავალი, და მდინარე ვერ წარხოცავს, კიდევ რომ მისცეს კაცმა სახლის მთელი დოვლათი სიყვარულის წილ, მაინც არ ასცდება სიძულვილი“ (1989 წლის ბიბლიაში გამოქვეყნებული ტექსტი).

როგორც ვხედავთ, ტექსტობრივი თუ აზრობრივი-იდუბური სხვაობა ზ. კიკნაძის თარგმანთა შორის არ შეინიშნება. რაც შეეხება მის ბოლო ნაშრომებს, იგი მხატვრულად უფრო დახვეწილია, სინტაქსი კი თანამედროვე ქართული ენის შესაბამისად არის გამარტივებული. ბოლოდროინდელი თარგმანი თავისთავად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

„ქება ქებათას“ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმანი არა მხოლოდ ქართველ მოღვაწეებს უცდიათ, არამედ თვითონ ქართველ ებრაელ მწერლებსაც. მაგალითისათვის დავასახელებთ ჩვენთვის კარგად ცნობილ ორ თარგმანს: 1. „გალობა გალობათა სოლომონისა“ — თარგმანი ებრაულით ნათან ელიაშვილისა, ტფილისი, 1925, 2. „გალობათა გალობა“, თარგმანი ებრაულიდან გერცელ ბააზოვისა, ტფილისი, 1927.

ნათან ელიაშვილისეული თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე თვითონ ლექსით არის შესრულებული. დაყოფილია რვა თავად და ხუთ გალობად, ანუ — სიმღერად. პირველ გალობაში შედის I—II7, მეორეში — II8—17 — III1—5, მესამეში — III6—V1, მეოთხეში — V2—VIII4, მეხუთეში — VIII5—14. „ლიცენცია პოეტისა“ მთარგმნელს არ ახასიათებს, იგი ზუსტად მიჰყვება კანონიკურ ტექსტს. პოემა დრამის ფორმით არის თარგმნილი, გამოყოფილია მოქმედი პირებიც: სულამითი (I7), მწყემსი (I8—11), სულამითი (I12—14) და ა. შ. ქალნი იერუსალიმისა, ძმები სულამითისა (მხოლოდ VIII8—9). ეს თარგმანი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, თუმცა თავის დროზე მის მიმართ ვარკვეული შენიშვნები გამოთქვა გერცელ ბააზოვმა, რომელმაც ახალი თარგმანის საჭიროებაზე მიუთითა და შეეცადა შეექმნა ეს ახალი თარგმანი. ცალკე წიგნად გამოცემამდე (1927 წ.) გ. ბააზოვმა თავისი ნაშრომის ფრაგმენტ-



ტები ჯერ კიდევ 1923 წ. გაზეთ „ტრიბუნაში“ (№ 504) გამოაქვეყნა ს. გორგაძის წინასიტყვაობით (1923, VI, 18), სადაც ნათქვამია, რომ ეს ნაწარმოები არის „უკვდავი პოემა — პასტორალი, რომლის ახალ თარგმანს მკითხველი ქვემოთ გაეცნობა, გადმოცემით ებრაელების სახელგანთქმულ მეფეს სოლომონს მიეწერება“. იგი, — განაგრძობს გორგაძე, — თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა განმეორებით, ჩვენ კი დღემდე მხოლოდ ძველი თარგმანები მოგვეპოვებოდა და ისიც — არა უშუალოდ ებრაულიდან. გორგაძის აზრით, „ქება ქებათას“ აქვს მაღალი ლიტერატურული და ესთეტიკური ღირებულება. „ამ ღირებულებას ზოგჯერ ჩვენი შეილებიც კარგად ჰკრძნობდნენ, რითაც ალბათ აიხსნება ის მოვლენა, რომ უკვე ხალხურმა პოეზიამ საუცხოოდ გამოიყენა ამ პოემის სიუჟეტი თავის „ეთერიანში“, ანუ „აბესალომ და ეთერიში“, ხოლო XVIII ს-ის დიდმა ლირიკოსმა და სიყვარულის უბადლო მომღერალმა ბესიკმა მოხდენილად ჩააქვრა თავის „რძალ-დედამთილიანის“ ერთ საუკეთესო ლირიკულ ადგილას მთელი ფრაზა პოემიდან (თავი 2, მუხლი 6, შდრ. „რძალ-დედამთილიანი“, ხანები 91 და 93)“, — წერს იგი.

ზემოხსენებულ წიგნს მთარგმნელის — გ. ბააზოვის შენიშვნებიც ერთვის. იგი იხსენიებს ალ. ცაგარლის მიერ 1886 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ „Сведения о памятниках грузинской письменности“-ის პირველ გამოცემას, სადაც გვ. 17—56-ზე „ქება ქებათაა“ გამოქვეყნებული. სწორედ ამ ტექსტის მიხედვით თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოუკეთებია ნაწარმოები პეტრე მირიანაშვილს და გ. ბააზოვის თარგმანის გამოქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე დაუბეჭდავს. გ. ბააზოვი ორივე წინა გამოცემას დეფექტურად მიიჩნევს. ნაკლად თვლის იმას, რომ თარგმანები უშუალოდ დედნიდან არ არის შესრულებული, თავის მხრით დედნიდან შესრულებულ „ქება ქებათას“ საკუთარ თარგმანს სთავაზობს მკითხველს და ჩამოთვლის, თუ რა წყაროებით იხელმძღვანელა მუშაობის დროს. ამ წყაროთა გაცნობა ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მკითხველისათვის:

1. „რომმის ქვრივის და ძმების“ გამოცემა ებრაული ბიბლიისა — ქ. ვილნო, 1907, ნაწ. II, გვ. 295—323;
2. La Sainte Bible, par Louis Segond, Paris, 1910;
3. მეორე ფრანგული თარგმანი Ostervald-ის ვერსიით — Paris, 1911;
4. Die Bible, Berlin, 1911 (თარგმნილი მარტინ ლუთერის მიერ);
5. Библия, Санкт-Петербург, 1908, სინოდის გამოცემა;
6. А. Эфрос, Песнь Песней Соломона, Пантеон, СПб., 1910;
7. ს. გორგაძის მიერ შესწორებული ათონური დაბადების ტექსტი.

გერცეცლ ბააზოვის თარგმანი პროზით არის შესრულებული, შენარჩუნებულია პარალელურობების უზადო გამოყენება, ორიგინალის მხატვრული თავისებურებები. ფრაზა მოქნილობით და სისხარტით ხასიათდება, სადა, ნათელი და ლამაზია. მოკლებული არ არის პოეტურობას.

„ქება ქებათას“ ქართული თარგმანების გაცნობა უდავოდ საინტერესოა, ყოველ მათგანს გააჩნია გარკვეული ღირსებები და ყოველი მათგანი ლიტერატურის ფაქტად გვევლინება. მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი კი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე ქართულ ენაზე არსებულ თარგმანთა შედარებითი შესწავლაც დადგა დღის წესრიგში, ისევე, როგორც თავის დროზე ძველ ქართულ ენაზე არსებულ თარგმანთა შედარებითი კვლევა ჩატარდა. ერთი თვალის გადავლებითაც კი იოლად შეინიშნება, რომ თარგმანთა შორის განსხვავებულია ფლორისა და ფაუნის, ცალკეულ საგანთა და მოქმედებათა აღმნიშვნელი ტერმინოლოგია (მაგ.: ერთგან შროშანია, მეორეგან —



ნარგიზი, მესამეგან — ზამბახი ან სუმბული), თუმცა ყოველი დეტალი მხოლოდ და მხოლოდ „ქება ქებათას“ მხატვრულ ქსოვილს უკავშირდება და სტილიდან არ არის ამოვარდნილი.

გარდა თარგმანებისა, „ქება ქებათამ“ ქართულ პოეზიას ორი საინტერესო საკვლევი საკითხი შესძინა: 1. უშუალო გავლენით შექმნილი ცალკეული პოეტური ნაწარმოებები, 2. ქართული ფოლკლორული პოეზია და „ქება ქებათა“.

„ქება ქებათას“ გავლენა — ცალკეული მხატვრული სახეები, პოეტური ხერხები, რემინისცენციები, თემატიკა, მოტივები ჯერ კიდევ დავით გურამიშვილის შემოქმედებაში შეინიშნება. ცნობილია, რომ მისი პოეზიის მასაზრდოებელ წყაროთა შორის უმნიშვნელოვანესად ითვლება ბიბლიის წიგნები. რაც შეეხება „ქება ქებათას“, დ. გურამიშვილის პოემა „მხიარული ზაფხული ანუ ქაცვია მწყემსი“ სწორედ მისი უშუალო გავლენით უნდა იყოს შექმნილი და იგი აუცილებლად უნდა დასახელდეს პოემის წყაროთა შორის. ამ საკითხს ჩვენ ადრეც მივამჩნიეთ ყურადღება და ცალკე გამოკვლევაც მივუძღვენით (იხ. „მაცნე“, ელს, 1991, № 4), ამიტომ აქ მხოლოდ მოკლედ გავიხსენებთ, რომ: 1. „ქაცვია მწყემსი“ გამოყენებული უნდა იყოს ბიბლიისთვის, კერძოდ, „ქება ქებათასათვის“ დამახასიათებელი პასტორალური სიმბოლიკა — მწყემსი გოგო და ბიჭი გაზაფხულზე ბუნების წიაღში ერთმანეთს ეტრფიან, რაც მათი ქორწილით მთავრდება. სიმბოლურია მოქმედების დრო, მოქმედების ხასიათი, მოქმედების ადგილი, მოქმედი პერსონაჟები. 2. მოქმედების დრო, მოქმედების ადგილი, მოქმედების ხასიათი, მოქმედი პერსონაჟები პასტორალურია ორივე ნაწარმოებში და მითოსური განზომილება აქვთ. 3. „ქაცვია მწყემსი“ აგებულია „ქება ქებათას“ არქიტექტონიკისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხით — პარალელიზმის გამოყენებით, რომელიც თავისთავად ფოლკლორული პოეზიიდან არის ნასესხები და ისევე, როგორც მრავალი პასაჟი, ორივე ნაწარმოების ხალხურ პოეზიასთან და ერთმანეთთან უწყვეტ კავშირზე მიგვანიშნებს. 4. ორივე ნაწარმოებს ახასიათებს ეროტიზმი. ფრევოლური სცენები და სიტყვათხმარება, რაც ორივეგან ეპოქის საერთო განწყობილებით არის გამოწვეული. 5. ორივე ნაწარმოები იყენებს სასიმღერო დიალოგების ფორმას, ამასთან — ერთ მათგანს სიუჟეტი არ გააჩნია და სახობო პოეზიას განეკუთვნება, მეორე კი — ყოფით სიუჟეტზე აგებულ პოემას წარმოადგენს. მიუხედავად დიდი ტიპოლოგიური მსგავსებისა, „ქება ქებათადან“ ცალკეულ ნასესხობათა გამოყენება დ. გურამიშვილთან არ გვხვდება.

მეორე ქართველი პოეტი, რომლის შემოქმედებაშიც „ქება ქებათასეული“ მხატვრული სახეები და განწყობილებები შეინიშნება, ბესარიონ გაბაშვილია, როგორც ამას ს. გორგაძეც აღნიშნავდა, თუმცა მას საკითხის კვლევა არ უცდია. ეს ფაქტი მოულოდნელი არ უნდა იყოს, ვინაიდან ბესიკის შემოქმედებისთვის უცხო არ არის ბიბლიური განწყობილებები და მხატვრული ხერხები. ამას მოწმობს ლექსი „სამძიმარი“ და მისი სხვა ნაწარმოებები. იგივე ითქმის ქებათა ქანრის გამოყენების შესახებაც — ბ. გაბაშვილის სატრფიალო ლირიკა აღბეჭდილია ქების, სახობო პოეზიის, კერძოდ, სატრფიალო სახობო პოეზიის, მძაფრი გავლენით. საყვარელი ჭალის სახის და სხეულის ნაწილთა ქება ბესიკის პოეზიაში უდავოდ აღმოსავლური სატრფიალო პოეზიის კარგმა ცოდნამაც განაპირობა. რაც შეეხება მთელ რიგ ლექსებს — „ვნახე პირმზე“, „ხმა სირინოზის“, „ახლად აღვამკობ ალვისა“ (ანბანთქება), „მოით მიჯნურნო“, „შეყრილან ერთად მკრთოლვარენი“, „ბაიათი“, „პირ ზამბახნი“, „რხევით ნახი“ (თეჯლისის ხმაზედ), „უწყლავსა ჳირსა“, „შევკრთი რომ ვნახე“, „ტანო ტატანო“ სატრფიალო-ეროტიკული მოტივების გამოყენებით არის შექმნილი და „ქება ქებათასთან“ ტიპოლოგიურ მსგავსებას იჩენს. ამასთან, ბესიკის შემოქმედე-

ბას „ქება ქებათსიეული“ მდიდარი პასტორალური სიმბოლიკა და ურბანის-
ტულ-პასტორალური სამყაროს მონაცვლეობითი შექება არ ახასიათებს.

„ტანი ტატანი“

2. „თალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშენის მწველად,
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გვეა მცველად,
გესხნეს ხალეზი, მკრძალეზი, ამარტის ველად,
ნარიჩნი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდენ ხელად,
მიწვეედენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!“
3. „ალეო, გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხვეელნი,
მკლავნი მომკლავნი, თითნი თლოლნი მოსახვეველნი;
ზარიფსა წელსა დაეკორენეს ქვეყანად შელელნი;
ოდეს ვნახვიდი, შევიმატნი ათასნი წელნი.
აწ დამლევინ ყოვლნი დღენი, უცხოდ ვარებო!“...

საგულისხმოა, რომ ამ ფრაგმენტებში გამოსკვივის ეროტიკული სიყვარუ-
ლის არა როგორც ბედნიერების, არამედ — როგორც ზარისა და ავადმყოფო-
ბის მომტანი გრძნობის აღქმა. ამგვარი აღქმა დამახასიათებელია ძველი აღმო-
საგულური ლირიკისთვის და მისი გავლენით — ანტიკური და ალექსანდრიული
პერიოდის პოეტებისთვისაც (მაგ., თეოკრიტეს იდილებებისთვის). სიყვარულის,
როგორც ავადმყოფობის, აღქმა გვხვდება „ქება ქებათსიეშიც“:

II₄ — „შემიყვანეთ მე სახლსა ღვინისასა, განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარუ-
ლი, დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ. გარემომასხით მე ვაშლი, რამეთუ
მოწყულულ ვარ მე სიყვარულითა“.

V₈ — „გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალთა და სიმტკიცე-
თა ავარაკისათა, უკეთუ სადა ჰპოვოთ ძმისწული ჩემი, უთხარო მას, ვითარ-
მედ წყულულ ვარ მე სიყვარულითა!“

ქების ჟანრის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ბესიკის შემოქმედებაში
მხეჭაბუკ ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსი. იგი შებრუნებულ ქებას, ძაგებას
ანუ — ანტიქებას ემყარება და ტიპოლოგიურ მსგავსებას იჩენს რომაელი პოე-
ტის გაიუს ვალერიუს კატულუსის (87—54 ძვ. წ.) ლექსთან — „გამარჯობა,
არალამაზცხვირიანო გოგონავ!“

მხეჭაბუკ ორბელიანს

1. „დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულდადარაო,
ემმათ ბუდეო, ბეჭმრუდეო, კერპთ სადარაო,
არ უზიანო, ეზიანო მიწუნწარაო,
ხილუად საშიშო, გულმეიშო, გარსაგარაო
და მე შენი ქება მომენება, არ დაეფარაო!“

კატულუსი (ლექსი XI, III):

„გამარჯობა, არალამაზცხვირიანო გოგონავ!
არა სწორფეხებიანო, არა შავთვალავ,
არა გრძელითებიანო, არა ენამოკლეე,
მეტად არა გონიერო და არა კაი სიტყვა-პასუხიანო,
მფლანგველი ფორმინისის საყვარელო, გამარჯობა!“

შესაძლოა, ამ ტიპის „ქება“ სხვა პოეტებთანაც შეგვხვდეს; მას დაძებნა და
შესწავლა სჭირდება.

შოთა რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძის და სხვათა შემდეგ ქების ჟანრს
არც XX საუკუნის ქართველი პოეტები დარჩენიან ვალში. მაგალითისათვის



დავასახელებდით თუნდაც გალაკტიონ ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, რომელიც წარმატებით იყენებს საზოგადოებრივ ელემენტებს და ნიკორწმინდას სუფიზური რელიგიური ცოცხალი არსების მსგავსად ეფერება და ხობტას ასხამს, თუმცა „ქება ქებათაქუელი“ ერთიანი აქ არ იგრძნობა. „ქება ქებათას“ გავლენით არაერთი ლირიკული ლექსი შექმნილა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. მაგ., გიორგი ლონის „სულამით“:

გედისებური მღვლეარებით
 მოვარე მისცურავს,
 ეს მღვლეარება — ცხოვრება,
 შე ვცოცხლობ ამით,
 დრონი წარვიდნენ
 და შუალდე თუ მიიწურა,
 მაინც ვენახში გელოდები,
 ჩემო სულამით!

აქ ერთმანეთს ერწყმის ეროტიკული და ფილოსოფიური განწყობილებები და ბიბლიური სულამითის მხატვრული სახე მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ არის გამოყენებული. მწყემსი გოგონა სულამითი გვევლინება გვიგეგეკტორის ლექსის ლირიკულ პერსონაჟად. ლექსში „შენ სულამითი შეგიყვარდა ბოლოს, სოლომონ!“ პოეტი წუთისოფლის სწრაფწარმავლობას და სიყვარულის მარადიულობას აღიარებს. ეროტიკული სიყვარული, ლტოლვა საყვარელი ქალისადმი — აი, რა მიანიხი მას ხსნად და შეებად ამქვეყნიური დავიდარბიდან:

„შენ სულამითი შეგიყვარდა ბოლოს, სოლომონ,
 და სურვილით რომ გადაიხსნა შენი ტუჩები,
 სხვა ყოველივეს რომ ამაოდ ებლაუძები
 და რომ ფუჭია ყოველივე, მიხედი, სოლომონ!“

ლექსი განმსჭვალულია „ქება ქებათას“ განწყობილებებით. მალამხატვრულად არის აღწერილი, თუ საქვეყნო საქმეებით გართულ მეფე-კაცს, რომელსაც საკუთარი ადამიანური გრძობებისთვის აღარ ეცალა, როგორ შეახსენა მოულოდნელმა სიყვარულმა სიცოცხლის ჰემარიტი აზრი.

გიორგი ლონის, გვიგეგეკტორის და სხვა ქართველ პოეტთა მიერ შემოხსენებულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს წინ უსწრებს სანდრო შანშიაშვილის ლირიკული პოემა „სულამით“, რომელიც ნინო თ-შვილისადმი მიძღვნილი (იხ. „ქება ქებათა თქმული სოლომონისა და სულამით“, ლირიკული პოემა ა. შანშიაშვილისა, ტფილისი, 1909). პოემა დათარიღებულია 1909 წლით — „1909 წ. თბილისი, ქიზიყი, მთა-დიდებული“. ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ფრაზა „ქება ქებათადან“ — „დამდევს მე ვითარცა ბეჭედი გულსა ზედა შენსა, ვითარცა ბეჭედი მკლავსა ზედა შენსა, რამეთუ ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული. დიხელ, ვითარცა ჯოჯოხეთი, შური. ფრთე მისა — ფრთე ცეცხლისა. არ ძალუე წყალსა მრავალსა დაშრეტა სიყვარულისა და მდინარე ვერ წარღვნის მას“. სოლომონ (ქება ქებათა).

პოემა „სულამით“ შედგება რვა თავისგან (ისევე, როგორც „ქება ქებათა“), დაწერილია ათმარცვლიანი ლექსით. სულამიტის სახეში მწერლის საყვარელი ქალი პერსონაჟიერებული. რვა შემთხვევაში „ქება ქებათას“ რემინისცენები ფრაზეოლოგიურ და შინაარსობრივ დამთხვევამდე მიდის. შდრ. „სულამით“, თავი II — „ქება ქებათა“, თავი I; „სულამით“, თავი IV — „ქება ქებათა“, თავი II; „სულამით“, თავი VI — „ქება ქებათა“, თავი V და ა. შ.

ს. შანშიაშვილის პოემა „ქება ქებათასთან“ სიუჟეტურ-კომპოზიციურ მსგავსებას არ იჩენს; მსგავსება უფრო თემატიკას, მოტივებს, განწყობილებებს, ლექსიკას, მხატვრულ სახეებს ეხება. პოეტის სიყვარულის საგანი პოემის ფინალში ტრაგიკულად იღუპება მკითხველისთვის გაუგებარი მიზეზის გამო და ის სილაღე, შვება, სიყვარულით ტკობა, რაც „ქება ქებათაში“ გვხვდება, „სულამიტში“ მწუხარების გრძნობით არის შეცვლილი. ამასთან, მის ტრფილს იგივე ეროტიკული განწყობილებები მსჭვალავს. ზოგიერთი დეტალი, მაგ., მიმართვა იერუსალიმელ ქალწულთა გუნდისადმი — „ჰოი, ასულნო“, ს. შანშიაშვილს შეუწარჩუნებია. ეს მიმართვა რამდენჯერმე გვხვდება ტექსტში, თუმცა თვითონ ასულები არსად ჩიანან და არც ხმას იღებენ მის პოემაში. კონკრეტული ტოპონიმები, ცალკეულ საგანთა, ბუნების სამყაროს წარმომადგენელთა სახელწოდებანი „ქება ქებათადან“ არ არის აღებული. არც ერთი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტი, განსხვავებით ბიბლიის ზემოხსენებული წიგნისაგან, ამ პოემაში არ იხსენიება გარდა „აღმოსავლეთისა“ („სხივთა მფრქვეველ ტურფა ასულო, აღმოსავლეთის მნათობო სრულო“). ზოგადი ტოპონიმები — ვენახი, ხის ძირი, მტლი, ედემი, ბაღი „ქება ქებათას“ უნდა უკავშირდებოდეს. ჩვენი ვარაუდით, ისევე, როგორც — მცენარეთა სახელები: სოსანი, ვაზი, მანდრაგორა, სუმბული და სხვა.

„ქება ქებათადან“ უნდა იყოს ნასესხები მწყემსობის მოტივი:

„სულამიტ“, VII — „მომიახლოედი, ხის ძირას დაესხდეთ,
ერთ დროს აქ მწყსავდი და ჰყრეფდი სუმბულს“.

ავტორი საკუთარ თავს „მგოსანს“ ან „მეფე-მგოსანს“ უწოდებს მეფე სოლომონის ანალოგიით (იხ. „ოცნების ფრთები შემასხი მგოსანს“, „დღეს კი უყვარხარ შენ მეფე-მგოსანს“).

ნასესხებია შედარებები — „შეელსა ემსგავსე ანუ ქურციკსა“, „მოდი, მოფრინდი, ედემის მტრედო!“, „...მტრედო, გამიღე ყარი!“

ნასესხებია სატრფოს ძებნის მოტივი (იხ. თავი VI).

ს. შანშიაშვილის პოემაში ეროტიკიზმს ზოგჯერ პლატონური სიყვარულის შეგრძნება ენაცვლება და პოეტს ზოგჯერ „შორით წვა და შორით დაგვა“ მოუწოდება ზოლმე: „მსურს ეგრეთ ტურფას შორით გიმზერდე, შორით ვეტრფოდე შენს ხატებასა, სხვას არას ვითხოვ შენგან, ლამაზო, არ შეგირაცხებ სურვილ ნებასა!... შენს წმინდა აჩრდილს, მშვენიებით აღვსილს, ვეძებდი — ეპოვე და შევიყვარე!“

„სულამიტში“, ისევე, როგორც „ქება ქებათაში“, სიყვარული ტანჯვად არის მიჩნეული. მას იჭვიანობის გრძნობა ახლავს, თუმცა გმირი ქალი ერთგულებით არის აღსავსე და პოეტის ღალატს არ აპირებს: „თუ მხოლოდ ტურფავ, ტანჯვას მიქადდი, ასე მხურვალედ რად შემყივარდი!“; „ვაპ, თუ გამცვალო სულ სხვა ვარსკვლავზე, შენს ერთგულებას ვინლა მახარებს?“, „შენს წმინდა სახელს ვეღარ ვახსენებ, ვინ იცის, სხვას ვის მიუღალესებ!“

ს. შანშიაშვილის ნაწარმოებში „ქება ქებათასეული“ ეროტიკიზმი გაძლიერებულია უბედური შემთხვევით — სულამიტის მკვლელობით: უცნობის ხელით დაჭრილი სულამიტი კვდება, ახდება მისი წინათგრძნობა. კვდება იგი პოეტისთვის საბედისწერო სიზმრის შემდეგ, სატრფოს გვერდით მწოლი. როდესაც სიზმარში სამგზის მიმართავს „მეფე-მგოსანს“ ქალი — „ღამივიწყეო“, პოეტს შიშით ეღვიძება:

„გამომღეობა — ვამე ბედერულს,
ჭრილობა აჩნდა სულამიტს ერთგულს...
სასომხილი ტანჯვით კვდებოდა
და სამუდამოდ მითხოვებოდა“.



სავარაუდოა, რომ აქ მკვლევლობას სიმბოლური მნიშვნელობა უფრო მეტად აქვს ვიდრე — პირდაპირი: შვიდი დღის ტრფიალის შემდეგ პოეტი სამუდამოდ განუშორა სიყვარულის საგანს; ამიტომ ქალი მისთვის მკვდარია: „უდროოდ ჩაქრა შევების ლამპარი... რას ვიფიქრებდი, ეს მოხდებოდა, შვიდი დღის ტრფობა ჩამწარდებოდა“.

ს. შანშიაშვილი აქ ასევე მიმართავს ძველი ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელ „სოფლის სამდურავს“ და ფილოსოფიურ აზრებს ავითარებს სიხარულის და ბედნიერების სწრაფწარმავლობაზე ჩაფიქრებული: „ვაგლახ! ამ სოფლად რა მსწრაფლად ჰქრება შევების მომცემი ჩვენი დიდება! სიხარულსა სცვლის ტირილი, ტყემა, გამარჯვებული ბოროტი რჩება“.

მოცემულ შემთხვევაში რომელი „ბოროტი“ დარჩა გამარჯვებული, დაჩაგრა პოეტი და სატრფო დააკარგვინა, მკითხველისთვის ჭრჭერობით გაუგებარი რჩება, დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია, ეს საკითხი ცალკე შეისწავლოს.

პოემის ფინალი მძიმე განწყობილებით, უიმედობით არის აღსავსე და ავტორის სულიერ მარტოობაზე საჩივარს წარმოადგენს, რაც რეფრენითაც გამოიხატება: „ვოი, რაღა ვარ, ობოლი, მწირი! სულამიტ, ჩემო! მოვსტქემა და ვსტირი!“ ერთადერთ ნუგეშად მას მარადიულობის შეგრძნება — მკვდრეთით აღდგომა და სულის უკვდავება რჩება, თუმცა ამ ნუგეშს თან ახლავს ეჭვიც — ვაითუ ვერც ამ გზით ველარ შეხვდეს საყვარელ ქალს.

დასკვნის სახით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ს. შანშიაშვილის პოემა „სულამიტი“ გალექსილ „ქება ქებათას“ არ წარმოადგენს, არამედ — მცდელობაა ახალი, საკუთარი დამოუკიდებელი სიტყვების მქონე ნაწარმოების შექმნისა „ქება ქებათას“ მხატვრული ქსოვილის გამოყენებით.

კონკრეტულ ავტორთა შემოქმედებაზე არანაკლებ საინტერესო მასალას წარმოადგენს „ქება ქებათასთან“ მიმართებაში კვლევისათვის ქართული ხალხური პოეზია, განსაკუთრებით — სატრფიალო-სამიჯნურო ლექსები. ამ ფაქტს აღნიშნავს პროფ. ელენე ვირსალაძეც — „ქართული ხალხური სატრფიალო ლექსი. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ვაყისა და ქალის სილამაზის დახვეწილი და მრავალფეროვანი ქებით... ეს ქება, თავის მხრივ, ამაღლებული სახეებით, სინატიფით და დახვეწილობით ბიბლიის „ქებათა ქებას“ თუ შეიძლება შევადაროთ“ (ქართული ხალხური პოეზია, ტ. VI, თბ., 1978, გვ. 17).

ქალ-ვაყის დახასიათება ქების ციკლის ქართულ ხალხურ სატრფიალო ლირიკაში ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება: 1. გარეგნული აღწერა და შექება. 2. შეფასება შინაგანი მონაცემებისა და ქცევის მიხედვით. ეროტიკული ლტოლვა საყვარელი ადამიანის მიმართ — ვაყი იქნება ის თუ ქალი — განუშორებლად ახლავს თან ამ ციკლის ლექსებს. ჩვენი დაკვირვებით, ეროტიკული ელემენტის მომძლავრება ყოველ ეპოქაში დიდი პოლიტიკური კატაკლიზმებისა და ქართველების წინ შეინიშნება, ისევე, როგორც რელიგიური გრძნობების მომძლავრება ამ ქართველების შემდეგ და ეროტიკული სიყვარულის შეცვლა პლატონური სიყვარულით. ძალიან ძნელია ქართული ხალხური სატრფიალო ლექსების დათარიღება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი შექმნის პერიოდებიც ამგვარ ეპოქებს ემთხვევა (ვგულისხმობთ ეროტიკულ-სატრფიალო ლირიკის მომძლავრებას).

საგულისხმო ფაქტია, რომ იძებნება ცალკეული საერთო მოტივები „ქება ქებათასა“ და ხალხურ „ქებას“ შორის. მაგ.: სიშავის შექების მოტივი, გარეგნობის შექება ცალკეულ ნაკვთთა ჩამოთვლით, სურნელის შექება და ა. შ.

„მე შენ მინდი, შავო ქალო, მე შენ მემშენიერებო,
დღისით მეფერები მზესა, ღამით მემთვარიანებო“.

სვანის სიმღერა გიორგი წერეთლის რომანიდან „კიკოლივი, ჩიკოლივი,
კუდაბზიკა და მე“:

...„შავო კლდე, შავო ქვეყანა,
ისევ შენთან გადმოვეო,
შავგერემანმა თან შემიტბოს,
შენ, შავო ხე, დამარდილეო!“...

შდრ.: „ქება ქებათა“ 14 — „შავი ვარ, მაგრამ ლამაზი, იერუსალიმის ასულ-
ნო! როგორც კედარის კარები და სოლომონის ფარდაგები“. 15 — „ნუ მიცქე-
რით, რომ შავი ვარ, რადგანაც მზემ დამწვა“.

ა. ეფროსის შემოსხენებულ წიგნში (გვ. 146—166), სადაც თავმოყრილია
„ქება ქებათას“ შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში გამოთქმული მოსაზრებები,
ვხვდებით ა. ოლესნიცის თეორიას შეყვარებულის გარეგნობის შექების სიმ-
ბოლური მნიშვნელობის შესახებ. თუ, ე. რენანის აზრით, „ქება ქებათაში“
მხატვრული სახეები და განწყობილება არაბული სატრფიალო სიმღერების
მსგავსია, ა. ოლესნიცი ამ ნაწარმოებს საერთოდ აღმოსავლურ ხელოვნებასთან
მიმართებაში განიხილავს. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი ანატომიური ხასიათის
შექება აღამიანისა სიახლეს წარმოადგენს თვით ძველ აღმოსავლურ პოეზია-
შიც კი, სადაც მანამდე აქებდნენ სასას, ენას, თავს, წელს, ხელს, ფეხს, წარბს,
წამწამს, თვალს, ლოყას, ტუჩებს და ა. შ. რომელიმე ნაკეთის ძუნწად და მოკ-
ლედ შექებას მიესადაგება ბუნების რომელიმე სურათის შექება (მაგ., თმა —
გალადის მთაზე მტომი თხები, კბილები — საბანელიდან ამოსული მარჩბი-
მსხმელი — ანუ სალი — ცხვრები). პარალელიზმი აქ აგებულია საყვარელი
აღამიანის ნაკეთებისა და ბუნების სურათების მონაცვლეობით ჩამოთვლაზე,
რაც იმას მიგვანიშნებს, რომ სამშობლოსადმი, მშობლიური ბუნებისადმი სი-
ყვარული საყვარელი აღამიანისადმი სიყვარულთან არის გაიგივებული. სწო-
რედ ეს ჩამოთვლა კრავს და მთლიანობას ანიჭებს ნაწარმოებს. ისრაელის ბუნე-
ბა ამ ნაწარმოებში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დანაწევრებთაც კი შეგვი-
ძლია განვიხილოთ და მთავარი პერსონაჟების გვერდით დავაყენოთ. ა. ოლეს-
ნიცის განმარტებით ნაწარმოების შემქმნელი აქებს რა უხვ და მდიდარ ისრა-
ელს, რომლის ბუნების სურათებიც საყვარელი აღამიანის სხეულის ნაკეთებს
შეესაბამება, მთელი ეს ქება ერთგვარ პოლიტიკურ ხოტბას წარმოადგენს. მზის
მხატვრულ სახეში უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე — მეფე სოლომონი იგუ-
ლისხმება, ხოლო მზის მოძრაობა და საერთოდ მნათობთა ასტრონომიული
სიმბოლიკა, მათი მოძრაობა ისრაელის ცხოვრების აღმავალ და დაღმავალ
პერიოდებს აღნიშნავს. მზე ზენიტში — სოლომონი და ისრაელის უკიდურესი
აყვავების ხანა უნდა იყოს. ა. ოლესნიცის თეორია საფუძველს მოკლებული
არ უნდა იყოს, თუმცა ჩვენ აქ ინფორმაციის თვალსაზრისით მოვიხსენიეთ და
მის შესახებ აქ არ ვიმსჯელებთ. ქართულ პოეზიაში ამ თეორიის ანალოგი არ
გვხვდება, „ქება ქებათადაც“ მხოლოდ სატრფიალო-ეროტიკული მოტივები და
პასტორალური სიმბოლიკაა ნასესხები, ერთადერთი მწერალი, ვისთანაც ასე თუ
ისე შეიძლება, შემოსხენებული თეორიის მიხედვით დავაკვირდეთ ასტრალურ
სიმბოლიკას, ეს დავით გურამიშვილია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ქართულ ფოლ-
კლორში ქების ციკლის ლექსებსა და „ქება ქებათას“ შორის არსებული ერთი
უმნიშვნელოვანესი სხვაობა — არც ერთი მხატვრული სახე და პასაჟი არ არის
ნასესხები და ხალხურ ლექსებში არსებული ეროტიკული ხოტბა, საყვარელი
არსების ცალკეულ ნაკეთთა შექება მხოლოდ ტიპოლოგიურ მსგავსებაზე მსჯე-

ლობის საშუალებას იძლევა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, იხილოს ქების ციკლის ლექსები ქართულ ხალხურ პოეზიაში და შეადაროს „ქება ქებათას“.

„ქება ქებათას“ ქართულ პოეზიასთან მიმართებაში განხილვა და კვლევა ამოუწურავი საკითხია, ვინაიდან დროთა განმავლობაში ჩნდება ახალი თარგმანები, იქმნება ახალი ნაწარმოებები, ახალი და ახალი დატვირთვა ეძლევა მის უმდიდრეს სიმბოლიკას. ბიბლიის ამ წიგნის უშუალო გავლენით არაერთი მწერალი შთაგონებულა და კიდევ არაერთი მკითხველი გადაფურცლავს მას გაცემული თვალთ; თან ყოველი წაკითხვისას სულ ახალ და ახალ ღირსებებს აღმოაჩენს. კვლევის მოცემულ ეტაპზე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქართული პოეზია კიდევ ერთი ნაბიჯით წასწია წინ და ახალი სახეებით, ახალი სიმბოლიკით გაამდიდრა „ქება ქებათასთან“ ურთიერთობამ. ქართულმა მწერლობამ შემოქმედებითად აითვისა რა ეს ნაწარმოები, წარმატებით გამოიყენა როგორც მისი ერთიანი, მარადიული სიყვარულით აღსავსე სული, ასევე — ცალკეული ელემენტები. რაც შეეხება ქართულ ხალხურ პოეზიას, ჯერჯერობით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ, მიუხედავად ზოგიერთი საერთო პასუხისა, „ქება ქებათასთან“ მხოლოდ ტიპოლოგიური მსგავსება შეინიშნება.

Д. А. БЕДИАНИДЗЕ

КНИГА «ПЕСНЬ ПЕСНЕЙ» И ГРУЗИНСКАЯ ПОЭЗИЯ

Резюме

Ветхий завет и его книги — один из исконных источников грузинской поэзии. В статье изучен вопрос влияния книги «Песнь песней» на грузинскую поэзию, а также рассмотрены переводы этой книги, существующие на грузинском языке. Помимо этого, поставлен вопрос о сравнительном изучении грузинской народной поэзии и книги «Песнь песней».

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

გ ი ვ ი მ ი ძ ა მ ი

გ ი ო რ გ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი

მ ო გ ო ნ დ ე თ მ ა რ ა დ მ ტ ი რ ა ლ ...
 გ . ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი

XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის ქართველ. პოეტთა შორის მეტად თავისებური ბედისა აღმოჩნდა გიორგი ბაგრატიონი. პირად ცხოვრებაში მრავალტანჯულს არც თავისი შემოქმედებით გაუხარია, რადგან მას სიცოცხლეშივე უხდებოდა თავისი ნაწერების მალულად გავრცელება, ხოლო გარდაცვალების შემდეგ კი მის ლექსებს სხვადასხვა პირს აკუთვნებდნენ, მათ შორის ბესიკსაც. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უკვე აღმოჩენილია პოეტის უძნობი ლექსები, დღემდე ვერ მოხერხდა მათი ერთად თავმოყრა და კრებულის სახით გამომზეურება.

გიორგი ბაგრატიონი იყო იმერეთის მეფის — სოლომონ I-ის შვილის — ალექსანდრეს (1760—1780) უკანონო ძე. ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა ევგენი აბაშიძის ასული, რომელიც სოლომონ მეფეს არ მოსწონდა აბაშიძეებთან მტრობის გამო. მამის ჩარევის შედეგად ალექსანდრე გაცილდა პირველ ცოლს¹ და შეირთო იმერეთის გავლენიანი თავადის — ბერი წულუკიძის ქალი დარეჯანი. კანონიერ მეუღლეებთან ალექსანდრეს შვილი არ ჰყავდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს ვინმე მარიამ ულენტანძე ფარული კავშირის შედეგად 1778 წელს შესძენია შვილი გიორგი². მარიამი შემდეგში ჩუმად მითხრვდა ალექსანდრეს, მაგრამ გამომკვლავებისთანავე სოლომონ მეფემ იძულებით დააცილა ისინი, რის გამოც დასევდიანებული ქალი მალე გარდაიცვალა.

1780 წელს გარდაიცვალა გიორგის მამა — ალექსანდრე. პატარა ბატონიშვილი, რომელსაც გოგისა ეძახდნენ, სოლომონ მეფემ თავის მესამე ცოლს — გულქან დედოფალს გააზრდევინა³.

1784 წ. გარდაიცვალა სოლომონ მეფეც⁴. ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო გიორგი, რომელიც ამ დროს მცირეწლოვანი იყო. თვითონ გიორგის თქმით, სოლომონმა „აღმაზევა მე მამის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილ-

¹ ქუთაისის სახელმწ. ისტორიულ-ლენინოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1964, გვ. 26.

² ლ. ქუთათელაძე, ბესიკის ზოგიერთი „სადავო“ ლექსის ავტორისათვის, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 113.

³ სამეცნიერო ლიტერატურაში (მ. ბროსე, თ. ყორძანია, ტ. რუხაძე, შ. ბურჯანაძე, ს. ყუბანეიშვილი, ლ. მენაბდე და სხვ.) გიორგის დაბადების თარიღად სხვადასხვა წლებია მითითებული. გიორგი 1778 წ. უნდა იყოს დაბადებული, რადგან „თავადასავალიში“ იგი აღნიშნავს, რომ მამის გარდაცვალებისას ვიყავი წლანახევრისა (1780—1,5=1778), ხოლო პაპის გარდაცვალების დროს ექვსი წლისათ (1784—6=1778) (თ. ყორძანია, თავ-გადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილის-შვილის ბატონიშვილის გიორგისა, „მოამბე“, 1900, № 5, გვ. 43).

⁴ შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962, გვ. 251.

⁵ ქუთაისის სახელმწ. ისტორიულ-ლენინოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1964, გვ. 26.



ზეო⁶. მაგრამ, ვინაიდან ის უკანონო შვილი იყო, უფლება არ ჰქონდა გამეფებულიყო ტახტის მემკვიდრე⁷.

სოლომონის გარდაცვალებას მოჰყვა სამეფო კარზე დიდი არეულობა. ხმა აღიმადღეს სოლომონ I-ის პოლიტიკით განაწყენებულმა დიდებულებმა. ტახტისთვის იბრძოდა ორი ბანაკი: ერთნი მოითხოვდნენ სოლომონ პირველის ძმისწულის — 12 წლის⁸ დავით არჩილის ძის გამეფებას, ხოლო მეორენი — სოლომონის ბიძაშვილის — 29 წლის⁹ დავით გიორგის ძისას. სოლომონ I-ის ანდერძის თანახმად, სამეფო ტახტი დავით გიორგის ძემ ჩაიგდო ხელში. მაგრამ დავა სამეფო გვირგვინისთვის ამით არ დამთავრებულა. ორივე დავითი ნათესაურ კავშირში იყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესთან: დავით არჩილის ძის დედა — ელენე იყო ერეკლე II-ის ასული, ხოლო დავით გიორგის ძე იყო ერეკლეს დისშვილი. ამიტომ ასეთ დამაბულ ვითარებაში ერეკლე მეფე გულგრილი ვერ იქნებოდა. იმერეთის დიდებულებსა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს იგი შვილიშვილის სასარგებლოდ განაწყობდა, თუმცა პირველ ხანებში ტახტისთვის გამართულ ბრძოლაში აშკარად არ ებმებოდა. 1784 წლის 4 მაისს ერეკლე მეფე პ. ბურნაშევს ატყობინებდა, რომ იმერეთის სამეფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე ჩემი შვილიშვილია, „მაგრამ რადგან პატარა არს და არ შეუძლიან ქვეყნის გაგება, დავით გიორგის შვილს მეფობა მიუღია და რადგან უმაღლესის ყოვლის რუსეთის კარის ერთგულობით არ მინდა სხვის მხრისაკენ თარაფობა მოხდეს რაიმე იმათგან, ამისათვის მეც თანახმა ვარ იმისის შეფობისა, მანამ ჩემი შვილიშვილი დავით გაიზრდებოდეს და დროზედ მოვიდოდეს და მაშინ როგორც უმაღლესი ყოვლის რუსეთის კარი ინებებს, ჩვენ ყოვლითურთ იმის უმაღლეს ნებას დავემორჩილებითო“.

დავით არჩილის ძე ამ დროს თავისი პაპის — ერეკლე II-ის სასახლეში იზრდებოდა. 1789 წელს კი, ერეკლეს უშუალო მხარდაჭერითა და დახმარებით, წერეთელთა და სხვა დიდებულთა მონაწილეობით დავით გიორგის ძე ტახტიდან ჩამოაგდეს და დავით არჩილის ძე გაამეფეს სოლომონ II-ის სახელით¹⁰.

ტახტდაკარგული დავით გიორგის ძე არ შეუზრგდა თავის ბედს. მან რამდენჯერმე სცადა სოლომონ II-ის წინააღმდეგ ვალაშქრება, მაგრამ ამაოდ. 1790 წელს კი, ერთ-ერთი მორიგი შებრძოლებისას, ერეკლეს და მისი შვილიშვილის — იოანე ბაგრატიონის დახმარებით სოლომონ მეფემ ლომსიათ-ხევში სასტიკად დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე. დავით გიორგის ძემ თავი შეაფარა ახალციხეს, სადაც გარდაიცვალა 1795 წელს¹¹.

დავითზე გამარჯვების შემდეგ სოლომონ მეფემ საბოლოოდ გაიმავრა პოზიციები. მან განაგრძო თავისი პაპის — სოლომონ I-ის დაწყებული საქმე დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა. ამით სოლომონ II დაუპირისპირდა თავადებს, რასაც მოჰყვა ვავლენიან წრეებში სოლომონის საწინააღმდეგო დაჯგუფება და, ბოლოს — პოლიტიკური შეთქმულება.

1795 წელს, როდესაც აღა-მამამდხანმა თბილისზე გამოილაშქრა, სოლომონ II დაესმარა ერეკლეს. როგორც ჩანს, ამით ისარგებლა მოწინააღმდეგეთა

⁶ Акты, т. III, 1869, გვ. 126.

⁷ იქვე, გვ. 134.

⁸ П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. III, СПб., 1869, გვ. 136.

⁹ იქვე.

¹⁰ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 19; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1964, გვ. 26.

¹¹ შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.



ზანაკმა და 1796 წ. იმერეთში მოხდა „აღრეულობა“. იმერეთის დიდებულებმა გრიგოლ დადიანის მეთაურობით, „რომელიც იყო მას ჟამსა განძებულ დედამთავრის ნობისაგან“, მოინდომეს სოლომონ II-ის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგივრად გიორგი ბატონიშვილის გამეფება.

თვითონ გიორგის თქმით, იგი ერთგული იყო სოლომონ II-ისა და სამეფო ტახტზე პრეტენზია არ ჰქონდა. ამიტომ სოლომონ მეფემ „ნუგეში ჰსცა ოზლობასა ჩემსა, შემიტკებო, ვითარცა ძმაჲ, და შემიყვარა, ვითარცა ძეჲ ესრეთ, რომელ [არა] შესაძლებელ არს თქვამადო“. შემდეგ მათ შორის ურთიერთობა გამწვავებულა. მეფის გადაცილების მიზეზად გიორგი ასახელებს სამეფო კარზე მოწყობილ ინტრიგებს, რაც სიმართლეს მეფესა შეეფერებოდეს. სამეფო კართან დაახლოებულმა მისმა მტრებმა „მისცეს მეფესა სიყვარულისა წილ და მოწყალებისა იჴვი ჩემზედა გარემზომობისა, ვინაითჲან აჴეთ მრავალთა კაცთა ესევეითარი ღვარძლი თესვად, რათა განჰხეთქონ საზომათა სრულებათ მოწყალებისა“. შუღლის ჩამომგდებთა შორის გიორგი ასახელებს როსტომ ნიჟარაძეს¹². როგორც ჩანს, მეფის გარშემო შემოკრებილმა დიდებულებმა მეფეს ჩააგონეს სოლომონ I-ის პირდაპირი მემკვიდრის — უკანონო შვილიშვილის გიორგის მოცილება. „მეფემან სოლომან შეიპყრა გიორგი აღექსანდრეს ძე და პატიმარ ჰყო ციხესა შინა მუხურისასა“¹³

თუ ჩაეუკვრიდებით იმერეთის სამეფოს იმდროინდელ რთულ და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ გიორგის გამეფების მოთხოვნა მხოლოდ საბაზი იყო შეთქმულთათვის, სინამდვილეში კი მათ სულ სხვა ინტერესები ამოქმედებდა — თავიდან მოეცილებინათ თავადების ძლიერი მოქიშპე — სოლომონ მეფე. ამიტომ საფიქრებელია, გიორგი ბაგრატიონი არ იყო ჩაბმული სოლომონ II-ის საწინააღმდეგო დაჯგუფებაში. სამეფო ტახტზე გიორგის კანდიდატურა მასთან შეთანხმების გარეშე უნდა წამოეყენებინათ. ამით არის გამოწვეული გიორგის გულისწყრომა: „ამ მღელვარების დამთავრების შემდეგ კი ახლანდელმა მეფემ სოლომონმა ყოველგვარი მიზეზის გარეშე დამატყვევა“¹⁴.

მუხურის ციხეში¹⁵ გიორგი დაატყვევეს 1797 წ. 11 იანვრის შემდეგ, რადგან ამ დროს იგი ჯერ კიდევ თავისუფალია და ხელს აწერს გულქან დედოფლის შეწირულების წიგნს¹⁶. მისი დატყვევება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს ამავე წლის გასულისა, რადგან 1806 წ. შემოდგომაზე მას ცხრა წელიწადი შეუსრულდა ციხეში ყოფნისა¹⁷. ამ დროს იგი 17 წლისა ყოფილა: „ეიყავ ჟამსა მას წლისა ათშვიდმეტისაო“ („თავგადასავალი“).

პატიმრობაში მყოფი გიორგი ემდურის თავის ბედს და არაერთგზის ფიქრობს თავის მოკვლას, მაგრამ ბოლოს გადაწყვეტს საპატიმროდან გაპარვას. ის ახერხებს რკინის ნაჭრის შოვნას, ამზადებს ბორკილების გასაღებ საშუალებ-

¹² Акты, III, გვ. 126.

¹³ ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 67.

¹⁴ Акты, III, გვ. 126. ხაზგასმა ჩვენია.

¹⁵ მუხურის ციხე მდებარეობს ჩხარის რაიონის სოფ. მუხურაში, სკანდის ჩრდილოეთით. იხ. В. Цветков, Селение Мухури, «Кавказ», 1851, №№ 40, 41. უფრო ადრე, 1795 წ. სოლომონ II-მ მუხურის ციხეში დაატყვევა კონსტანტინე ბატონიშვილი (შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794—1810 წწ.), „მაინე“, 1967, № 3, გვ. 26.

¹⁶ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, თბ., 1921, გვ. 112; ლ. ქუთათელაძე, დასახ. წერილი, გვ. 114—115.

¹⁷ „თავგადასავალი“; Акты, III, გვ. 125.



ბას. და მართლაც, ერთ ბნელ ღამეს, როცა მცველები ღრმა ძილში იყვნენ, მენჭენულში შეიხსნა ბორკილები და ციხიდან გაიქცა. საპატიმროდან გაქცევის მესამე დღეს გიორგი მივიდა სოლომონ მეფესთან, „ვითარცა კაცი არარაისა ბრალისა მქონებელი“. გიორგი ფიქრობდა, რომ როგორც უდანაშაულოს, სოლომონი მას შეიწყალებდა და მის მტრებს კი სათანადოდ დასჯიდა.

გიორგი საპატიმროში მჯდარა ორი წელიწადი, როგორც ეს აღნიშნულია „თავგადასავალში“: „მე ესრეთსა საყოფელსა შინა კრვულსა და მდებარესა წელსა ორსა, წარმომიდგებოდის ყოვლითურთ მწუხარებით შემოსილი იდეანო“. ესე იგი, გიორგის პირველი პატიმრობა 1797—1798 წლებში მომხდარა.

ოპოზიციის მიყოფ დიდებულებს, როდესაც შეუტყვიათ გიორგის დაბრუნება სამეფო კარზე, სოლომონ მეფე დაურწმუნებიათ, რომ გიორგი „უკეთუ ჰყო თავისუფალ, იქმნების მსასობებელ თავისა თვისისა და მკლავთა და არა მეფობისა შენისაო“. ამის შემდეგ სოლომონმა ველარ გაბედა გიორგის თავისუფლად გაშვება და ხელახლა დააპატიმრა. პოეტის გადმოცემით, მეფეს, თურმე, არ სწაიდა გიორგის მეორედ დაპატიმრება, „ვინაითგან [მას] ამხილებდა სენიღისი მართალი და მეფობა ლმობილიო“. უფლებაყაროდ გიორგის ისევ დაადეს ფეხებზე ბორკილები, მაგრამ ახლა უკვე ბოქლომში ტყვია ჩაუსხამთ, „რათა პირველისამებრ არა განვახვნე მოქლონი იგი ბორკილთაო“. გიორგის მეორედ დაპატიმრება ციხიდან გაქცევის უმაღვე უნდა მომხდარიყო, ე. ი. 1798 წელს.

პატიმრობაში მყოფი გიორგი შემდეგი გულსტყვილით გადმოგვცემს თავის ამბავს: „არ ძალ-მიძს წარმოთქმად მაშინდელისა ჩემისა მწუხარებისა, თუ ვითარ შემაძრწუნებდენ მყოვარ-ჟამ მოთმენილი კენესანი გულთა და ძრწოლანი სულთა, ვინაითგან აღეზავებოდნენ სასმელსა¹⁸ ჩემსა ცრემლნი ჩემნი და პურსა — ნაღველნი“.

მუხურის ციხეში ბორკილებგაყარული გიორგი ყოველნაირად ცდილობს განთავისუფლებას. ვისთვის უნდა მიემართა პოეტს, ვისთვის უნდა ეთხოვნა დახმარება? იმერეთში მას ჰყავდა თანამზრძნობთა გარკვეული ნაწილი, მაგრამ მათ შესაძლებლობას აღემატებოდა გიორგის ციხიდან დახსნა. არც ქართლ-კახეთის სამეფო კარის იმედი ჰქონდა, ვინაიდან, ჯერ ერთი, გიორგი XII-ის კარზე ამ დროს არეულობა სუფევდა და პოეტი-პატიმრისთვის არავის ეცალა, თანაც ერეკლე მეფის მხარდაჭერით გამეფებულ სოლომონ II-ს ერეკლეს მემკვიდრენი არ აწყენინებდნენ, რჩებოდა მხოლოდ ერთი საიმედო გზა — ეს იყო რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევა.

მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX ს. ათიან წლებში ითვალისწინებდა დასავლეთ საქართველოში უფლებების მოპოვებას, სოლომონ II-სთან იმერეთის რუსეთთან შეერთების ხელშეკრულების დადების შემდეგ სოლომონსა და რუსეთის სარდლობას შორის ურთიერთობა გამწვავდა. რუსეთის სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა სოლომონ მეფის შევიწროებას და მისი უფლებების შეზღუდვას. გენერალმა რიკჰოფმა ერთი ბატალიონი ქუთაისში შეიყვანა. ამავე დროს მისი აჯენტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, იმერეთის ფეოდალებს შორის მომხრეები შეეძინათ. აი, ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში გიორგი მიმოწერას ამყარებს საქართველოში მყოფ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომლებსაც უხსნის საქმის ვითარებას და ემუდარება შველას. ასე მაგალითად, გენერალ-მაიორ გ. გუდოვიჩისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში გიორგი მიმართავს: „აქრემლებული გთხოვთ, თანდაყოლილი კეთილმოწყალებით იმოქმედოთ და დამიხსნათ ამ უსამართლო მტრისაგან“¹⁹.

¹⁸ დაბეჭდილია: ელეზავეობდნენ სასმელსა.

¹⁹ Акты, III, გვ. 126.



რუსეთის მთავრობის ხელისუფლების წარმომადგენლები დიპლომატიურად იქცეოდნენ. მათ სურდათ, საქმე ისე წარემართათ, რომ გიორგი მოემადღაურებინათ და არც სოლომონ II დარჩენილიყო განაწყენებული. ამიტომ ისინი სოლომონ მეფეს თხოვნით მიმართავდნენ, რათა პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ გიორგი, რომელსაც მუდმივ საცხოვრებლად რუსეთში გაგზავნიდნენ²⁰ და ამით მომავალ რაიმე უსიამოვნებას საშუალოდ თავიდან ააცილებდნენ²¹.

მართალია, გიორგის გასათავისუფლებლად რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად მოქმედებდნენ, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. როგორც ჩანს, გიორგი ამის შესახებ ინფორმირებული იყო, რის გამოც ის სხვა გზებსაც ეძებდა საპატიმროდან გამოსასვლელად. გიორგის საგანგებოდ შეუსწავლია მუხურის ციხე და მისი ადგილმდებარეობა. მუხურის ციხე, მისი თქმით, „არს სამზღვართა იმერეთისა და რაქისათა, მთისა მალისა ძირსა, კლდე მარტივად აღსლული ბუნებით, და ზედა შენობანი მწირნი, ხოლო სიმაღლე ციხისა მის მხარნი ორმოციანი“ და ა. შ. მას შეუმჩნეველი არ დარჩა „სარკმელი ერთი მცირე კლდეზედ დგმული“, რომლის სიმაღლე ციხის ძირამდის ცხრა მხარი იქნებოდა. მან მოიფიქრა, რომ ამ სარკმლიდან თოკის საშუალებით ჩასულიყო ქვემოთ. ამის შესახებ აღსარებისას მან გაანდო მღვდელს, რომელიც სათანადოდ დაეხმარა.

გიორგის ციხიდან გაპარვას უფრო დაწვრილებით აგვიწერს ბაგრატ ბაგრატიონი. მისი გადმოცემით, გიორგის განთავისუფლებაზე საგანგებო ზრუნვა რუსებს დაუვალეობით ეფთვიემ გენათელისთვის, რომელსაც გიორგისთვის მიუჩინია თავისი მსახური ანდრია ბუცბრიკიძე. სწორედ ამ უკანასკნელმა გიორგის მიუტანა თოკი, რომლითაც გიორგი ფანჯრიდან გადაიპარა და ვაქცევით უშველა თავს²².

გიორგის ბორკილები გაუხსნია, როგორც ამბობს, საქრეთლით. ალბათ, ეს საქრეთელიც იმავე მღვდელმსახურმა შეუტანა საკანში. გიორგი მეორეჯერ გაიპარა 1806 წლის 16 ოქტომბერს. გამოპარული გიორგი ქუთაისში ჩავიდა და გამოცხადდა იქ მყოფ რუსეთის მხედრობის უფროს ვენერალ-მაიორ რიკპოფთან²³, რომელმაც ის სათანადო მხლებლებით თბილისში გადმოაგზავნა. აქედან კი გუდოვიჩმა გიორგი 1807 წ. იანვარში პეტერბურგში გაამგზავრა. გუდოვიჩი სოლომონ მეფეს ამის თაობაზე აცუბინებდა: „თქვენ იყავით სრულიად მშვიდად, გიორგი თავისი თხოვნით გაგზავნილია რუსეთში საშუალოდ სამყოფლად“²⁴.

ტყვეობაში ნაწამებ გიორგის შორეულ რუსეთში გამგზავრებაც კი ბედნიერებდა ესახებოდა. „თავგადასავალში“ იგი ამბობს: „ვიქმენ მეცა ახალშობილიო“. მაგრამ ახალი ცხოვრება მას აღარ დასცალდა. ერთ თავის ლექსში პოეტი წინათგრძნობით აღნიშნავდა: „ზამთრად მექცა მე ზაფხული, ღრუბლით გრვინვა მომქუხდებისო“. მართლაც, პოეტი ვერ მოესწრო გამოდარებას —

²⁰ იქვე, II, გვ. 437.

²¹ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ცნობილი იყო იმერეთის დიდებულითა ნაწილის ცდა სოლომონ II-ის ტახტიდან ჩამოგდებისა და რუსეთის ორიენტაციის მქონე გიორგი ალექსანდრეს მის გამეფებისა. ამ მხრივ საინტერესოა თუნდაც ნიკო დადიანის წირილი გუდოვიჩისადმი, რომელშიც ნათქვამია: „უბრძანეთ აგრეთვე აქ მყოფ თქვენი ჯარის უფროსს ვენერალ რიკპოფს, რომ იგი მას (გიორგის. — გ. მ.) გაუფრთხილდეს და დაეხმაროს, ჩვენ კი შევეცდებით შევავლიანოთ (წავაქვზოთ) იმერეთის თავადები და კეთილშობილები და მათი საშუალებით გაეტეხოთ იმერეთის მეფის ძალა“ (АКТЫ, III, გვ. 125).

²² ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ რ ი ო შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 99.

²³ „თავგადასავალი“, გვ. 51; АКТЫ, III, გვ. 125.

²⁴ АКТЫ, III, გვ. 134. სხვა ცნობით, გიორგი რუსეთს გაემგზავრა 1807 წ. 23 აპრილს (ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ რ ი ო შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 67 და 99).



მისთვის ბედნიერი გაზაფხული არ დამდგარა და თავისი გატანჯული ცხოვრებ-
რუსეთში დაასრულა. პეტერბურგში გიორგი ავად გახდა ყველით და გვი-
ცვალა 1807 წლის 20 ნოემბერს²⁵. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის მონას-
ტრის სასაფლაოზე. იოანე ბაგრატიონის ინიციატივით მალე მის საფლავზე
დაუდგამთ ძეგლი, რომელიც არ შენახულა²⁶. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს
გიორგი საძავლიშვილს (კირიონ ეპისკოპოსს) გადმოუღვია საფლავის ეპიტაფიის
პირი²⁷.

ასე უღიმღამოდ და ტრაგიკულად დამთავრდა გ. ბაგრატიონის სიცოცხლე.
ამაზე უთქვამს პოეტს: „განველ მე სოფლით მტირალიო...“.

გიორგი ბაგრატიონი 1795 წლამდე დაქორწინდა²⁸ ეფთვიმე გენათელის
ძმისწულზე, გურიის ერისთავის როსტომის ასულ დარეჯანზე²⁹, რომელთანაც
შეეძინა ორი შვილი — ალექსანდრე და დიმიტრი³⁰. გიორგის შვილები ეფთვი-
მემ გელათის მონასტრის ხარჯზე აღზარდა³¹.

გიორგის პეტერბურგში გამგზავრების შემდეგ მისი ცოლი შვილებიანად
გელათში დარჩა თავის ბიძასთან³². ბოლოს რუსეთის სარდლობამ ისინი ქარ-
თლში გადმოიყვანა. ცოლს პენსია დაუნიშნა, ხოლო შვილები თბილისის კე-
თილშობილთა სასწავლებელში მოათავსა³³.

1810 წლის 29 დეკემბერს გიორგის ცოლ-შვილი სოლომონ II-ის მეულ-
ლესთან, იმერეთის დედოფალ მარიამთან ერთად ევრონეჟში გადაასახლეს³⁴.
1811 წ. ისინი ჩავიდნენ პეტერბურგში. დარეჯანს დაუნიშნეს პენსია, ვაყები
სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს პაეთა კორპუსში³⁵. ალექსანდრე შემდეგში გახდა
გენერალ-ლეიტენანტი, ხოლო დიმიტრი — გენერალ-მაიორი (გარდ. 1845 წ.)³⁶.
დარეჯანი ვარდაიცივალა 1816 წ. 16 იანვარს³⁷. დაკრძალულია ქმრის გვერდით.

გიორგი ბაგრატიონის ცხოვრება-მოღვაწეობის უცნობ ფურცლებს რამდე-
ნადმე ავსებს ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერის მინაწერებში
მოსხენიებული ცნობები. აღნიშნული მინაწერები უშუალო და უტყუარ ამბებს
გვაცნობს და ძვირფას ახალ მასალებს გვაწვდის მწერლის ცხოვრებისა და
მისი მხატვრული შემოქმედების ურთიერთკავშირის გასათვალისწინებლად.

მინაწერების ავტორებზე ხელნაწერში პირდაპირი ცნობები არ არის, მაგ-
რამ მათმა ზედმიწევნითმა შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა აღნიშნული მინა-
წერების დამწერთა გამოვლენისა.

²⁵ იქვე, III, გვ. 128—129, 134, 705; IV, გვ. 249 და 336; ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი,
ახალი მოთხრობა, გვ. 100.

²⁶ ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 115.

²⁷ H 1461, ფ. 35.

²⁸ როგორც „თევგადასავლიდან“ ჩანს, როდესაც გიორგი დააპატიმრეს (1797 წ.), ის იყო
17 წლის და ჰყავდა ცოლი და ორი შვილი.

²⁹ Акты, III, გვ. 176; ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 115.

³⁰ Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. III,
СПб., 1886, გვ. 464, 470; Акты, III, გვ. 127.

³¹ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, 1921,
გვ. 166—167.

³² Акты, III, გვ. 167—168.

³³ იქვე, IV, გვ. 236.

³⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექ-
ცია), ტ. V, 1955, გვ. 111.

³⁵ ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 115.

³⁶ თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

³⁷ იქვე.



აღსანიშნავია ისიც, რომ ხელნაწერში გვხვდება ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობით (კრიპტოგრაფიულად) შესრულებული ჩანაწერები. ზოგი-ერთი კრიპტოგრამა შეეხება გიორგი ბაგრატიონს, ზოგი კი შესრულებულია თვითონ გიორგის მიერ. მათი გაშიფრვით სხვა ხელნაწერებშიც მოხერხდა ამოკითხვა გიორგის დანარჩენი კრიპტოგრამებისა, რომლებიც თავის მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან.

ვეფხისტყაოსნის მწეხათუნისეული ხელნაწერის მინაწერები საგანგებოდ ვვაქვს შესწავლილი³⁸, ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გვაეგრძელებთ. მოვიყვანთ მხოლოდ ძირითად ცნობებს, რომლებიც შეეხება გიორგი ბაგრატიონს.

მინაწერებში მოხსენებულია გოგია ან გოგია ბატონიშვილი. ეს არის გიორგი ბაგრატიონის შინაურული სახელი. გოგია ბატონიშვილი იზრდებოდა იმერეთის დიდებულთა შორის და მათთან ურთიერთკავშირი არ შეუწყვეტია მუხურის ციხეში ტყვეობის პერიოდშიც კი. სწორედ ამათ, გოგიასთან ახლოს მდგომ პირებს, უნდა ვუმაღლოდეთ, რომ მათი ჩანაწერების საშუალებით შესაძლებლობა ვეძლევა, გავერკვეთ გიორგი ბაგრატიონის ინტიმურ გრძნობებსა და იმდროინდელი იმერეთის სამეფო კართან არსებული ინტრიგების ზოგიერთ დეტალში.

უაღრესად საინტერესოა, რომ სამეფო კარის წარმომადგენლები თვითონვე აღნიშნავენ გიორგის უდანაშაულოდ დატყვევებას. უცნობ პირთა საიდუმლო (კრიპტოგრაფიულ) ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ბეჩა, რა ბრალია, გოგიას ციხეში ყოფნა“, „ვთი, საწყალო გოგია, შენი ბრალი! რა ტყუილა-უბრალოთ გაცოდვილებენ...“. „ვთი შენ, საწყალო გოგია, რა ტყუილა შეგამთხვიე[ეს] განსაცდელი“.

ვინაიდან დარწმუნებულები იყვნენ გიორგი ბაგრატიონის უდანაშაულობაში, გოგიასთან დაახლოებული პირები ერთთავად ზრუნავდნენ მისი პატიმრობიდან დახსნისათვის. ზურაბ წერეთლის ასული ეკატერინე, რომელიც გიორგის გულშემატკივარია, თავის ძმებს გრიგოლ და სიმონ წერეთლებს არაერთგზის სთხოვს დატყვევებული გოგიას პატიებას. სწორედ ძმებისადმი სთხოვარია გადმოცემული ეკატერინეს მინაწერში: „[მ]უდამ თქვენი [მ]თხოველი თქვენი და ეკატერინე, ძმებო ბატონო [ა]ხლა რაერთიც მე და თქვენს სიკეთელობას გ[ოგიას]...“ შემდეგ ნაწერი საგანგებოდაა გადაშლილ-გადახაზული, აღარ იკითხება.

როგორც ვიცით, გიორგი ბაგრატიონი 9 წელიწადი იმყოფებოდა ტყვეობაში. ნათესავ-მეგობრებს ჩამოშორებული, მუხურის ციხის ოთხ კედელს შორის გამომწყვდეული, მარტოობის გრძნობით იტანჯებოდა. მიუხედავად მკაცრი ზედამხედველობისა, გიორგისთან დაახლოებული, სამეფო კართან ახლო მდგომი პირები მაინც ახერხებდნენ ციხეში წერილების შეგზავნას და გიორგისთვის ინფორმაციების მიწოდებას. ასევე გიორგიც ციხიდან ახერხებდა ახლობლებისთვის შეეტყობინებინა თავისი მდგომარეობა, ფიქრები და განცდები.

გიორგი ბაგრატიონს რომ მიმოწერა ჰქონდა ციხიდან, ამას ვგებულობთ ვეფხისტყაოსნის მწეხათუნისეული ხელნაწერის მინაწერიდან. ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც სალომე წერეთელს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „ქ. დო, ბატონო წერეთლის ასულო ეკატერინე, გოგია მ მ ხ ე ხ ა თ უ ნ ს³⁹ რომ ეს წ ი გ ნ ი (წერილი. — გ. მ.) მ ო წ ე რ ა და აღარ მამეცი“. როგორც ვხედავთ,

³⁸ გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის მწეხათუნისეული ხელნაწერისათვის, კრებულში: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, თბ., 1974, გვ. 114—147.

³⁹ ხელნაწერში გოგიასა და მწეხათუნის სახელები საგანგებოდ არის წაშლილი, ძალზე ძნელად იკითხება ზოგიერთი ასის მოხაზულობა.

გიორგი ეკატერინეს მეშვეობით ციხიდან წერილებს უგზავნიდა მზეხათუნ ბატონიშვილს.

მოყვანილი მინაწერი საინტერესოა სხვა მხრივაც. ვინ არის სალომე წერეთელი და რატომ საყვედურობს იგი ეკატერინე წერეთელს, რომელმაც მას არ აჩვენა გიორგის მიერ მზეხათუნისადმი გაგზავნილი წერილი? სალომე არის ეკატერინეს და, ზურაბ წერეთლის ასული, იგი გათხოვილი იყო პაატა აბაშიძეზე. სალომე წერეთელი მზეხათუნის მულია და, როგორც ჩანს, იგი თვალყურს ადევნებდა გიორგის მიერ მზეხათუნისადმი გაგზავნილ წერილებს. მისი ასეთი დაინტერესება გამოწვეული იყო გიორგის მიმართ პირადი სიმპათიებითა და ინტიმური გრძნობებით, რაც კარგად იცოდა მისმა დამ ეკატერინემაც.

გარკვეულ პერიოდში გიორგიც თანაუგრძნობდა სალომეს. სალომე წერეთლის კუთვნილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერზე (S 2829) მრავლად გვხვდება საიდუმლო ანბანით შესრულებული მინაწერები⁴⁰. მათში გადმოცემულია სალომესადმი დიდი სიმპათიები და ტრფიალების გრძნობა. ეს მინაწერები ზოგჯერ შესრულებულია ლექსადაც. როგორც ირკვევა, ყველა აღნიშნული სახის მინაწერი გიორგი ბაგრატიონს უნდა ეკუთვნოდეს. აი ეს მინაწერები:

1. ნეტაი შენ (პაატა აბაშიძე. — გ. მ.) სალომე რომ გყავს, მე არ მყავს, ბეჩა, ვაი ჩემი ბრ[ა]ლი.
2. ამ წიგნის (ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის. — გ. მ.) ბატრონი, დიად, საუცხოოვ ქალია... [ჩემმა მ]ზემ, იცოდეთ. (სალომე პასუხობს: „მე, დიად, კარგი ვარ, შენმა მზემ“).
3. დაო, ბატონო სალომე, ტანზე გაშვენებს ტოფ[ია].
გონებით განუშორებლათ მუდამ ვარ შე[ენ]თან მყოფ[ია].
4. ჩემო გულო და სულო,
ბატონო წერეთლის ასულო.
5. მოგიწერ, დაო, სასურო,
ჩემის გონების კმა სულო.

გიორგისა და სალომეს ასეთი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა და გიორგის გრძნობები სალომეს მიმართ შენელებულა. ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეულ ხელნაწერზე სალომეს კრიპტოგრაფიულად ჩაუწერია: „ბეჩა, რა ბრალია გოგას ციხეში ყოფნა“. გიორგიმ კი ამას ქვემოდან მიუწერა: „ქ. სალომე, რას გადამიკიდე შე . . .“. შემდეგ ვილაცას გაუგრძელებია უწმაწური სიტყვა.

მოყვანილი მინაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ გიორგი ბაგრატიონსა და სალომეს შორის გარკვეული ინტიმური დამოკიდებულება სუფევდა. სალომე ხნოვანებით გიორგიზე უფროსი იყო. სწორედ ეს გარემოებაა ნაგულისხმევი უცნობი პირის ერთ-ერთ კრიპტოგრაფიულ მინაწერში: „სალომეს ხნის ერი- [დება]“.

მხედველობაში თუ მივიღებთ გ. ბაგრატიონისა და სალომეს ურთიერთობას, მაშინ ძნელი არ იქნება გავშიფროთ სახელი იმ უცნობი პირისა, რომელზეც მიაჩნებდა ეკატერინე თავის დას სალომეს ერთ-ერთ მინაწერში: „ქ. ჩემო სიცოცხლე და სულის თქმავ, დაო, ბატონო სალომე, შენი და ეკატერინა ღამაზს თვლებს გაყოცება... შენ რომ იცი, მისი [...]ტი მოგაღებე“.

სალომესა და გიორგის ურთიერთობასთან არის დაკავშირებული უცნობი პირის შემდეგი კრიპტოგრაფიული მინაწერიც: „არ გიკნვირსთ (!), სალომე მომიძულა მისი საკუთარი ძმა“.

ვინ არის ამ მინაწერის შემსრულებელი, ე. ი. სალომეს ძმა, და რატომ

⁴⁰ გ. მ. ქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრაფიები, შოთა რუსთაველი, საიუბ. კრებული, თბ., 1966, გვ. 356—359.



შეიძულა თუ შეიკავრა ის სალომემ? სალომეს ძმა არის სიმონ წერეთელი. მან ცოლად შეირთო მზეხათუნ ბატონიშვილი, რის გამოც ის სალომეს რძალი გახდა. თუ გავითვალისწინებთ მზეხათუნისა და გიორგი ბაგრატიონის დამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, სავსებით ბუნებრივია, რომ სალომესა და მის ძმას სიმონს შორის ურთიერთობა გამწვავებულიყო. მზეხათუნი ზომ მოცილე იყო გიორგისადმი სიყვარულში? გარდა ამისა სიმონი იყო ერთ-ერთი მოთავე იმ რეპრესიებისა, რომელსაც მიმართავდა იმპერეთის იმდროინდელი ხელისუფლება გიორგი ბაგრატიონის მიმართ.

ეკატერინესათვის კარგად იყო ცნობილი გოგისა და მზეხათუნის ინტიმური ამბები და მათი ხელისშემწყობიც იყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ეკატერინეს შემდეგი მონაწირობა: „ამისი (ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის. — გ. მ.) პატრონის, სე[იმონის] მეუღლის, ვანცდითა და ხილვით ისარა მისმა მორჩილმან და მდომ[მ]ა. ვგონებთ, ღმრთის მაღლი შესწევდესა და გასრულდეს გონებისა ჩვენისა საწადელი“.

მოყვანილი მონაწირის შინაარსი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის პატრონის — მზეხათუნ ბატონიშვილის, სემონ წერეთლის მეუღლის, ნახვით გაიხარა მისმა მდომმა — გიორგი ბაგრატიონმა.

გიორგი ბაგრატიონისა და მზეხათუნ ბატონიშვილის ურთიერთდამოკიდებულებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, პოეტის სატრფიალო ლირიკის მიმოხილვის დროს.

„ხუბმარდიანის“ წინასიტყვაობაში გიორგი ბაგრატიონი წერს: „...ამას (ხუბმარდიანის). — გ. მ.) გარდაცა მითქვამს ანბანთქებანი ათხუთმეტნი, იამბიკონი შეიღნი, და წყობილ ჩახრიხაულნი და ტაეპნი მრავალნი, და მუხამბაზიცა მრავალ, შესხამიცა ვისიმე კიდე, ხოლო ესე ქვემოთქმულნი აქა-იქ მდებარეობს წარმოუჩინებელად, და ერთიცა მოწამისა აღმიწერია აღსავალი თვითო ოხითა, იბაკო, წარდგომა, საგალობელი და სვინაქსარი გამოკრებით, რომელიც მე მესაჭიროება სამარადისოდო“.

როგორც ვხედავთ, გიორგი ჩამოთვლის თავის ნაწერებს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ეს თხზულებანი „აქა-იქ მდებარეობს წარმოუჩინებლად“, ე. ი. გამოუვლინებლად, გამოუჩინლად, ავტორის აღუნიშნავად. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აძნელებს მრავალრიცხოვან ხელნაწერებში გ. ბაგრატიონის ავტორწაუწერელი ლექსების დაძებნას. ამასთან, შეუძლებელიც არის შეუმცდარად დავადგინოთ ამა თუ იმ ხელნაწერ კრებულში უავტოროდ შეტანილი რომელი ლექსი ეკუთვნის გ. ბაგრატიონს თუ სხვა ვინმეს. ამან გამოიწვია, რომ გიორგის რამდენიმე ლექსი ბესიკის თხზულებათა კრებულის „სადავო“ განყოფილებაში მოხვდა.

ჯერ კიდევ ვასული საუკუნის 50-იან წლებში გ. ბაგრატიონის ლექსებით დაინტერესდა მწერალი ვ. ცვეტკოვი. იგი შეეცადა დაეძებნა პოეტის ლექსები, მაგრამ მათ ვერ მიაკვლია, რის გამოც წერდა: „რამდენი არ ვეცადე, მომეძებნა ეს ლექსები, ვერ ვიპოვნე. ამბობენ, ისინი ძალიან კარგად არიან შეთხზული; მაგრამ არ ვკარგავ იმედს, მოვიპოვო ისინი. ამ ლექსების ნაწყვეტები თბილისშიც კი მოვისმინე მოხუცთაგან...“⁴¹.

გ. ბაგრატიონის ლექსების გამოსავლენად დიდი მუშაობა ჩაატარა ტ. რუჩაძემ, მაგრამ მანაც ვერ შეძლო პოეტის უცნობი ლექსების მიკვლევა. მკვლევარი აღნიშნავდა: „ვერც ერთ დასახელებულ თხზულებათა კვალს ჩვენ ვერ

⁴¹ В. Цветков, Селение Мухури, «Кавказ», 1851, №№ 40, 41.



მივაგენით. ისინი ავტორისვე განცხადებით წარმოუჩინებლად, ე. ი. ავტორის სახელისა და გვარის დაუსახელებლად, ყოფილა დაწერილიო⁴².

ლ. ქუთათელაძემ გაარკვია, რომ ბესიკის ლექსთა კრებულის „სადავო“ განყოფილებაში შეტანილი ლექსებიდან ექვსი გიორგის ეკუთვნის. მკვლევარი წერს: „გ. ბაგრატიონის ლექსები კიდევაც საძიებელიო“⁴³.

1956—1960 წლებში მოგვიხდა ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ხელნაწერის დაწვრილებითი შესწავლა. მათ შორის იყო პოემის მშეხათუნისეული ნუსხაც⁴⁴. ვეფხისტყაოსნის მშეხათუნისეული ხელნაწერის (W 17) მინაწერებში აღმოჩნდა გ. ბაგრატიონის სხვა, მინამდევ უცნობი, ლექსები. აღნიშნული ლექსებიდან ზოგს აწერია ავტორის ვინაობა, ზოგს კი არა.

ავტორწარწერილი ლექსების მიხედვით ასკვნიდნენ, რომ „სამი სხვადასხვა სახის ანბანთქება გოგია ბატონიშვილისაა (1778—1807). ეს ლექსები მას ხელნაწერში ჩაუწერია იმერეთში ყოფნისას“⁴⁵, მაგრამ ხელისა და შინაარსის მიხედვით დადგინდა, რომ ავტორწაუწერელი ლექსებიც გიორგის კალამს ეკუთვნის. ერთი სიტყვით, მშეხათუნისეულ ხელნაწერზე მიწერილი ქართული ლექსების სახით ჩვენ საქმე გვაქვს გოგიას (გიორგი ბაგრატიონის) ავტორადთან. მინაწერებში გვხვდება როგორც ვრცელი ანბანთქებები, ისე მოკლე, თითოსტროფიანი ლექსები. გოგიასი სულ არის 15 ლექსი⁴⁶. ხელნაწერის დაზიანების გამო ზოგიერთი ლექსიც დაზიანებულია. ხელნაწერში ყოფილა გოგიას კიდევ ორი ლექსი, რომლისგანაც მხოლოდ ცალკეული სიტყვებელია შემორჩენილი⁴⁷.

გიორგი ბაგრატიონის ლექსები შემოუნახავს აგრეთვე „ყარამანიანის“ ხელნაწერს⁴⁸. ხელნაწერის თავისუფალ გვერდებზე გიორგის ხელით არის ჩაწერილი მისივე სამი უცნობი თითოსტროფიანი ლექსი.

მშეხათუნისეულ ხელნაწერში გვხვდება აღმოსავლურ ენებზე დაწერილი ლექსებიც, რომლებიც ქართული ასოებითაა ჩაწერილი გიორგი ბაგრატიონის მიერ. სულ არის 7 ლექსი. ზოგ მათგანს აღნიშვნა აქვს, თუ რომელ ენაზეა დაწერილი: „ეს არაბულია“, „ეს სპარსულია“, „თათრულია“, „ლექურია“.

ხელნაწერის 186-ე გვერდზე უცხო ენაზე მოცემულია ორსტროფიანი ლექსი, რომლის ზემოთაც გ. ბაგრატიონის ხელით მიწერილია: „მალნარულია“.

⁴² ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 34.

⁴³ ლ. ქუთათელაძე, ბესიკის ზოგიერთი „სადავო“ ლექსის ავტორისათვის, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 113—125.

⁴⁴ იხ. ჩვენი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიბტოგრამები, შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 351.

⁴⁵ სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 307; ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის უთარილო ხელნაწერების დათარიღების საკითხი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIX, 1966, გვ. 80; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, თბ., 1970, გვ. 79.

⁴⁶ გ. მიქაძე, გიორგი ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსანი“ [თეზისები], საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი, თბ., 1966, გვ. 4—5; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ მშეხათუნისეული ხელნაწერი [თეზისები], აკად. ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ქუთაისის საქალაქო საზოგადოების სამეცნიერო სესია, მიძღვნილი შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი, ქუთაისი, 1966, გვ. 11.

⁴⁷ W 17, ფ. V და 165რ.

⁴⁸ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საქარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ითანე ბატონიშვილის კოლექცია, № 53.

იყო არაბეთს: და სხვა ძე არ ესევა ვადათარგმნულ[ი]ა მ აღნარულათ“. ე. წ. **ქართული ენციკლოპედია**
 ლექსის ზედწარწერილობა გვამცნობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებული
 ორი სტროფი — „იყო არაბეთს როსტევან“ და „სხვა ძე არ ესევა მეფესა“
 თარგმნილია „მ აღნარულ“ (?) ენაზეო. ხელნაწერში მოყვანილ ლექსსა და მინა-
 წერს სპეციალისტთა სათანადო შესწავლა სჭირდება.

მზეხათუნისეულ ხელნაწერში ჩაწერილი ლექსებიდან ვგებულობთ, რომ
 გ. ბაგრატიონს სცოდნია აღმოსავლური ენები, რაც დასტურდება სხვა მონა-
 ცემებითაც.

„ყარამანიანის“ ზემოდასახელებული ხელნაწერის მე-5 გვერდზე მიწერი-
 ლია ხუთსტრიქონიანი კრიპტოგრამა. ამ კრიპტოგრამის გაშიფრვისა და სათა-
 ნადოდ გაწყობის შემდეგ მივიღებთ თურქულ ლექსს, რომელშიც ჩართულია
 ქართული სიტყვებიც:

დარდიმანი ტუთილარ,
 [...] გარ ქალა გეთილარ,
 ოსმანი სოფი ვარ
 ვი ბულურ-ნ.
 გიორგის მი[ე]რ ქმნილი.
 ინ ამინეს დრუსტეს
 ხუბეტ ინარა თუ დრასრი.

მოყვანილი ლექსის საბოლოო დადგენა და კომენტირება სპეციალისტების
 საქმეა. ჩვენ ამჟამად გვინტერესებს ქართული წინადადება: „გიორგის
 მიერ ქმნილი“. ამ წინადადების შინაარსის გასაგებად საჭიროა მივმარ-
 თოთ ანალგეიურ შემთხვევას. აღსანიშნავია, რომ გ. ბაგრატიონის პოემას სწო-
 რედ მსგავსი წარწერა აქვს: „სამთა მეფის ძეთა ისტორია, რომელ არს ხუბმარ-
 დიანი, გიორგის მიერ ქმნილი“⁴⁹. ამის შემდეგ უკვე საეჭვო აღარ
 არის, რომ „ყარამანიანის“ ხელნაწერზე კრიპტოგრაფიულად მიწერილი თურ-
 ქული ლექსი გიორგი ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის.

ჩანს, გიორგი გაწაფული ყოფილა სპარსულ-თურქულ ენებში. მისი პოემის
 „ხუბმარდიანის“ მთავარი გმირი — ხუბმარდი ჩანგზე დამღერის სპარსულსა და
 თურქულ თითოსტროფიან ლექსებს:

სპარსული

იქ რუზ ინჯა ბიშინებ ახ ხუბ მაპბუბი,
 ფილა მან ბილამ რუდან ბუს შუბი,
 სითარო დასტრათ დუტტარ ბულბული,
 და ბია იხტილად ბისიარ ხუბი⁵⁰.

თურქული

მან ჩახ დუმიშამ ქიმანამ,
 ეჩქი დუმასუნ ქიმანამ,
 არ ქიმქიმდ ეს უნ ქიმანამ,
 და ოლურჯი ნეჯა ქიმანამ⁵¹.

ერთი შეხედვით, ლექსები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ისინი
 რომელიღაც აღმოსავლური თხზულებიდან უნდა იყოს მოყვანილი. სინამდვი-
 ლეში კი დაწერილია არა სპარსისა და თურქის, არამედ ქართველის მიერ. მო-
 ყვანილი ლექსების მეოთხე ტაეპების დასაწყისში, როგორც ეს შენიშნული იყო

⁴⁹ H 2205, ფ. 3r.
⁵⁰ H 2205, ფ. 129r.
⁵¹ იქვე, ფ. 36r.



სპეციალურ ლიტერატურაში, გვხვდება „და“ კავშირი⁵². „და“ კავშირი ნიშანდობლივია ძველი ქართული ლექსებისათვის, ხოლო სპარსულ-თურქული ზიისთვის უცხოა. გარდა ამისა, სპარსულ ლექსში სარიტმო სიტყვად გამოყენებულია „ზულბული“ ქართული დაბოლოებით (პოეტს რითმა მაინც შეუწყობელი დარჩა!). ამიტომ აღნიშნული ლექსები დაწერილი უნდა იყოს ქართველის მიერ, რომელიც თვითონ გიორგი ბაგრატიონია.

„ხუბმარდიანის“ წინასიტყვაობაში პოეტი აცხადებდა: „...ნუ დამგმობთ და უგვანსა ამა ლექსსა ნუ სამასხრო ყოფთო...“. ხოლო მეორე ადგილას ამბობდა: „რუსთველი, ვიცი, დამიგმობს, რადგან უგვან ლექსს ვზმი მეო“. მოყვანილი სტრიქონები, რასაკვირველია, მხოლოდ პოეტის თავმდაბლობაზე მიუნიშნებს. გიორგი ბაგრატიონი უდავოდ ნიჭიერი ლირიკოსია, რომელიც ნათელი პოეტური საღებავებით გადმოგვეცემს ცხოვრებისაგან გატანჯული ადამიანის ტრაგიკულ ბედს და ნაზი და მგრძნობიარე ფერებით გვიხატავს ჭეშმარიტი სიყვარულის უძლეველობას.

გ. ბაგრატიონის შემოქმედებაში კარგად აირეკლა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნის საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობა და საზოგადოებრივი ცხოვრების რღვევა. როგორც ამ ეპოქის შვილი, პოეტი ჩაერთო ცხოვრების მკაცრ ორომტრიალში, რამაც დიდი ტანჯვა და სიმწარე მოუტანა მას. გ. ბაგრატიონის ლექსების ერთ ნაწილში ასახულია მისი პირადი ცხოვრების ეპიზოდები და განწყობილებები. ამაზე ზოგჯერ თვითონ პოეტიც მიუთითებს: „ეს ანბანთქება ჩე მ ზ ე დ გამოვთქვიო“.

მუხანათმა წუთისოფელმა არც პოეტი დაინდო. მლიქვნელმა, ავენა ადამიანებმა მას მეფის ორგულობა და ღალატი დასწამეს და სოლომონ მეფეს მუხორის ციხეში დაატყვევებინეს. თავის ლექსებში პოეტი ჰკიცხავს და ჰკმობს მამუჯლარა ადამიანებს და ღმერთს ფიცულობს, რომ იგი უდანაშაულოა მეფის წინაშე: „ტყუილი სთქვეს, ღმერთსა ვფიცავ, მეფესა ყავს მოწმად ძელი“ („ჰოი, რა ვიწყო“), ანდა: „მართლადა ვარ, ღმერთმან უწყის, თავო ჩემო, რად იწყენით?“ (იქვე).

ლირიკული ლექსების გარდა თავის უდანაშაულობაზე არაერთგზის მიუთითებს პოეტი „ხუბმარდიანშიც“. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა დევეების მიერ ხუბმარდის ციხეში ჩასმის ამბავი.

როგორც ოფიციალურ მიმოწერაში, ისე მხატვრულ თხზულებებშიც გიორგი ერთთავად თავს იმართლებს და უდანაშაულოდ თვლის თავის თავს, თუმცა ლირიკულ ლექსებში აქა-იქ მაინც გამოსჭვივის მინიშნება რაღაც ცოდვაზე. ლექსში „ჰოი, რა ვიწყო ტირილი“ პოეტი ამბობს: „ყველა ჩემი ცოდვისაგან დღე შემეჭმნა დია ბნელი“, „არვის ვაბრალებ საქმესა, გარნა თავისა ცოდვასა“, „მე ჩემისა ცოდვისაგან განსაცდელსა დია ვმზერა“.

ერთი შეხედვით, ავტორი თითქოს წინააღმდეგობაში უნდა ვარდებოდეს, მაგრამ თუ ღრმად ჩავეუკირდებით საქმის ვითარებას, დავრწმუნდებით, რომ პოეტს ნამდვილად მიუძღვის რაღაცა „ცოდვა“, რისთვისაც ღმერთისგან შენდობას მოითხოვს: „ვარ მოიმედე ღვთისაგან, მიქმს ცოდვის შენანდობასაო“. როგორც ახლა გარკვეულია, „გიორგის ლექსებში მოხსენებული „ცოდვა“... ეხება მზეხათუნის სიყვარულს, რომელიც გრძელდებოდა მისი ხანმოკლე სიცოცხლის მთელ მანძილზე“⁵³.

⁵² ტ. რუხაძე, დასახ. წიგნი, გვ. 54.
⁵³ ლ. ქუთათელაძე, დასახ. წერილი, გვ. 121.

იმერეთის სამეფო კართან შემოკრებილმა დიდებულებმა, სოლომონ II-ის ინტერესების დამცველებმა, ვფიქრობთ, ბოროტად გამოიყენეს გიორგი ბაგრატიონის წმინდა გრძნობებზე დამყარებული დამოკიდებულება მზეხათუნ ბატონიშვილთან და სოლომონ მეფე დაარწმუნეს, რომ გიორგისა და მზეხათუნის შეუღლებით, გიორგის, როგორც ალექსანდრეს ძეს, პრეტენზია ექნება სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად. ამ გარემოებამ კი განაპირობა სოლომონ II-ის გადაწყვეტილება მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით გიორგის დატყვევების შესახებ.

ლექსში „ჰოი, რა ვიწყო ტირილი“ გ. ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ ავმა კაცებმა ის მეფესთან დააბეზლეს. მეფემ იგი შეიპყრო ძილის დროს და ციხეში ჩასვა. „ძელო ცხოველო, დამისხენ საპყრობილისა ჰყრობასაო“, — დასძენს პოეტი. მეორე ლექსშიც („ავმა ბედმა გული დამწყლა“) სწორედ გიორგის შეპყრობაზე და ამით გამოწვეულ მწუხარებასა და განცდებზეა საუბარი.

გიორგი ბაგრატიონის ლექსების უმეტესობა დაწერილია მუხურის ციხეში ტყვეობისას, რაც ნათლად ჩანს პოეტის ერთ-ერთი ლექსის მიხედვითაც:

ჰაჰა, ესტირ[ი] სოფელსა კლდეზედა მყოფი ბოგია,
ცელი დამადნო ეთერმა, ცეცხლითა დაგულ მყო ვია,
მოდით, მასხურეთ ცრემლები მეგობარ, დაძმა მოვია,
[მი]ტირეთ ყოელთა მ[ი]ს[ი]სა, გლახ მყოფი მარტო გოვია.
(„ვიაზე, მუდამ მტირალი“).

გიორგი ტყვეობაში იმყოფებოდა 1797—1806 წლებში. მამასადამე, პოეტის ლექსები დაწერილია აღნიშნულ დროს.

გ. ბაგრატიონის შემოქმედებაში ერთ-ერთ ძლიერ მოტივად მოჩანს მღურვა სოფლისადმი, გამოწვეული იმდროინდელი ცხოვრებითა და პირადი მდგომარეობით. როგორც ვნახეთ, პოეტის ლირიკული ლექსები დაწერილია მუხურის ციხეში ტყვეობის დროს. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ გარკვეული კვალი დააჩნია მის შემოქმედებას. საზოგადოებრივ ცხოვრებას, ნათესავეებსა და ახლობლებს მოცილებული პოეტი კარგავს სულის სიმწვიდეს, მის ლექსებში დიდი სიძლიერით ვლინდება პესიმისტური განწყობილებები. გ. ბაგრატიონის ლექსები ლირიკული გოდებაა მიზანმიუღწეველი ადამიანისა. თვითონ პოეტი ამბობს: „ზედსა მივსტირი ნიადაგო“ („ვიაზე, მუდამ მტირალი“).

უკუღმართმა ცხოვრებამ პოეტის ოცნებას ფრთები შეაკვეცა. მას უკვე აღარა აქვს ამ ქვეყნის ნდობა. ყოველივე ამან განაპირობა, წუთისოფელზე პოეტს გარკვეული შეხედულება ჩამოყალიბებოდა. მისი თქმით, წუთისოფელი დაუნდობი და მუხთალია. ვინც მას მიჰყვება, ბოლოს თავში იცემს.

საწუთროსადმი მღურვაა გამოხატული გ. ბაგრატიონის ლირიკულ ლექსებში. სოფლის სიმუხთლესა და გაუტანლობაზე არაერთხელ ლაპარაკობს პოეტი „ხუბმარდიანშიც“. ასე მაგალითად, პოემის შესავალში იგი წერს:

სოფელსა ამა მუხთალსა ეძაგ ასე მარად გულოთა,
ნურვისა გინდათ საწუთო, სკანთ ესე ჩემგან ზმულოთა,
პირველ მზეს მოგვენსო, მერე ბნელს, გულსა დაგისლობს წყულოთა,
ხორცსაცა განლევს, დააზლობს და მერმე გავენებს სულოთა.

ყოელი მომდობი სოფლისა ვაეს ყმაწვილს დია ხელებსა,
მყვება — ყვაილს მოცაყრებს და დაჰპირავს ხელებსა,
იყნოსს და უბეთ ჩადებს, მერ ნახავს განაჰყენებსა,
იძაგებს, შორად გაავლებს მას პირველ ნახუნებსა.

ამას გავს ესე სოფელი, ყოველნი, ასე იცანი,
გვაკონებს, ბოლოს გვატორებს, მე ესეგვარად ვიცანი,
მაშა, ვის გახსოვს სოფლისგან ბოლომდე ამოდ მტკიცანი?
ვინც მოყვა წუთსა სოფელსა, შერ თვითა ხელი იცანი.

გ. ბაგრატიონის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიყვარულის თემას. სიყვარული პოეტისათვის არის კეთილშობილური გრძნობა, რომელიც სიხარულსა და ბედნიერებას ჰკერის ადამიანს. ამიტომ იგი სიყვარულის მომღერლად გვევლინება.

სატრფოსადმი წრფელი სიყვარულის გრძნობას პოეტი დამძვრი სიყვარულის სამოსლით ფარავს, ხოლო საყვარელ არსებას დობით მიმართავს. "ზოგ ლექსში გ. ბაგრატიონი თავის თავს უწოდებს „მმას“. ხოლო ქებების ობიექტს — „დას“. მაგ., ლექსში „სახელით მზეობ“ პოეტი წერს: „აწ ძმ ა მოვიწერ მადლობას დას ა, მიიღე ნაცვლად მსხვერპლად სული“⁵⁴. სწორედ ასევე, „ხუბმარდიანშიც“ ხუბმარდი დუნიახეშმას მიმართავს დობით: „ხედავ, დო, ავმა ენამ თვით გვაშორვა მე ძმ ა, შენ — და ა“. „პოემის ავტორი იძულებულია თავისი გმირის გრძნობები გაახვიოს დამძობის სამოსელში და ამით დაფაროს სინამდვილე“⁵⁵.

ამგვარმა პოეტურმა ხერხმა ერთ დროს მკვლევარიც კი შეიყვანა შეცდომაში და „ხუბმარდიანში“ აღწერილი სიყვარული „დობილურ სიყვარულად“ იქნა აღიარებული. ე. წ. გარდაამავალი ხანის ლიტერატურის მიმოხილვისას ტ. რუხაძე წერდა: „სატრფილო მოტივი ისევ და ისევ ძველი სახით მეორდება ამ ხანაში. მას „ემატება“ ერთი ახალი ვარიანტი მიჯნურობისა, ეს გახლავთ „დობილური სიყვარული“⁵⁶. გ. ბაგრატიონის შემოქმედების მიმოხილვისას კი მკვლევარი ასკვნის: „თავისებური გაგება აქვს პოეტს სიყვარულის პრობლემისა. პირველად მან ჩვენს ძველ ლიტერატურაში შემოიტანა ე. წ. „დობილური სიყვარულის“ ეპიზოდი. ვერ ვრწმუნდებით, როცა ხუბმარდისა და ჩეშმადუნის „სიყვარულს“ ეცნობით, თუ მართლა აქ და-ძმური სიყვარულია. მიმართვა, წერილები, ადამიანური განცდები „აზიყ-მაზიყებს“ მიუგავთ მათ, მაგრამ მიყვებით რა ბოლომდის მათ მოქმედებას, ვრწმუნდებით, რომ ისინი „სატრფო და-ძმობილები“ არიან.

არავის ეგონოს, რომ აქ ალუგორიულობასთან გვაქვს საქმე. შეიძლება თურმე, პოეტის წარმოდგენაში, არსებობდეს სიყვარული, რომლის მიზანი იქნება უბრალო დამძობილური თანაგრძნობა“⁵⁷.

გ. ბაგრატიონის შემოქმედების ზედმიწევნითმა შესწავლამ ნათელყო, რომ სატრფილო-სამიჯნურო ლექსებში „შეფარვით“ გადმოცემულია ნამდვილი სიყვარულის მწველი გრძნობები და მათში არ შეიძლება ვეძიოთ ე. წ. „დობილური სიყვარულის“ რაიმე ნიშნები.

ამ საიდუმლოებას ფარდა ახადა ლ. ქუთათელაძემ. მან გამოარკვია გოგიასა და გიორგი ბაგრატიონის იგივეობა, რის საფუძველზეც მიაკვლია პოეტის „მიფარვით“ დაწერილი ლექსების ერთ ნაწილს. შემდეგ მკვლევარმა გაარკვია სა-

⁵⁴ ლექსი ომონიმურ რითმებზეა გაწყობილი და მასში „მსხვერპლად ასული“ კი არ უნდა ამოვიკითხოთ (ლ. ქუთათელაძე, დასახ. წერილი, გვ. 119). არამედ „მსხვერპლად სული“, ე. ი. გადატანითი მნიშვნელობით სიციცხლე. ამის სასარგებლოდ უნდა შეტყუვლებდეს სხვა ლექსების სტრიქონებიც: „მე, სული ჩემი, ფეშქაშად შენთვისაც შემოწირია“, „სული შენ დაგრაჩა, გონება, მსხვერპლად მიიღე გული“ და ა. შ.

⁵⁵ ლ. ქუთათელაძე, დასახ. წერილი, გვ. 117.

⁵⁶ ტ. რუხაძე, დასახ. წიგნი, გვ. 17.

⁵⁷ იქვე, გვ. 57.

ინტერესო პრობლემა — გოგიასა (გიორგი ბაგრატიონისა) და მზეხათუნის ურთიერთობა. ისინი შორეული ნათესავეები ყოფილან. ბავშვობიდანვე ერთმანეთს ზრდილ ახალგაზრდებს ერთმანეთი შეყვარებიათ. როცა ეს ამბავი გახმაურებულა, ისინი განუშორებიათ: მზეხათუნი სასწრაფოდ გაუთხოვებიათ, ხოლო გოგიასთვის ცოლი შეურთავთ. მიუხედავად ამისა, პოეტში სიკვდილამდე არ შენელებულა მწველი სიყვარულის გრძნობა, რასაც იგი მზეხათუნისადმი მიძღვნილ ლექსებში გამოხატავდა. ამ ლექსებში პოეტი მზეხათუნს დასუწოდებს.

ერთ-ერთი ლექსიდან („სახელით მზეობ“) ვგებულობთ, რომ პოეტის ქების ობიექტი არის მშვენიერებით შემკული, დიდი გვარის წარმომადგენელი, მეფის ასული და მას ჰქვია მზის მსგავსი სახელი: „სახელით მზეობ, სახით მთოვარებ, ტანად სარო ხარ ტურფად ასულიო“. ორ ლექსს კი წარწერილი აქვს ადრესატის ვინაობაც: „მეფის ასულს მზეხათუნზე თქმული“ („აღვამკობ აღვასა ასულსა“) და „მეფის ასულ[ი]ს მზეხათუნისათვის თქმული“ („უვართ კარგის მგონე“). შესაძლებელია, მოყვანილი წარწერები პოეტს არც კი ეკუთვნოდეს, შესრულებული იყოს საქმეში ჩახედული პირის ან ხელნაწერის გადაწერის მიერ, მაგრამ მასში სწორად არის მითითებული ქების ობიექტი. ამრიგად, გ. ბაგრატიონის სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების ადრესატია მზეხათუნ ბატონიშვილი.

გ. ბაგრატიონის სატრფიალო ლექსები რომ მზეხათუნ ბატონიშვილისადმი მიძღვნილი, ამაზე პირდაპირი მინიშნება გვაქვს ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში: „ქ. ბატონო, თქვენი სიტურფე შენთვის[ს] წ.“. აღნიშნული მინაწერი, როგორც ხელის მიხედვით ირკვევა, ეკატერინე წერეთლის მიერაა შესრულებული. ეკატერინე მზეხათუნ ბატონიშვილს ატყობინებს, რომ თქვენი სიტურფე, სილამაზე, ამ შემთხვევაში გადატანილი მნიშვნელობით არის ნახმარი — შეყვარებული, სატრფო, „შენთვის წ.“, ე. ი. შენთვის წერსო. ასო წ. შეგნებულად შემოკლებულად წერია შინაარსის დასაფარავად. „თქვენ სიტურფეში“ კი იგულისხმება გიორგი ბაგრატიონი, რომელსაც, მართლა, ხელნაწერის თავისუფალ გვერდებზე რამდენიმე ლექსი მიუძღვნია მზეხათუნისათვის და ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე თხზული ასოებით ჩაუწერია: „მზეხათუნ გოგია“.

გ. ბაგრატიონი დიდი უშუალობითა და სიბოთითი გადმოგვცემს სიყვარულის ფაქიზ გრძნობას. მისი განცდები რეალური და ცხოვრებისეულია. პოეტს არც სიყვარულში გაუღიმა ბედმა...

სატრფოსადმი სიყვარულის გრძნობაა გადმოცემული ლექსში „უვართ კარგის მგონე“. მუხთალმა ბედმა პოეტი ჩამოაცილა თავის სატრფოს, მაგრამ იგი მაინც თვალწინ უდგას და ყოველთვის აგონდება. მიუხედავად იმისა, რომ სატრფოსაგან დაცილებულია, მასზე უკეთესი მაინც არავინ ჰყავს და გულით უყვარს. სატრფოსაგან დაშორებულ პოეტს ცეცხლის ალი მოჰკიდებია, რისთვისაც საყვარელ არსებას სთხოვს დამწვარი გულის მალამოს. პოეტმა არ იცის, კლდე შეხვდება თუ არა საყვარელ არსებას, ამიტომ საგონებელშია ჩავარდნილი. რომ ვიცოდეთ ისევ შეგეყრები, გონება დამიამდებაო:

დღე და ღამ შენ მეგონებ, სევდად მიმაგდო ლულმანო:
შენ იცი, გულით მიყვარხარ, იმ ჭრისტეს სიყვარულმანო!
შენს უკეთესი არვინ მყავს — იცის ყოველმან სულმანო!
ცხადით ნახვასა არ ვლირსვარ, სიზმარ გიხილოს სულმანო!

რა ხანია არ მინახავს ეგ ღამაზე შევი თვალო:
უსასყიდლო მარგალიტნი, გამჟვირვალე მეტათ ღალო!
მე შენისა შორს ყოფნისთვის გარს მეღების ცეცხლის ალი!
სამართლის მსგავს დამწვარ გულსა გარდამასხი ვარდის წყალო!



სატრფოსთან შორს ყოფნაზეა საუბარი ლექსში „მოგიწერ დასა ტურფასა“.
 აქ „დაში“ შეფარვით იგულისხმება სატრფო. პოეტი მიმართავს: „დაო, შიმშილითაა იცი, შორს მყოფსა მაჰკნობს უხსნელი ჭირია“. პოეტს არა აქვს სატრფოსთან შეხვედრის იმედი:

თვარა ამ სოფელს ხილვასა არ ველი შენსა, ჰე, დაო!
 ფრთენი არა მაქ — აფრინდე, მოვიდე სწრაფით შენდაო...

პოეტს არ ავიწყდება, სატრფოს შეახსენოს თავისი ტრაგიკული მდგომარეობა და სთხოვს ცრემლები მოაფრქვიოს მის საფლავს:

ვინ დამიტრებს — არვინ მცავს, არვის აქ ცრემლთა ნამია!...
 ოდეს ვესტუმრო მიწასა, გახსოვდე მაშინ ძაბია!

ნათესავ-მეგობართაგან უსამართლოდ გარიყული და ახლობელთაგან მოძულე პოეტი თავის გულისტკივილს დიდი დაძაბულობით გადმოგვცემს:

მეგობართაგან-ჭელელი დია ვიქნები იავარ,
 პირველ ვარ დებრვე მესურვე, ახლა მქნეს ვითა იავარ;
 შეუროლდენ ჩემგან და დალბენ, განმავდეს, ვითა ჭია ვარ,
 მსწრაფლ მომიძულეს ყველაყამ, ცრემლითა დანატია ვარ!

ხანგრძლივი ტყვეობიდან დახსნილი პოეტი იძულებულია გაშორდეს თავისიანებს, მეგობარ-ახლობლებსა და საყვარელ ადამიანებს. რაოდენი მწუხარება, გულისწუხილი და სატრფოსთან განშორების გრძნობით გამოწვეული სევდაა გადმოცემული ლექსში „მოგგონდე მარად მტირალი!“ ალალი გულთი ნათქვამ სტრიქონებში მხატვრული სამკაულების მოშველიებით ჩაქსოვილია ფაქიზი გრძნობა საყვარულისა და სატრფოსთან დაშორებით გამოწვეული ცრემლნარევი განწყობილება. თითქოსდა გრძნობდა პოეტი, რომ ეს იქნებოდა სატრფოსადმი მიმართული მისი უკანასკნელი სიტყვა და სათხოვარი: ჩემი სიკვდილის შემდეგ გულთი დამიტირეო. აქვე მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად:

მოგგონდე მარად მტირალი, მოშორებებისთვის წყველთა,
 სული შენ დარჩა, გონება, მსხვერპლად მიიღე გულთა;
 სჯობდა, არ თურე შეგემცნე, რადგან მქმენ გულმოკლულთა,
 განვალ მე სოფლთ მტირალი, გახსოვდე, — თქვენთვის თქმულთა.

თუ მოვევდე, მზეო, ანამე ცრემლი გიშრისა ღარებით,
 იტყოდე: „განვლო სოფელსა ჩემთვისა მან ნაწამებით“.
 ვერ განახე, როსცა დავიწვი გულთ-ცეცხლთა ამონაღებით —
 ჰხამს სატირლისა ტირილი სრულ სიტყვათ წარმონაღებით.

გაყრა თქვენი გულსა ჩემსა, ვითა ტილო ესუდრების,
 წამ-წუმ საკვად გული მიწუხს, თვალთა ცრემლი მოქუხებდებს,
 რაზომც ნათობს სინათლეი, ჩემთვის ბნელად მოშუქდებს,
 ზამთრად მექცა მე ზაფხული, ღრუბლით გარკინვა მოქუხებდებს.

გ. ბაგრატიონის ნაწარმოებთა შორის საკმაოდ ცნობილია „ხუბმარდიანი“. ის წარმოადგენს ვრცელ თხზულებას და დაწერილია, როგორც ძველად იტყოდნენ, „ლექსთა შიგ ჩართვით“. ნაწარმოები იწყება ლექსით, მას მოსდევს პროზაულად ნაწერი აფრიკის მეფის ამბავი, შემდეგ კი ხუბმარდის ამბები ისევ ლექსადაა გადმოცემული.



„ხუმბარდიანის“ შინაარსი დაწვრილებით აქვს გადმოცემული ტ. რუხაძეს⁵⁸ ამიტომ მასზე ალარ შევჩერდებით. თხზულების წინასიტყვაობაში ავტორი გვამოგვცემს: „...ვიგულისმოდგინე და ფიქრითა ჩემითა ესე წიგნი აღწერე. არცა მე [ნამდვი]ლი ამისი მიხილავს⁵⁹, მაგრა მცირე ამბათ გამოგონია და მე იმ აზრზე განვაერთელო“. როგორც ვხედავთ, ავტორი დაბეჭდვით გვარწმუნებს, რომ „ხუმბარდიანში“ მოთხრობილი ამბავი არ მინახავს, მოკლედ მაქვს მოსმენილი და ჩემი მოგონილით განვავრცეო.

ზემომოყვანილ წინადადებასთან ავტორს მიუწერია: „არც სმენილ მაქვს“, რაც შემდეგ გადაუხაზავს.

თხზულების ერთ ადგილას თავდაპირველად ეწერა: „აქა დავიწყებ ამბავსა ჩემ თვალთ მონახულებსა“. შემდეგ ავტორს კეთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ გადაუშლია და მის ნაცვლად ჩაუწერია უარყოფითი ნაწილაკი „არ“, რის შედეგადაც სტრიქონი ასე გაუმართავს: „აქა დავიწყებ ამბავსა არ თვალთ მონახულებსა“. ასეთი შესწორებებით გ. ბაგრატიონი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ „ხუმბარდიანში“ მოთხრობილი ამბავი მან კი არ ნახა, არამედ მოიგონა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თხზულებაში აღწერილი ამბები ავტორს არარსებულ, მოგონილ ქვეყნებში გადააქვს. ასე მაგალითად, ხუმბარდის სამშობლოა ფიანგარო. აქა-იქ კი ავტორს მაინც გაეპარა საქართველოს გეოგრაფიულ გარემოზე მიმნიშნებელი რეალიები: „ივერიას შინა მყოფსა არ ეგების სიყვარული“, ანდა: „მოიშორვა ქვეყანანი, სიცოცხლე და ღიბთ-იმერთი“.

იმავე მიზნით, მკითხველი რომ აღმოსავლურ სამყაროში შეიყვანოს, თხზულების გვირგვინს ავტორი არქმევს სპარსულ-თურქული წარმოშობის სახელებს: ხუმბარდი (=კარგი კაცი), ჩეშმადუნია (=ქვეყნის თვალი), მუშთარბანო (=ვარსკვლავ ქალი), დუხტარგულ (=ვარდის ასული) და ა. შ. ამის შესახებ გ. ბაგრატიონი წერს: „...ალაგ ლექსნი და თითო ასონი სხვათა ენითა წარმოგიჩნდებათ და სახელნი ქალთა და კაცთანი — სპარსულად და თათრულადო“.

ერთი სიტყვით, მიუხედავად ავტორის არაერთგზისი განცხადებისა და ცდისა, რომ დამატკიცოს თხზულების სიუჟეტის არაქართული წარმოშობა, „ხუმბარდიანის“ პერსონაჟები (ცხადლივ ხუმბარდი) ქრისტიანული რწმენისა და ტრადიციის მატარებელნი არიან. მათში ადამიანი ვერ პოებს იოტისოდენა ნიშანს მაჰმადიანურ და, კერძოდ, ირანულ-თურქულ ზნე-ჩვეულებებს⁶⁰. „ხუმბარდიანის“ ამბები მიმდინარეობს ქართულ გარემოში და მას ძირითად საფუძვლად უძევს ქართული სინამდვილიდან აღებული ფაქტები, რომლებიც მხატვრულ ასპექტშია გააზრებული მწერლის მიერ.

თხზულების წინასიტყვაობაში გ. ბაგრატიონი მკითხველს საგანგებოდ აფრთხილებს, „რომ სამეძაოდ და საარშიყოდ არ დადვათ, არა უწყის ღთით მთავრობამან სიყვარულმან მე ეს სააშიკოდ არ მეთქვას, მაგრა საერო ზღაპართ ქებას ესევითარი შეენისო“. ამასთან, განა-

⁵⁸ ტ. რუხაძე, დასახ. წიგნი, გვ. 34—50.

⁵⁹ ხელნაწერის დაზიანების გამო ტექსტის მოყვანილ ადგილს მეკლევარნი სხვადასხვაგვარად კითხულობენ: 1. „არც [მნახველი] ამის მიხილავს“ (ტ. რუხაძე, დასახ. წიგნი, გვ. 50); 2. „არცამე [..]ლი ამისი მიხილავს“ (ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია), ტ. V, 1949, გვ. 144); 3. „არცა თვალთ ამისთანა მიხილავს“ (ლ. ქუთათელაძე, დასახ. წერილი, გვ. 118).

⁶⁰ ტ. რუხაძე, დასახ. წიგნი, გვ. 54.

გრობს ავტორი, „ეს არ იფიქროთ, თუ ეს გვარი საქმე ამტკიცებდა...“
წაკიდებიო, არა, არც ამისთვის მითქვამს...“.

მწერლის მიერ ასე ხაზგასმით აღნიშვნა, რომ თხზულებაში სიყვარულის ამბები არ არის მოცემული და მასში აღწერილი ამბები მას არ შეეხება, მკითხველში უკვე თავისთავად ბადებს ეჭვს გ. ბაგრატიონის ნათქვამის ჭეშმარიტებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა სავესებით მართებული მოსაზრება, „რომ პოემაში აღწერილია წრფელი, სუფთა სიყვარული, მაგრამ დასაფარავი, ვერ გასაჩხელი...“⁶¹.

„ხუმბარდიანში“ პოეტმა გადმოგვცა ავტობიოგრაფიული ამბები⁶². თხზულების მთავარი გმირების სახით მან დაგვიხატა თავისი თავი და მზეხათუნ ბატონიშვილი: ყველა ნიშნით ხუმბარდი გიორგი ბაგრატიონია, ხოლო დუნიჩეშმა — მზეხათუნი. ამის საილუსტრაციოდ აქვე მოვიყვანოთ ორ მაგალითს.

ხუმბარდის დუნიჩეშმასთან დაშორების მიზეზი, ისე როგორც გიორგისა და მზეხათუნის გაყრის მიზეზი, ავენა და ენატანია ადამიანებია, აკი ამბობს ხუმბარდი: „ხედავ, დაო, ავმა ენამ თვით გვაშორვა მე ძმა, შენ დაო...“

როგორც ვიკით: გიორგის მუხურის ციხიდან მიმოწერა ჰქონდა მზეხათუნთან. ასევე მიმოწერა აქეთ ხუმბარდსა და დუნიჩეშმას. შეპყრობილი ხუმბარდი დუნიჩეშმას ატყობინებს: „მოგიწერ დაო, ტურფაო, ამბავსა ჩემსა გული-სას“, ანდა: „ხანდახან მწერდე ბარათსა, ვგონებ, შენ არა დაგაკლდეს“, რაზეც დუნიჩეშმა უპასუხებს: „ენახე წიგნი საყვარლისა, გულს მომედვა ცეცხლებრ ალი“, ან: „რაცა მასმინე არზითა, გულსა შემეჭმნა ურვანი“. შემდეგ დუნიჩეშმა ხუმბარდს ანუგეშებს, თუ ამიერიდან ჩვენ ერთმანეთს ვერ შევხვდებით, მიმოწერით შევატყობინოთ ამბებო: „ქართა ჩვენი ჩვენს წინაშე მუდამ ყამსა ტკილად მობობდესო“.

მეტად საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ადრე დაწერილი ზოგიერთი ავტობიოგრაფიული ლირიკული ლექსი, რომლებიც გვხვდება ჯერ კიდევ 1799 წელს გადაწერილ კრებულში, პოეტმა უცვლელად შეიტანა „ხუმბარდიანში“, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი⁶³. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ პოემაში გადმოცემულია ავტორის პირადი განცდები და განწყობილებანი.

„ხუმბარდიანთან“ დაკავშირებით საინტერესოა, აგრეთვე, ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერი. აღნიშნული მინაწერი დაზიანებულია, მაგრამ ხერხდება მისი აღდგენა. მინაწერში ვკითხულობთ:

„უსაცილოთ ჭეშმარიტად ა[მბო]ბ, რომ ამოდენი წიგნი ჩემი დაწერ[ო] და გამოვთქვა ამისთანა კარ[გი], და ვერც ნათალს მ[ავრ]ედ მოსაწონს [ვერ და-ვწერ], ეს, და[ო], არ გეგონოსთ, [მერ]წმუნეთ“.

არც ადრესატი და არც მინაწერის ავტორი ხელნაწერში აღნიშნული არ არის. ხელის მიხედვით ვაირკვა, რომ მინაწერი ეკუთვნის გიორგი ბაგრატიონს. მოყვანილი მინაწერი წარმოადგენს პასუხს უცნობი პირის თხოვნაზე. ამ უცნობ პირს, რომელსაც გიორგი „დას“ უწოდებს, მისთვის (გიორგისთვის) უთხოვნია, რომ გიორგის დაწერა ვეფხისტყაოსნისოდენა საკუთარი თხზულება, რომელიც ისეთივე კარგი იქნებოდა, როგორიც რუსთაველის პოემაა. გიორგი პასუხობს, რომ მას არ შეუძლია არათუ ვეფხისტყაოსნის მსგავსი, არამედ მისი მეათედის-ნაირიც კი დაწეროს.

ვინ დაუკვეთა გიორგი ბაგრატიონს თხზულების დაწერა და შეასრულა თუ არა პოეტმა მისი თხოვნა — დაეწერა ვეფხისტყაოსნისოდენა თხზულება?

⁶¹ ლ. ქუთათელიძე, დასახ. წერილი, გვ. 118.
⁶² ტ. რუხაძე, დასახ. წიგნი, გვ. 50; ლ. ქუთათელიძე, დასახ. წერილი, გვ. 116.
⁶³ ლ. ქუთათელიძე, დასახ. წერილი, გვ. 118—119.



გ. ბაგრატიონის თხზულებებიდან თავისი მოცულობით გამოირჩევა „ხუბ-მარდიანი“. პოემის წინასიტყვაობაში გიორგი მალავს ვინაობას იმ პირისა, ვის მთავრობისადაც შეთხზა თხზულება. პოემაში იგი მოხსენებულია „მისის უმაღლესობით“. პოეტის ლექსებიდან ვიცით, რომ ის ზშირად ასე მიმართავს ხოლმე თავისი ქვების ობიექტს — მზეხათუნ ბატონიშვილს. მაშასადამე, „მის უმაღლესობაში“ მზეხათუნი იგულისხმება და „ხუბმარდიანი“ დაწერილია მზეხათუნის თხოვნით.

საყურადღებოა, რომ პოეტი „ხუბმარდიანის“ წინასიტყვაობაში გადაკვრით მიუნიშნებს რაღაცა გამომწვევ მიზეზზე. რომ ვიღაცა, თუ შინაგანი გრძობა „ადრე აძულვდა“ დაეწერა დასახლებული თხზულება, მაგრამ მას ეს რატომღაც ვერ (თუ არ) შეუსრულებია. სამაგიეროდ ადრე შესასრულებელი საქმე გიორგის 1803—1804 წლებში განუხორციელებია. ამ დროს გიორგი პატიმრად იყო მუხურის ციხეში და იქიდან ლექსებით ეტრფიალებოდა მზეხათუნ ბატონიშვილს. სწორედ 1803 წელს, სოლომონ II-ის სურვილით, მზეხათუნ ბატონიშვილი მითხოვდა სახლთუხუცესის — ზურაბ წერეთლის ვაჟს სიმონს. ეს გახდა ის მთავარი მიზეზი, რამაც დააწერინა პოეტს „ხუბმარდიანი“. პოემაში ვადმოცემულია დაკარგული სიყვარულის საგალობელი...

ყოველივე ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ მზეხათუნ ბატონიშვილს გიორგისთვის დაუვალეზია ვეფხისტყაოსნის მსგავსი პოემის დაწერა, რაც პოეტს კიდევაც შეუსრულებია მოგვიანებით, როდესაც მზეხათუნი ვათხოვია და მას (გიორგის) იმედი საბოლოოდ დაკარგვია. ამრიგად, დოკუმენტურად დგინდება, რომ პოემაში შეფარვით არის ვადმოცემული გიორგის პირადი ცხოვრების ეპიზოდები და მზეხათუნისა და გიორგის ინტიმური ურთიერთობის ამბავი. მაშასადამე, პოემა ნამდვილად ავტობიოგრაფიული შინაარსის შემცველია.

გიორგი ბაგრატიონს ეკუთვნის ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება, რომელსაც ეწოდება „შემთხვევანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრესისა“. ამ თხზულებაში გიორგი ავგეწერს თავის თავგადასავალს — თავისი გაუბედურებული ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს და 1790—1807 წლების იმერეთის ისტორიას. თხზულებაში აღწერილია უშუალოდ ნანახი და ვანცდილი ამბები, ამიტომ ის წარმოადგენს ძვირფას მასალას აღნიშნული პერიოდის იმერეთის ისტორიის შესასწავლად და პოეტის სულიერი განწყობილებებისა და პოლიტიკური შეხედულებების გასაგებად.

„თავგადასავალი“ არის საისტორიო ძეგლი, მაგრამ ვინაიდან ავტორი თხზულების წერისას ავლენს მხატვრულ ალღოსა და ლირიკულ ვანცდებს, ის მხატვრული ნაწარმოებიცაა.

„თავგადასავალი“ ისტორიული ფაქტები აღწერილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, იწყება ავტორის ბავშვობით და მთავრდება მისი რუსეთში ვადასახლებით.

„თავგადასავალი“ მოღწეულია მხოლოდ ერთი ნუსხით⁶⁴. არსებობდა მისი მეორე ნუსხაც, რომლის მიხედვითაც თხზულება გამოაქვეყნა თ. ყორდანიანი⁶⁵.

გ. ბაგრატიონი ვანსწავლულ პიროვნებად ვეველინება. ის კარვად იცნობს რუსთაველს, ჩახრუხაძეს, აღორძინების ხანის მწერლობას. პოეტი ზშირად იყენებს ძველ ქართველ მწერალთა მხატვრულ ზერზებსა და საშუალებებს. ვანსაკუთრებით მიმართავს ვეფხისტყაოსანს. „ყარამანიანსა“ და ბესიკის ლექსებს.

⁶⁴ S 303, გვ. 148—153.

⁶⁵ თ. ყორდანიანი, თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილის-შვილის ბატონიშვილის გიორგისა, „მოამბე“, 1900, № 5, ვანყ. II, გვ. 41—54.



გ. ბაგრატიონის თხზულებათა დაძევნა და ერთად თავმოყრა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. პოეტი აქაც უბედო აღმოჩნდა... მისი ნაწერების სრული კრებული გამოცემას მოელოს.

Г. В. МИКАДЗЕ

ГЕОРГИЙ БАГРАТИОНИ

Резюме

Статья содержит новые материалы о жизни, деятельности и творчестве грузинского писателя Георгия Александровича Багратиони (1778—1807).

Проанализированы неизвестные стихи и поэма «Хубмардиани». В этих произведениях отражены настроения поэта и эпизоды из его личной жизни.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილება წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ენო ანანიაშვილი

ბ ა ზ ი მ „ ვ ო ზ რ ო ე დ ნ ე ი ს „ (1 9 0 5 — 1 9 0 6 წ წ .) ის ტ ო რ ი ის
 ზ ო გ ი ე რ თ ი ა ს ა ვ ა მ ბ ი

გ. ვ. ზერცალოვის „საქართველოს რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „ვოზროედენიე“ შემდეგანაირადაა კვალიფიცირებული: „დაარსდა თბილისში, 1905 წ. X. წლის ბოლოს მისი გამოცემა შეწყვიტა ადმინისტრაციამ, 1906 წელს, 19. II — გამოვიდა პირველი ნომერი, ხოლო 25. II გაზეთის გამოცემა კვლავ შეწყდა. გამოცემა განახლდა 1917—1920 წლებში და გაგრძელდა 1921 წლამდე, რედაქტორი პ. ა. გოთუა, რედაქტორ-გამომცემელი — პ. ი. თუმანოვი. 1906 წ., თებერვლის რევოლუციის შემდეგ, გაზეთი გამოდიოდა გორდელაძის რედაქტორობით (იგი იყო გამომცემელიც). მის ფურცლებზე გამართული დებატები საქართველოს ავტონომიის, ავტოკეფალიის საკითხებზე 1905—1906 წლებშიც კი აბსოლუტურად მიუღებელი იყო მეფის ადმინისტრაციისათვის, რის გამოც გაზეთის ადმინისტრაციული სასჯელი ედებოდა“¹.

კავკასიის რუსულენოვანი პრესის ისტორიაში, გაზეთ „ვოზროედენიეს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

გაზეთ „ვოზროედენიეს“ (რედ.-გამ. პ. ა. გოთუა) თვისებრივი ტრანსფორმაცია მოხდა². ა. 1905 წლის სექტემბერში — რევოლუციური სიტუაციის ორგანო; ბ. 1906 წლის მარტში — საზოგადოებრივ-ლიტერატურული, პროგრესულ-დემოკრატიული გამოცემა, რომელსაც აკლია წინამორბედი ვარიანტისათვის დამახასიათებელი აქტუალობა და ავტოკეფულობა; გ. 1906 წლის ნოემბერში — პ. ა. გოთუას რევოლუციური გაზეთის ძირითადი ტენდენციის გაგრძელების ცდა; დ. 1917—1921 წწ. — გაზეთის საბოლოო ვარიანტი, რომელიც პასუხობს ახალი ისტორიული მომენტის მიზნებსა და ამოცანებს.

დასახელებული გამოცემები არ წარმოადგენენ ერთი პერიოდული ორგანოს მოდიფიკაციებსა და მეტამორფოზებს. ეს არის 900-იანი წლების საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი განტოტებანი, რომელთაც აქვთ 1905 წ. ოქტომბერ-დეკემბერში გამოშვებული პ. ა. გოთუას გაზეთ „ვოზროედენიესთან“ გენეტიკურად დაკავშირებული პროგრამა და მიმართულება.

ამასთანავე, საგრძნობია ამ გაზეთების გარკვეული სტრუქტურული მემკვიდრეობითობა, მასალის რედაქტირების საერთო პრინციპი; ერთი და იგივე ავტორები თანამშრომლობდნენ და ფსევდონიმებიც კი იდენტური იყო („ვოზროედენიე“, „ვესტნიკ ვოზროედენია“) და ბოლოს, შეიმჩნევა მათი ობოზიციურობა საქართველოს ოფიციალური რუსულენოვანი პრესის მიმართ (გაზეთი „კავკაზ“). ამავე დროს, უეჭველია ყოველი დასახელებული ორგანოს ღრმა ინდივიდუალურობა. ამოცანები, რომლებსაც 1905, 1906, 1909 და 1917 წლებში ასრულებდა საქართველოს რუსულენოვანი პრესა, თვისებრივად განსხვავ-

¹ გ. ვ. ზერცალოვი, საქართველოს რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, ნაწ. I, თბ., 1941, გვ. 73 (რუსულ ენაზე).

² ეს გარემოება არის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი XX ს-ის დასაწყისის ჟურნალისტიკისა და შეიძლება გამოიყოს, როგორც საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის ისტორიის ერთ-ერთი შეუსწავლელი სფერო.



დება ერთმანეთისაგან. ამ ვარემოებითაა განპირობებული არაერთგვაროვნება. გაზეთ „ვოზროუდენიც“ ვარიანტებისა, რომლებიც ერთ ტიპოლოგიურ მიეკუთვნება.

1906 წ. თებერვალში დახურული გაზეთი „ვოზროუდენიც“ 1906 წ. მარტში გადაიქცა ყოველდღიურ გაზეთ „ვესტნიკ ვოზროუდენიად“, რომელმაც 19-დან 24 მარტამდე (№№ 1—5) იარსება. ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტის საქმეში („პ. ა. გოთუას თხოვნა ტფილისში რუსულ ენაზე გაზეთ „ვესტნიკ ვოზროუდენიას“ გამოცემის შესახებ“) დაკულია ტიფლისის გუბერნატორის მიმართვა (1906 წ. 17 მარტი) კავკასიის საცენსურო კომიტეტის თავმჯდომარისადმი: „1905 წ. 24 ნოემბრის პერიოდულ გამოცემათა შესახებ წესების VII განკ. 4 სტატიის თანახმად ქ. ტფილისში მცხოვრებ პ. ა. გოთუას, 4 მარტს შემოტანილი განცხადების საფუძველზე, ნება დაერთოს გამოსცეს ყოველდღიური საზოგადოებრივ-ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი რუსულ ენაზე სახელწოდებით „ვესტნიკ ვოზროუდენია“ შემდეგი პროგრამით: 1. სამთავრობო განკარგულებანი, 2. სატელეგრაფო ახალი ამბები, 3. მოწინავე სტატიები საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებზე, 4. ქრონიკა, 5. ადგილობრივი და რუსეთის ცხოვრების მიმოხილვა, 6. პრესა, 7. კრიტიკა, 8. ბიბლიოგრაფია, 9. კორესპონდენცია, 10. ფელეტონი, 11. ბელეტრისტიკა, 12. ლექსები, 13. თეატრი და ხელოვნება, 14. უცხოური მიმოხილვა, 15. ნაირ-ნაირი, წერილმანი, წერილები რედაქციას, 16. ფოსტა, 17. ილუსტრაციები და პორტრეტები, 18. საცნობარო განყოფილება და განცხადებები. ამ გამოცემის პასუხისმგებელ რედაქტორად დამტკიცებულია მისივე გამომცემელი — პ. ა. გოთუა, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული წესების VII განკ. მე-3 სტატიის პირობებს; წლიური ხელმოწერის ფასი — 10 მან., ყოველთვიურის — 1 მან., ცალკეული ნომერი — 5 კაპ. დასახელებული გამოცემა დაიბეჭდება ბ-ნ გოთუას საკუთარ სტამბაში, რაც დადასტურებულია ხელმოწერითა და სახელმწიფო ბეჭდით.

მოწმობა ეძლევა პ. ა. გოთუას ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება მასთან, ხოლო მეორე — სტამბაში, რომელიც შეირჩევა ზემოთ ხსენებული პერიოდული გამოცემის დასაბეჭდად“³.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „ვესტნიკ ვოზროუდენიას“ ნომრები მხოლოდ 1906 წ. მარტში გამოვიდა, გამოცემამ დი-იურე იარსება 1906 წ. აგვისტომდე და გაუქმებულ იქნა სრული გაკოტრების გამო. ვარდა ამისა, თავი იჩინა უთანხმოებამ რედაქტორ პ. ა. გოთუასა და მის პერიოდიკაში მომუშავე ეურნალისტთა ჯგუფს შორის, პ. ა. გოთუას ამ მნიშვნელოვან მომენტს ეძღვნება გაზეთ „ზაკავკაზიში“ გამოქვეყნებული სტატია „მეგობრების დასკვნა ლ. დ. ყიფიანსა და პ. ა. გოთუას შორის არსებული საქმისა და გაუგებრობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერენ გ. ლასხიშვილი, გ. დიასამიძე, ა. მდივანი⁴. 1906 წლის ნოემბერში ლ. დ. ყიფიანმა და პ. ა. გოთუამ მიმართეს თავიანთ ძველ მეგობრებს „ვოზროუდენიედან“ და მისი შემცველი გაზეთებიდან—გრ. ნ. დიასამიძეს, ა. ი. ყანჩელს, გ. მ. ლასხიშვილს, ა. შ. მდივანს თხოვნით, გამოეთქვათ აზრი მათს შორის წარმოშობილ უთანხმოებათა გამო. ზემოთ ჩამოთვლილი პირნი შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: 1. 1906 წ. აგვისტოში პ. გოთუამ ლ. ყი-

³ საქ. ცსა, ფ. 480, 21, 79, გვ. 1.

⁴ უტრადღებას იხუროს სტატიის სქოლიო: „აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პ. ა. გოთუას მიერ გამოცემულ გაზეთების გამოშვების საერთო საქმეში ჩვენ აღარ ვმონაწილეობთ“ (გ. მ. ლასხიშვილი, გ. ნ. დიასამიძე, ა. ბ. მდივანი; „ზაკავკაზი“, 1907, № 15, გვ. 3).

ფიანს მიმართა წერილით, რომელშიც იუწყებოდა გაზეთის მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ და სთხოვდა მას, „საკუთარ თავზე ეზრუნა“ სხვა სამუშაო მოეძებნა, რადგან მას — გოთუას — არ შეეძლო ყიფიანისათვის შეთანხმებული ყოველთვიური საფასურის (150 მან.) ვადახდა: ამისთან, გოთუა სთხოვდა მას, გაეგრძელებინა თანამშრომლობა პწკარედული ანაზღაურების პირობით. ამას მოჰყვა ყიფიანის არცთუ ისე კონკრეტული შინაარსის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გაზეთის დალუპვაში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავეა გოთუა; 2. გაზეთის დახურვის მიზეზი, უთუოდ, გარეშე სიტუაცია გახდა, რომელიც გოთუაზე არ იყო დამოკიდებული. „აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომელიც ხსნის გოთუასადმი ყიფიანის მკაცრ დამოკიდებულებას. ყიფიანი არ შეიძლებოდა არ გაღიზიანებულიყო იმ წესებით, რომლებიც რედაქციაში ყოველთვიური ანაზღაურებისა და ჰონორარის ვადახდის საქმეში დამკვიდრდა. თანამშრომლები, მათ შორის თვითონაც, ანაზღაურებას თვეობით ელოდნენ... ადამიანისათვის, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული საქმიანობით არსებობს, ეს ძნელიცაა და დამამკირებელიც, გამოცემა წაგებიათ იყო. სამეურნეო ნაწილის წარმართვა ხდებოდა გულგრილად და უუყურადღებოდ“⁵.

გ. ზერცალოვის აზრით, გაზეთი „ვესტნიკ ვოზროდენია“ იყო პ. ა. გოთუას „ვოზროდენიეს“ ლოგიკური გაგრძელება, რომელიც ცენზურის პირობებში ახვა სახელწოდებით გამოდიოდა. თავის ნაშრომში გ. ზერცალოვი აღნიშნავს: „გაზეთი გამოდიოდა თბილისში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების გამო დახურული გაზეთის „ვოზროდენიეს“ ნაცვლად. მეხუთე ნომრის შემდეგ ამ გაზეთშიც განიცადა იგივე ადმინისტრაციული სასჯელი. გაზეთი ასახავდა ქართველი ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს“⁶. ანალოგიურია ზერცალოვის აზრი 1906 წ. ბოლოს ტფილისში გამოშვალ გაზეთ „სოვრემენიკის“ შესახებაც: „გამოდიოდა სამხედრო მდგომარეობის გამო შეწყვეტილი გაზეთების „ვოზროდენიეს“ და „კავკაზსკოე უტროს“ მაგიერად მანამ, სანამ თავდაც იგივე ბედი არ ეწვია“⁷.

სტრუქტურულად „ვოზროდენიე“ მკვეთრად განსხვავდება მისი თანამედროვე „კავკაზისა“ და „ნოვოე ობოზრენიესაგან“. გამოცემას ახასიათებს სტრუქტურული სიმარტივე, გაზეთში არის ცხრა მუდმივი რუბრიკა: „ტფილისის ქრონიკა“, „კავკასიის ცხოვრება და პრესა“ (ქართულებში, სომხებსა და მუსულმანებში), „რუსული ცხოვრება და პრესა“, „საგარეო ამბები“, „ფელეტონი“, „მუშათა ცხოვრებიდან“, „ხელოვნება“ (რუსული დრამა, ქართული თეატრი), „სატელეგრაფო ახალი ამბები“, „სასამართლო ქრონიკა“, ორი მათგანი — „კავკასიის ცხოვრება და პრესა“, „ხელოვნება“ გაანალიზებულია ეროვნული ნიშნის მიხედვით.

გაზეთში არ არის ცვალებადი რუბრიკები, ასევე უცვლელია მუდმივი რუბრიკების შინაარსი, იდეური და სტილური მიმართულება.

„ვოზროდენიეს“ სტრუქტურა უკავშირდება ოფიციალურ დოკუმენტურ მოწმობას, რომელშიც მოცემულია ახალი გამოცემის პროგრამა (1905 წლის 13 მაისს). პროგრამის ადრინდელი ვარიანტის შედარება მასალების საბოლოო დიფერენციაციასთან მეტყველებს ამ გამოცემის სტრუქტურის ჩამოყალიბების რთულ პროცესზე. გაზეთში თითქმის გაუქმებულია ბელეტრისტული განყოფი-

⁵ იქვე.

⁶ გ. ზერცალოვი, საქართველოს რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, ნაწ. 1, თბ., 1941, გვ. 73.

⁷ იქვე, გვ. 86.



ლება, შემცირებულია ლიტერატურულ-კრიტიკული მასალები, არ არის ექსპონირებული ლიოგრაფია, იშვიათად ჩნდება გამოცემის პროგრამით გათვალისწინებული განცხადებები, ილუსტრაციები და კარიკატურები.

დიდი რაოდენობითაა მოცემული ქალაქის დაწესებულებათა ანგარიშები (თბილისის სათათბიროს სხდომათა რეპორტაჟები, ინფორმაცია საჯარო არჩევნების მიმდინარეობის შესახებ); ქრონიკა (ადგილობრივი და საერთო-რუსული), ახალი ამბები საკუთარი კორესპონდენტებისაგან პეტერბურგიდან, ბათუმიდან, ოზურგეთიდან და ა. შ.; პეტერბურგის, მოსკოვის, კიშინიოვის, ბაქოს, ხარკოვის, რიგის, ჰელსინგფორსის, ვლადივოსტოკის სატელეგრაფო სააგენტოს მასალები (რუსული დეპეშები); აგრეთვე ვენიდან, კონსტანტინოპოლიდან, სოფიიდან, პარიზიდან (სახვარაგარეთული დეპეშები) მიღებული მასალები.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ვოზროედენიეს“ სტრუქტურა ერთგვარად სტიქიურად, რევოლუციურ მოვლენათა გავლენით ჩამოყალიბდა, როგორც გამოძახილი ქვეყანაში დემოკრატიული გამოცოცხლების მომენტისა; მეორე მხრივ, სრულიად დასაშვებია ისიც, რომ „ვოზროედენიეს“ ჩამოყალიბება მოხდა კავკასიის ოფიციალის (გაზეთი „კავკაზ“) საპირისპიროდ.

1905 წლის 1—10 ნოემბრის მეოთხე გვერდზე ყურადღებას იპყრობს წარწერა — „დაშვებულია ცენზურის მიერ“. „ვოზროედენიეს“ №10—45-ში ეს აღნიშვნა არ არის. სწორედ ამ დროს (17 ოქტომბრის მანიფესტთან დაკავშირებით), მცირე ხნით მოიპოვა გაზეთმა ცენზურის გარეშე გამოცემის სტატუსი.

გაზეთ „ვოზროედენიეს“ თანამშრომლობა ჟურნალისტიკასაგან რამდენიმე სერიოზული მოვალეობის შესრულებას მოითხოვდა: რევოლუციური მოძრაობის კერებიდან (გურია, თბილისის მოვლენები) რეპორტაჟების გაკეთებას; პოლიტიკური მიმობილებების, მიმდინარე მოვლენების კომენტირებას; სასამართლო ქრონიკის, თეატრალური ცხოვრების მოვლენების, ზოგიერთი ლიტერატურულ-მხატვრული პრობლემის რეკლამურ გაშუქებას; და ბოლოს, პასუხის გაცემას მრავალრიცხოვან პრეტენზიებზე, რომლებიც რედაქციის მისამართით მოდიოდა როგორც საქართველოს რედაქციიდან, ასევე პროვინციების კორესპონდენტებისაგან.

ამასთან, არც მატერიალური პირობები, არც სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია არ იყო გაზეთ „ვოზროედენიეს“ მუდმივ ავტორთა მასტიმულირებელი ფაქტორები (ამაზე არაერთხელ აღუნიშნავთ თავიანთ საგაზეთო წერილებში გაზეთის წამყვან თანამშრომლებს; იხ. „ზაკავკაზი“, 1907, № 1). გამოცემის ავტორთა კოლექტივი მცირერიცხოვანი და არასტაბილური აღმოჩნდა: ნომრის მთლიანობის შენარჩუნებისათვის, როგორც წესი, აქტუალური მასალების გადმოხედავა ცენტრალური გაზეთებიდან და ჟურნალებიდან („რჩი“, „ნოვოე ვრემია“) უხდებოდათ. გაზეთ „ვოზროედენიეს“ სტატიათა უმრავლესობა მის რედაქტორს პ. ა. ვოთუას ეკუთვნოდა. შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, რომ ის არის ავტორი გაზეთის ყველა მოწინავე მასალისა, რომლებიც შესაბამისი ხელმოწერით არ არის გამოქვეყნებული. პ. ა. ვოთუას გარდა, გაზეთში არის ანონიმური მასალებიც, რომლებიც ეკუთვნის მისი სარედაქტორო-საგამოცემლო შემადგენლობის წარმომადგენლებს: პ. ი. თუმანოვს და ალ. ვ. მდივანს. გაზეთის მუდმივ კორესპონდენტთა, ე. წ. ოფიციალური შტატის თანამშრომელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ცნობილი ჟურნალისტები, რომლებიც პარალელურად ქართულ პერიოდულ გამოცემებშიც („ცნობის ფურცელი“) და რუსულენოვან ორგანოებშიც („კავკაზ“, „ტიფლისკი ლისტოკ“, „ნოვოე ობოზრენიე“) მუშაობდნენ. ესენი არიან: ბ. ნ. გვაზავა, ლ. დ. ყიფიანი, ა. ი. ყანჩელი, გ. მ. ლასხიშვილი, ალ. ჩერქეზოვი, გ. ნ. დიასამიძე, ალ. მდივანი, მ. ჭაბადარი,



ჯ. მამედყულიზადე (აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა 1903—1918 წწ.)⁸. გაზეთში თავიანთ მასალებს ათავსებდნენ, აგრეთვე შტატგარეშე კორესპონდენტები, რომელთა პუბლიკაციებსაც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ეძღვნებოდა საქართველოში მომხდარ რომელიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას: ს. ჭრელაევი („საგარეო ამბები“, 1905, № 37), ი. ხანატუროვი („წერილი რედაქციას“), სერ. რაჭინსკი („უახლესი ამოცანები“, 1905, № 71), კ. მაკაში („სიბნელის ბრძოლა სინათლესთან“, 1905, № 71), ს. რაეცკი („გურიაში“, 1906, № 5), ა. ი. არგუტინსკი („ქალაქისა და საერო მასწავლებელთა ყრილობა მოსკოვში“. ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან, 1905, № 21), ს. ჭ-შვილი („რა მოუვა თბილისის სათათბიროს?“, 1905, № 5), ს. ველერი („ა. გ. კლდიაშვილი“, 1905, № 14), ვლადიმერ ნ-სკი („სასამართლო ქრონიკა. ბაქოელი გუბერნატორის თავად მ. ა. ნაკაშიძის მკვლელობა“, 1905, № 2). მოსკოვში მცხოვრებ თბილისელ უჭრნლისტთა გარდა ბეჭდვადნენ: პეტრე მედოვი („ქრონიკიორის შენიშვნები“, 1905, № 14), ნ. ახვა („ლექსები“, 1905, № 24), ა. ხახანაშვილი („ჩემი პროგრამა“, 1905, № 20, 1906, № 3), კ. ილინი („გიორგი ვაშინის შესახებ პირადი მოგონებებიდან“, 1906, № 3), ლ. იაკოვლევი („საეროზო სადარაჯო“, 1905, № 43), მიხ. შჩენ-ნ („ჩინოვნებების კავშირს“, 1905, № 20), ფ. გორნი („ვაფი-ცვის საყიბის გამო“, 1905, № 5), ა. ტურსკი („ვარშავის ამბები“, 1905, № 21), ფ. ლებედევი („მოჯადოებული ციხე-დარბაზი“, 1905, № 4), „ეოზროედენიეს“ ფურცლებზე რეგულარულად იბეჭდებოდა ბაქოელი ა. ნოვიკოვის წერილები და ბ. ში-ანის მასალები სომეხ-თათართა საქმის შესახებ („სომეხ-თათართა შულ-ლი და ამიერკავკასიის პროლეტარიატი“, „წესრიგის პარტიის“ შექმნის თვითმხილველი, რუბრიკით, „წერილები რედაქციას“, 1905, № 22).

გაზეთ „ეოზროედენიეში“ გამოქვეყნებული მასალების ნახევარზე მეტი ფსევდონიმებითა და კრიპტონიმებითაა ხელმოწერილი. გამოვლინებულია ოთხი სტაბილური ფსევდონიმი შემდეგი თემების მიხედვით: წერილების სერია ხელოვნებაზე, თეატრალური შენიშვნები; ნერვი, არაგულგრილი (საგარაუდოა, რომ ეს იყო ბ. გვაზავა) — „სცენიური ცხოვრების ქრონიკა“; ყარი-ბი (პ. გელეიშვილი) — „ფურცლები“; კაპა — „პატარა ფელეტონი“. დანარჩენი ფსევდონიმები გაზეთში უსისტემოდ გვხვდება. გურიეც (პ. ა. გოთუა) — „საჩივრის ნიმუში“ (1905, № 1); „ნაცნობი“ (ბ. გვაზავა) — „სივანლი საკუთარი კორესპონდენტისაგან“ (1905, № 9); გიორგი, გ. მწერალი (გ. ლასხიშვილი) — „შენიშვნები საქართველოში სახალხო მოძრაობის შესახებ“ (1905, № 6); ივ. გორ — „პირადი მოგონებებიდან“ (1905, № 6); ტის — „კაზაკობა“ (1905, № 27); გენსკი — „შენიშვნები“ (1905, № 13); ა. კ-ლი (ა. ყანჩელი) — „ფელეტონი“ (1905, № 1); ა. კ. (იგივე) — „შრომითი ინვალიდების დაცვა“ (1905, № 10), ვარიანელი — „ჩვენი განუყოვრებლობა“ (1905, № 10); ექო — „წერილი ბაქოდან“ (1905, №9); ამირასტანი — „სოფლის საქიროებების შესახებ“ (1905, № 16); ვარიმი (მ. კოვალევსკი) — „რუსული პრესა კავკასიელ მოღვაწეთა შესახებ“ (1905, № 5), პრომეტეი (პ. გოთუა) — „დღევანდელ მიტინგზე“ (1905, № 20); იმერი — „ორი სამყაროს მიჯნაზე“ (1905, № 22); რა-შიდი — „რაზე ლაპარაკობს“ (1905, № 20); ვანი — „რუსეთი და დასავლეთი“

⁸ იხ. ნ. ა. ვაჩანაძე, ქალიშ მამედყულიზადეს თანამშრომლობა გაზეთ „ეოზროედენიეში“, — „მაცნე“, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 1, გვ. 79—87.
⁹ ფსევდონიმების უმრავლესობა გაზეთ „ეოზროედენიეში“ გამიფრული არ არის. ცნობილია მხოლოდ მუდმივ თანამშრომელთა — პ. ა. გოთუას, გ. ლასხიშვილის, პ. გელეიშვილის, ბ. გვაზავასა და დ. ყიფიანის ფსევდონიმები და კრიპტონიმები.



გაზეთ „ვოზროდენიეს“ ფუნქციონირების ისტორია უნდა განვიხილოთ რუსეთის 1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. XX ს-ის დასაწყისის ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის ყოველი ეტაპი, ყოველი სტადია აირეკლება პ. ა. გოთუას გაზეთის ფურცლებზე. დაბეჭთებით შეიძლება ითქვას, რომ „ვოზროდენიეს“ დაარსებას ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ. „ვოზროდენიეს“ პროექტი შეიქმნა 1905 წლის მაისში, როცა ცენტრალურ რუსეთში გავრცელებული რევოლუციური სიტუაცია გადასწვდა რუსეთის იმპერიის მსხვილ სამრეწველო და კულტურულ კერებს: ივანოვო-ვოზნესენსკს, ვარშავას, რიგას; განმათავისუფლებელი ბრძოლის ორბიტაში მოექცა მთელი ამიერკავკასიის რეგიონი, განსაკუთრებით დინამიკური აღმოჩნდა ბაქოსა და საქართველოს ამბები, სადაც 1905 წლის გაზაფხულის რევოლუციური პერიოდები (აჯანყება-გურიაში) შედეგი იყო აგრარული საკითხის სირთულისა და გადაუჭრელობისა.

გაზეთ „ვოზროდენიეს“ პირველი ნომერი გამოვიდა 1905 წლის 1 ოქტომბერს, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დაწყებამდე 7 დღით ადრე, ხოლო ბოლო ნომერი დათარიღებულია 1906 წლის 25 მაისით, როცა რევოლუციური ტალღა თითქმის დამცხრალი იყო; ხდებოდა ოფიციალური ცენზურის რეკონსტრუქცია ახალ საწყისებზე. „ვოზროდენიეს“ წამყვანი მუშაკების საქმიანობა ძირითადად განისაზღვრება ბუკდვითი სიტყვის სფეროში განხორციელებული ორი სამთავრობო აქციით: 17 ოქტომბრის მანიფესტის დებულება სიტყვის თავისუფლების შესახებ და ამ დებულებაზე დამყარებული სენატისადმი 1905 წლის 8 დეკემბრის ბრძანებულების დებულებები, რომელთა თანახმადაც პერიოდულ გამოცემათა მოღვაწეობა უფრო მოდერნიზებული, უფრო დამოუკიდებელი გახდა და თითქმის არ ექვემდებარებოდა ცენზურას.

XX ს-ის დასაწყისის საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის ისტორიაში პ. ა. გოთუას გაზეთი „ვოზროდენიე“ შევიდა, როგორც „რევოლუციური სიტუაციის“ გამოცემა მისთვის დამახასიათებელი ავტორიტეტითა და ცენზურისაგან შედარებითი დამოუკიდებლობით (თუმცა ადმინისტრაციის მხრიდან სტაბილურმა კონტროლმა, უდავოდ, იქონია გარკვეული გავლენა გაზეთის სოციალურ-პოლიტიკურ პროფილზე და მნიშვნელოვნად გააუარესა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა).

1905 წლის რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ განსაზღვრა გაზეთ „ვოზროდენიეს“ შინაარსი, პროგრამა, სტრუქტურა და მიმართულება. გარდა ამისა, რაც ასევე მნიშვნელოვანია გამოცემის დასახასიათებლად, „ვოზროდენიეს“ რედაქცია იმყოფებოდა მუდმივი მუქარის ქვეშ ამა თუ იმ რევოლუციური ფრთისაგან და ელოდა სტიქიურ დარბევას. ამ მდგომარეობამ გაზეთის მუშაკთა, დაწყებული რედაქტორით და კორექტორით დამთავრებული, საქმიანობა გადააქცია ქაოსურ, მოულოდნელობებით აღსავსე პროცესად. განსაკუთრებით მძიმე იყო რედაქციისათვის 1905 წლის ოქტომბერი. 22 ოქტომბრის მოვლენათა ქრონიკაში („ვოზროდენიე“, 1905, № 11) ვკითხულობთ: „როცა პატრიოტული მანიფესტაციის დროს დაიღვარა სისხლის მდინარეები, რამაც უკიდურესად შეაშფოთა ყველა პატიოსანი ადამიანი, გაზეთ „ვოზროდენიეს“ რედაქციაში თავშესაფარი პოვა ასობით პირმა, რომლებიც გოლოვინსკის პროსპექტიდან შორბოდნენ. როცა კანონდა შეჩერდა, ხალხის ნაწილი დაიშალა, ნაწილი კი, გარკვეული ხნით დარჩა რედაქციაში. დაახლოებით 4 საათისათვის გო-



ლოენისკის პროსპექტიდან, ძმებ ზუბალოვების სახლის ეზოთი რედაქციის შენობაში შემოვიდნენ უბნის ზედამხედველი, თბილისის სასწავლებლის ოფისის გამგებანი რეზი და ერთი ჯარისკაცი. ამ სამხედრო პირებმა მაშინვე დააბატონეს გაზეთის რედაქტორი პ. ა. გოთუა და კანცელარიის ჩინოვნიკი ბ-ნი ლინდენი და წაიყვანეს ისინი საკომენდანტო სამმართველოში. ყველა ისინი მალე განთავისუფლებულ იქნენ. ამასობაში რედაქციაში შეჭრილმა სამხედრო პირებმა ძირფესვიანი ჩხრეკა ჩაატარეს და მთლიანად დაარბიეს იქაურობა, დაამტყრეს მაგიდები, დახიეს ქვითრების წიგნაკები და ხელნაწერები, გატეხეს ფულის სალარო, წაიღეს ფული — 300 მან. ღურბინდი, შტემპელები, წერილები, მარკები და ა. შ.¹⁰

როგორც რევოლუციური სიტუაციის ტიპური გაზეთი, „ეზროვდენი“ თვისებრივად განსხვავდება იმ პერიოდულ გამოცემათაგან, რომლებიც კავშირში არიან XIX ს-ის დამლევის დემოკრატიული ეურნალისტიკის ტრადიციასთან („ნოვოე ობოზრენიე“, „ობზორ“, „ტიფლისკი ვესტნიკ“). უპირველეს ყოვლისა, ეს განსხვავება მკლავდება მასალებში, რომელთა მიზანია ახალი პერიოდული ორგანოს ძირითადი დანიშნულების ფორმულირება. „ეზროვდენის“ თანამშრომლები შემოქმედებითი კრედოს გამოხატვის განსხვავებულ ვარიანტს ირჩევენ: ისინი აქცენტს აკეთებენ პერიოდიკისა და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის ურთიერთკავშირზე.

პრინციპულად უნდა განვასხვაოთ შაბლონის მიხედვით შედგენილი პროგრამა გაზეთისა (მოცემულ შემთხვევაში პროგრამა დაფიქსირებულია თბილისის ცენზურის კომიტეტის საქმეებში) და მისი მიმართულება, რედაქციის კრედო, რომელიც, როგორც წესი, დეკლარირებულია პირველივე ნომრებში. პროგრამაში ჩანს გაზეთის შემადგენლობა და სტრუქტურა, აგრეთვე, ზოგიერთი ტექნიკური მომენტი. მიმართულება, ერთი მხრივ, გამოხატავს გაზეთის ინდივიდუალობას, მეორე მხრივ კი, გეკმნის წარმოდგენას მისი მოწინავე მასალების იდეურ-ესთეტიკურ ეფექტზე. პროგრამა ნათელია ერთი ნომრის გაცნობისთანავე; რაც შეეხება მიმართულების შენარჩუნებას, ის მკვლევრისათვის გასაკვირი ხდება მხოლოდ გამოცემის სრული კომპლექტის წაითხვის შემდეგ (რაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მიერ ამოღებულ ნომრთა გამო).

„პირველი მოწინავე სტატიიდან ნუ ელით, — წერდა „გურიეცი“ (პ. ა. გოთუას ფსევდონიმი), — ახალი გაზეთის მიმართულების დეტალურად გადმოცემას. განა საჭიროა მიღებული შაბლონის მიხედვით გათვალისწინებული ჩვეულებრივი ფრაზების გამოვრება? რა საჭიროა ზედმეტი შეპირებები და განმარტებები? გაზეთის მიმართულება ხომ ყოველ სტატიაში, ყოველ სტრიქონში, მასალის შერჩევაში და მის სულში გამოჩნდება. ექიმს არ სჭირდება ავადმყოფის საწოლთან მსჯელობა მკურნალობის მეთოდებზე და უამრავი დაპირება. მისთვის აუცილებელია მუშაობა. — სწრაფი, პატიოსანი და ინტენსიური მუშაობა. ასევე ჩვენც ენერგიულად ვდგავართ მეტროპოლი კავკასიის პირისპირ და დაპირებებისა და პრეტენზიების გარეშე ვიწყებთ მუშაობას.

რით დაიწყეთ? ჩვენი რეკიმი საბოლოოდ დაიღუპა. ცხოვრების ძველი წესი განადგურდა. ურთიერთობა ადმინისტრაციასა და ხალხს შორის, მოსახლეობის ცალკეულ კლასთა, სხვადასხვა ეროვნებათა არსებულ პარტიათა შორის

¹⁰ შემდეგ სტატიაში გამოთქმულია თხოვნა გაზეთ „კავკაზის“ რედაქციისადმი — მოათავსოს უარყოფა პროკურორული შეტყობინების შესახებ, რომ „ეზროვდენის“ რედაქციის ფანჯრებიდან იყო გასროლები. ფაქტი ოფიციალურად იქნა დადგენილი პროკურორის ზედამხედველობის წარმომადგენელთა მიერ ჩატარებული ძიებისას.



უკიდურესად ქაოტურია. დისკრედიტირებული ხელისუფლება, უუფლებო მკვირვალე სახლეობა, სრული ანარქია, რომელსაც ყველაფერი განადგურებისა და მძინარე გრევისაკენ მიჰყავს — ორი სიტყვით ასე შეიძლება აღვწეროთ ჩვენი მხარის ახლანდელი მდგომარეობა, მაგრამ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. როდისღა დაიწყება აღმშენებლობითი მუშაობა? მოსახლეობა ელოდება ამ ახალ სამუშაოს. მოსახლეობას სწყურია ეს ახალი საქმე. მას სწყურია ეკონომიკური, მორალური და სულიერი ძალების განახლება. მისთვის აუცილებელია მართალი, მიუკერძოებელი, თავისუფალი სიტყვა, რომელიც დაუფარავად მოუთხრობს ნაკლოვანებებზე და მოუწოდებს ყოველივე ამადღებულისა და მშვენიერისაკენ.

აუცილებელია მხარის კულტურული ელემენტების გაერთიანება, რათა განცალკევებულობამ ხელი არ შეუშალოს მათ იმ დიდ აღმშენებლობითს მუშაობაში, რომელიც გარდაუვალად დგას დღის წესრიგში. ის ერთია კავკასიისა და რუსეთისათვის. მხოლოდ ერთიანმა მეგობრულმა მუშაობამ შეიძლება მიიყვანოს ჩვენი მრავალტანჯული კავკასია მისი დიდი და განცალკევებული ძალების ჭეშმარიტ აღორძინებამდე¹¹.

გაზეთ „ვოზროდენიე“ გამოჩენა ძლიერ სიმბტომატური იყო. ახალი გაზეთი გახდა „პირველი მერცხალი“ რევოლუციურობისა, რომელიც 900-იან წლებში საზოგადოებრივ ცნობიერებაში დაფარული იყო. აქედან ლოგიკურად გამოძინარეობს მისი გამოცემის თავისებურებანი. მისი სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, ფსევდონიმთა შიფრირება და საკუთარ კორესპონდენტთა შემადგენლობის მუდმივი ცვლილება. გაზეთის მიმართულების ორიგინალურ ინტერპრეტაციას იძლევა მისი გამოსვლის წინაღობით ერთ-ერთი მუდმივი ავტორი, რომლის ფსევდონიმიც არის „ნერვი“¹². „ხვალ გამოდის „ვოზროდენიე“ პირველი ნომერი. „ვოზროდენიე“ უცნაური სიტყვაა, იგი შეიცავს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტს — სიცოცხლესა და სიკვდილს, უფრო სწორად, ესაა ახალი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ეს არის გამარჯვების ძახილი, რომელიც მოკვდინებულ გამარჯვებულს აღმოხდება. რა თქმა უნდა, თვით ფაქტი ახალი გამოცემისა ჭერ კიდევ არ არის რაღაც ნათელი ცხოვრების აღორძინება, მაგრამ კარგია, თუ გაზეთს სურს ემსახუროს აღორძინების საქმეს, და ჩვენ გვინდა ეს გავაყეთოთ გულწრფელობისა და ახალგაზრდობის ძალის შემწყობით. ჩვენ ეცხოვრობთ ნანგრევებში, ნახანძრალში, სადაც ოდესღაც კაზარმული სტილით ნაგები შენობები იყო აღმართული, რომლებზეც თავმომწონედ იყო გამოფენილი წარწერები „წესრიგი“. „საზოგადოებრივი სიმშვიდე“, „სიფხიზლე“. რა უნდა შეიქმნას ამ უდაბნოში? რა ახალი ცხოვრება უნდა აყვავდეს წარსულის ნანგრევებზე? — ცხოვრება სავსე თავისუფლებითა და სიღამაზით: ცხოვრება განწმენდილი ხალხის სინდისითა და სულით... ჩვენ გვჭერა ამისა“¹³.

თანამედროვე კრიტიკულ ლიტერატურაში საერთოდ არ განხილულა გაზეთ „ვოზროდენიე“ პროგრამა და მიმართულება. გამოცემის მოკლე დახასიათება მოცემულია ნ. ვანხაძის სტატიაში „ჯალალ მამედყულიზადეს თანამშრომლობა გაზეთ „ვოზროდენიეში“. მკვლევრის აზრით, გაზეთში დაბეჭდილი მასალები და რეპრესიები, რომელსაც გაზეთი განიცდიდა, იმას მოწმობს, რომ გაზეთი „ვოზროდენიე“ იყო ბოლშევიკების პარტიული ორგანო, რომელიც ყოველ

¹¹ „ვოზროდენიე“, 1905, № 1, გვ. 1.
¹² ამ ავტორის მასალები ცოტა ემოციურია, მაგრამ სწორედ ისინი და მათი მსგავსი წერილები ქმნიან განსახილველ პერიოდული გამოცემის განუმეორებელ სტილს.
¹³ „ვოზროდენიე“, 1905, № 1, გვ. 4.

ნომერში მოუწოდებდა ხალხს „შეიარაღებულიყო და მზად ყოფილიყო თავდაცვითი მოქმედებისათვის“¹⁴.

3. ვითუას სხვა გამოცემათა მსგავსად, გაზეთი „ვოზროუდენიე“ არასოდეს არ ყოფილა ამა თუ იმ პარტიის ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაჯგუფების პოლიტიკის გამტარებელი. მასში გამოქვეყნებულ მასალათა სიმძაფრე, მოწოდება რევოლუციური ბრძოლისაკენ სრულიადაც არ ნიშნავს რედაქციის კოლექტივის ბოლშევიკური პარტიისათვის კუთვნილებას.

„გაზეთი „ვოზროუდენიე“ არ არის რსდმპ-ს კომიტეტის ვიწროპარტიული ორგანო და ამიტომ არის დამაჯერებელი აზრთა სხვაობა კომიტეტსა და გაზეთის შორის“¹⁵, — ნათქვამია „ვოზროუდენიეს“ ერთ-ერთ საინფორმაციო რუბრიკაში.

ცენზურის დევნა და რეპრესიები, რომლებიც გაზეთს დაატყდა თავს, არ იყო გამოწვევის XX ს-ის დასაწყისის საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის სისტემაში. „ვოზროუდენიეს“ მსგავსად დაპატიმრებულ იქნა დანარჩენ „არაბოლშევიკურ“ გაზეთთა ნომრები, რომლებიც 3. ვითუას რედაქტორობით გამოდიოდა: „ზაკავკაზიე“, „ნოვია რეჩ“, „ნოვოსტი ზაკავკაზია“.

გაზეთ „ვოზროუდენიეს“ ფურცლებზე ცხადდებოდა არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე პარტიის პოზიცია, — ხშირად პოლარული პარტიებისა და საზოგადოებრივი დაჯგუფებებისა. იქმნებოდა ე. წ. აზრთა „პლურალიზმი“, რაც დამახასიათებელია რევოლუციური სიტუაციის პრესისათვის. ასე მაგალითად, 1905 წლის № 20-ში ალ. ხახანაშვილის (ქართველ ავტონომისტთა წარმომადგენელი) გამოსვლის გვერდით გამოქვეყნებულია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა.

სტატიით „სომხეთის რევოლუციური ფედერაცია დაშნაკუტუნ“ (1905, № 11) გაზეთი მკითხველს გააცნობს ფედერალისტ-რევოლუციონერთა მოღვაწეობას, სომხეთის რევოლუციურ ფედერაციას „დაშნაკუტუნ“, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს და სოციალ-დემოკრატებს. „ვოზროუდენიე“ უპირატესობას არ ანიჭებდა და არ იზიარებდა არც ერთი ჩამოთვლილი პარტიის პოზიციას, მაგრამ უშეცდომოდ მიუთითებდა მათი მოღვაწეობის გავრცელების სფეროს: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ორი ფრაქციით — „მენშევიკებისა“ და „ბოლშევიკებისა“) თავის მოღვაწეობას მთელს რუსეთში ავრცელებს; ქართველების, „სოციალისტ-ფედერალისტ-რევოლუციონერთა“ პარტია კავკასიაში იუშაობს, ხოლო „დაშნაკუტუნი“ — კავკასიისა და თურქეთის სომხეთში“¹⁶.

„ვოზროუდენიეს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ გაზეთის რედაქციის გარკვეულ გადაზრახვებზე ქართველი ავტონომისტების პოზიციისაკენ. რომელთა ერთ-ერთი აშკარა წარმომადგენელია ალ. ხახანაშვილი, რომელიც „ვოზროუდენიეს“ № 20-ში (1905 წ.) და „ვესტნიკ ვოზროუდენიას“ № 3-ში (1906 წ.) გამოვიდა წერილებით, რომელთა საერთო სათაურია „ჩემი პროგრამა“. ყურადღებას იქცევს ამ პუბლიკაციაზე „ვესტნიკ ვოზროუდენიას“ რედაქტორის (ალ. მდივანი) მიერ გაკეთებული შენიშვნა:

¹⁴ ნ. ვაჩნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72.
¹⁵ „ვოზროუდენიე“, 1905, № 40, გვ. 2.
¹⁶ იქვე, № 11, გვ. 1.



„ბეჭდავს რა პატივცემული ა. ხ-ვ-ს წერილს, რედაქცია, თავის მხრივ ამ ნულ მნიშვნელოვან საკითხებს მიუძღვნის სტატიებს, რომლებშიც გამოხატავს თავის შეხედულებებს“¹⁷ (ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა ობიექტური მიზეზების გამო).

ჩვენი აზრით, გაზეთ „ვოზროდენიეს“ რედაქციის კოლექტივისათვის უფრო მისაღებია ალ. ხახანაშვილის სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა, რომელიც წერდა: „ჩემი პროგრამის საფუძველია კონსტიტუციური-დემოკრატიული პარტიის პროგრამა: ამასთან, მე ვეკუთვნი ამ პარტიის უკიდურესად მემარცხენე ფრთას და ჩემთვის უცხოა მისი მემარჯვენე ნაწილის თვალსაზრისი. კონსტიტუციური-დემოკრატიულმა პარტიამ სოციალ-დემოკრატიული პროგრამისაგან აიღო ის პუნქტები, რომლებიც განხორციელებულად ესახება და რომელთა რეალიზაციაც დასავლეთ ევროპაში ჯერ არ მომხდარა“¹⁸.

1905 წლის დეკემბერში შეჩერებული გაზეთი „ვოზროდენიე“ (როცა დედაქალაქში დაწყებული მეორე პოლიტიკური გაფიცვის ტალღამ მთელს რუსეთს გადაუარა, როცა „ქვეყანაში გამეფდა ველური თეთრი ტერორი და არნახული უკანონობა“)¹⁹ 1906 წლის მარტში ტრანსფორმირდა „ვესტნიე ვოზროდენიად“. ჩვენ ამ გაზეთებს განვიხილავთ, როგორც ერთი პერიოდული ორგანოს ტოლფასოვან ვარიანტებს.

„ვესტნიე ვოზროდენიას“ მიმართულება ლოგიკური გაგრძელებაა გაზეთ „ვოზროდენიეს“ საპროგრამო სტატიებში მოცემული პრინციპებისა, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ჩამოყალიბდა. ამის შესახებ წერს პ. გოთუა მიმოხილვით სტატიაში „თბილისი 19 მარტს“: „განა ნაადრევი არ არის აღორძინების მაცნის როლში გამოსვლა? — იკითხავს გაოცებული მკითხველი. საზოგადოებრივი სულის ძლიერ აღმავლობას მოჰყვა რეაქციის მძიმე დღეები, ორი სამყაროს ბრძოლას თან ახლდა საშინელი უღმობელობა და სისხლისღვრა როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდანაც. ჩვენი სამშობლო ანარქიის მდგომარეობაშია. მაგრამ ხალხის მასებს არ შეუძლია დიდხანს გაუძლოს ამ მდგომარეობას. მას სწყურია მყარი მოქალაქეობრიობისა და ნამდვილი წესრიგის დამყარება. მას ყელში ამოუყვია დამანგრეველი მუშაობა. მას სურს დაიწყოს აღმშენებლობითი საქმიანობა, განახლოს სახელმწიფო ცხოვრების მთელი წყობა. ჩვენ სწორედ ასეთი აღმშენებლობითი მუშაობის საზღვარზე ვდგავართ. ადვილი როდია მთელი წყობის განახლება. მაგრამ უმთავრესი უკვე გაკეთებულია, საზოგადოება და მთავრობა დარწმუნდა ძველი წყობილების უარგისობაში და აი, ახლა უნდა გაეიარათ პირველი ეტაპი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების განახლებისა და გადაკეთების გზაზე. როგორ პესიმისტურადაც არ უნდა ვუყურებდეთ სახელმწიფო სათათბიროს, მისი მოწვევა არის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი და რუსეთი უნდა ჩადგეს ევროპის კონსტიტუციური სახელმწიფოების რიგში, აღმშენებლობითი საქმიანობის პირველმა ეტაპმა სათავე დაუდო მუშაობის შემდგომ მსვლელობას, მისი პროდუქტიულობა და სიცოცხლისუნარიანობა კი თვით საზოგადოების ხელშია“²⁰.

¹⁷ „ვესტნიე ვოზროდენიე“, 1906, № 3, გვ. 1.
¹⁸ იქვე.
¹⁹ იქვე, № 1, გვ. 1.
²⁰ იქვე, გვ. 31.

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ИСТОРИИ ГАЗЕТЫ
«ВОЗРОЖДЕНИЕ» (1905—1906 гг.)



Резюме

В статье дан анализ некоторых моментов истории газеты «Возрождение», появление которой связано с революционной ситуацией 1905/1906 гг. Прослежены этапы качественной трансформации издания, аргументируется программа газеты «Вестник возрождения», лишенная актуальности и агитационности предшествующего варианта. Революционно-демократическое движение 1905 г. определило характер работы редакции «Возрождения»; оказало влияние на структуру, программу, направление, социально-политический профиль издания, обязывало журналистов к дальнейшему совершенствованию политико-публицистического стиля.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეურნალისტიკის განყოფილება
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

ზ ა ი ა რ ა ვ ა ზ ა

გ რ ი გ ო ლ ნ ა ზ ი ა ნ ზ ე ლ ის ჰ ო მ ი ლ ი ა „ნ ა თ ლ ის ლ ე ბ ის ა თ ვ ს“
(Or 39) ქ ა რ თ უ ლ მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ე ზ ო

ქართული მრავალთავი კრებულების შესწავლა მრავალ საყურადღებო პრობლემას აყენებს როგორც კრებულების შედგენილობის, დანიშნულებისა და როლის განსაზღვრის თვალსაზრისით, ისე ამ კრებულებში გაერთიანებული საკითხავეების წარმომავლობის, ავტორებისა და ორიგინალების ადრინდელი სახის დასადგენად. მრავალთავების კვლევა ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხებს ავლენს ცალკეულ ბიზანტიელ ავტორთა ნაწარმოებების შესწავლის ისტორიისათვის, ერთ-ერთი ასეთი ავტორია გრიგოლ ნაზიანზელი.

ნაზიანზელის ჰომილიათგან მრავალთავის კრებულებში დაცულია ორი საკითხავი: Or 38 — „შობისათვის“ და Or 39 — „ნათლისღებისათვის“¹.

გრიგოლ ნაზიანზელის Or 39 ქართულად სამი თარგმანით არის შემონახული. პირველი ეკუთვნის ანონიმ მთარგმნელს, ეს არის მრავალთავებში დაცული ტექსტი; მეორე ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელს, მესამე — ეფრემ ნეირეს².

ერთი და იმავე საკითხავის სამი თარგმანის არსებობა იშვიათ შესაძლებლობას იძლევა მათი ავტორების მთარგმნელობითი მეთოდის გამოსავლინებლად, რომ არაფერი ვთქვათ მათი ენისა და სტილის დახასიათებაზე. როგორ უყურებს თითოეული მათგანი სათარგმნ ორიგინალს, რაზე აყუთებს აქცენტს, როგორ იაზრებს ნაზიანზელის საკითხავის ამა თუ იმ ადგილს, რა ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პრინციპებით სარგებლობს — ამ საკითხების გარკვევა საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ლიტერატურული პროცესების ზოგადი ტენდენციები, იმ ეპოქის ლიტერატურულ-კულტურული მოთხოვნები, როცა მთარგმნელებს უხდებოდათ მოღვაწეობა.

სამივე თარგმანი რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული. უფრო სწორად, ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანების შემცველი ხელნაწერები ათეულს სცილდება, ხოლო უძველესი თარგმანი ანონიმისა დადასტურებულია ორ ხელნაწერში: ტბეთის (A 19, 181v—186r)³ და პარხლის (A 95, 126r—130v) მრავალთავებში⁴.

ორსავე კრებულში ერთი და იმავე თარგმანის ტექსტთან გვაქვს საქმე. ისინი მხოლოდ ვარიანტული წაკითხვებით სხვაობენ ერთმანეთისგან.

ჰომილიის სრული სათაურია „თქუმული წმიდისა გრიგოლისი ანძიანძორეელ ებისკოპოსისა და ნათლისღებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

რა მიმართებაშია მრავალთავის ტექსტი ბერძნულ ორიგინალთან, ერთი მხრივ, და ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებთან, მეორე მხრივ? ეს საკითხი

¹ მრავალთავებში დასტურდება აღნიშნული ჰომილიების სრული და მოკლე ტექსტები. წინამდებარე ნაშრომი ეხება Or 39-ის სრულ ტექსტს. ამ ჰომილიების მოკლე ტექსტებზე ცალკე გვექნება მსჯელობა.

² გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თ. ბრეგვაძის გამოცემა, თბ., 1988, გვ. 35.

³ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა... აღწერილობა, გვ. 189—190.

⁴ იქვე, გვ. 196—198.

ძალზე საყურადღებოა, რადგან მრავალთავის ქართული თარგმანი მათგან საქართველოში შეიღობა.

განსხვავებანი სხვადასხვა ხასიათისაა. მთარგმნელი თავისუფლად თარგმნის: ავრცობს ან ამოკლებს ტექსტს, ამარტივებს ორიგინალისეულ გამოთქმას, ოღაც ნიუანსით ცვლის აზრს, ზოგან შეაქვს გარკვეული დოქტრინალური ხასიათის კორექტივი. ტექსტის თანმიმდევრობაც მრავალთავში ზოგან შეცვლილია. დავიწყით ამ უყანასკნელით.

I. მრავალთავში ტექსტის შუა ნაწილში გადაადგილებულია §§ XIV, XV, XVI⁵. § XIV-ის ბოლო სამი მუხლი (70, 71, 72)⁶ გადატანილია მომდევნო § XV-ის ბოლოს, შესაბამისად § XV-ის ბოლო მუხლები (78—80) გადატანილია § XVI-ის ბოლოს 85-ე და 86-ე მუხლებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ გადაადგილების გამო ორიგინალის ტექსტის თანმიმდევრობა დარღვეულია, გადაადგილებას მექანიკური ხასიათი არ აქვს.

უაზრობა იმით არის თავიდან აცილებული, რომ გადაადგილების ორსავე შემთხვევაში თარგმანის ტექსტში გაკეთებულია ბუნებრივი გადაბმა.

გადაადგილების პირველ შემთხვევაში მუხლი 71-ე შემოკლებულია. მრავალთავში აკლია შემდეგი მეტაფორები: ეკლესიის შველი არ არის ი. ა. რევიათია, ისევე, როგორც ერთი მერცხალი ვერ ქმნის ზაფხულს, ერთი ხაზი — გეომეტრს და ერთხელ ნებით გადაცურვა — მეზღვაურობას. სამაგიეროდ, ამ მუხლის პირველი წინადადება (*ὁ νόμος ἑκκλησίας, τὸ πᾶν*) გავრცობილია: „ჩვენ ეგვიპთარი ჩუეულებამ არა გუაქუს არცა ეკლესიათა (ქართისათა, არამედ ყოველივე სიხარული და მორჩილებამ ჯერ არს“ (184 v)⁷. წინადადების ამრიგად გადაკეთების წყალობით იგი ბუნებრივად აგრძელებს იმას, რაზეც წინა მუხლში იყო საუბარი: უწვერულომ და უასაკომ არ უნდა ნათელ-სცეს.

72-ე მუხლის პირველი ფრაზა დატოვებულია იქ, სადაც უნდა ყოფილიყო, მეორე ფრაზა კი გადაადგილებულია 81-ე და 82-ე მუხლებს შორის და იგი ორგანულად არის დაკავშირებული 82-ის კონტექსტთან.

გადაადგილების მეორე შემთხვევაშიც, როცა მუხლები 78—80 ჩართულია 65—86 მუხლებს შორის, ტექსტის ბუნებრივი გადაბმა და მთლიანობა დაცულია იმით, რომ გადაადგილების დაწყებისას ჩართულია ფრაზა: „უკუეთუ იწმე ამათ ყოველთა სასწაულთა ზედა უმეცარ არს, უმეცარ იყავნ, ხოლო ჩუნ ყოველივე ესე მადლი გურწამს“ (184 v⁸) და დამთავრებისას ასევე ჩართულია საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტი, რომელიც მომდევნო ტექსტს ასეთი ფრაზით ებმის: „აწ დაედუმნე, ვითარცა ძლეული ამას სიტყუასა და სხუთა სახეთა გამოვეძიებდი“ (185 v⁹).

გარდა ამ ორი შემთხვევისა, როცა მრავალთავში ვრცელი მონაკვეთებია (მუხლებია) გადაადგილებული, ორიოდ შემთხვევაში მუხლის შიგნითაც არის ფრაზები გადაადგილებული. იხ. I, 1; XVI, 83.

II. მრავალთავის ქართული ტექსტი ორიგინალთან შედარებით გავრცობილია. გავრცობა დასტურდება სწორედ იმ ადგილებში, სადაც გადაადგილებას ჰქონდა ადგილი. ესენია § XV და § XVI.

⁵ ორიგინალის ტექსტი გამოცემაში პარაგრაფებად არის დაყოფილი. იხ. Migne, PG 36, col. 334—360.

⁶ ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ქართულ ტექსტში ბერძნული ორიგინალის პარაგრაფები მუხლებად არის დაყოფილი.

⁷ ქართული თარგმანის ტექსტზე მიუვითებთ A 19 ხელნაწერის მიხედვით.



§ XV-ში წერია:

ὡσαυτ ἢν πνευμα καὶ σὰρξ. οὐτω Πνεύματ: τειλει:ὸν καὶ ὤδατ: Ὁ δὲ βαπτιστη: ὁ Ἰησοῦς ἀγῶνι:εται:.

ამ წინადადების ნაცვლად მრავალთაგანში საკმაოდ ვრცელი მსჯელობა იმავე თემაზე: „ვითარცა-იგი უწინარეს იორდანედ მოსლვისა იყო სულ და კორც, ეგრეცა ნათლისღებასა მას აღასრულებდა იგი წყლითა და სულითა, ხოლო მღალადებელი უღაბნოესა და ნათლისმცემელი იგი ყოვლისა ჰერიასტანისა და იერუსალიმისა, რაჟამს იხილა იგი მომავალი შორის ერსა ნათლისღებად მისგან, შეძრწუნდა და შიშით კმა აღუტევა და ჰრქუა: ავითარე ჩემდა, უფალო, კადრებად? ვერ შემძლებელ ვარ შეუძლებელსა ყოფად, უფალო, შენითა რაიმე სახელითა ნათელ-ვსცე მე ერსა ამას, რომელი დგას გარემოს შენსა და შენ მიერ განწმდებიან ყოველნი. ვითარ თანაშეერაცხები შემოქმედი ამით ყოველთაჲ, არა ხოლო თუ ამითი, არამედ ზეცისაჲცა და ქუეყანისაჲცა და ყოველთა დაბადებულთაჲ? უფალო, მეცა შენგან მივმს ნათლისღება და შენ ჩემდა მოხუალა?“ (184 ო).

ამ ვრცელ პასაჟში სახარების ადგილის (მთ. 3, 14) პერიფრაზირება ხდება. სახარებისეული ზოგი ფრაზა აქაც არის და მომდევნო მუხლებშიც (ორიგინალის შესაბამისად) მეორდება.

მეორე გავრცობა, რომელიც შედარებით დიდ პასაჟს მოიცავს, დასტურდება გადაადგილების მეორე ადგილას (§ XVI). ამ მონაკვეთში გავრცობილია ის მსჯელობა, რომელიც ეხება სულიწმიდის მტრედის სახით მოვლინებასა და უფლის ხმის მიერ ძე ღმრთისას ხარებას. აქვე ქართულ თარგმანში გრძელდება ისეთი მსჯელობა, რომელიც ორიგინალის ტექსტში საერთოდ არ დასტურდება.

„უკუეთუ კმა უფლისაჲ წყალთა ზედა, შენ ვითარ კადნიერად სდგა წყალთა შინა? რამეთუ კმამან უფლისამან განკუეთის ალი ცეცხლისა და კუალად კმამან უფლისამან შეძრის უღაბნო, ვითარ არა შესძრწუნდი, არამედ სიტუა სამე, წინამორბედო, და მასწაო, ვითარმედ: კმა უფლისაჲ ეგოდენ თუ ძლიერებით, არამედ დიდცა შეუნიერებით. და კუალად კმამან უფლისამან განამტკიცნის ირემნი და უფალმან წყალი რღუნისა დაამშდის და დააწყნარის. და ისმინო ხოლო, თუ უფალმან ძალი ერსა თესსა მოსცის, აწ დაედუმნე, ვითარცა ძლეული ამას სიტყუასა და სხუათა სახეთა გამოვეძიებდი“ (185 ო).

ამ მონაკვეთშიც ისევ ბიბლიური სახეები გავრცობილი: „კმამან უფლისამან განამტკიცნის ირემნი“ — ფსალმუნიდან მოხმობილი ადგილია. ამ გავრცობილ ადგილს, ტექსტობრივ მეტობას, დასკვნის სახით მოსდევს ფრაზა, რომელიც, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს აღნიშნული მეტობის კონტექსტში ლოგიკურად ჩართვას: „აწ დაედუმნე, ვითარცა ძლეული ამას სიტყუასა და სხუათა სახეთა გამოვეძიებდი“.

ტექსტის გავრცობა კიდევ სამ ადგილას დასტურდება. ესენია მუხლები 36, 73 და 74. ამ ადგილებშიც გავრცობილია სახარებისეული ციტატები.

გარდა ასეთი შედარებით დიდი მონაკვეთებისა, დასტურდება შემთხვევები, როცა ქართულ თარგმანში მეტია სიტყვები და წინადადებები:

III, 7: „მადლი და სიწმიდმ იყოა?“ ორიგინალშია მხოლოდ **καθάραις**.

XVI, 85: „სიმციროთა ამსგავსა იგი ცომსა და მარტულსა მდოვეისასა“. „ცომსა“ არ არის არც ორიგინალში, არც სხვა თარგმანებში.

თარგმანში მეტია მიმართვები წინადადების დასაწყისში:

XX, 106: „არ მოვედით, საყუარელნო“.

I, 1. „ძმანო ჩემნო საყუარელნო“.

XX, 107: მეტია ფრაზა: „და მოვისპოთ ყოველი უკეთურება და თავთაგან ჩუენთა“ (185 ო).



ერთ-ერთ მეტობაზე საგანგებოდ შეეჩერდებით:
 ორ ადგილას სამების წევრების ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობიან
 სას მრავალთავის ქართულ ტექსტში ჩამატებულია სიტყვა „სწორ“.

§ XI, მ. 46: „ღმერთი ოდეს ვთქუა, ნათლითა გამობრწყინდით სამებით...
 არცა სწორებისაგან დაკლებით“. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სამების წევრებზე
 საუბრისას, არ უნდა დაგვევიწყდეს მათი „სწორება“.

§ XI, მ. 48: სამების წევრებს: „არცა ერთობითა მით შევარწყუამთ, არცა
 განყოფითა ერთი-ერთსა განვაშორებთ, არამედ ყოვლად სწორ-მცა“. აქაც
 მეტია სიტყვები „ყოვლად სწორ-მცა“.

ის ფაქტი, რომ მრავალთავის ტექსტში ორ ადგილას სამების წევრების
 მიმართ ჩამატებულია სიტყვები, რომლებიც მათ „სწორებას“ გახაზავს, ამ
 სიტყვების ავტორის თეოლოგიურ პოზიციას ამჟღავნებს. ხაზგასმულია, რომ
 სამების წევრები სწორნი არიან. ცნობილია, რომ ეს მწვევე საკითხი იყო არი-
 ნობასთან დისკუსიების დროს. მართლმადიდებლური მრწამსი თავგამოდებით
 იცავდა სამების წევრთა სწორობის იდეას. მრავალთავის ტექსტში ამ მომენტ-
 ზე ხაზგასმით კეთდება აქცენტი.

III. გარდა ტექსტის გავრცობისა, მრავალთავის თარგმანში გვაქვს შემო-
 კლების შემთხვევები. შეიძლება ითქვას, რომ მრავალთავის ტექსტი საგანგე-
 ბოდ არის შემოკლებული, მთლიანად იგი თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე
 ორიგინალი.

შემოკლებანი სხვადასხვა ხასიათს ატარებს.
 არის შემთხვევები, როცა რაღაც აზრის შემცველი კონტექსტი მთლიანად
 გამოტოვებულია და არის შემთხვევები, როცა აზრი შეკუმშულად, მოკლედ
 არის გადმოცემული.

ა. მრავალთავის ტექსტს აკლია ცალკეული მუხლი ან რამდენიმე მუხლისა-
 გან შემდგარი მონაკვეთები.

არ დასტურდება §§ III—VI, რომლებშიც წარმართულ-მითოლოგიური
 სახეებისა და ჩვეულებების შესახებ არის მსჯელობა. ასევე არ დასტურდება
 § 7, რომელშიც ლაპარაკია იმ დიდ ვნებასა და სულიერ შეცოდებაზე, რომ-
 ლებსაც აღამიანში იწვევს კერპებისა და წარმართული ღმერთებისადმი თაყვა-
 ნისცემა.

მრავალთავის ტექსტში თარგმნილია ნაზიანზელის ერთი ფრაზა (§ III, 7),
 რომლითაც შეფასებულია წარმართული შეხედულებანი: „ნუუკუე ესოდენი
 რაჲ მადლი და სიწმიდჳ იყო-ა ძუელსა მას შჯულსა, ოდეს-იგი სისხლი იკუ-
 რებოდა, გინა თუ ნაკარი იგი დიაკუელთაჲ?...“ საყურადღებოა, რომ ნაზიან-
 ზელის ამ ფრაზას ქართულ თარგმანში დართული აქვს დამოძღვრითი შეგო-
 ნება: „შეჰვაეს მათა, რაჲთამცა გონიერთაგან ისწავეს და ესევეთარსა საცთურსა
 განეშორნეს“ (182r^b).

წარმართულ-მითოლოგიური ადგილების გარდა გამოტოვებულია ზოგი
 ისეთი ადგილი, რომელიც მართლმადიდებლურ გააზრებას შეიცავს. ქართულ
 თარგმანში აკლია § X, 37—39. ამ ადგილას ლაპარაკია იმის შესახებ, რომ
 განწმენდის შემდეგ საჭიროა სათნოების დაცვა, რათა ბოროტი სული ისევ არ
 დაემკვიდროს აღამიანში.

მრავალთავის თარგმანს აკლია § XII, 51—55, რომლებშიც სამების წევრთა
 სპეციფიკურ თვისებებზეა საუბარი. აკლია XIII, 60, რომელშიც ლაპარაკია
 ქრისტეს განხორციელების შემდგომ ბუნებაზე, აქ ლაპარაკია იმ კატაფატიკურ-
 აპოფატიკურ თვისებებზე, რომლებიც შერწყმულია ქრისტეში. ასევე შემოკლე-
 ბულია შემდეგი ადგილები: II, 3, 5; VIII, 27; IX, 34, 35; XI, 43; XIII, 57;
 XIV, 63; XV, 76; XVI, 82, 83; XVII, 87; XVIII, 96—100; XIX, 101—105.

საგულისხმოა, რომ ტექსტის ნაკლებობა უფრო იმ ადგილებშია, სადაც გადაადგილებული მუხლებია (§§ XIV—XVI).

ბ. ქართულ თარგმანში დასტურდება კლების ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე ადგილი შეკუმშულად, ლაკონიურად არის გადმოცემული. ჩვეულებრივ, შემოკლებულია ის ადგილები, რომლებშიც თეოლოგიური (დოქტრინალური) ხასიათის მსჯელობები დასტურდება. ნაზიანზელის ღრმა თეოლოგიური აზრი, რომელსაც ეფთვივით მთაწმიდელი და ეფრემ მცირე ყველა ძირითადი ნიუანსის დაცვით თარგმნიან, მრავალთავში გადმოცემულია მარტივი, უბრალო მკითხველისთვის გასაგები სახეებით. იფულისხმება, რომ ამ ადგილებში სწორი მართლმადიდებლური გაგება დარღვეული არ არის, უბრალოდ რთული სპეციფიკური მსჯელობა გამარტივებულია.

ერთ ადგილას (VIII, 28—31) ნათქვამია, რომ ყოველი სიბრძნის დასაბამი არის უფლის შიში (იხ. ეკლესიასტე I, 16; ფსალმ. 110, 10). ნაზიანზელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ ხედავს, მკვრეტელობა კი არ მიგვიყვანს შიშამდე, არამედ შიში მიგვიყვანს მკვრეტელობამდე, რადგან უკონტროლო აზროვნებამ შეიძლება უფსკრულში გადაჩეხოს კაცი. ამიტომ აუცილებელია უფლის შიშით განწმენდა და მხოლოდ ამ გზით ზიარება სულიერ კვრეტას. სადაც უფლის შიშია, საღვთო მცნებათა დაცვაც არის, ხოლო სადაც საღვთო მცნებათა დაცვა ხდება, იქ სხელი განიწმინდება სულზე მოხვეული ღრუბლისაგან. ხოლო სადაც სიწმიდეა, იქ საღმრთო ნათელის გამობრწყინებაც არის და უზეშთაესი სურვილების სრულებაც (πλῆρησαι:).

აი, ეს ვრცელი მსჯელობა, რომელშიც ბევრი თანხვედრა ჩანს დიონისე არეოპაგელისეულ ინიციაციასთან, მრავალთავის ტექსტში მოკლედ, სადაც არის თარგმნილი: „დასაბამი სიბრძნისაა შიში უფლისაა არს და შიში უფლისაა — მარხვაა მცნებათა და მარხვაა მცნებათა არს სიწმიდე კორცთა და სულსაა. მერმე კუალად იხილის ბრწყინვალებაა ღმრთისა და ეგრე კუალად სიყუარულსა შევარდეს დიდსა“ (182 v³). მრავალთავის თარგმანს აკლია: მკვრეტელობისა და საღმრთო შიშის შედარება, სიტყვები უმართავი ხედვის ბოროტებაზე, სულზე გარსმომხვეულ ღრუბელზე, განწმენდილთა ამაღლებაზე, პლერომაზე, როგორც საღმრთო გამობრწყინების შედეგზე.

მეორე ადგილას (XI, 49) შემოკლებულია არიოზისა და საბელიოსის მოძღვრებათა შესახებ მსჯელობა (მრავალთავის თარგმანში გამოტოვებულია ის სპეციფიკური საკითხი, რისთვისაც აკრიტიკებს მათ ნაზიანზელი (183 r^h). აქ აკლია მსჯელობა, თუ რის გამო უნდა უარყვით ეს ერესები. ესაა საბელიანოსობის შემრევლობა (იგი სამების წევრებს არ აცალკევებდა) და არიანობის განმყოფელობა (იგი არ ცნობდა სამების წევრთა ერთობას).

მრავალთავში ასევე შემოკლებულია მსჯელობა ნავატინობის ერესის შესახებ (§ XVIII, 93, 94). არის ზოგადი მსჯელობა ბოროტებისაგან განწმენდისა და მონანიების აუცილებლობის შესახებ (185 v*), მაგრამ კონკრეტულად ნავატის ერესი არ იხსენიება.

საფიქრებელია, რომ ამ სახის შემოკლებანი, როცა ესა თუ ის სპეციფიკური მსჯელობა მოკლედ, ლაკონიურად არის გადმოცემული, ქართველ მთარგმნელს შეიძლება ეკუთვნოდეს. გასაგებად რთული, დოქტრინალური ხასიათის მსჯელობანი მან მარტივად, ბიბლიური თხრობის სისადავით გადმოსცა.

IV. გარდა ორიგინალის ტექსტის გავრცობა-შემოკლებისა, ზოგი ადგილის გააზრება რაღაც ნიუანსებით განსხვავდება იმისგან, რაც ორიგინალში აქვს მას. თავისუფლება თარგმანში არაარსებითი განსხვავებების არსებობაში განიხილება.



მუხლი 59: როდესაც ძე ღმრთისა ძე კაცისა გახდა; **48:** „არა თუ რა-იგი იყო, შეცვალა (რამეთუ უქცეველ იყო), არამედ რა არა იყო, მიიღო“. **50:** „არა თუ რა-იგი იყო, შეცვალა (რამეთუ შეუცვალებელ არს), არამედ რა-იგი არა იყო, მიიღო“.

ამ ქრისტოლოგიურ აზრში ორი პლანი სახელდების გარეშეა გახაზული (რაც იყო, ის არ შეუცვლია და რაც არ იყო, ის მიიღო). მრავალთავის თარგმანში აღნიშნულ კონტექსტში გახსნილია ორიგინალში მინიშნებით ნათქვამი: „ართუ დამცირდების იგი დიდებისაგან, რამეთუ შეუძლებელ არს, დაღაცათუ მ.წ. ჯორცნი შეისხნა, არამედ ღმრთეებითა უვნებელ არს“ (183 v⁸).

მუხლი 48: **7:** „ხოლო მეტობათა და ნაკლულევანებათა მოვაკლდეთ“; **4:** „ხოლო მეტობანი და ნაკლულევანებანი მოვისპნეთ“.

აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სამების წყევრებს შორის უფროსობა და უმცროსობა არ არსებობს. მრავალთავში ამ კონკრეტული აზრის ნაცვლად მისი შეფასება მოცემული, როგორც დაუშვებელი ფაქტისა: „გარნა შეუძლებელსა მას თანა-წარუპყდეთ“ (183 r¹).

მრავალთავის ქართულ თარგმანში ზოგან გარკვეული უზუსტობანიც დასტურდება, რაც, ალბათ, იმას უნდა მივაწეროთ, რომ ესა თუ ის ადგილი მთარგმნელის მიერ სათანადოდ არ არის გააზრებული.

მუხლი 2: **4:** „წმიდაა ნათელთა დღე ... დასაბამად უკუე ჩემისა ქრისტეს ნათლისღებასა მიიღებს“. ასევეა **7-შიც**. ამ ადგილის აზრი შემდეგია: ნათლისღების დღე თავის დასაბამად ქრისტეს ნათლისღებას იღებს. მრავალთავში ამის საწინააღმდეგო აზრია გატარებული: „წმიდაა ესე დღე ნათლისღებისა... დასაბამი ჩემისა ქრისტესისაჲ არს“ (181 v¹¹).

მუხლი 5: კონტექსტში შემდეგი აზრია გამოთქმული: წინააღმდეგომი ძალი (ეშმაკი) ხილულ ადამს ებრძვის, ხოლო თვით იძლევა ღმრთისაგან. მრავალთავში ეს აზრი შემდეგნაირად არის გამოხატული: „ნათელი ბნელსა შინა იხილვების ამა საცხორებელსა ჯორცსა შინა და აწ ბნელითა მით იღევნების იგი და ვერ ეწეეს, გარნა მკდომსა მას ვიტყუ, იხილვების იგი, ვითარცა ადამ და მივალს იგი ურცხვნობით და უგუნურებით შევარდების იგი ღმრთისა ძალსა და იძლევის“ (182 r¹).

ცხადია, უხეირო თარგმანის წყალობით, აქ უზუსტობას აქვს ადგილი. მრავალთავის ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ მკდომი (ეშმაკი) კი არ ებრძვის ადამს, არამედ თვით არის ადამი.

მუხლი 56: **7:** აღივსოს ყოველივე დიდებითა ღმრთისაჲთა“; **4:** „აღივსნენ ყოველნი დიდებითა ღმრთისაჲთა“. მრავალთავშია: „აღივსო ყოველით კერძო დიდებითა ღმერთი“ (183 v⁷). გამოდის, დიდებით ივსება ღმერთი (რაც რწმენის თვალსაზრისით გაუმართლებელია) და არა პირიქით, ყოველივე აღივსება ღმრთის დიდებით.

V. ყველაზე მეტად, ჩვენი აზრით, საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როცა მრავალთავის ტექსტი ორიგინალისაგან სხვაობს აზრობრივად. ეს სხვაობანი აშკარად მსოფლმხედველობრივ შეფერილობას ატარებენ. იბადება კითხვა: ისინი ქართველი მთარგმნელის განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ პოზიციას გამოხატავენ და, ამდენად, მიზანსწრაფული, შეგნებული შეცვლის შედეგია, თუ ისინი ტექსტში გააზრებულ ჩარევას არ გულისხმობენ და გან-

⁸ 4-თი აღნიშნულია გრიგოლ ნაზიანზელის პომილის ეფრემ მცირისეული თარგმანი.
⁹ 7-თი აღნიშნულია ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანი.
 აღნიშნული ტექსტები პუბლიკაციისათვის მომზადებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ.



პირობებული არიან მრავალთავეს, როგორც სპეციფიკური კრებულის (სპეციფიკური კრებულის) თითო? ამ კითხვებს პასუხი რომ გავცეს, ვნახოთ რა შემთხვევებთან გვაქვს საქმე.

მრავალთავეს ქართულ თარგმანში მიჩქმალულია, არ ჩანს ადამიანის ზეციურ სასუფეველში ამაღლების იდეა. ნაზიანზელის Or 39-ის ძირითადი აზრი ის არის, რომ ნათლისღება არის საიდუმლო, რომლის გზით ზდება ადამიანის ამაღლება ზეციურ სასუფეველში. ნათლისღების საიდუმლოს მთლიან კონტექსტში იდეა — ადამიანის ამაღლების ანუ განდმრთობისა — ტექსტის რამდენიმე ადგილას მეორდება. C და 4 „აღსლვა“ და „ზეშთაღსლვა“ ტერმინებით გამოხატავენ ნაზიანზელის თეოლოგიური ცნებების — *ἀναγωγή*; და *ἀνάψασις*-ის მნიშვნელობებს. ყველა იმ ადგილას, სადაც ორიგინალში ამ სიტყვებით ან მათგან ნაწარმოები სიტყვებით მინიშნებულია ღმერთთან ამაღლების იდეა, მრავალთავეს ქართულ თარგმანში სთანადო შესატყვისები არ დასტურდება. ეს სიტყვები ან გამოტოვებულია, ან ამაღლების კონკრეტული აზრი შეცვლილია ზოგადად განწყობის აუცილებლობის შესახებ მსჯელობით.

მუხლი 27: *Ἦμιν δὲ ἀπαρ ἐχάρισθη.. τὸν ἄριστον ἡπεραναβήσας, πύνα παρὰσας.* C: „ღირს-ვიქმნენით... უზეშთაღს ყოფად ყოველთა ამით ხილულთა დაბადებულთა“; 4: „ხოლო ჩუენ [მოგუემადლა] ზეშთააღსლვა დაბადებულთაა“.

მრავალთავეში „ზეშთააღსლვის“ ნაცვლად წერია: „ამიერითგან ყოველი დაბადებული და ქმნული მისი გულისხმა-ყყოთ“ (182 r^b).

„ზეშთააღსლვის“ სპეციფიკური აზრი სახარებისეული სიმარტივით არის გააზრებული.

მუხლი 6: *ὡς ἂν γὰρ ἦ ἡρίθη; ὡς ἂν τὴν τὴν σαρὰν ἡψαμένους ἡπ τὴν ἡμετέραν φανῆς ἁπ; ἀναγωγή ἡ.* *ἀναγωγή* სპეციფიკური ტერმინი, რომლის მნიშვნელობაა „კერება“, „მედიტაცია“ (contemplation) C-ს თარგმნილი აქვს „ხარება“ სიტყვით, ხოლო 4-სთან — „აღყვანება“ სიტყვაა.

მრავალთავეში ეს ადგილი შემდეგნაირად არის თარგმნილი: „არა თუ ქუეყანისა რაე ნათლითა, არამედ ზეცისადათ განენათლდეთ, აწ ესოდენ ვკუქუამს და კუალად რაე მოგუცეს ღმერთმან, ვკუქუათ“ (182 r^b).

სპეციფიკური გამონათქვამი — *ἡψαμένους*... *ἡπ*... *ἀναγωγή* მრავალთავეში თარგმნილია მიახლოებითი აზრით: „ზეცის ნათლით განენათლდეთ“.

მუხლი 29: *ἐς ψῆσι ἀρῆσθαι;* C: „ჭერ-არს ... სიმაღლედ ... სულიერისა ზედვისა აღსლვად“; 4: „ჭერ-არს ... სიმაღლედ ამაღლებაა“. მრავალთავეში ეს ადგილი საერთოდ არ დასტურდება.

მუხლი 36: *ἡπεραναβὰς τὸ σῶμα ταπεινώσασθ;* C: „ოდეს-იგი იხილოს იესუ ... აღმაღლებითა სიმაღლედ სათნობათა“; 4: „რაყამს იესუ იხილოს... ზეშთააღსლვითა ჯორცთა სიმდაბლისათა“. მრავალთავეში ეს სიტყვები არ დასტურდება.

მუხლი 40: *ἀνάψασις ἐν τῇ ἁρῆν; ἡψαμένους;* C: „აღსლვა გულთა ჩუენთა დავიდვათ“; 4: „აღსლვა გულთა შინა დავიდვათ“. *ἀνάψασις*-ის შესატყვისად მრავალთავეში მორალისტური ფრაზა დასტურდება: „განვიწმიდნეთ გონებანი“ (182 r^b).

ზემოაღნიშნულიდან აშკარად ჩანს, რომ „აღსლვის“//„ზეშთააღსლვის“ თეოლოგიური გაგება მრავალთავეს თარგმანში გამოკვეთილი არაა. ეს ცნებები თარგმნილია მიახლოებითი აზრით ან სულაც გამოტოვებულია.



გვევითქმის თეოზისის ცნების შესახებ. ადამიანის ღმერთთან მიხედვით მის აზრი რომ მთლად ვარკვეული არაა, ან სულაც არ არის მისაღები მრავალ-
 თავის ავტორისთვის, ჩანს იქიდან, რომ ქართულად არ არის თარგმნილი ის
 ადგილები, რომლებშიც ადამიანის ღმერთის სახედ არსებობაზეა ლაპარაკი.

მუხლი 89: **ც**: „ვითარ არა ღმერთ არს, რომელი ნათელღებულთა ღმერთ
 ჰყოფს?“. **ყ**: „ვითარ არა ღმერთ არს, რაათა მცირედ გარეწარმხედველ ვიქმნე,
 რომლისა მიერ შენცა ღმერთ იქნები?“.

ეს ადგილი, სადაც ნათელღებულის ღმერთად ქცევაზეა ლაპარაკი, მრავალ-
 თავის ტექსტში თარგმნილი არაა.

მუხლი 42: **ც**: „განვიწმიდნეთ თავნი თესნი და განვკმზადნეთ და ღმრთიე-
 შეუნიერ ვიქმნეთ“: **ყ**: „წინა-სრულ ვიქმნებოდით სიტყუსად, რაათა უფროს-
 ლა რაათმე თავთა ჩუენთა ქველისმოქმედ ვექმნეთ ღმრთის-სახე ქმნითა“.

ადამიანის ღმრთის-სახედ ქმნის შესახებ აზრი მრავალთავეში გამოარტივე-
 ბულია: „პირველად განვწმიდნეთ და შემდგომად სიტყუად ვიწყით და თავსა-
 ცა თესსა სარგებელ ვეყენეთ“ (183 r¹).

მრავალთავეში გამოტოვებულია **მთხზნეც**, რაც ადამიანის მიმართ არის
 ნაზარი.

ის ფაქტი, რომ მრავალთავეს ქართულ თარგმანში ასახვა ვერ პოვა ორიგი-
 ნალის იდეამ ადამიანის თეოზისის შესახებ, საკმაოდ საყურადღებოა, რად-
 განაც ცნობილია, რომ ამ საკითხში ქრისტიანობა მკვეთრად დაუპირისპირდა
 იუდეველთა რელიგიას, რომლისთვისაც უცხო იყო ადამიანის ამალღება ზე-
 ციურ სასუფეველში, მისი თეოზისი.

ჩვენ თავს ვიკავებთ შორს მიმავალი დასკვნებისაგან, კერძოდ მრავალთა-
 ვის თარგმანზე რაიმე გავლენების აღიარებისაგან, რადგან ამ საკითხს შემდგო-
 მი შესწავლა სჭირდება. მით უმეტეს, საფიქრებელია, რომ ამ სახის აზრობრი-
 ვი განსხვავებანი გავლენებით კი არ აიხსნას, არამედ იმით, რომ მრავალთავეს
 ტექსტის ანონიმი მთარგმნელი სათანადოდ არ იყო გაწაფული თეოლოგიაში.

საკითხავის მთარგმნელის არასათანადო განსწავლულობას თეოლოგიურ
 საკითხებში უნდა ამქლავებდეს ის ფაქტიც, რომ მის მიერ ჭეროვნად არ არის
 გააზრებული ლოგოსის უძირითადესი მნიშვნელობა, როგორც უზენაესი პირ-
 ველ საწყისისა. სხვანიირად ვერ ავხსნით იმას, რომ ლოგოსის ამ მნიშვნელო-
 ბით ხმარების 7 შემთხვევიდან სამ ადგილას „ლოგოსის“ ფარდად არაფერია
 თარგმანში. ესენია II, 6; IX, 36; XVI, 79. დანარჩენ შემთხვევებში „ლოგოსი“
 თარგმნილია, როგორც „სიტყვა“, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ არის „უზენაე-
 სი საწყისი“, რაც გააჩნია მას ორიგინალის სათანადო ადგილებში.

ერთ შემთხვევაში ფრაზა, სადაც „ლოგოსი“ დასტურდება, საკმაოდ ბუნ-
 ლოვნად არის თარგმნილი და ნებისმიერი გააზრების საშუალებას იძლევა:
 „ოციცა სიტყუაა საშინელ ბუნებისა უღირსებისა მისთჳს პირველისა“ — X, 37.
 ამ კონტექსტის აზრი ეფთჳმეს თარგმანით ასეთია: „თავადი იგი სიტყუაა
 ღმრთისაა საშინელ არს ბუნებით უღირსთათჳს და სახიერ არს კაცთმოყუა-
 რებით ღირსთათჳს“.

ერთგან, „სიტყვას“ აქვს ჩვეულებრივი, ყოფითი გაგება, ანუ დღევანდელი
 სიტყვის მნიშვნელობა: „პირველად განვწმიდნეთ და შემდგომად სიტყუად
 ვიწყით და ... სიტყუანი შევიწყნარნეთ“ — X, 42. „სიტყუად ვიწყით“ და
 „სიტყუანი შევიწყნარნეთ“ (მრავლობითი რიცხვის ფორმა) აბსოლუტურად
 გამორიცხავს იმას, რომ ამის მთქმელს „სიტყვა“ ლოგოსის, უზენაესი საწყის-
 ის მნიშვნელობით აქვს გააზრებული, როგორც ეს არის ორიგინალში და **სყ**,
 თარგმანებში.

ერთგან „სიტყვა“ იხმარება ბერძნული *φύνη*-ს შესატყვისად. იხ. II, 3. **სი** ამ ადგილას არის „კმა“.

ერთადერთ შემთხვევაში, სადაც *Λόγος* არის ქრისტეს სახელი და ღირსიპირებულია „კმასთან“, რომელიც არის იოანე ნათლისმცემლის სახელი, „სიტყვას“ აქვს ღმერთის მნიშვნელობა: „ეტყოდა ... *სიტყუა* იგი კმასა“ — XV, 74.

მრავალთავის ქართული თარგმანი საყურადღებოა თეოლოგიური ცნებების გამოხატველი ტერმინების თვალსაზრისით. თეოლოგიური ცნებები ძირითადად ზუსტად არის გააზრებული, მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როცა რთული თეოლოგიური ხასიათის მსჯელობა თარგმანში საკმაოდ ბუნდოვნად არის წარმოდგენილი და შეიძლება უზუსტობასაც ჰქონდეს ადგილი.

ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ტექსტის ერთი ადგილი, სადაც წმ. სამების დოგმაზე არის მსჯელობა.

წმ. სამების დოგმა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით საკამათო იყო ნაზიანზელის ეპოქისთვის. IV საუკუნე „ტრინიტარული“ საუკუნის სახელით არის ცნობილი. ახლად ჩავლილი იყო საბელიოსის ერესის კრიტიკა და დღის წესრიგში იდგა მეორე დიდი ერესის — არიანობის — უარყოფის აუცილებლობა. ამავე დროს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიან თეოლოგებს შორის კამათი მომდინარეობდა წმ. სამებაში ერთობისა და განსხვავების ტერმინოლოგიურ გამოხატვასთან დაკავშირებით. აღმოსავლენი მიმართედნენ ტერმინს — *ἰνότησιν*, ჰიპოსტასის-ს, ხოლო დასავლენი — *πρόσωπον*, პროსოპონ-ს. ორივე მხარე იზიარებდა იმ აზრს, რომ არსების ერთობასა და ჰიპოსტასების განსხვავებაში რომელიმე მათგანს არ უნდა ჰქონოდა უპირატესობა: წმ. სამებაში თანაბრად და სწორად არის ბუნებით ერთობა და ჰიპოსტასებით განსხვავება. საბოლოოდ, ტერმინოლოგიური თანხმობაც მიღწეულ იქნა. ორივე მხარემ ცნო ჰიპოსტასისა და პროსოპონის კანონიერება და სინონიმურობა.

აი, ზუსტად ამ საკითხს ეხება Or 39-ის აღნიშნული ადგილი. გრიგოლ ნაზიანზელი აქ აერთიანებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის თეოლოგოსთა შეხედულებებს წმ. სამების ტერმინოლოგიურ გამოხატვასთან დაკავშირებით: ამავე დროს აკრიტიკებს საბელიოსის შემრევულობას (რადგან იგი წმ. სამების ჰიპოსტასებით დაყოფას არ ცნობდა) და არიოზის განწყოფელობას (რადგან იგი სამების ღვთაებით ერთობას არ ცნობდა). ნაზიანზელისა (და მართლმადიდებელი ორთოდოქსების) მიხედვით სამების წევრება შეერთებულნი არიან „ვეუზავეებლად და განყოფილნი არიან განუწყვალებლად. მივმართთ ტექსტს“:

XI, 46—XII, 50: [ა]. „ღმერთი უკუე რაჟამს ვთქუა, ერთითა ნათლითა ეღვარებდით და სამითა; სამითა — თვთებათათჳს გინა გუამოვნებისა (*ἰνότησιν*), რაჲცა ვისდა საყურარელ წოდებდა; ანუ თუ პირებისა (*πρόσωπα*) (რამეთუ არღარა უღლისგმბრძოლობთ სახელთათჳს, ვიდრემდის თვთ მის გულისკმის-ყოფისა მისისა მიგუყვანენ მარცულებთა); ხოლო ერთითა — არსებისა *ἰσότησιν*; სიტყვასათჳს, გინა თუ ღმრთიებისა (*θεότηῶν*). [ბ.]. რამეთუ განიყოფვის განუყოფელად, რაჲთა ესრეთ ვთქუა, და შეიერთების განყოფილად; რამეთუ

10 ტექსტი მოგვყავს ევრემ მცირის თარგმანის მიხედვით იმ მიზეზის გამო, რომ იგი ყველაზე ახლოს არის ბერძნულ ორიგინალთან. ვინაიდან საილუსტრაციოდ მოყვანილი ფრაგმენტი საკმაოდ ვრცელია, იგი ოთხ მონაკვეთად (ა, ბ, გ, დ) დავეყიეთ, მასში განხილული საკითხების მიხედვით. ასეთი დაყოფა მეტ თვალსაჩინოებებს ქმნის და ტექნიკურად აადვილებს მასთან მრავალთავის შესაბამისი ადგილის შედარებას.

ერთ (έν) არს სამთა შინა ღმრთეებამ და სამივე — ერთ, რომელთა შინა ღმრთეებამ, ანუ უგანკრძალულესად იტქუმიოდენ, რამ-იგი არს ღმრთეებამ. [გ]. ხოლო მეტობანი და ნაკლულევანებანი მოვისპნეთ, არცა ერთობამ (ένσσιν) შერვესა (რუჩხანი) ვყოთ, არცა განყოფა (ნი:აίρεσι) — უტხო-ყოფა (ἀλλοτρισι) განწყენედ ჩუენ სწორებით საბელიოის შემრეველობამ და არიოის განწყოფელობამ, გარემზომნი (ნი:ამეტრს) ბოროტებითა და ერთსახენი (ნი:სίμα) უღმრთოებითა, რამეთუ რად უტქმს ღმერთსა ანუ შერწყუამ (συναίφει) ბოროტად, ანუ განჭრამ (κατατριμει) უსწოროებად? [დ]. ხოლო ჩუენდა ერთ (εις) — ღმერთი მამამ, რომლისაგან ყოველი (ἐξ οὗ τὰ πάντα) და ერთ-უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ ყოველი (δι' οὗ τὰ πάντα) და ერთ-სული წმიდამ, რომელსა შინა ყოველი (ἐν ᾧ τὰ πάντα). ვინამცა „რომლისაგანი“ და „რომლისამიერ“ და „რომლისაშინამ“ არა ბუნებათა განსჭრიან (რამეთუ არამცა მიმოიკვალეზოდეს წინადადებანი ესე და წესნი სახელთანი), არამედ გამოხატვენ ერთისა და შეურვენელისა ბუნებისა თვებათა (ნი:σθηαζ)“.

აღნიშნული ფრაგმენტი მრავალთავის თარგმანის მიხედვით ასე იკითხება: [ა]. „ღმერთი ოდეს ვთქუა, ნათლითა გამოზრწყინდით სამებით და, — რომელსამე თითოეულად და ერთმალ, არა თუ რამ სახელ-დებითა ანუ განგებითა, ანუ პირნი (არათუ სახელით აცილობდეთ, არცა სწორებისაგან დაკლებით, ვ-თარმედ არა მას გონებასა ზედა მივიწიენით); — ერთითა, ვითარცა საუნჯისა მის სიტყვათა და ღმრთეებითა. [ბ]. განიყოფვის განუყოფელად, რამათა ესრეთ ვთქუა, და ერთ არს განყოფილისაგან; რამეთუ სამებამ არს ღმრთეებამ და სამებამ — ერთ და ერთღმრთეებამ, და რამათა უტქემზარტესად-რე ვთქუა, მარადის ღმერთი. [გ]. გარნა შეუძლებელსა მას თანა-წარვკვდეთ, არცა ერთობითა მით შევარწყუამთ, არცა განყოფითა ერთი-ერთსა განვაშორებთ, არამედ ყოველად სწორ-მცა. და გან-მცა-გუეშორების ჩუენგან საბელიანოზთა და არიანოზთა გონებამ ამას შინა. [დ]. გარნა ჩუენდა ერთი ღმერთი: მამამ, რომლისაგან ყოველი, და ერთი — უფალი იესუ ქრისტე, რომლისაგან ყოველი, და ერთი — სული წმიდამ, რომლისაგან ყოველი“.

პირველი მონაკვეთი [ა] საკმაოდ ბუნდოვანია მრავალთავის თარგმანში. ორიგინალში პირველსავე წინადადებაში მოცემულია ანტინომია: ღმრთის სახელს როცა ვამბობ, განათლდებით ერთი და სამი ნათლით; და შემდეგ განმარტებულია, თუ რას ნიშნავს სამისა და ერთის ანტინომია. მრავალთავში პირდაპირ სამებისა და ერთის განმარტებაა. შემდეგ, ორიგინალში ორ ტერმინს ახლავს ჩართული წინადადებები, რომლებშიც ავტორი, გრაგოლ ნაზიანზელი, თავის დამოკიდებულებას ამჟღავნებს ამ ტერმინების გამოყენების მიმართ. ეს ტერმინებია: 1. გუაოვნება (თუ ვინმეს ასე მოსწონს) და 2. პირი (არ გვა-ნათობთ ტერმინების გამო, სანამ სიტყვები ერთსა და იმავე გაგებას გვაძლევენ). მრავალთავში ეს წინადადებები განსხვავებული აზრით, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ბუნდოვნადაც არის თარგმნილი.

მომდევნო [ბ] მონაკვეთში, ორიგინალის მიხედვით, ერთი და სამი უპირის-პირდება ერთმანეთს: ერთი სამშია და სამივე ერთია. მრავალთავის ტექსტში კი არის არა სამი, არამედ „სამებამ“. სამებამ სამის ერთიანობას, ე. ი. სუბსტანციის ერთობას, აღნიშნავს. არადა, აქ სწორედ სამი ჰიპოსტასის ცალ-ცალკე არსებობაზე, სამის პიროვნულ თვისებებზე კეთდება აქცენტი, — სამი, რომელიც ერთის ანტინომიაა. ამიტომ მრავალთავის „სამებამ არს ღმრთეებამ და სამებამ — ერთ“. არ არის ისეთი ზუსტი თარგმანი, როგორც გვაქვს ეფრემის თარგმანში: „ერთ არს სამთა შინა ღმრთეებამ და სამივე — ერთ“.



დაბოლოს, მოყვანილი ფრაგმენტის ბოლო [დ] მონაკვეთში ნიველირებულია ის ინდივიდუალობა, რითაც სამების წვერები ერთმანეთისგან სხვაობენ. კერძოდ, ეუკონომიის თვალსაზრისით, ყოველივე არსებობს მამისაგან, ძის მიერ და სულიწმიდის მეოხებით. წმ. სამების წვერთა შორის განსხვავებაზე ლაპარაკია: 51-ე — 55-ე მუხლებში. იგი ემყარება იმ ერთადერთ სხვაობას, რომელიც წმ. სამების წვერთა წარმომავლობას უკავშირდება. ეს არის მამის უშობელობა, ძის შობადობა და სულიწმიდის გამომავლობა. აღნიშნული მუხლები მრავალთავეში საერთოდ არ დასტურდება. იგი ქართველ ავტორს არ უთარგმნია. რაც შეეხება ზემოხსენებულ ფორმულირებას, იგი ოღონდ თარგმანებში ასე იკითხება: „მამა, რომლისაგან ყოველი, ძე — რომლისა მიერ ყოველი და სული წმიდაა — რომლისა მიმართ ყოველი“.

სათანადო ადგილას ბერძნულ ორიგინალში წერია: $\psi\mu\iota\nu \delta\epsilon \epsilon\acute{\iota}\varsigma \mu\alpha\tau\epsilon\rho\varsigma \epsilon\grave{\iota} \pi\alpha\tau\epsilon\rho\varsigma, \epsilon\grave{\iota}\varsigma \sigma\acute{\iota}\nu \tau\acute{\alpha} \pi\acute{\alpha}\tau\epsilon\rho\alpha... \kappa\alpha\iota \epsilon\acute{\iota}\varsigma \alpha\grave{\nu}\theta\omega\varsigma \text{ } ^{\circ}\text{I}\eta\sigma\omega\varsigma; \text{X}\rho\iota\sigma\tau\acute{o}\varsigma \delta\epsilon\grave{\iota} \sigma\acute{\iota}\nu \tau\acute{\alpha} \pi\acute{\alpha}\tau\epsilon\rho\alpha... \kappa\alpha\iota \epsilon\grave{\iota}\nu \text{P}\nu\epsilon\mu\alpha \acute{\alpha}\chi\iota\sigma\tau\acute{o}\nu \epsilon\grave{\iota}\nu \theta\acute{\iota} \tau\acute{\alpha} \pi\acute{\alpha}\tau\epsilon\rho\alpha...$

ნახიანზელს აღნიშნული ფრაზა აღებული აქვს კორინთელთა მიმართ I ეპისტოლიდან (VIII, 6). ახალი აღთქმის მითითებულ ადგილას არც ბერძნულ ტექსტში, არც ქართულში არ ჩანს მესამე წვერი — სულიწმიდა¹¹. მაგრამ ბერძნულში ამ ადგილას კრიტიკულ აპარატში არის მითითება, რომ მესამე წვერი აქ ტრადიციით ყოფილა ჩართული. ზოგ გამოცემაში იგი დასტურდება¹².

აღნიშნული ფორმულა მრავალთავეს ქართულ თარგმანში შემდეგნაირად არის თარგმნილი: „მამაა — რომლისაგან ყოველი, უფალი იესო ქრისტე — რომლისაგან ყოველი და... სული წმიდაა — რომლისაგან ყოველი“ (183 რ^ბ).

წმ. სამების თითოეულ ჰიპოსტასზე ნათქვამია: „რომლისაგან ყოველი“. ამით აშკარად დარღვეულია ის პრინციპული თავისებურება, რომელიც წარმოადგენს სამების ჰიპოსტასთა სპეციფიკას განგებულების, ეუკონომიის აქტში, სადაც მამა გვევლინება, როგორც გამოცხადების მიზეზი; ძე, როგორც გამოცხადება, და სულიწმიდა, რომლის გზით ხდება გამოცხადება. „რომლისაგან ყოველი“ — ფორმულირება, რომელიც მხოლოდ მამას ეკუთვნის, მრავალთავეს მთარგმნელის მიერ გადატანილია ძეზეც და წმიდა სულზეც. ამით წაშლილია განგებულების აქტში მათი მონაწილეობის ინდივიდუალობა.

სხვათა შორის, ამ ფორმულირებაში ქრისტე — ძე ღმერთის მიმართ ნათქვამი $\delta\epsilon\grave{\iota}\nu$ ერთადერთი არ არის თვით ბერძნულ ტექსტებში. ამის დადასტურებას ვხვდებით ახალი აღთქმის ქართულ თარგმანებშიც. ეპისტოლეტა წიგნის AB რედაქციებში, რომლებიც უძველესად არის აღიარებული, იკითხება: „ერთი არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისათვის ყოველი“, ხოლო CD რედაქციებში (გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირისა) წერია: „ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი“¹³.

როგორც ჩანს, ამ ფორმულაში არსებულ განსხვავებულ წაკითხვებს გარკვეული პრეცედენტები ჰქონია. მათ რაღაც ტრადიცია განაპირობებთ. ასე რომ, შესაძლოა, ჩვენს ტექსტში არსებული წაკითხვა — სამივე ჰიპოსტასის მიმართ ნახშიარი „რომლისაგან ყოველი“ — ქართველი მთარგმნელის არა-

¹¹ Novum Testamentum graece, ed. XXVI, Nestle—Aland. Stuttgarti, 1981, pag. 453. პაულის ეპისტოლეტა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძიწენიძემ და კ. დანელიამ, თბ., 1974, გვ. 119.

¹² Novum Testamentum graece.

¹³ პაულის ეპისტოლეტა ქართული ვერსიები..., გვ. 119.



სთანადო კომპეტენტობით, მისი უხეირო თარგმანით კი არ აიხსნას, არა მდ რალაც წყაროს გავლენას მივაწეროთ. თუმცა ძნელი სათქმელია, აქ უბრალო გუაგებობასთან გვაქვს საქმე, თუ ფორმულირების შეგნებულ შეცვლასთან.

ასეთია, მრავალთავეში არსებული Or 39-ის ქართული თარგმანის თავისებურებანი. თავისუფალი თარგმანის შემთხვევები, ტექსტის მეტობა-ნაკლებობანი, რთული თეოლოგიური ხასიათის მსჯელობათა მარტივად გადმოცემა, ზოგან აზრის სხვაგვარად გადმოცემა — ყოველივე ეს შესაძლოა შემდეგნაირად აესხნათ:

1. შესაძლოა მრავალთავეის ქართული თარგმანის თავისებურებანი რომელიმე უცნობი წყაროთი იყოს განპირობებული. აქ გამოირიცხული არაა როგორც ბერძნულ ენაზე არსებული უცნობი რედაქციის არსებობა, ასევე სხვაენოვანი (სომხური, სირიული) თარგმანების გავლენა.

რამდენადაც ცნობილია, ბერძნულ ხელნაწერებში ნაზიანზელის ჰომილიათა მხოლოდ ერთი რედაქცია არის ცნობილი¹⁴. ამდენად, ქართული თარგმანის მსგავსი რედაქცია თუ არსებობს ბერძნულად, იგი ჯერ კიდევ საძიებელია.

ქართული თარგმანის წყაროდ სომხური თარგმანი გამოირიცხა. ილია აბულაძემ სავეებით სამართლიანად უარყო ქართული თარგმანის დღეს ცნობილი სომხური ტექსტიდან მომდინარეობის ფაქტი, სამაგიეროდ დაუშვა შესაძლებლობა, რომ ისინი მომდინარეობდნენ ისეთი სომხური დედნიდან, რომლებიც ვანსხვავდებიან დღეს არსებული ტექსტისაგან¹⁵.

ჩვენი დაკვირვებითაც, სომხური თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულ ორიგინალს, ხოლო მრავალთავეის ქართული თარგმანი თანაბრად განსხვავდება როგორც სომხურისგან, ისე ბერძნულისგან¹⁶.

ქართული თარგმანის სირიულ თარგმანთან შედარების საშუალებას მოკლებული ვართ, რადგან სირიული ტექსტი გამოცემული არაა. არადა, სირიული ტექსტის ვათვალისწინება აუცილებელია, რადგან როგორც სირიული თარგმანების მკვლევარი ა. ჰალო შენიშნავს, სირიულში დადასტურებულია ნაზიანზელის ჰომილიათა საყურადღებო რედაქციები, რომლებშიც აისახა ბერძნული ტექსტის ხანგრძლივი რედაქტირების პროცესი¹⁷. ა. ჰალოს სიტყვებით, სირიულ ხელნაწერებში დღეს სამი რედაქცია დასტურდება: S¹ — ძველი ვერსია; S² — ახალი ვერსია და უძველესი სახეობა, რომელიც დატულია T ხელნაწერში (VIII ს-ის დასაწყისი). მკვლევრის შენიშვნით, ამ რედაქციებში დატულია ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებული წაკითხვები სხვადასხვა ხასიათისა, მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათის განსხვავებიდან დაწყებული დოქტრინალური ხასიათის კორექტივებით დამთავრებული.

ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სირიულ თარგმანში ნაზიანზელის ჰომილიებს ადრეული ხანიდანვე (VI—VII სს.) განუცდიათ რედაქტირება.

¹⁴ ამის შესახებ ზეპირი ცნობა მოგვაწოდა გრიგოლ ნაზიანზელის ბერძნული ტექსტების საუკეთესო მკვლევარმა იუსტინ მოსვიმ.

¹⁵ ი. აბულაძე, მრავალთავე, შრომები, 111, თბ., 1982, გვ. 39.

¹⁶ ესარგებლობთ ილ. აბულაძის მიერ გადაწერილი სომხური ტექსტით. იხ. ილ. აბულაძის არქივი, № 320 (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

¹⁷ A. Halleux, La version syriacque de Grégoire de Nazianze, Studien zur Geschichte und Kultur des Altertums. 2. B. II, Symposium Nazianzenum. Louvain-la-Neuve, 1981, გვ. 75—111.



ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩნდება აუცილებლობა, რომ მრავალთავის ქართული ტექსტის თავისებურებანი მათთან მიმართებითაც იყოს განსივლელი. ეს კი, რასაკვირველია, სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

2. მრავალთავის ქართული თარგმანის თავისებურებანი შესაძლოა უცხო წყაროს გავლენით კი არ ავსხნათ, არამედ ქართველი მთარგმნელის შემოქმედებით ინიციატივას მივაწეროთ: ბერძნული ტექსტი მაქსიმალურად თავისუფლად არის თარგმნილი.

3. ყველაზე მთავარი და საგულისხმო ქართული თარგმანის რაობის დადგენისას, ჩვენი აზრით, მაინც ის არის, რომ საკითხავი მრავალთავის კრებულში გვხვდება.

კრებულის სპეციფიკა (იგი მკითხველთა ფართო მასისთვის იყო გამიზნული): ლიტურგიკული მსახურებისთვის საკითხავების შერჩევა, მათი კრებულის მიზანდასახულობისთვის შორგება, ამ მიზნით საკითხავების ტექსტების რედაქტირება — ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს იმ მთავარ გასაღებს, რითაც უნდა მივუდგეთ Or 39-ის მრავალთავისეულ ტექსტს. ვფიქრობთ, რომ ტექსტისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ამ ნიადაგზე უნდა აიხსნას. მრავალთავის კრებულის მთარგმნელმა თუ შემდგენელმა ტექსტი საგრძნობლად შეამოკლეს (განსაკუთრებით კონკრეტული ხასიათის მსჯელობების ხარჯზე), ამავე დროს რამდენიმე სახარებისეული ადგილი გაავრცეს, მთელი ტექსტის მანძილზე აზრი გაამარტივეს, რთული თეოლოგიურ-დოქტრინალური მსჯელობანი სადად, სახარებისეული გამჭვირვალობით გადმოსცეს და ამ გზით ტექსტი წასაკითხად თუ მოსასმენად ადვილად აღსაქმელი გახადეს. თარგმანისთვის დამახასიათებელ სისადავესთან ერთად იქ არსებული ზოგი უუსუსტობა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ Or 39-ის თარგმანი მრავალთავის კრებულის საქმოდ ადრეული პლასტია.

კ. კეკელიძე ნაზიანზელის Or 38 და Or 39-ის მრავალთავის თარგმანებს IX—X სს-ს აკუთვნებს¹⁸.

მ. ვან ესბროეკი, როცა მიმოიხილავს ქართულ უძველეს ჰომილიებს, მიიჩნევს, რომ ამ მრავალთავების უძველესი პლასტი (რომელთა შორის უნდა გიგულოთ Or 38 და Or 39) V—VII საუკუნეებს განეკუთვნება¹⁹.

ჩვენც ამ აზრს ვიზიარებთ. Or 39-ის ტექსტი ადრეულ თარგმანს წარმოადგენს. თარგმანის ზემოთ აღნიშნულ თავისებურებებთან ერთად ამას მხარს უჭერს თარგმანის ტერმინოლოგია. რამდენიმე თეოლოგიური ცნებისათვის რსეთი ქართული შესატყვისი დასტურდება, რომელთა ხმარება ადრეულ პერიოდშია მოსალოდნელი (საუნჯე — უსია, ერთძალი — ჰიპოსტასი).

ამრიგად, ქართულ მრავალთავებში დაცული Or 39-ის თარგმანი რედაქციულად სრულიად განსხვავებულ ტექსტს წარმოადგენს, ვიდრე ბერძნული ირიგინალითა და სხვა თარგმანებით არის ცნობილი.

მრავალთავის ქართული ტექსტის რედაქცია ქართულ ნიადაგზე ჩანს შექმნილი. გამოირჩეული არაა უცხო წყაროს გავლენა, მაგრამ უფრო სავარაუდოა მისი ქართულშივე გაფორმება ამ სახით.

Or 39-ის მრავალთავის თარგმანი უფრო ადრეულ ხანას განეკუთვნება, ვიდრე IX—X სს-ია.

¹⁸ კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ტაო-კლარჯეთის უცხო მთარგმნელთა ნაშრომნი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, ტფ., 1928, გვ. 120.

¹⁹ M. Van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, Étude descriptive et historique (Publications de l'Institut Orientaliste de Louvain, 10), Louvain, 1975, გვ. 186, 203—204, 217, 348—349.



ცხადია, ეს საკითხები საბოლოოდ გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს ნაზიანზელის Or 39-ის ტბეთისა და პარხლის მრავალთაგანის საერთო მომდევნო დელში მოქცევისა და სხვა საკითხებთან კომპლექსური შესწავლის შედეგად.

М. А. РАПАВА

ГОМИЛИЯ «О КРЕЩЕНИИ» (Or 39) ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА
В ГРУЗИНСКИХ СБОРНИКАХ «МРАВАЛТАВИ»

Резюме

В древних сборниках «Мравалтави» встречаются две гомилии Григория Назианзина Or 38 «О рождении Христа» и Or 39 «О крещении Господа нашего Иисуса Христа».

В грузинской письменности имеются три перевода гомилии 39. Самый древний из них находится в «Мравалтави». Вторым перевод принадлежит Ефимию Мтацмидели, следующий осуществлен Ефремом Мцире.

Из древних сборников «Мравалтави» Or 39 встречается в двух списках: А-19 (X в.) и А-95 (XI в.). В обоих налицо текст одного и того же перевода, между ними имеются различия лишь вариантного характера.

Текст грузинского перевода выявляет довольно ощутимые расхождения с греческим оригиналом. Он представляет иную редакцию, нежели известную по греческому оригиналу.

Отход от оригинала прежде всего заключается в том, что текст в переводе сильно сокращен — он почти вдвое меньше, чем текст оригинала. Помимо сокращений, текст перевода местами (большая часть это евангельские места) распространенный. В переводе нарушена последовательность текста: переставлены параграфы оригинала.

Текстуальные изменения грузинского перевода выражаются и в некоторых различиях, носящих мировоззренческую окраску. Различия подобного характера можно объяснить как результат влияния неизвестного нам источника (в этом направлении следует продолжить исследование), или же следует приписать их специфике составления сборников «Мравалтави», заключающейся в редактировании чтений при их подборе с целью присовокупить эти чтения общему настрою сборника.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ლილია ნინიშვილი

 ერთი ასტრონომიული ეპიზოდი „ზაზ-ნამიდან“
 და მითები ზოდიაქოთა შესახებ

უბსოვარი დროიდან იზიდავდა ადამიანის თვალს ცის თაღზე გაბნეული მოციმციმე ვარსკვლავები და ცდილობდა მათი იდუმალების ახსნას. კაცობრიობამ თავისი არსებობის გრძელ გზაზე სამყაროს ბევრ პრობლემას მოჰფინა ნათელი, მაგრამ ლავარდოვანი ცის თალი დღესაც გამოცანად რჩება.

პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ჩვენი პლანეტის ლურჯ გუმბათზე უთვალავი ვარსკვლავია ქაოტურად გაბნეული. სინამდვილეში კი უჩიარლო თვალთ შესამჩნევ მნათობთა რიცხვი 6 ათასს არ აღემატება. ჩვ. წ. აღ-მდე რამდენიმე ათასწლეულის წინ ცის არეება, რომლებზედაც ვარსკვლავები დამახასიათებელ ფიგურებს ქმნიან, ცალკეულ თანავარსკვლავედებად დაანაწილეს. პირველად, უთუოდ, მონათლეს ისინი, რომლებიც უფრო ნათელ ვარსკვლავთა კრებულებს შეადგენდნენ და უბრალო თვალისათვის უფრო მისაწვდომნი იყვნენ. გაითვალისწინეს მათი „ამოსვლა“ და „ჩასვლა“, ერთობლივი მოძრაობა წლის სხვადასხვა დროს და შესაფერისი სახელებიც უწოდეს.

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მიერ დადგენილი თანავარსკვლავედების რიცხვია 88. მათგან 47-ის „ნათლობის ასაკი“ დაახლოებით 4500 წელია. უძველეს თანავარსკვლავედებს მიეკუთვნება ზოდიაქური თანავარსკვლავედებიც¹. ამ უკანასკნელთა განლაგება და გარჩევა ცნობილი იყო ეგვიპტელებისათვის ძვ. წ. 2500 წლის წინ (თუმცა ყველა ეგვიპტური სახელწოდება არაა ცნობილი). ძველმა ბერძნებმა გაიზიარეს თანავარსკვლავედთა ეგვიპტური დანაწილება, მაგრამ სახელები ბერძნული მითოლოგიიდან აიღეს. მათი რაოდენობა და სახელწოდებები შემოგვინახა ჰიპარქემ თავის ვარსკვლავთა კატალოგში (II ს. ძვ. წ.). ეს თანავარსკვლავედები აღწერა პტოლომემაც „ალმაგესტის“ სახელით ცნობილ შრომაში.

ზოდიაქურ თანავარსკვლავედთა რიცხვი თორმეტია. ყველა ასტრონომიულ-ასტროლოგიურ კალენდარში ისინი შემდეგი თანმიმდევრობით არიან წარმოდგენილნი: 1. ვერძი, 2. კურო (ხარი), 3. მარჩბივი (ტყუპი), 4. კირჩხიბი (კიბო), 5. ლომი, 6. ქალწული, 7. სასწორი, 8. ღრიანკალი (მორიელი), 9. შვილდოსანი, 10. თხის რქა, 11. მერწყული (წყლის საქანელი), 12. თევზი (თევზები).

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რატომ ეწოდა აღნიშნულ თორმეტ თანავარსკვლავედს ზოდიაქური? დასახლებული ტერმინი ბერძნულია — zodiakos kyklos (ცხოველთა წრე) და ნიშნავს ასტრონომიულ სარტყელს ციურ სფეროზე ეკლიპტიკის გასწვრივ, რომელზედაც გადაადგილდებიან მზე, მთვარე, დიდი და ზოგი პატარა ვარსკვლავი. ამრიგად „ზოდიაქო“ ნიშნავს ცხოველთა წრეს. მაგრამ, როგორც ჩვენ მიერ წარმოდგენილ ზოდიაქოთა რიგიდან ჩანს, ცხოველის სახელს ატარებს მხოლოდ შვიდი ნიშანი; ოთხი ადამიანის აღნიშვნელ სახელს წარმოადგენს (მარჩბივი, ქალწული, მშვილდოსანი, მერწყული); ერთი უსულო სახელია (სასწორი). საინტერესოა, აღნიშნული ასტრონომიული

1. ა. ბონოვი, მითები და ლეგენდები თანავარსკვლავედებზე, თბ., 1983, გვ. 7.



სარტყელისათვის მოცემული სახელის (ზოდიაქო ანუ ცხოველთა წრე) შერჩევა მხოლოდ ცხოველთა სახელების სიმრავლემ განაპირობა, თუ რაიმე სხვა მიზეზი უნდა ვეძებოთ?

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „ზოდიაქო (ზოდია) — ეგენი არიან სახელნი და ნიშანი მათნი და რომელთა თთვესა მიითვალავს მზე მათ: ვერძი თთვესა მარტსა 20 მიითვალავს მზესა; კურო — აპრილსა 20; მარჩბივი მისისა 21; კირჩხიბი ივნისსა 22; ლომი ივლისსა 23; ქალწული აგვისტოსა 23; სასწორი სექტემბერსა 23; ღრიანკალი ოქტომბერსა 23; მშვილდოსანი ნოემბერსა 22; თხის რქა დეკემბერსა 22; მერწყული იანვარსა 20; თევზი თებერვალსა 19“².

ქართულ მეტყველებაში ზოდიაქოს პარალელურად იხპარებოდა ბურჯა და ეტლი. ბურჯი (არ. ბორჯ.) — ზოდია, გინა ეტლი³. ვახტანგ VI ნითთებით, ბურჯთა ცახე „იარება 12 ეტლი“. მერვე ცა „ეტლის ცა არის, რომ სულ დამტკიცებული ვარსკვლავი იმაზედ არის“⁴. ულულ-ბეგის განმარტებით „ბურჯთა ცა არის წრე, რომელსაც შემოწერს მზე თავისი სვლის დროს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ერთ წელიწადში“⁵. მსგავსი ტრადიციებით მოძრაობენ დედამიწის გარშემო მთვარე და ვარსკვლავთა ნაწილი.

ეს ფაქტი კაცობრიობისათვის უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი. „ზოდიაქოში, ანუ ქართულად ცხოველთა წრეში, შემავალი ვარსკვლავთ გჯუფები, ან, როგორც მათ უწოდებენ: ვარსკვლავედებს, ვარსკვლავთ ეტლებს, ერთმანეთის მიყოლებით ისეა ცახე განლაგებული, რომ დედამიწის ირგვლივ ჩაქეტილ რგოლს, სარტყელს ქმნიან. ზოდიაქოს — ცხოველთა წრის — სახელები ძველ ბაბილონში ჯერ კიდევ ხუთიათასი წლის წინათ იყო ცნობილი“⁶.

წარმოდგენილი განმარტებანი ეფუძნებიან წმინდა ასტრონომიულ ცოდნას. ჩვენთვის მეტწილად საინტერესოა მათი ასტროლოგიური საფუძვლები. ასტრონომიის ბაზაზე აღმოცენებული ამ მეცნიერების წყალობით ანტიკური საბერძნეთის გონმა გაასულიერა მოციმიცმე ვარსკვლავები და ზოდიაქოებში თანდათანობით გამოისახა ზომორფული და ანთროპომორფული სურათები. ყოველი ზოდიაქალური ნიშანი მოგვაგონებს გარკვეულ ბერძნულ მითს. თითოეული მათგანი თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

ჩვენთვის საინტერესოა ზოდიაქოთა სახელები გვხვდება სპარსულ კლასიკურ პოემაში „შაჰ-ნამე“. ამჯერად შევხვებით ერთ ეპიზოდს ფირდოუსის და სახელგებელი თხზულებიდან. ირანის ხელმწიფე მანუჩეჰრი დარბაზობაზე იწვევს საამ ნარიმანს და მის ძეს ზაალს. მეფე ბრძანებს ასპარეზის მოწყობას, რათა დარწმუნდნენ ელბორზის მთაზე სიმურღის მიერ აღზრდილი ზაალის ჩუბინობასა და სიბრძნეში. ქურუმთა სამსჯავროს წინაშე წარდგა გმირი ზაალი. ურთულეს კითხვებზე ღირსეული პასუხის გაცემა, როგორც პოემიდან ჩანს, გონების ძლიერ დაძაბვას მოითხოვდა. ერთ-ერთი შეკითხვა ასეთი იყო:

„სხვამ ჰკითხა, რომ ახვრთებულ ზღვაზე ორ საროს აღმართავს თავი, როგორც ლერწამს.

მათზე ერთ ჩიტს დაუღია ბუღე: საღამოს ერთზე შემოქდება, გამოენისას — მეორეზე.

2 ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.
3 „ზიჯის“ ლექსიკონი, ხელნაწ. ინსტ. ნუსხა, H 457.
4 ათათი — ქმნულების ცოდნის წიგნი, ტფ., 1721.
5 თ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბ., 1990, გვ. 45.
6 გ. თ ე ვ ზ ა ძ ე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1984, გვ. 68.



როცა ამისგან (1) გაფრინდება, ფოთლი უხმება; იმაზე (2) დაფრინდება — მუშაობის სურნელს აფრქვევს.
 იმ ორთაგან ერთი მუდამ აყვავებულია, მეორე კი — მგლოვიარედ ჩამოშვებულია.⁷

კითხვის თანახმად, ზაალმა უნდა ახსნას, თუ რას ნიშნავს ორი სარო, რომელზედაც უტხო ფრინველს დაუღია ბინა და წესად ჰქონია გამთენიისას ერთი ეწვიოს, საღამოს — მეორეს. როცა პირველისაგან მიფრინავს ხე ხმება. მეორეზე იბუღებს და ისიც ნელსურნელს აფრქვევს. საოცარ პასუხსა და განმარტებას აძლევს ამ რთულ მეტაფორა-გამოცანას ზაალი:

„ახლა ჰარამიდან ის სიტყვა გეაშთქვით: ორ საროზე იმ ფრინველს რომ აქვს ბინა, ვერძის ბურჯიდან სასწორამდე სამყაროს სიბნელე აქვს დამალული; როცა მისგან კვლავ მობრუნდება და თევზისავენ წავა — [ახლა] ამისგან დაიძალბება სიბნელე.“

ის ორი სარო მაღალი [ციური] ჩარხის ორი ღერძია, რომლისგანაც ვართ მზიარულეობა და ნაღვლიანობა.
 იმ მფრინავ ჩიტში მზე შეიცანს საწუთროს მისით შეუცვნია შიშით და იმედოა.⁸

ამრიგად, მზე ყოფილა ის ჩიტი, რომელიც ცხოველთა ყველა ეტლს შემოივლის „ვერძის ეტლიდან სასწორამდე და კვლავ სასწორიდან თევზებამდე. როდესაც მზე ამ მხარესაა, ქვეყანა მზიარულია... ხოლო როდესაც მეორე მხარეს გადაადგილდება, სიმწვანის ადგილს სიყვითლე და სიმქვანარე იკავებს“⁹.

სირთულეს არ წარმოადგენს იმის დადგენა, რომ ხსენებული ციური ჩარხის ორ ღერძში წელიწადის ორ ნაწილად დაყოფა იგულისხმება. „ეკლიპტიკის ყველა ნაწილი ვერძის საწყისიდან სასწორის საწყისამდე ზენიტის ჩრდილოეთით, ხოლო სასწორის საწყისიდან ვერძის საწყისამდე ზენიტის სამხრეთით გაივლის. პირველ შემთხვევაში ეკლიპტიკის ჩრდილოეთი პოლუსი „მიწას ქვეშ“ და სამხრეთი პოლუსი „მიწას ზეით“ იქნება, ხოლო მეორე შემთხვევაში შებრუნებული მდგომარეობა მიიღება“¹⁰. პოლუსების „მიწას ზეით“ და „მიწას ქვეშ“ განლაგება ვგაძლევს ტემპერამენტითა და მზიურობით შედარებით მსგავსი ხასიათის სეზონებს: გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. მზე ვერძის ეტლზე შეჭდება 21 მარტს და იწყება გაზაფხული (შემთხვევით არაა, რომ ისლამურ აღმოსავლეთში, მათ შორის ირანშიც, ახალი წლის დადგომას სწორედ ამ დღეს დღესასწაულობენ). ამ დროიდან იწყებს მოლონერებას ნაავადმყოფარი მზე, ნაზამთრალი მიწა კი — გავლიძებას. 22 სექტემბერს მზე სასწორის ზოდიაქოში შედის. რაც მოასწავებს ბუნების რაღაც „ავადმყოფობის“ დასაწყისს. აღნიშნული პროცესი გრძელდება ვიდრე მზე თევზების ბურჯს მიაღწევს (19 თებერვალი). შემდეგ მზე ისევ ვერძის ეტლში გადაჭდება და ასე უსასრულოდ ბრუნავს ბუნების საქანელი.

დრო-ჟამის ცვლის ეს სურათი ყოველი მოკვდავისათვისაა ნაცნობი. ასტრონომიული ცოდნა რომ ერთ-ერთი უძველესია, დღეს ეჭვს აღარ იწვევს. ცნობილია ისიც, რომ ასტრონომიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმოცენდა ასტროლოგია. როგორც ჩანს, ასტროლოგიას აღიარებდა ფირდოუსიც, რამეთუ ამბობს, რომ ციური ჩარხის წყალობით ადამიანი შეიძლება იყოს მზიარულიც და ნაღვლიანიც. ასტროლოგიური მოძღვრების თანახმად ამა თუ იმ პლანეტის თვისებები გადადის ადამიანებზე და მათ

⁷ ა 33 ად ა 33 ად ი, აზმაიშ დარ შანანეიე ფერდოესი, მოპითე ადაბ, თქარან, 1990, 122.
⁸ იქვე, გვ. 122.
⁹ იქვე, გვ. 222.
¹⁰ რ. ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა, თბ., 1990, გვ. 80.



მედს ისევ და ისევ პლანეტების მოძრაობა და განლაგება განაგებს. ნასერ ხუკუაძის თეორიის მსოფლშემეცნების თანახმად კი პლანეტები აყალიბებენ არა მხოლოდ თითოეული ადამიანის სულს, არამედ განსაზღვრავენ ყოველი ძვირფასი ლითონისა და ქვის არსსა და თვისებებსაც¹¹. ასტროლოგია იმდენად შეერწყა სპარსულ ყოფას, რომ მუსიკის სპარსი თეორიტიკოსები თორმეტი ზოდიქოს მიხედვით თორმეტ ტონს აღიარებენ და თითოეული მათგანი განსაზღვრულ დროს იხმარება. მაგ. ტონით „რასთ“ უკრავენ მზის ამოსვლისას, ტონით „აშეყ“ — მზის ჩასვლისას...¹²

ჩვენ მიერ „შაჰ-ნამედან“ მოხმობილ ნაწყევტში დასახელებულია სამი ზოდიქო: ვერძი, სასწორი და თევზი. ამგვარად მხოლოდ ამ ეტლებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

1. ვერძი პირველი ზოდიქური ნიშანია. მზე ვერძის ეტლში იმყოფება 20 მარტიდან 19 აპრილამდე. პოემაში ვერძის ეტლის სახელად ნახმარია „ბარე“ (ლათ. Aries). სპარსულ ენაში ამავე ცნების აღმნიშვნელი სხვა ლექსიკური ერთეულიც გვხვდება — „ჰამალ“. აღნიშნული სიტყვა დატულია ფაზრად ღინ გორგანის პოემაში „ვის ო რამინი“:

„ვერძს (ჰამალს) სახე მოზვერის სახეში ჩაუმალავს, ციური ლომის სუნი იგრძნეს“¹³.

ვის რამინი:

„ვერძნი და მოზვერნი დაღრეჯით დამალულნი
თითოდეს ლომისა შიშითა და თვისი ადგილი დაეგლო“¹⁴.

„ვის ო რამინის“ ლექსიკა გამოირჩევა თავისი წმინდა სპარსული ენით, რომელშიც მცირე რაოდენობითაა შესული არაბიზმები. აღნიშნულის საფუძველზე გორგანი თავის პოემაში ზოდიქოების, პლანეტების და მნათობთა სახელების მხოლოდ სპარსულ შესატყვისებს უნდა ხმარობდეს¹⁵. ჩვენ მიერ დასახელებული ვერძის ზოდიქოს ორი სახელიდან ერთი სპარსულია — „ბარე“, მეორე — არაბული „ჰამალ“. ეს უკანასკნელი გვხვდება XII საუკუნის ასტროლოგიურ ძეგლში „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“: „ვერძი, რომელსაც (არაბულად) ჰქვიან ჰამალი“ (გვ. 16).

საინტერესო მითიურ სახეს ქმნის ზოდიქალური ვერძის ბერძნული პროტოტიპი. ქალაქ ორქომენში ქართა დემონის ეოლოსის ძე ათამანტი ზეობდა. ღრუბელთა ქალღმერთ ნეფელესაგან ორი შვილი ჰყავდა: ვაჟი ფრიქსე და ასული ჰალე. მალე ოჯახური ბედნიერება დაინგრა და ბავშვებს მამამ დედინაცვალი მიჰგვარა — თებეს დამაარსებლის და პირველი მეფის კადმოსის ავი და მაცდური ასული ინო. ინოს საკუთარი შვილები გაუჩნდა. იმდროინდელი წესების თანახმად ტახტის მემკვიდრე პირველი ძე — ფრიქსე — უნდა გამზდარიყო. ინომ გერების დაღუპვა განიზრახა და, მართლაც, მისი წყალობით ქალაქი მალე შიმშილმა მოიცვა. მამას კი ჩააგონეს — ქვეყანას ვერ იხსნი, თუ შვილებს მსხვერპლად არ შესწირავო ღმერთებს. ვითომც სასეირნოდ წაყვანილი ბავშვები სამსხვერპლოს გზას გაუყენეს. შვილების გადასარჩენად ქალ-

¹¹ შაქროხ მოსქუბ, მონშა ო მონაიე აულ დარ ანდიშეიე ნასერე ხოსროე, ირან-ნამე, 1989, № 3, 4, 17.

¹² ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 98.

¹³ ფაზრად ღინ გორგანი, ვის ო რამინ, თეჰრან, 1970, 88.

¹⁴ ვისრამინი, ქართული მწერლობა, ტ. III, თბ., 1988, გვ. 36, 49.

¹⁵ შ. შამაციაშვილი, გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული ვისრამინი, თბ., 1977, გვ. 36.

ღმერთ ნეფელემ ოქროს საწმისოვანი ვერძი გააგზავნა. ბავშვები ზურგზე ექცნენ ვერძს და ცაში აფრინდნენ. ხანგრძლივმა ფრენამ მოჰანცა ჰალე და გოგონა ზღვაში ჩაეარდა. ფრიქსე კი ვერძმა შორეულ კოლხიდაში ჩაიყვანა, მდინარე ფაზისთან, სადაც მეფობდა ჰელიოსის ძე აიექტი. მან მამაშვილურად მიიღო ფრიქსე. შემდეგ ვერძის სურვილი აღასრულა და მეხთამეტყორენელ ზევსს შესწირა. მისი საწმისი არესის ქალაში დაკიდა ყველაზე მაღალ მუხანზე და მცველად დუძინებელი დრაკონი მიუჩინა. ღმერთებმა კი პლეადად აქციეს ვერძი ფრიქსეს გადარჩენისათვის და ცარგვალზე დაამკვიდრეს.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ზოდიაქალური ვერძი კოლხური ოქროს საწმისის პირველი მფლობელი ყოფილა: იმ ოქროს საწმისისა, ბერძენმა იაზონმა რომ წარგვტაცა უხსოვარ დროში და მას აქეთ ვეძებთ დანაყარგა კოლხების შთამომავალნი...

2. „შაპ-ნამეში“ მოხსენიებული მეორე ზოდიაქური ნიშანია სასწორი (ბერძ. Libra). ზოდიაქოთა რიგში იგი მეშვიდე ნომრითაა და მზის საწყოფია. 23 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე. აღნიშნული ზოდიაქო სახელად პოემაში გამოყენებულია „თარაზუ“. „ვის-ო რამინში“ გვხვდება სხვა ტერმინიც: „მიზნან“.

1. „სასწორს (თარაზუ) ყველა ძაფი ჩაშლოდა. დარჩა ორი ჯამი და გატეხილი უღელი“¹⁶.

ვის რამიანი: „სასწორი დაშლილი და დახლართული უხმარქმნილი იყო“¹⁷.

2. „ვის ო რამინი“: „ერთი ამბობდა, მთვარემ მოიმოქმედა ეს სასწორის (მიზნან) თანავარსკვლავედით“¹⁸.

ვის რამიანი: „ზოგმან მთვარისა სასწორსა შინა ყოფა თქვის, ეტლსა ავსა ზედა“¹⁹.

გორგანი ამ შემთხვევაშიც იყენებს ზოდიაქოს არაბულ შესატყვისს „მიზნან“ — „სასწორი, რომელსაც არაბულად ჰქვიან მიზან“²⁰. როგორც მოხმობილი მასალებიდან ჩანს „ვის ო რამინის“ ავტორი იცნობს არაბულ ასტრონომიულ ტერმინოლოგიას და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს კიდევ მათ სპარსულის პარალელურად. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოკვლეული მასალების წყალობით ძნელია იმ პრინციპის დადგენა, თუ რა შემთხვევაში იყენებს პოეტი სპარსულ ცნებებს და რა შემთხვევაში — არაბულს.

დაახლოებით 2000 წლის წინ შემოდგომის ბუნიობის წერტილად ვარსკვლავთკრებულთა შორის სასწორი ითვლებოდა. 23 სექტემბერს ხდება დღე-ღამეშწორობა. ალბათ, ეს თანასწორობა იყო იმ შორეულ წარსულში ზოდიაქოს ნიშნის ასე მონათვლის მიზეზი. სასწორის თანავარსკვლავედი (ერთადერთი უსულო ზოდიაქალური ნიშანი) სამიწათმოქმედო სამუშაოებთან იყო დაკავშირებული ძველ ეგვიპტეში. ძველი ბერძნული მითი კი მოგვითხრობს: ოლიმპოზე ზევსმა ღმერთებს და ადამიანებს კანონ-წყესები დაუდგინა. მათი დაცვა კი ოლიმპოზე თემიდას დაეკისრა, დედამიწაზე — სამართლიანობის ქალღმერთ დიკეს, რომელიც სასწორით ხელში დაიარებოდა და კანონებს იცავდა. ღოკე ყოველგვარი უსამართლობის და ძალადობის მტერი იყო. თავისი სასწორით

¹⁶ გორგანი, ვის ო რამინ, გვ. 88.

¹⁷ ვისრამიანი, გვ. 356.

¹⁸ გორგანი, ვის ო რამინ, გვ. 356.

¹⁹ ვისრამიანი, გვ. 207.

²⁰ ა. შანიძე, ეტლთა და შვილთა მნათობათვის, თბ., 1975, გვ. 25.

ზუსტად წონიდა სამართალს და უსამართლობას და ზევსიც ჯეროვან სამართალს განუჩენდა.

ა. გელოვანის „მითოლოგიურ ლექსიკონში“ ქალღმერთი დიკე დაკავშირებულია ორ ზოდიაქურ თანავარსკვლავედთან — სასწორსა და ქალწულთან: „იქ, ცხოველთა ზოდიაქოში ქალწულის სახელწოდებით ციმციმებს (დიკე) მარადისობის გზაზე — ხელში სასწორი უჭირავს, ზომილად ქცეული სასწორო, დადის და სამართალს იცავს“²¹. ა. ბონოვის წიგნში „მითები და ლეგენდები თანავარსკვლავედებზე“ (თარგმ. ა. გელოვანისა) ქალწულის თანავარსკვლავედი დაკავშირებულია მიწის ნაყოფიერების ქალღმერთ ღემეტრასთან. ქალღმერთ დიკესა და ქალწულის თანავარსკვლავედის კავშირის შესახებ კი არაფერია ნათქვამი. ანალოგიური ვითარებაა მითოლოგიურ ენციკლოპედიაშიც²².

ფრიად საყურადღებოა მითი ქალწულის თანავარსკვლავედის შესახებ. ღემეტრისა და ზევსის ასული პერსეფონე (პროზერპინა) არამიწიერი მშვენიერებით გამოირჩეოდა. ზევსს ქვესკნელის აჩრდილთა სამეფოს მბრძანებლის — ჰადესისათვის აღთქმული ჰქონდა — ქალღმერთს მოგაბოხებო. ჰადესმააც აღარ დააყოვნა და პერსეფონე მოიტაცა. ქალიშვილის გაუჩინარებამ უსაშველო კაშმანში ჩააგდო ღემეტრა. ნაყოფიერების ქალღმერთის გლოვა კი დედამიწისაც გადაადო: აყვავებული ველ-მინდვრები უნაყოფო ხრიოკებად იქცა. ქვეყანა დაიშმა. ზევსის ბრძანებით ჰადესმა პერსეფონე დედას დაუბრუნა, მაგრამ წინასწარ ბროწეულის მარცვლები შეაჭამა — ქორწინების სიმბოლო, რაც პერსეფონეს მეუღლესთან დაბრუნებას ავალებებულებდა. ასულის დაბრუნებით გაიხარა ღემეტრამ. მიწაც კვლავ აყვავდა. ზევსის განჩინებით პერსეფონეს წელიწადის ერთი მესამედი ქმართან უნდა გაეტარებინა, ორი — დედასთან. დანაგა განშორების ყამი და ღემეტრა ისევ დანალვლიანდა. დედამიწაზე სიცოცხლე ისევ გაძნელდა...

მოცემულ მითში თავისებურადაა ახსნილი ბუნების ცვალებადობა (იგი საოცრად მოგვაგონებს „შაჰ-ნამედან“ მოხმობილ და უკვე განხილულ ნაწყვეტს). დედა-შვილის ერთად ყოფნის ყამი ემთხვევა გაზაფხულიდან შემოდგომაამდე პერიოდს. პერსეფონეს ქმართან დაბრუნება კი მოასწავებს ზამთრის დადგომას.

3: ჩვენ მიერ მოხმობილ ნაწყვეტში დასახელებული მესამე ზოდიაქალური ნიშანია თევზი (ბერძნ. Pisces). იგი რიგით მეთორმეტეა და მზის სადგომია 19 თებერვლიდან 20 მარტამდე. აღნიშნული ეტლის სახელი ორივე პოემაში გვხვდება მხოლოდ სპარსული შესატყვისით — „მპიჰ“: „წასვლაზე უიძედო თევზი დარჩა [ისე], თითქოს ზადეშია გაბმული“²³.

ვის რამიანი: „თევზი, ზადისაგან და ვითა ხმელთა ზედა გაჭრილი, დარჩომისგან უიმედოქმნილ იყო“²⁴.

ლეგენდა მოგვითხრობს: პოსეიდონისა და წინასწარმეტყველ ნერეესის ასული, მშვენიერი ვალატეა, გაუმიჯნურდა სიმეტიდას ვაეს — აკიდს. ვალატეას მშვენიერებით მოხიბლული იყო ცალთვალა კიკლოპი. ყოველდღე ზედებოდნენ მიჯნურები ერთმანეთს, მაგრამ როცა კიკლოპი ლერწმის ასი ლერიაგან საკუთარი ხელით შეკრულ სტივის აახმინებდა, ქალ-ვაეი მის თვალს გამოქვაბულში ემალებოდა. ერთ დღეს პოლითემეს სიმმაგემ მოუარა და გამოქვაბულს მიაშურა. შიშით ვულგახეთქილი აკიდი და ვალატეა მღელვარე ზღვაში გადაეშენენ და იქ თევზებად იქცენ. დანავარდობდნენ ზღვის წიაღში, სიყვარულის ნიშნად გრძელი ზაფთით გადაბმულები.

²¹ ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 138.

²² Мифы народов мира (энциклопедия), т. I, М., 1987, с. 378.

²³ გორგანი, ვისო რამინ, გვ. 89.

²⁴ ვისრამიანი, გვ. 37.

არანაყლებ ტრაგიკულია მეორე მითიც: მეფე პრიამოსის უკვდავმა, მაგრამ ჩამოშკენარმა ძმამ ტითონმა ერთხელ შორიდან მოჰკრა თვალი აფროდიტის ტეს, სიყვარულის ქალღმერთს. მოიხიბლა და უკან აედევნა. როცა ტითონის განზრახვა შეიტყო, აფროდიტე და მისი ძე, ეროსი, თავის გადასარჩენად ევფრატის ზვირთებში გადაეშენენ და იქ თევზებად იქცნენ. ღმერთებმა თევზები ვარსკვლავთკებულად დაასახლეს ცარგვალზე და დიდაშვილური სიყვარულის ნიშნად გრძელი ფართო ბაფთით გადააბეს.

ორივე ლეგენდა თევზების ზოდიაქოს შესახებ, როგორც ვხედავთ, კლასიკური სიყვარულის ნიმუშს წარმოადგენს: ქალ-ვაიისა და დედა-შვილურის. ორივე მითში ზოდიაქოს შექმნის მიზეზად ორი ადამიანია მიჩნეული და ორივე წყვილი მარადიული სიყვარულის ნიშნად გრძელი ბაფთით არის გადაბმული. ამ სახითაა გამოსახული თევზის ზოდიაქო ასტრონომიულ რუკებზეც. ჩვენ მიერ მოხმობილ სპარსულ ნიმუშებში კი წარმოდგენილია „მაჰი“ (თევზი) და არა „მაჰიან“ (თევზები). ტრადიციულად, აღნიშნული ზოდიაქო სწორედ მრავლობითი რიცხვით იხმარება ბერძნულშიც, რუსულშიც, გერმანულშიც და სხვა ევროპულ ენებშიც (pisces, рыбы, die Fische...).

აღნიშნულ ტენდენციას არ ემორჩილება არც სპარსული და არაბული, და არც ქართული ენები. როგორც ჩანს, სპარსულის გავლენის შედეგად, მოცემული ზოდიაქოს სახელი მხოლოდითი რიცხვით იხმარებოდა ძველ ქართულში. ანალოგიური ფორმითაა წარმოდგენილი იგი არაბულიდან თარგმნილ ასტროლოგიურ ტრაქტატში „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“. „ვის ო რამინის“ მთარგმნელიც ზუსტად იცავს სპარსულ ტექსტს და ზოდიაქოს სახელს მხოლოდობით რიცხვში ხმარობს. ამის მიზეზი მხოლოდ თარგმანის სიზუსტე არ უნდა იყოს. ცნობილია, რომ ვისრამიანის ავტორი სპარსულ გამოთქმებს სწორად ცვლის მშვენიერი ქართული შესატყვისებით და არც ამჯერად გაუჭირდებოდა ტექსტის „შესწორება-შელამაზება“. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულში იმთავითვე „თევზის“ სახით შემოვიდა მეთორმეტე ზოდიაქოს სახელი და მსგავსი ფორმით იხმარებოდა სულხან-საბას დროსაც (იხ. ზემ.). ანალოგიური სახითაა წარმოდგენილი აღნიშნული ზოდიაქოს სახელი ვახტანგ VI მიერ შესრულებული ასტროლოგიური ტრაქტატის თარგმანშიც²⁵.

მოცემულ ეტაპზე აღნიშნული ტენდენციის მიზეზის განსაზღვრა რთულ საკითხს წარმოადგენს, თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ენებში თევზების ზოდიაქოს სახელის მხოლოდობით რიცხვში ხმარება მექანიკურ შეცდომას არ უნდა წარმოადგენდეს და გარკვეული საფუძველიც უნდა გააჩნდეს. ამჯერად წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით კი შეგვიძლია ვთქვათ: უფრო მართებულია მოცემული ზოდიაქოს სახელის მრავლობითის ფორმით ხმარება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მცირე ეპიზოდში X—XI საუკუნეების სპარსული კლასიკური ძეგლიდან „შაჰ-ნამე“ დასახელებული იყო სამი ზოდიაქო: ევრძი, სასწორი და თევზი. მოცემული ტერმინები შედარებულ იქნა XI საუკუნის მეორე სპარსულ პოემა „ვის ო რამინში“ გამოყენებულ სახელწოდებებთან. მასალათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფირდოუსი აღნიშნულ ეპიზოდში ხმარობს ზოდიაქოთა სპარსულ სახელებს. გორგანი კი მშობლიურის გარდა იყენებს არაბულ ასტრონომიულ ტერმინოლოგიასაც. „ბარე“-ს პარალელურად გამოყენებულა „ჰამალ“, „თარაზე“-ს სინონიმად — „მიზან“. მხოლოდ თევზის ზოდიაქოს არაბული სახელწოდება „ჰეთ“ არ გვხვდება გორგანის პოემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე XI საუკუნეში

²⁵ ვახტანგ VI, საქ. ხელნაწ. ინსტ. ნუსხა, H 457.



სპარსულ ენაში დამკვიდრებულია არაბული ასტრონომიული ტერმინოლოგია, რომელთა გამოყენების არე ფართოა.

საინტერესო ისტორია აქვს თევზის ზოდიაქოს სახელს. დასავლურ ენებში იგი მრავლობითის ფორმით (თევზები) გვხვდება. სპარსულ-არაბულ და ძველ და საშუალო ქართულში კი — მხოლობითის (თევზი). (ახალ ქართულში გავრცელებული მრავლობითის ფორმა, ვფიქრობთ, რუსული ორიენტაციით უნდა აიხსნას). აღნიშნული ფაქტის მიზეზი ჯერ შეუსწავლელია და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

სამივე დასახელებული ზოდიაქო განხილულ იქნა მითოლოგიურ ფონზე. მოხმობილი მითები თავისთავად საინტერესო და საგულისაშმაა. მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისთვის, უფრო ნიშანდობლივი უნდა იყოს მითი ვერძის ზოდიაქოს შესახებ, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ოქროს საწმისის მითოლოგიას.

Л. М. НИНИАШВИЛИ

ОДИН АСТРОНОМИЧЕСКИЙ ЭПИЗОД ИЗ «ШАХ-НАМЕ» И МИФЫ О ЗОДИАКАХ

Резюме

В эпизоде испытания доблестей и мудрости Заала жрецы задают витязю вопрос об астрономических явлениях. В ответе Заала названы три знака Зодиака: Овен (барэ), Весы (таразу) и Рыбы (махи). Все перечисленные названия персидского происхождения. В поэме Горгани «Вис о Рамин» наряду с перечисленными терминами в двух случаях встречаются и арабские лексические единицы: хамал (Овен) и мизан (Весы). Это дает возможность предполагать, что Горгани был знаком с арабской астрономической терминологией.

Во всех трех случаях приведены древние греческие мифы о происхождении зодиакальных знаков. Важно, что миф об Овене имеет прямую связь с золотым руном.

Интересно название знака Рыбы. В основе происхождения Зодиака лежат трагические истории двух персон: возлюбленных (Галатея и Акид) или матери и сына (Афродита и Эрос). Следовательно, имя Зодиака должно стоять во множественном числе: Греческий, немецкий, русский и др. европейские языки следуют этой тенденции: знак стоит во множ. числе (Pisces, die Fische, Рыбы...). Однако в персидском, арабском и древнегрузинском имя Зодиака стоит в единственном числе. Вероятно, данная тенденция была обусловлена определенными факторами, что требует дальнейших исследований.

თბილისის ევ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ალ. გვახარიამ

ნათია ჩანტლაძე

 მხითარ გოშის ტრაქტატის „ქართველთათვის“
 წყაროები

XII—XIII საუკუნეების ცნობილი სომეხი ავტორის, საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწის, მხითარ გოშის ეპისტოლე „ქართველთათვის“¹ საინტერესო მასალას იძლევა XII—XIII სს-ის მიჯნაზე სომეხ-ქართველთა ურთიერთობების შესასწავლად. ამ ეპისტოლეში გაშუქებულია საუკუნეების მანძილზე სომეხებსა და ქართველებს შორის კამათის საგნად ქცეული რელიგიური საკითხები. თხზულების ავტორი თვითმხილველი და მონაწილე იყო სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი დავის იმდროინდელი საკმაოდ მწვავე ეტაპისა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენათა თაობაზე არცთუ მდიდარი ლიტერატურა მოგვეპოვება. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს თამარის კარზე გამართული პაექრობის შესახებ ქართველ და სომეხ მღვდელმთავრებს შორის². ეს, სავარაუდოდ, 1197—1204 წლებში უნდა მომხდარიყო, ინიციატორი კი ზაქარია მხარგრძელი იყო. ვარდა ამისა, სომეხ ისტორიკოსებთან, კირაკოს განძაკელთან³ და ვარდან დიდთან⁴ დაკუთვლია ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მწვავე დაპირისპირება გამოიწვია სომეხურ სამღვდელოებასა და ზაქარია მხარგრძელს შორის ამ უკანასკნელის ცდამ, რიგი ცვლილებები შეეტანა სომეხური ეკლესიის კალენდარსა და წესმოსახურებაში, ჯერ 1205 წელს ლორესა და შემდეგ, 1207 წელს ანისში გამართულ საეკლესიო კრებებზე. ამავე თხზულებებიდან ირკვევა, რომ ჩვენი ავტორი ამ მოვლენების უშუალო მონაწილე იყო. ყოველივე ამის გამო მით უფრო საინტერესოა მისი ტრაქტატის, „ქართველთათვის“, შესწავლა.

თუ რა კონკრეტულ ისტორიულ მასალას იძლევა აღნიშნული ეპისტოლე, ეს ცალკე კვლევის საგანია. ჩვენი სტატიის მიზანი კი ამ ნაწარმოების წყაროების მიკვლევაა.

თხზულებაში, სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას, მხითარ გოში საკმაოდ ვრცელ ლიტერატურას იყენებს. მაგრამ თავის წყაროთაგან მხოლოდ ზოგიერთს ასახელებს და პირველ რიგში ეს, რასაკვირველია, წმინდა წერილია.

ავტორი ასევე ახსენებს „კანონქ“-ს (კანონები). გულისხმობს თუ არა ამ სახელწოდების ქვეშ მხითარი სომეხურ „კანონაგირქს“⁵ (კანონთა წიგნი)? ეს საკითხი ჯერ კიდევ მხითარ გოშის ფუნდამენტური ნაშრომის „დატასტანაგირქის“ (სამართლის წიგნი) წყაროების შესწავლისას დაისვა. ს. ტიგრანიანის აზრით, სწორედ „კანონაგირქი“ არის ის წყარო, რომელსაც მხითარი იყენებს და მოიხსენიებს სახელწოდებით „კანონქ“ (იშეითად „კანონაკან გირქ“ — კანონიკური წიგნი); სათაურთა სხვაობა იმითაა გამოწვეული, რომ „კანონაგირქი“ ამ კრებულს უფრო გვიან უნდა შერქმეოდა⁶.

¹ „არარატი“, ვალარშაბატი, 1900, № 10—11, გვ. 497—504, 562—568; 1901, № 1, გვ. 55—61; № 2, გვ. 121—127 (სომეხურ ენაზე).

² ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 83—91.

³ კირაკოს განძაკელი. ისტორია, ერევანი, 1961 (სომეხურ ენაზე).

⁴ ვარდან დიდი, მსოფლიო ისტორია, მოსკოვი, 1861 (სომეხურ ენაზე).

⁵ „კანონაგირქი“ წარმოადგენს ქართული სჯულისკანონების ტიპის კრებულს. მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროსა და ადგილას ჩატარებულ საეკლესიო კრებათა და ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა მიერ დადგენილ კანონები. ეს კრებული საუკუნეების მანძილზე იცვებოდა და იხვეწებოდა. მის პირვანდელ რედაქციას კი, რომელიც VIII ს-ში იოანე ოძუნელს შეუდგენია, ჩვენამდე არ მოუღწევია. გამოცემულია ერევანში, 1964 წ. ორ ტომად (სომეხურ ენაზე).

⁶ С. Тигранян, Судебная книга Мхитара и Книга Канонов, Изв. КИАИ, т. III, გვ. 69.

ამ მოსაზრებას ამაგრებს ჩვენი ტექსტის მასალა. აი, რამდენიმე მაგალითი:

კანონაგირქი

მხითარ გოში

ზატკის პარსევეს ჟერ არს ქმნა „მატალისა“⁷.

ხოლო „მატალის“ ქმნა სომეხთა დღესასწაულზე არ არის ურთიდაებრ; არამედ, როგორც წერია კანონებში⁸.

მღვდელი ნუ გაბედავს აეურთხოს ჟეარი სამსკვეალთა გარეშე⁹.

ჯერის სამსკვეალი (წმინდა) საიდუმლოა, როგორც წერია კანონებში¹⁰.

ავტორი თავის ტრაქტატში აგრეთვე ახსენებს ზენობ გლაციასა და აგათანგელოსის თხზულებებს: „...ის კი (ალაჯორი) პირველი მარხვა არის, რომელიც დაუწესებია წმინდა გრიგოლს თრდატ მეფის განკურნებისათვის, როგორც მოგვითხრობს აგათანგელოსი, კაცი რომელი და არა სომეხი და ზენობ, სირიელი ეპისკოპოსი, წმინდა გრიგოლის მოწაფე, ამასვე წერს თავის „ისტორიაში“ და უმატებს მონათხრობს, რომ ხუთი დღე მარხვისა დიდი კონსტანტინესი დაუწესდა მას განკურნებისთვის და ამისთვის „არაჯავორ“ ეწოდება, რამეთუ სომეხებისთვის ეგ პირველი მარხვა იქმნა“¹¹.

აგათანგელოსთან მსგავსი ცნობა არ მოგვეპოვება. ზენობ გლაცი კი თავის „ტარონის ისტორიაში“ მას შემდეგ, რაც მოგვითხრობს, თუ როგორ მოაყრევინა მუხლი ხაროდან ამოსულმა გრიგოლმა თრდატსა და მის ნახარებს და ხუთი დღის განმავლობაში ქადაგებდა, წერს: „ეს პირველი მარხვა დაიდო წმ. გრიგოლის დღეებში, რომელიც რომში სილიბისტრომ დააწესა და იმარხვდა თვითონ, მეფე კონსტანტინე და ყოველი ქალაქი ეგვიპტისა და რომელსაც „არაჯავორქს“ ეუწოდებთ. და როდესაც აღსრულდა დღენი მათი მარხვისა, თრდატს გასცივდა ტახის ჭაგარი და მისი ჭარისკაცების ეშმაკდავანებულმა სხეულებმა მიიღეს განკურნება“¹².

ამგვარად, მხითარ გოში მართლაც იყენებს ზენობის ცნობას, თუმცა სიტყვასიტყვით არ მოპყავს იგი. ალაჯორის მარხვის საკითხს კი ის კიდევ ერთხელ უბრუნდება, მხოლოდ ამჯერად მისი წყაროა „ეპისტოლეთა წიგნში“ შესული ეპისტოლე „გასაუბრება სომეხთა კათალიკოს კომიტასსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის“¹³. ამ ეპისტოლეს ბოლო ნაწილში არის მსგელობა ალაჯორის მარხვის თაობაზე. როგორც ჩანს, მხითარმა საჭიროდ ჩათვალა მკითხველისთვის დამატებითი ინფორმაციის მოწოდება ამ საკითხზე და შემოგვთავაზა კომიტას კათალიკოსის ვერსიის შემოკლებული, რედაქტირებული ვარიანტი, რითაც ერთგვარად შეავსო ზენობის ცნობა. აი ეს ეპიზოდი:

ეპისტოლეთა წიგნი

მხითარ გოში

პატრიარქი: „არაჯავორქის“ მარხვის შენახვა საღლა ისწავლეთ?

როდესაც წავიდნენ თრდატი და გრიგოლი რომში, ერთმანდ დადეს პირობა განმანათლებლისა და თრდატის პატივსაცემად დაეწესებინათ ერთთვისა მარხვა ალაჯორისა და კონსტანტინეს მარხვის

კომიტას კათ: წმ. გრიგოლის წიგნებიდან: რამეთუ ხუთი დღე შიშმილი უბრძანა, როდესაც ამოვიდა ხაროდან...

⁷ სომხურ კანონთა წიგნი, ტ. 1, ერევანი, 1964, გვ. 498 (სომხურ ენაზე).
⁸ იქვე, ტ. 2, გვ. 162.
⁹ „არარატი“, 1901, № 1, გვ. 61 (სომხურ ენაზე).
¹⁰ იქვე, გვ. 61.
¹¹ იქვე, გვ. 60.
¹² ზენობ გლაცი, შედარებითი გამოკვლევა, გამომცემელი გრ. ხალათიანცი, ეენა, 1893, გვ. 14 (სომხურ ენაზე).
¹³ ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1901, გვ. 484—497 (სომხურ ენაზე).
 6. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 1



და კონსტანტინემ სილიბისტროს მიერ რომ მოინათლა, მაშინ დააწესა, ემარხულთ მეფის სადიდებლად ეგვიპტეს, რომს და ასურეთს, ზოლო თრდატმა და კონსტანტინემ, ერთმანეთთან პირობის დადებისას, მარხვა ვადაგვიანცელეს და დადეს კონსტანტინეს მარხვის ადგილას... და მარკიანემდე ინახავდნენ „არაჟავორქს“ ბერძნები, როგორც ჩვენ, და შაბათს კი მამამთავართა დღესასწაულს აღასრულებდნენ. ისინი თრდატს განადიდებდნენ და ჩვენ წმინდა სილიბისტროს და კონსტანტინეს, ზოლო მარკიანემ ეს ამოიღო. მათ (ბერძნებმა) კონსტანტინე დაამცირეს და მარკიანე განადიდეს, ზოლო ჩვენ, ჩვენი პატრიარქის დაწესებულ დამეპყლივით ვვაქვს¹⁴.

სახაცელოდ ემარხულათ. ჩვენ ეგვიპტეში სილიბისტროს და კონსტანტინეს ეგვიპტეში წაიყვანათ და ალაჟორის შესრულების შემდეგ თრდატისა და კონსტანტინესთვის ედღესასწაულობთ მათთან და ისინი ჩვენთან, რაც მარკიანემ ქალკედონის კრებაზე უარყო და როდესაც მარხვა უარყო, დღესასწაული მოისპო. ზოლო ჩვენ განმანათლებლის მიერ ჩვენთვის დამტკიცებული წესი დაიცავით¹⁵.

ამათ გარდა, მხითარს მოხსენიებული და ციტირებული ჰყავს შემდეგი ავტორები: ათანასე ალექსანდრიელი, კირილე ალექსანდრიელი, აკაკი მელიტიანე-ლი, გრიგოლ ნოსელი, ივლიანე რომაელი, იოანე ოქროპირი, ონოროიოს რომაელი, ნექტარიოს რომაელი, ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი — მხითარი ამ ავტორთა თხზულებების ბერძნული ორიგინალებით სარგებლობდა თუ მათი სომხური თარგმანებით? ჩვენ „ეპისტოლეთა წიგნი“¹⁶ მივაკვლიეთ ორ ეპისტოლეს: „სტევანოზ სივნიელის საპასუხო ეპისტოლე უფალ გერმანე კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიმართ“¹⁶ და „გასაუბრება კომიტას სომეხთა კათალიკოსსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის“¹⁷, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ წმინდა მამათა ციტატები ისეთივე მიმდევრობითა და შინაარსით არის მოყვანილი, როგორც მხითარ გოშის ტრაქტატში, მხოლოდ ჩვენი ავტორი ჩვეულებითსამებრ ამოკლებს ტექსტს. სამაგალითოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფრაგმენტს:

გერმანეს მიმართ

მხითარ გოში

წმ. ათანასემ, ალექსანდრიელთა ეკლესიის ზედამხედველმა აპოლინარის მიმართ (მიწერილ) ეპისტოლეში თქვა ერთი ბუნება განკაცებული სიტყვა-ღმრთისა.

წმ. ათანასე ერთ ბუნებას ამბობს განკაცებული სიტყვა-ღმრთისას აპოლინარის მიმართ (მიწერილ) ეპისტოლეში.

და ეკლავ მიუწერს (კირილე) თეოდოსს, მეფეს კთილმორწმუნეს: თუმცა განსხვავებულობისა და არამსგავსებისაგან მოვიდნენ ერთმანეთთან ბუნებანი, ერთი ქრისტე, ერთი ძე და ერთი ბუნება უნდა იქნეს აღიარებულნი¹⁸.

და ეკლავ მიუწერს (კირილე) კთილმორწმუნე მეფე თეოდოსს: თუმცა განსხვავებულობისა და არამსგავსებისაგან მოვიდნენ ერთმანეთთან ბუნებანი, ერთი ქრისტე, ერთი ძე და ერთი ბუნება უნდა იქნეს აღიარებულნი¹⁹.

გასაუბრება...

მხითარ გოში

როგორც წერს ნექტარიოს რომაელი, თურმე ვერ შეძლო იოსებმა სხეულის გარდამოხსნა ძელიდან, როდესაც სამს-

როგორც მოგვიტხრობს ნექტარიოს რომის პატრიარქი, თურმე ვერ შეძლო იოსებმა გარდამოხსნა სხეული ვერი-

¹⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 496—497.
¹⁵ „არარატი“, 1901, გვ. 121—122.
¹⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 371—395.
¹⁷ იქვე, გვ. 484—497.
¹⁸ იქვე, გვ. 375—376.
¹⁹ იქვე, გვ. 493.



კვალნი ამოლო, რამეთუ ელვარება გადმოდიოდა სამსკვალთა ბუდიდან, მაშინ ხელი აღმართა, გაიწვინა და ასე დაღადებდა: წმიდაო ღმერთო, წმიდაო და ძლიერო, წმიდაო და უკვდაო, რომელი ჩვენთვის ჭვარს ეცვი, შეგვიწყალო ჩვენ²⁰.

დან, რამეთუ ელვარება გადმოდიოდა სამსკვალთა ბუდიდან და ვერ აცხრობდურქენულნი მას. მაშინ გაიწვინა ხელი, ილოცა, დამსკვალთა და ასე ამბობდა: წმიდაო ღმერთო, წმიდაო და ძლიერო, წმიდაო და უკვდაო, რომელი ჩვენთვის ჭვარს ეცვი, შეგვიწყალო ჩვენ²¹.

მხითარ გოშს სხვა წყაროებითაც უსარგებლია, მაგრამ მათ არ ასახელებს. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გაარკვია, რომ „სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია მხითარს მოთხრობილი აქვს ანანია სინაინელის „ქართველთა განყოფისათვის“ თანახმად, თითქმის სიტყვასიტყვით განმეორებით“²².

ცოტა უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობისას მან გვერდი აუარა „ეპისტოლეთა წიგნს“, რომელსაც როგორც უკვე ვნახეთ, იცნობდა, ანდა უხტანესის თხზულებას „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“²³. საუარაუდოა, რომ მან გაიიოლა საქმე და ეპისტოლეებიდან ხელახლა ამოკრეფას უკვე მზა ვერსიით სარგებლობა არჩია.

ლ. მელიქსეთ-ბეგი ასევე აღნიშნავს, რომ „ღვინის I (სომეხთა ადგილობრივი V ?) კრების შესახებ მხითარი მოგვითხრობს თანახმად „ეპისტოლეთა წიგნში“ მოთავსებული იოანე ოძუნელის ტრაქტატისა „სომეხეთში ყოფილ კრებათათვის“, მხოლოდ შემოკლებულად“²⁴. ჩვენ კი დავუმატებთ, რომ ამავე ეპისტოლეითი სარგებლობს გოში სომეხეთში ჩატარებული ყველა დანარჩენი საეკლესიო კრების ამბების თხრობისას²⁵.

ჩვენ დავადგინეთ მხითარ გოშის მიერ გამოყენებული კიდევ რამდენიმე წყარო: „ვრთანესის პასუხი მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლეზე“²⁶, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ მოატყუეს იუსტინიანე, წმინდა ეფემიას კილობანში არისო სვიმეონ მესვეტეს მიერ ხელდართული ქალკედონის კრების სარწმუნოების განსაზღვრებაო, რომელიც სინამდვილეში სვიმეონს კოცონში დაუწყავს; თუ როგორ გაათხრევეინა მეფემ ეფემიას სამარტვილე და რომ ვერ ნახა იქ ის, რასაც ეძებდა, როგორ ინანა თავისი შეცდომა.

ეს ეპისტოლე უხტანესის ხსენებულ თხზულებაშიც არის²⁷, მაგრამ მას აკლია ის ეპიზოდი, სადაც სვიმეონი ქალკედონის კრების განსაზღვრებას ცეცხლში ავდებს. გოშთან ეს ადგილი არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი წყარო „ეპისტოლეთა წიგნია“.

მხითარ გოშის ტრაქტატის „ქართველთათვის“ წყაროების განხილვისას, ლ. მელიქსეთ-ბეგი და ილ. აბულაძე აღნიშნავენ²⁸, რომ გოშის ამ ეპისტოლეს შექმნის საბაბი უნდა ყოფილიყო ქართული საეკლესიო წრიდან გამოსული სომეხთა განმაქიქებელი თხზულებები. ასეთად ისინი მიიჩნევენდენ პამფლეტებს ალაჯორის მარხვის შესახებ და „დოგმატიკონში“ შესულ სტატიებს: „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“, „შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიათანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“²⁹.

²⁰ „არარატი“, 1900, გვ. 565.

²¹ „არარატი“, ვალარშაპატო, 1901, გვ. 121.

²² ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი, თბ., 1928, გვ. 244.

²³ უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, თბ., 1975.

²⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

²⁵ ეპისტოლეთა წიგნი, თბ., გვ. 220—221.

²⁶ იქვე, გვ. 48—50.

²⁷ უხტანესი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—92.

²⁸ ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 246—248; ილ. აბულაძე, შრომები,

ტ. IV, თბ., 1985, გვ. 5.

²⁹ „არარატი“, 1901, № 1, გვ. 60.



ალაჯორის მარხვის შესახებ ანტიმონოფიზიტურ ლიტერატურაში ნაირ-ნაირი ლეგენდები შეთხზულა. მხითარ გოში იცნობს შემდეგ ისტორიას: სარგისს, ხელობით ჭადოქარს და ტომით სომეხს, ძალღიპი და თუ მიდიოდა, ძალღიპი წინ მიუძღოდა. თურმე ეს არის მათთვის ალაჯორის მარხვა, რომელსაც მტკმელთა ნაწილი ძალღიპზე და მგლებზე დებს.

სარგისი კი იყო სარდალი კონსტანტინეს დროს... და აწამეს თავის ვაჟი-შვილთან ერთად 31 იანვარს... მარხვა არის ალაჯორის და დღესასწაული სარგის სარდლის და ამის გამო სარგისის მარხვა ჰგონია... სარგისის ხსენება შემთხვევით ალაჯორის კვირაში აღმოჩნდა და იმიტომ დღესასწაულობენ“.

ქართულად არსებობს ორი პამფლეტი: „პეტრეს მკაწრვალისა და ალაჯისთვის თხრობა“ და „უწყებაჲ სუბულის ძისა სარგისისათჳს“³⁰.

პირველ მათგანში მოთხრობილია ეპიზოდები პეტრე ანტიოქიელის (მკაწრვალის) ცხოვრებიდან. ერთ-ერთია სწორედ ალაჯორის მარხვის დაწესების ამბავი. პეტრეს ჰყოლია ძალღიპი, სახელად ალაჯი, რომელიც „წინა უვიდოდის პეტროსის ვითარცა მოციქული“. ეს ძალღიპი მას მოუტყუეს და მის საპატივცემულოდ პეტრემ თითქოს ალაჯორის მარხვა დააწესა.

მეორე პამფლეტში მოთხრობილია „ვინმე ნაგმირევი კაცის“ სუბულის ძე სარგისის შესახებ, რომელიც მოწამებრივად აღესრულა და რომლის ნეშტი პეტრე მკაწრვალის მიერ აგებულ ტაძარში დაასვენეს. პეტრეს შეჩვენების შემდგომ შეჩვენებულ იქნენ სარგისისათვის მლოცველნიც. შემდეგ თხზულებაში ისევ ჩამოთვლილია პეტრე მკაწრვალის შეცოდებანი.

როგორც ვხედავთ, ქართული პამფლეტები ძალღიპისათვის დაწესებულ მარხვას არ უკავშირებს სარგისის სახელს და ავტორისთვის ეს ორივე ამბავი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ორივე პეტრე მკაწრვალის სახელს უკავშირდება.

მხითარ გოში კი, როგორც ვნახეთ, სხვა ვერსიის გაბათილებას ცდილობს. ასეთი ვერსია აღმოჩნდა საპაქ დიდი სომხეთის კათალიკოსის ბერძნულენოვან თხზულებაში „სიტყვა მამრალებელი სომეხთა“³¹. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მხითარი ალაჯორზე მსჯელობისას ასეთ ფრაზას ურთავს: „ხოლო მანიჭეველებო თუმცა ტომით სომეხნი არ არიან. მაგრამ სომხეთში სახლობენ და ენა სომხური აქვთ, წყალობისათვის ბერძნებთან მიდიან, ეუბნებიან, რომ სომხები არიან, ინათლებიან ქონებისათვის, თავიანთ ბოროტსიტყვაობას უთხრობენ მათ და ისინი კი, რადგან ბოროტების მოყვარულნი არიან, ფიქრობენ, ის ქრისტიანობა არის, რომ ვინმე სარგისს...“³², შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის იცნობს საპაქის სომეხთა განმარტებულ თხზულებას და უპასუხებს ალაჯორის მარხვის მისეულ ვერსიას და არა ქართულ პამფლეტებს.

რაც შეეხება არსენი ვაჩეს ძის „დოგმატიკონში“ დაცულ ტრაქტატს „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“, ილია აბულაძე მიიჩნევდა, რომ ან გოშმა იცოდა ქართული და უშუალოდ „თავნი სომეხთა წვალებისანი...“ იყო მისი წყარო, ან ისარგებლა ამ ტრაქტატის სომხური თარგმანით — „სიტყვისგება სომეხთა მიმართ“, რომლის მთარგმნელადაც მიჩნეულია სვიმეონ პლძაპანქელი და რომელსაც ეს ტრაქტატი უნდა ეთარგმნა 1213 წლის ახლო ხანებში, 22-23 წლის ასაკში, ან, შესაძლოა, ეს თარგმანი სხვისი ხელიდან არის გამოსული უფრო ადრე³³.

³⁰ Христианский Востокъ, т. V, Петроградъ, 1917, გვ. 85—96.

³¹ იქვე, გვ. 85.

³² „არარატი“, 1901, № 1, გვ. 60.

³³ ილია აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16.



ამ საკითხის გარკვევა უფრო ზუსტად დღემდე არ მოხერხდა ახალი მასალის უქონლობის გამო. ჩვენი აზრით, მხითარ გოში სარგებლობდა ტრაქტატის სომხური თარგმანით, ვინაიდან იგი უპასუხებს სომხური ვერსიის 25-ე პუნქტს, რომელიც, როგორც ზ. ალექსიძე აღნიშნავს, ქართულ ტექსტში არ არის³⁴. აქედან გამომდინარე, სომხური „სიტყვისგება“ შესრულებული უნდა ყოფილიყო არა 1213 წლის ახლო ხანებში, არამედ არაუგვიანეს 1207 წლისა, რადგანაც ეს არის მხითარ გოშის ტრაქტატის შეთხზვის ზედა თარიღი (ტრაქტატში ავტორი დაეით სოსლანს საქართველოს მეფედ ასახელებს³⁵, ის კი 1207 წელს გარდაიცვალა), რაც შეუძლებელს თუ არა, მეტად საეჭვოს ხდის სვიმეონ პლძაძანქელის მიერ ამ თარგმანის შესრულებას.

ამგვარად, მხითარ გოში თავის წყაროებად ძირითადად სომხურენოვან ლიტერატურას იყენებდა, წყაროს დასახელებას თავს არიდებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებლად თვლის ხაზი გაუსვას ნათქვამის უტყუარობასა და ავტორიტეტულობას. სხვადასხვა ავტორთა თხზულებებში გაბნეული ინფორმაციის უშუალოდ ამოკრეფას სხვათა მიერ უკვე კომპილირებული თხზულებებით სარგებლობას არჩევს. წყაროდან ამოღებული ფრაგმენტები შემოკლებულად მოჰყავს.

Н. Т. ЧАНТЛАДЗЕ

ИСТОЧНИКИ ТРАКТАТА МХИТАРА ВАРДАПЕТА
«К ГРУЗИНАМ»

Резюме

Трактат «К грузинам» известного литератора, политического и церковного деятеля Мхитара Вардапета является интересным источником для изучения грузино-армянских взаимоотношений на рубеже XII—XIII веков.

Цель данной работы — выявление литературных источников трактата. В работе приводятся новые аргументы в пользу или против уже известных соображений. Выявлены некоторые новые источники: «Армянская Книга Канонов»; «История Тарона» Зиновия Глака; древнегреческий трактат «Обличительное слово на армян», который приписывается некоему армянскому католикосу Исааку, а также три послания из «Книги посланий»: «Беседа между Комитасом, католикосом армян, и патриархом Константинопольским», «Ответное послание Стефаноса Сюникского Герману, патриарху Константинополя» и «Ответ Вартанеса на послание епископа Мовсеса».

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზენა-წერთა ინსტიტუტი
წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ა. გვახარიამ

³⁴ მრავალთაღი, თბ., 1971, გვ. 136.
³⁵ „არარატი“, 1901, № 2, გვ. 126.

060% კიანამი

ფონეტიკური თავისებურებანი XIX საუკუნის რუს ფილების ქართულ დრამატურგიაში

ფონეტიკურ თავისებურებებზე მსჯელობის დროს ვითვალისწინებთ, რომ საანალიზო მასალა¹ ეკუთვნის უმთავრესად ქართული ენის ფუძე დიალექტების — ქართლურისა და კახურის წარმომადგენლებს, თუმცა ამ პერიოდის დრამატურგთა შორის დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, იმერეთის მკვიდრნიც არიან (მაგ., ოქრ. წერეთელი, ა. წერეთელი, კონდრ. კლდიაშვილი...) და ამიტომ ბუნებრივი ჩანს ამ დიალექტთა თავისებურებების არსებობა პიესებში. უეჭველია ისიც, რომ პიესების პერსონაჟთა გეოგრაფიული გარემო უფრო მრავალფეროვანია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ დასახელებული დიალექტებით. რაც მეტ-ნაკლებად პერსონაჟთა მეტყველებაშიც აისახება. ფონეტიკური დიალექტიზმებს ასეთ შემთხვევაში სტილური დატვირთვა აქვთ და მათზე, როგორც ერთ-ერთ ნიშანზე მხატვრული ნაწარმოების სტილისა, საუბარი გვექნება სხვაგან. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ზოგი ავტორი, მიმართავს რა ფონეტიკური თუ სხვა სახის დიალექტიზმების (და არა მხოლოდ დიალექტიზმების) სტილიზებას, ხშირად არ ცდილობს ზუსტად მისდიოს კონკრეტულ დიალექტს, ე. ი. არ, ან ვერ იცავს დიალექტის მოთხოვნილებას, თუმცა ამის შთაბეჭდილებას კი უქმნის მკითხველს (ამის ნიმუშად გამოდგება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ ლელთ ღუნის მეტყველება).

აღნიშნავთ იმასაც, რომ ცალკეული პერსონაჟის ენის, თუნდაც მთელი დიალექტური მოვლენების აღნუსხვა და ანალიზი ემსახურება ერთ მთავარს მიზანს — გამოავლინოს ქართული ენის ბუნებრივ ტენდენციათა რეალიზაციის საბოლოო დიალექტთა (resp იდიოლექტთა) და სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით. მართალია, სალიტერატურო ენა ხელოვნური წესებითა და კანონებით განსხვავდება დიალექტური ქვესისტემებისაგან. მაგრამ არსებითი და წამყვანი ყველგან უთუოდ ქართული ბუნებაა.

ხმოვანთა რედუქცია (კუმშვა და კვაცა). რედუქცია ქართველურ ენებსა და მის დიალექტებში საყოველთაოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესია. მისი გამომწვევი მიზეზები შესწავლილია და ფართოდ გაშუქებული საენათმეცნიერო ლიტერატურაში².

კარგად არის ცნობილი, რომ ძველ ქართულ ტექსტებში ერთიმეორის გვერდით გვხვდება ერთი და იგივე ფუძეები ხან შეკუმშული სახით და ხან

¹ მასალას ვიმოწმებთ ეფრნალ „ციკლის“, პირველნაბეჭდისა და ზოგი ავტორაჟის (A) მიხედვით. ფრჩხილებში მითითებული ციფრი აღნიშნავს გვერდს.

² მკვლეთობთ ძირითად შრომებზე: ა. შანიძე, „წელიწადის“ ეტიმოლოგიისათვის, „წელიწადული“, ტფ., 1923—24, გვ. 6—11; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 26—28; ე. თ. ფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 142—172 (წაკითხულია მოხსენებად 1939 წ.); არნ. ჩიქობავა, მახვილის საკოთხისათვის ძველ ქართულში, სმამ, ტ. III, № 3, 1942, გვ. 297—300; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 135 და შემდგ.; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტა ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 279—325; თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 139—184 და სხვ.

ნაც შეუკუმშავად; ზოგჯერ — არამცთუ ერთ გვერდზე, არამედ ერთი აბზაცის ფარგლებშიც კი, რასაც მკვლევართა ერთი ნაწილი (ა. შანიძე, ვ. თოფუ-რაია, არნ. ჩიქობავა) მიაწერს დიალექტური სხვაობის ასახვას სამწერლობო ქართულში. მაგ., ა. შანიძე „წელიწად“ სიტყვაში რომ პირველი ნაწილი წელ უკუმშველია, მეორე ნაწილი კი წად (წლად < წლად) — შეკუმშული, დიალექტებს მიაწერს. ვ. თოფურიამ ძველი ქართული ტექსტებით კარგად აჩვენა, რომ ერთიმეორის გვერდით შეიძლებოდა როგორც სადიდებლად, ისე სადიდებლად. მანაც კვლავ დიალექტები გაიხსენა და მოიშველია ამ ფაქტის ასახენლად. ა. შანიძემ სტატიაში — „წელიწადის“ ეტიმოლოგიისათვის — საკიროდ ჩათვალა მახვილის საკითხის შესწავლა და შემდგომ არნ. ჩიქობავამ რედუქციის უნარი მახვილს მიაწერა (ძმა > ძმა; თაფლ > თაფლ).

ამ მოვლენის სხვაგვარ ახსნას გვთავაზობს თ. უთურგაიძე. ავტორი გამოდის იქიდან, რომ ქართული ენისათვის ბუნებრივია ერთ და ორმარცვლიანი ფუძეები. თუ მათ დაუღმატებთ -VC ტიპის (ერთ შემთხვევაში CVC -ნარ: წიფლ-ნარ) მორფემებს, რედუქციაც განხორციელდება, რადგან ენისათვის არაბუნებრივი რაოდენობის მარცვლებს ვიღებთ; ამავე დროს გასათვალისწინებელია რედუქციის შედეგად მიღებული თანხმოვნების კომბინაციები — ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ქართული მარცვლის ფონემატურ მოთხოვნილებებს. ამდენად წელიწად³ (წელითი წლად) სიტყვაში პირველი ხმოვანი არც უნდა ჩავარდნილიყო, მეორე კომპონენტის (წლად) ე კი ჩავარდებოდა. რადგან მეოთხე ხმოვანია ფუძეში, ე. ი. ყველაფერი კანონზომიერია ერთი სისტემის ფარგლებში და დიალექტები აქ არაფერ შუაშია (შდრ. ა. შანიძის მოსაზრებას). თ. უთურგაიძისავე აზრით, პარალელური ფორმები — უკუმშველი და კუმშვადი — სალიტერატურო ენასა და დიალექტებში დასაშვებ გარიანტებს წარმოადგენენ ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის ფარგლებში (შდრ. ვ. თოფურია), ხოლო მსჯელობა მახვილით რედუქციის ახსნისა (არნ. ჩიქობავა) მისთვისაც ლოგიკურად მიუღებელია, რადგან მახვილი ხსნის რედუქციას, რედუქცია კი მახვილს, ე. ი. ერთი უცნობი იხსნება მეორე უცნობით⁴. თ. უთურგაიძის გამოკვლევაში მოცემული დასკვნები ჩვენთვისაც გასაზიარებელია.

ზემოთქმულის შემდგომ წარმოვადგინო ჩვენთვის საყურადოებო მასალას. ა და ე ხმოვანთა რედუქცია არ ხდება ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში შემდეგ მაგალითებში: დაუცხრომელისა სისხლისა მქონებული (თ. ბაგრატი, A 4v, ავტ.); გაუჭირვებელის გაჭირვება, სისუსტე არის ჭკუის (იქვე, 7r); რომელთ უპოვნეს, ჭურჭელად ფოლი ვირის (იქვე, 4r, ზუგდ.); სახელოვანად, გირი გმირულად მკვდარი (იქვე, 43 v); ბოლო ორი ნიმუში ლექსშია გამოყენებული და შეუკუმშავი ფორმები სტროფებში მარცვალთ-რაოდენობის მხრივ შეფარდებასაც უწყობს ხელს (სალექსო სტრიქონის მუხლების შეფარდებაა 5 : 7) და ერთი ასეთიც: კარგი, სირაძე მოწამე⁵ იყოს (იქ-

3 ენის ფონემატური შესაძლებლობა — იქონიოს ვარიაციები (შეკუმშული და შეუკუმშავი) — საინტერესო ჩანს პროზის რიტმის შესასწავლად.
4 ფუძის კუმშვაზე მახვილის გავლენას გამოიკვლევდნენ ჰ. ფოჯტი და ს. ელენტი: Hans Vogt, Alternans Vokaligen en d'orzielen. NTS. 1939, გვ. 126; ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963, გვ. 135 და შემდეგი ციგოწმებით თ. უთურგაიძის მიხედვით: ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 183).
5 შდრ. საბახთან: „მოწამე“—1. დამოწმებელი, 2. მარტური, ძველ ქართულში მოწამე („მოწმე“) ჩვეულებრივია. იხ. ი. აბუღაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., 1973.

ვე, 7r). ტექსტში მოწამე „დამმოწმებლის“ მნიშვნელობით იხმარება (მთლიანად ახალი ქართულის მოწამე „მარტირი“ და მოწმე „დამმოწმებელი“ ექვეყნეულ ტენდენცია ფორმათა ლექსიკური განსხვავებულობის დამყარებისა). ზმნისათვის თავის პიესაში „ყვარყვარე ათაბაგი“ მოწმე და მოწამე ფორმები ერთმანეთის მონაცვლეა და ლექსიკური მნიშვნელობა ერთი აქვთ, ნიშნავს **დამმოწმებელს**: „იყავით მოწამენი“ (34) და „ვიწვევ მოწმად“ (24); **მოწამე/მოწმე** შესაძლებელია გარედან დაწოლის გარეშეც: სამმარცვლიანმა სიტყვამ შეიძლება დაკარგოს შუა ხმოვანი, თუ თანხმოვნები მისცემენ ამის საშუალებას. **მოწამე/მოწმე** ცვლილების შემთხვევაში ორ ხმოვანს შორის ექცევა ორი თანხმოვანი (მოწმე) და ბუნებრივია, რაიმე უზერხელობა ფონემატური თვალსაზრისით აქ არ იქმნება: შემდგომ ამას მოჰყვა **მოწამე** და **მოწმე** ფორმათა სემანტიკური განსხვავება [1, გვ. 83—85].

ძველი მეგვიდრობა ჩვენს მასალაში ასეთი ფორმები: ამპარტავანება („დავით. აღმაშ.“, 112), მაცხოვარის ხატზე (იქვე, 19), საკურთხეველის კარები („ირაკლის დრო“, A₂44, „ცისკ.“, 35); პიესაში შეუქმნავია: სასწავლებელი („ცისკ.“, 29), ფიცხელათ (A₂ 92, შდრ. „ფიცხლად“). ძველ ნორმას მისდევს გ. ერისთავთან დადასტურებული „გინდათ მისცეთ საწამებლად“ („ყვარყვ.“, 24); ოტ. თავმრგვალადის პიესაში: საფიქრებელათაც („ერთი დენიატინა“, 2); უკლებელათა აქუს („შული უმანკებისა“, 37) და სხვ.

ერთმარცვლიანთა ძველ წესს მისდევს და ხშირად არ იკუმშება **ქმარ** ფუძე: „რომელი არჩიო ქმარათა“ („შული უმანკ.“, 79), „ჩემი ქმარის პორტრეთი ბრძანდებით“ (ივ. ბარათაშვილი, 2); **ქმარ** უკუმშველია მთის დიალექტებშიც; „ვეფხისტყაოსანშიც“ გვაქვს **ქმარობა** (541, 1), **ქმარება** (1472, II). არ იკუმშება **მასხარ** ფუძე: „არა, მემასხარება კიდეცა“ („ჯერ დაიხოცნენ...“, 20); „კიი მასხარობა მოგივიდა“ (იქვე, 7); „კმარა ამთენი თქვენი მასხარობა“ („ბრუნავი სტოლები“, 33).

შეუქმნავია: **ფიცხელათ** („ირაკლის დრო“, A₁ 91), „ყალბათ გავფუქკინი“ („ჩემი ქმარი...“, № 5, გვ. 14); **წყალი** ასეთ კონტექსტში: „პირის წყალიანი ვაჟია“ („რას ვეძებდი...“, 36; შდრ. პირწყლიანი); **ქალამან** -ებ-იან მრავლობითში: „მერე ქალამანები ვის უნდა“ („ჩემი ქმარი...“, № 5, გვ. 9); „ახალად დავიბადე“ („სიქსტი V“, 2).

როგორც წესი, შეუქმნავია **წელიწადი** -ებ-იან მრავლობითში: „შენის წელიწადებითა ზეცას უნდა შეჰხაროდე“ („ყამინა“, IV მოქმ., შდრ. ვალაკტიონის „წელიწადები წავლიან ძველი...“) — როგორც ჩანს, ენა მიანიც ერიდება ხმოვნის დაკარგვას ჩქამიერთა შორის.

შეუქმნავი, ძველი ნორმითაა **ქვეყანა**: „შენი მტერი, რომ ხვალ სულ ქვეყანად გამოფინოს“ (ნუ დაჰკარგავ...“, 9).

შეუქმნავი ფორმების გვერდით შეუქმნულიც გვხვდება. ხშირია **ყოველი** და **ყოვლი**: „ყოველისფერი უკლებელათა აქუს“ („შული უმანკ.“, 37)... და „ყოვლი სიკეთე“ (თ. ბაგრ., 22v). **ყოვლი** სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივია საშუალო საუკუნეებიდან: „ვეფხისტყაოსანში“ **ყოვლი** სხვადასხვა ბრუნვაში 100-მდე გვხვდება.

უკუმშველ **ფერ** ფუძეში ფუძისეული ე ზოგჯერ ამოღებულია, რადგან იგი წინა სიტყვას ეკედლება: „ყოვლის ფრის“ (თ. ბაგრატ II V); ყოვლის ფრითა („ირაკლის დრო“, A₁; A; „ცისკ.“, 10) და ა. შ. პარალელურ ფორმებს ვეჩვენებ-

6 შდრ. სახელი: მასხარი და მასხარა (ხუმარი-ი/ხუმარი-ა თ. ბაგრატიონთან). ამ უკანასკნელიდან არის შიღებული მასხარობს („მასხარასავით“, „როგორც მასხარა ისე“) და მასხრობს („ხუმრობს“ ზმნა); მასხარა ახალ ქართულში ასეთ ფორმებს გვაძლევს: მასხარი-ის-ი, მასხარი-ის-ა > მასხარი-ის-ა, მაგრამ არასოდეს გვაქვს მასხარა-ის.



ნებს მხარ ფუძე: ქიზიყ-გალმამხრელისა (იქვე, A₂ 40, „ცისკ.“, 32)//თქვენის მხარის (A₂ 49, „ცისკ.“, 39).

შეკუმშულია და ძველ ნორმას მისდევს სოფლითი სოფლად გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგიდან“: „უნდა დავდიოდე სოფლითი სოფლად“ (28, შდრ. „წლითი წლად“); საყურადღებოა ანალოგიური წარმოება: „თუთონ მე სიტყვითა სიტყვით მასსოვს“ (იქვე, 41, შდრ. სიტყვასიტყვით); ძველი ქართულიაა ფორმა სახლები (შდრ. „სახელთ“). ამოსავალია სახელი-ი და დღესაც ვხვდებით დიალექტებში ამ მნიშვნელობით (2); ჩვენს ტექსტებში რამდენიმე ავტორთან დავადასტურეთ: სახლებიანთ (ოქრ. წერეთ. 4 V), „კაბის სახლები გადაგდებული ჰქონდა ხოლმე მხრებზედ“ (ივ. ბარათაშვი. 3), შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „ხელითა ცრემლსა უწურავს, თვალთა ავლებდა სახელსა“ (871, 1) და სხვ.

ო-ს დავიწროვება, გაუმარცვლოება ხდება რაოდენ > რავედენ (> რამდენ) სიტყვაში (ფონემატურად მიუღებელია ორი ხმოვანი უშუალო მეზობლობაში): რავედენისამე („ირაკლის დრო“, A₂ 1, „ცისკ.“, 3, ავტ.); რავედენმა („ჟამნი“, 1 მოქმ.), რავედნი (იქვე, ავტ.) — ნიმუშები მრავალადა.

ძალზე ხშირია და ზოგ ავტორთან სისტემებში შეკუმშულია სიტყვათმაწარმოებელი აფიქსი -გან-ი (შდრ. თანდებული -გან) მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის წინ: შენგნით („ირაკლის დრო“, A₂ 22, „ცისკ.“, 18), თქუნგნით (იქვე, A₂ 76, „ცისკ.“, 59), ჩუმგნით (იქვე, A₂ და „ცისკ.“)... — სისტემატურად; ჩემგნით („ჯერ დაიხოცნენ...“, 12) — ერთი ნიმუში; იგივე ფორმა ი. ელიოზიშვილთანაც გვაქვს: ჩემგნით (13), ოტ. თავმრგვალაძესთან (14) და ა. შ.

შეკუმშული ფორმები დიალექტიზმი ჩანს ავტორის სიტყვებში: ნადები და კოკობი: ნაღბის ჯამებით („ჟამნი“, 1 მოქმ., ავტ.). კოკობით რძეს ჰყიდის (იქვე, ავტ.). ამასთან უნდა ითქვას, რომ შეკუმშული ფორმები არ ეწინააღმდეგება რედუქციის ძირითად კანონს. ქეგლ-ის II ნიმუშს, რომელსაც იმოწმებს თ. უთურგაიძე, ესენიც დაემატება [4, გვ. 148]. როგორც მოპოვებულ მასალიდან ჩანს, ყველა ნიმუში ქართული ენის ბუნებას გამოხატავს.

კვცა. ზევით რამდენიმე კვეცად-კუმშვადი სახელიც განვიხილეთ (მაგ., ქვეყანა). ყურადღებას იქცევს რა ნაცვალსახელის უკვეცელობა (მსგავსად ძვ. ქართულისა [5, გვ. 47] ებ-იან მრავლობითში. სისტემებზე ვგვხვდება რაები (> რები ასიმილაციით): რაებს („დავით. აღმაშ.“, 12); რ. ერისთავის, ბ. ჯორჯაძის, ივ. კერესელიძის, ი. ელიოზიშვილის პიესებში სხვაგვარად თითქმის არცა გვაქვს. მოვიყვანთ ნიმუშებს:

რ. ერისთავი, „ჯერ დაიხოცნენ...“: რაებს ვაბობ (17), რაები მოთხრა (23). „ბრუნავი სტოლები“: რაებსა ბრძანებს (22), რაებსა სწერს (25) — უამრავია;

ი. ელიოზიშვილი, „ჩემი ქმარი...“: რაები ვნახე (20), რაებს მკადრებ (№ 5, 5) რაები ბოდამ (5, სომეხი პერს.).

ივ. კერესელიძე, „შული უმანკობისა“: „რაები გიყო და რაები არა“ (30). „სიქსტი V“: „ვიც იცის, შიგ რაები ძევს“ (7), „რა უნდათ და რაებო, კაცი რომ ვერ გაიგებს იმათ ჩაცმისას“ (5) — რაები აქ ნიშნავს „რაღაცას“.

ბ. ჯორჯაძე, „რას ვეძებდი...“: რაებს იტყვის (42).

ა. წერეთელი, „ძველი ამხანაგები“: რაები ხართ (2) და სხვ.

ზოგ ავტორთან რაები ფორმა არ შეგვხვედრია (მაგ. თ. ბაგრატიონთან).

რა ფუძე უკვეცელია -თვის თანდებულთან ნათესაობითში. თ. ბაგრატიონთან გვაქვს რასთვის არის (18), რასთვის არ მსახურებ (იქვე: შდრ. ძვ. ქართ. რაისთვის); უკვეცელია ამა ნაცვალსახელი ებ-ის წინ: „ამებს მაინც შევიხანაბ“ („რა გავიგე...“, 6).

ებ-იან მრავლობითში უკვეცელია თანა თანდებულდართულ ფორმებიც:

„მაგისტანაებს თუ აჰყვე“ („ჯერ დაიხოცნენ...“, 2), „ჩემისთანა კაცი ამისთანა-
ებში არა მგონია, რომ იყოს“ („სიქსტი V“, 6).

რალაცა და მისი ფონეტიკური ნაცვალ **რაცხა** (რალაცა > რაცლ > რაცხა) ასევე უკვეცლია ებ-ის წინ (ასიმილირდება): მინდოდა რალაცეებიც მეთქო („შული უმანკ.“, 55); რაცხა — რაცხაები (ოქრ. წერეთ., 7 V). რალაცა აღმოსავლური ქართულია, რალაცა კი — დასავლური.

— ებ სუფიქსი არ იწვევს კვეცას ასეთ შემთხვევებშიც: რჩევაებას მკითხავს (თ. ბაგრატი, 32), ტიტველების სოვეტნიკი („ჩემი ქმარი...“, № 5, გვ. 3), მუქარაებისა არ მეშინიან (იქვე, გვ. 14). ამ სიტყვებში ბოლოკიდური ა ალბათ გათანაბრებულია წარმოქმნულ ა ელემენტთან — ტიტველა/ტიტველი, მუქარა/მუქარი და მისთ. ზოგ დიალექტში (ხევსურული) წარმოქმნის ა ელემენტი არ იკვეცება — და შეიძლება ამით არის შეპირობებული ამ მაგალითებში უკვეცელობა. მაგ., **გ. ერისთავის** „ყვარყვარე ათაბაგში“: სასახლის პამპულაებს (9, შდრ. პამპულა), კვეცადია ალა („ბატონი“); „რათ იზამ მაგისტანას უშველებელსა აღის მალვით“ („ჩემი ქმარი“, 8); სომეხი პერსონაჟის მეტყველებაში **მასხარა** წარმოდგენილია **მასხარ** ფუძით: კნიაზჯან მასხარსა შერბი (იქვე, 9).

რამდენიმე ნიმუშია **მო-ე** კონფიქსებით ნაწარმოები ფუძის კვეცისა — ობა სუფიქსის წინ: „მოლექსობას და სობრძენს ჰსჩემობს“ („ყვარყვარე...“, 3), მელექსობასთან აქუს ნამდვილი სიყვარულის გრძნობა“ (იქვე), პარალელურად არის **მოლექსობაც**: „ელენე ხომ იცი მოლექსობას ჰსჩემობს“ (იქვე, 17).

ასევე, — ობა სუფიქსის წინ მოკვეცილია **ე მეუღლე** სიტყვაში (შდრ. უღელ — მე-უღელე; შემდეგ: მეუღლე-ობა > მეუღლობა): „შენს მეუღლობის სახელს“ (იქვე, 35).

კვეცის სხვა ნიმუშები ძალზე ტიპურია და მათ ანალიზს არ ვიძლევი.

ასიმილაცია და დისიმილაცია. ბევრათა დამსგავსება და განმსგავსება საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესებია ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში. იგი არც ძველი ქართული წერილობითი ძეგლები-სათვის არის უცხო. დრამატურგიულ ნაწარმოებში უმეტესად პერსონაჟთა მეტყველებაში ვლინდება. ნაკლებად გვხვდება ავტორისეულ მეტყველებაში [6, გვ. 161—176].

თანმოვანთა ასიმილაციის ასეთი ნიმუშები მოვიხივთ საანალიზო ტექსტებში: გამჟღერებელია ფუძისეული **თ** მომდევნო **გ**-ს წინ კომპოზიტში „ერთგული“: **ერდგული** (თ. ბაგრატი, 19), **ერდგულე** (იქვე, 12, 43); ძალზე ხშირია მოქმედებითი ბრუნვის, ნიშნისეული **თ** > **ღ** -გან თანდებულის წინ: ქვეყნიდგან („დავით აღმაშ.“, 9) და მისთ.

პირის ნიშანი **ს** მჟღერდება **ღ**-თი დაწყებულ ფუძეებთან: **ღებ** (ღგომა), **ღებ** (ღება), **ღევ**/ღევა/ღენა/: ფებს არ გამოზდგამს („ნუ დაჰკარავ“, 8); მიზღევს („ყვარყვარე...“, 5), მოზღევს (იქვე), დაზღე („ჯერ დაიხოცნენ“... 16).

ბ-ის ნიშანი **ს** გამჟღერებულია **ძ**-ს წინ: გაზძახებს („ჩემი ქმარი...“, 16).

სღ > **ზღ**-ს და **ესთე/ისთე/ასთეს** ადგილას გვაქვს **ეზღ/იზღ/აზღ**: „ეზღე შოუტყე“ („ჩემი ქმარი...“ 6), „იზღე დაარჩობს“ (იქვე, 7), „იზღე გაკუტდა“ (იქვე, 12), „აზღეა, შე კაცი“ (იქვე, 14) — ნიმუშები პერსონაჟის მეტყველებას განეკუთვნება. როგორც ჩანს, ხდება იმის გამო, რომ **ზღ** კომოგენურობით უფრო ახლოს დგას ბუნებრივ კომპლექსებთან, მაგრამ აქ დარღვეულია პეტროგენულობის და ხშულნაპარალოვანი მიმართების პრინციპი... ამიტომ არის შესაძლებელი **სღ** > **ღ**, რაც აგრეთვე დადასტურებულია ზოგ დიალექტში, მაგ., იმერულში (მიღევს..., მიღია...).

მგ > **მზგ** (გადასმის შედეგად: მგზ): მზგავსებრივ („ირაკლის დრო“, A, 53,

ავტ., „იოსკ.“, 42, ავტ.), მგზავსი..., შევამგზავსებ („დავით აღმაშ.“, 5), გზავსებით (ვ. ბარათაშ., 4), მიემგზავსა (იქვე).

დაყრუებულია დონ-ი და ხდ>ხტ. გვაქვს პარალელური ფორმები ერთი პიესის ფარგლებშიც: „ბერჩამოხდას... იძახიან“ (თ. ბაგრატი., 41)//ბერჩამოხტა (39). ხტომა-ს ვალ ფუძიდან მიღებულად მიიჩნევს ლ. კიკნაძე [7, გვ. 125—127]. ძველი ქართული ხლტომა//ვლდომა ერთია მნიშვნელობით: ხ განვითარებულია ვ-ს წინ, ტ კი ელ სუფიქსის სახეცვლოლებაა. ხტომა ზმნის განვითარების გზა ასეთია: ხტომა<ხლომა<ხლდომა<ხვლდომა<ვლდომა (* <კალ-ვლდომა-ა). აქვე შევნიშნავთ: ლ. კიკნაძე ყურდნობა ვ. თოფურიას მოსაზრებას, რომ ძვ. ქართულის ხლდომა ახალში ხტომა//ხთომა-დ იქცა, რასაკვირველია, ლ-ს გამოცლის შემდეგ [8, გვ. 210—211]. ეს არ უნდა იყოს სწორი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩქამიერთა გამკვეთრება ხდება სწორედ სონორთა მომდევნოდ; მაგ., რამდენი/რამტენი, რამდონა/რამტოლა, ხორდი/ხორტი, კინთი/კანტი... ასევე მოსალოდნელია ხლდომა/ხლტომა და შემდეგლა ლ-ს დაკარგვით ხტომა: მასასადაამე: ხლდომა/ხლტომა>ხტომა.

ვლ>ხდ>ხტ: ვ/ხ არის ამოსავალი ზმნებისათვის: „ეს რა მოგიხთა“ (თ. ბაგრატი., 221)//„ეს როგორ მოგიხდა“ (იქვე, 23); მომხთარა (იქვე, 33), „ავათ გახთა“ (იქვე, 37). ჰომოგენიზაციის პროცესი რომ განპირობებულია ბუნებრივ კომპლექსთა თვისებით (მეღერთან — მეღერი, ფშენიერეთან — ფშენიერი) აღნიშნული ჰქონდათ ჭერ კიდევ ს. ხუნდაძეს, ნ. მარს და სხვებს, ბოლოს გ. ახვლედიანმა პარამონიულ კომპლექსთა ერთ-ერთ მახასიათებლად სწორედ ჰომოგენურობა გამოყო [9, გვ. 109].

ხდ>ხტ: მიხვედრა (ხტდომა) ზმნაშიც ამავე კანონს ემორჩილება: მივხტი (თ. ბაგრატი., 36), მიხუთი (იქვე, 23), მიხვდებით (იქვე, 39)//ვერ მიხვდით. (იქვე, 24). სხვა ავტორთანაც ვხვდებით: „აი გახთა ათი თუმანი“ („ჩემი ქმარი...“, 10). ამოსავალი ხტდომა უნდა ვიფიქროთ, რომ ხტედ-ისაგან მოდის, თუმცა ამ მნიშვნელობით დადასტურებული არ უნდა იყოს ძველ ქართულში, მაგრამ, ცხადია, ტიპია ეტდომა (შდრ. მო-ვ-კუედ) ფორმისა. კომპლექსი აქცესიურია და, ბუნებრივია, „პარამონიული“ ვერ იქნება.

ჰომოგენიზაციის პრინციპით სპარსულ სუხტ-ში შეიძლება მრმხდარიყო სტ>სთ: სუსთი (თ. ბაგრატი., 63, 64), დაუსუსთდეს (55, იქვე) — მაგრამ ფონემატური წინააღმდეგობა მაინც რჩება, რადგან ს და თ ორივე წინანენისმიერი თანხმოვნებია (შდრ. დიალ. სუდტი).

კვდ (კუედ, მოკუედ) // კლ>კვტ/კტ: მოგვიკტები (ოქრ. წერეთ., 2 v), მოგვიკტეს (იქვე, 3 r), მოვკტი (იქვე, 6 r), მომიკტება (იქვე, 15 r) — ამ ავტორთან სისტემებ; სხვაგანაც გვხვდება: მოგვიკვტეს („ჩემი ქმარი...“, 33)//მოკველები (იქვე, 8).

ბ დაყრუებულია ბგერათკომპლექსში ბრწყ>პრწყ: პრწყინამენ (ოქრ. წერეთ., 15 r). ბილწი-ს ადგილას კი გვაქვს პილწი: წიეპილწვის (იქვე, 3 r), წაპილწული (იქვე, 5 v), სიპილწე (იქვე, 23 r).

მეღერი ღ ყრუდება ც-ს გვერდით და ცლ>ცხ: რაცხა — რაცხაები (ოქრ. წერეთ., 7 v).

ღწ>სწ: მიახწვეინე („ჭერ დაიხოცენენ...“, 22). „ათიოდე თუმანს დავახწვედი როგორმე“ („რა გავიგე ლოტოზედ“, 7), „მკლების ხელში ჩავარდნილი ისე დაეხწვევა“ (იქვე, 13).

სჩ>შჩ: ხაქმესა შჩადის („შული უმანკ.“, 65), რაზედ შჩადიოდა ამისთანა საქმეს („ცოლები დავკარგეთ“, 11).

გც>ქც: მიქცა მილიციაში („შული უმანკ.“, 85).
სპ>სფ: გარდა სფირიდონისა („ცოლები დავკარგეთ“, 40, ავტ.).



შტ>სტ: გასასტერებელის მოთმინებით („ყვარყვარე...“, 39), გასასტერებელი საქმეები („ბრუნავი სტოლები“, 25), გასასტერებელს ამბებსა სწავლა (21). გასტერებული (6 ავტ.) — ქართულში ცალკე „სტერია“ შტერის⁷ ნაცვლად არა გვაქვს. „გასასტერებელ“—ში სავარაუდებელი ასიმილაცია სისინის მიხედვით. „გასტერებული“ შეიძლება „გასასტერებელის“ ანალოგიით იყოს გაჩენილი (ფიქსირებული ფორმა).

ხინჯ>შინჯ (შდრ. ხინჯვა): გავეშინჯათ (თ. ბაგრატი, 11); გავეშინჯება („ბრუნავი სტოლები“, 5), დაუწყებენ შინჯვასა („რას ვეძებდი...“, 12).

უწარღლებას იქცევს **თანხმოვანთა ასიმილაციის** ასეთი მაგალითები:

აღ. ორბელიანის პიესებში ხშირად ვხვდებით **ხელცახოცს** (შდრ. ხელსახოცი). მაგ., ხელცახოცი („ირაკლის დრო“, A 48, „ცისკ.“, 38 ავტ.), ხელცახოცს მიიფარებს („ყამნი“, II და IV მოქმ., ავტ. მეტყუ.). იგივე ფორმა პერსონაჟის მეტყველებაშიც არის (IV მოქმ.), თუმცა იქვე. იგივე პერსონაჟი ამბობს **ცხვირსახოცი-ო**. ეს შეიძლება იმ მიზეზით ხდებოდა, რომ ასეთ შემთხვევაში სამი ც მოგროვდება ერთად სიტყვაში (შდრ. ცხვირცახოცი); ხელცახოცში კი, თუ ლს>ლც (აფრიკატიზაცია სონორის მომდევნოდ), მომდევნო ც-ც ხელშემწყობი აღმოჩნდა.

დისტანციური ასიმილაციის ცალკეული ნიმუშებიდან დავასახელებთ ასეთებს: ალიყულსა გკრავს („ჯერ დაიხოცენ...“, 30), ქახალი (იქვე, 8), შაფათი (შული უმანკ., 57); შდრ. „შაბათ“; ასიმილაციის შედეგი ჩანს **უხიაკი** (შდრ. „უხიაკი“, ეტყობა ხ-ს გამო გ>კ).

დისიმილაცია თანხმოვნებში ხდება, როცა ორი ლიკვიდი (რ ან ლ) იყრის სიტყვაში თავს. ნიმუშები უხვია. მოვიყვანთ რამდენიმეს: განმსავასდება ორი რ: ორჯელ („ყვარყვარე...“, 6; „შული უმანკ.“, 18, 36); ბევრჯელ („ირაკლის დრო“, A₁; A₂ 91, „ცისკ.“, 7; „ცოლები დავკარგეთ“, 5, 13) და ა. შ. არაფული (ოქრ. წერეთ., 6 რ, 21 ვ). პარალელური ფორმით გვხვდება: მარგალიტი (თ. ბაგრატი, 40) // მარგარიტი (იქვე, 59); მარგალიტის ნაყერის სარტყლით („ყვარყვარე...“, 3) // შენი ცრემლი მარგარიტი არ არის (იქვე, 43); ბარბარე (ოქრ. წერეთ., 19 რ) // ბარბალე (იქვე, 5 ვ, 19 ვ). დისიმილაცია ხდება სიტყვაში **მეწვიმალე** („ირაკლის დრო“, A₁, A₂ 1) // მეწვირილმანე (A₂ 3, ავტ.).

შბ>ნბ სახელურ (ამბავ>ანბავ) და **ზმნურ** (მბობა>ნბობა) ფუძეში: ანბავი მიაშბეთ („დავით აღმაშ.“, 15; „ყამნი“, I მოქმედებაშივე ბევრია), როგორც პერსონაჟის, ისე ავტორის მეტყველებაში; იგივე ფორმები დასტურდება — აკ. წერეთ., „ძველი ამხანაგ“, 3; გ. ერისთ., „ყვარყვარე“, 15, 24, 38; ოტ. თავმრგველ-„ერთი საზოგ. სურათი“, 6; ბ. ჯორჯ., „რას ვეძებდი“, 39, 48; ივ. კერეს., „შული უმანკ.“, 14; „ცოლები დავკარგეთ“, 5, 11, 12, 13, 29 — ყველა პიესაში ამ ავტორისა მასალა უხვია.

ზმნურ ფორმებში: ვანობ („ირაკლის დრო“, A₂ 21, „ცისკ.“, 18), **მიანობ** („ძველი ამხანაგები“, 15), **ანბობენ** (იქვე, 18). ივ. კერესელიძის პიესებში მასალა ძალზე ბევრია. მიუხედავად გვერდებს პიესებიდან: „შული უმანკოები-სა“ — 38, 48, 51, 70... „ცოლები დავკარგეთ“ — 10, 15, 20, 23... „სიქსტი V“ — 5, 6, 9. მასალა უხვია სხვა ავტორებთანაც: მათ შორის, ბ. ჯორჯაძის, ოტ. თავმრგველაძის, ი. ელიოზიშვილის, რაფ. ერისთავის პიესებში.

⁷ შტერი ქართულში ნასესხებია. სტ და შტ ქართულსათვის ორივე არაბუნებრივია. თუ ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით, ტ და ს ახლო ღვანან ერთმანეთთან, ვიდრე ტ და შ (ნუნსმიერი ძ, ც, წ, ზ/ს; მგარი სისისმიერი ჯ, ჩ, ჰ, ე/შ; ზ, ს კოტა უფრო უკან წარმოითქმის, ვიდრე ძ, ც, წ; ასევე ჯ, შ — კოტა უკან, ვიდრე ჯ, ჩ, ჰ — მიზეზიც ეს იქნება. შეიძლება ორივე ფაქტორი მოქმედებს ერთდროულად).



ამბავი//ანბავი პარალელური ხმარების შემთხვევებიც არის. მაგ. ი. ელიოზიძის ზიშვილის პიესაში „ჩემი ქმარი სხვას ირთავს“; ანბავი (№ 5, გვ. 7) /ამბავი (იქვე); ანბობს (3, 7, 17) //ამბობენ (15); ასევე ბ. ჭორჭაძესა და ივ. კერესელიძესთან: ანბობ („რას ვეძებდი“, 5, 46, 47, 53 ავტ.) //ამბობს (10); ანბობ („ნუ დაჰკარგავ...“, 9) //ამბობ (11); მაგრამ ჩვენს მასალაში ჰარბობს მბ>ბმ შემთხვევები. მბ თითქმის ნორმალ არის ვატარებულო, რაც სამწერლობო ენაში აღმოსავლურ კილოთა გავლენას უნდა მიეწეროს [10, გვ. 80; 11, გვ. 156, 185—188].

მბ>მბ სხვა მაგალითებშიც გვაქვს: ბუნბულანი („ქამნი“, I, ავტ.), ბანბი „ერთი დესიატინა“ (13, ავტ.).

დისიმილაციური გამჟღერების შედეგად ჰყ>ბყ, ფრთხ>ბრთხ, ქც>გც... ჰყ>ბყ (გამჟღერება მკვეთრთა კომპლექსში): განებურნათ ხელი („ქამნი...“, I მოქმ.). ფრთხ>ბრთხ: მიბრთხილდი („ნუ დაჰკარგავ...“, 3), გაბრთხილდი („შულო უმანკ...“, 84).

ქც>გც (გამჟღერება ფშინიერიტა კომპლექსში): „პატარა კიდეე შეგვაგოცოს“ („ყვარყვარე...“, 12).

ჯდ>ედ (ჯედ>ედ): შეუედება („ირაკლის დრო“, „ცისკ...“, 25); ორა ხშული (ჯდ) იძლევა ნაპრალოვანი+ხშულს (ედ).

ცდ>სდ (ორი ხშულიდან პირველი განაპრალოვანდა): ვგონებ ვიყო შემსდარი („ჯერ დაიხოცენ...“, 14).

სთ>სდ (შდრ. სთ>სდ>ზდ): ისდდ („ცოლები დაეკარგეთ“, 5, 6).

ნს>ნც (სპირანტის აფრიკატიზაცია ხდება [12, გვ. 51; 13, გვ. 111; 14]: პენცია („ნუ დაჰკარგავ...“, 6).

ვს>მს: სამსე („ჩემი ქმარი...“, № 5, 17; „რას ვეძებდი...“, 12, 47).

ვს და მს კომპლექსები ქართლისათვის ფონემატურად დაუშვებელია. ვეს>გეს ძირი ნასესხებია ოსურიდან, ძირი ინდოევროპული წარმომავლობისაა [15, გვ. 87]. ქართული ფონემატური სტრუქტურა ამ კომპლექსს იტანს მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში: ავსება//ამსება, სავსე//სამსე... ამიტომ ნაკლებად გვხვდება სხვა პოზიციაში. ქართული სისტემის შესაბამისა გარდაქმნა ვს>ფს, რაც ჩვენს მასალაშიც დაფიქსირდა: დეიფსო ოჯახი (ოქრ. წერეთ., 52 r); ვს>ფს ბუნებრივი კომპლექსებისაყენ მისწრაფების გამომატველია და დასავლურ კილოებში ჩვეულებრივი (შდრ. მეგრ. ფშაფა).

ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევებიდან გამოვყოფთ მამ<მომ (ხმოვნის დისიმილაცია ხდება ლაბიალობის მიხედვით მმ-ს მომდევნო მ-ს გავლენით [16, გვ. 261; 4, გვ. 21]. მომცა>მამცა და მისთ. ფორმები შეტანილია საბას და იტალიელ მისიონერთა ლექსიკონებშიც, რაც იმაზე იწიფითებს, რომ სასაუბრო მეტყველებაშიც გამოიყენებოდა და ლიტერატურული ტრადიციაც ჰქონდა. ამის ნიმუშები ჩვენს მასალაშიც უხვადაა და უმთავრესად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება. მაგ., ალ. ორბელიანის პიესებში: წამამსვი („ირაკლის დრო“, „ცისკ...“, 25), გამამგზავნა („ქამნი...“, II მოქმ.), გამამცვალა (იქვე, IV მოქმ.) და მისთ. უამრავია მაგალითი ი. ელიოზიძის პიესაში „ჩემი ქმარი...“: მამკლას (5, 8), მამვიდა (7), მამახვია (15) და ა. შ. მომ>მამ ხშირია ივ. კერესელიძის პიესებშიც: „შულო უმანკობისა“ მხოლოდ მამ ფორმას გვიჩვენებს: გამამიყვანე (8), გამამხედეთ (2), გამამისტუმრა (14, 43), გამამგზავნა (53) და ა. შ. „ცოლები დაეკარგეთ“: მამელოდა (14), მამვიდა (11); „ნუ დაჰკარგავ“: ამამადგებენ (5), გამამიგზავნის (13); „სიქსტი V“: მამიყულები (9), შემამიკვეთავდი (11), წამამაწვება (12), მამამბურა თავი (2) და ა. შ.

8 მხოლოდ თეიმურაზ I არ ხმარობდა მას. არ შეგვხვდებოდა თ. ბაგრატიონთან და ა. წერეთლის საანალიზო პიესებში. სხვა ავტორებთან მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება.

ხმოვანთა დისტანციური დისიმილაციის ერთეული მაგალითი **მოწეველი**
ა. წერეთელთან: ამელამ („ძველი ამხანაგები“, 20).

დისტანციური ასიმილაციის ნიმუშებია: კელეტრები („ირაკლის დრო“, A₂ 46, „ცისკ.“, 37), ფენჯერეში იყურება („ძველი ამხანაგ.“, 7 ავტ.). **ფენჯერე** დიალექტური ჩანს, სიტყვამ ალბათ ასეთი სახეცვლილება გაიარა: **ფანჯარა > ფანჯარე > ფანჯერე > ფენჯერე**. აქ ეა რეგრესიული ასიმილაციის შედეგია. შემდგომაც რეგრესული ასიმილაციის შედეგად ყველა ა ერთიმეორის თანმიმდევრობით გადავიდა ე-დ.

მრავალრიცხოვანთა მაგალითები ი. ელიოზიშვილისა და ივ. კერესელიძის პიესებში. ნიმუშები ზოგჯერ ტიპურია, განსაზღვრულია პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებებით. ი. ელიოზიშვილის პიესაში „ჩემი ქმარი სხვას ირთავს“ ასეთი ნიმუშებია: მევიტანე (8), მევიდეს (11), მევიდა (13), წვევიდე (9), გედრიოვინე (14), გედირია (7). დევიბნივე (12). დევიკარგე (7), დემიკავე (8). (მოულოდნელი ფორმა — მ-ს წინ ა-ს ასიმილაცია) და სხვ.

ივ. კერესელიძის პიესიდან „ცოლები დაეკარგეთ“ ასეთ მაგალითებს მოვიყვანო: მევიდა (10), მევიდა (8), მევიდენე (29), დევიშალოთ (12). არის პარალელური ფორმებიც: დამევიწყდა (10) // დამევიწყდა (იქვე, ერთი და იმავე პერსონაჟის მეტყველებაში), წვევიდა (4, ივანიკა) // წვევიდენე (9, სფირიდონ) — ამ შემთხვევაში პარალელურ ფორმებს სტილური ფუნქცია აკისრიათ. ცხადია, ნიმუშები სხვა ავტორებთანაც დაიძებნება.

ხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია და დისიმილაცია. ქართულ ენისათვის არაბუნებრივია ხმოვანთა-კომპლექსები. ამიტომ ხმოვნებში ასიმილაცია განხილდება როგორც კომპლექსის შემადგენელთა მასწრაფება ერთ ხმოვნად შერწყმისაკენ ასიმილაციის ან დისიმილაციის გზით. ორივე ეს პროცესი (როგორც ეა > აა, ისე ეა > ია...) ფონემატურად შეპირობებულია. საბოლოოდ ორივეს მიყვავართ ცალ ხმოვანთან დიფთონგიზაციის გზით [17, გვ. 19—33; 4, გვ. 26—41].

ზმნისწინისეული ხმოვანი ხშირად განიცდის ასიმილაციას ფუძისეული (ქვევისა და გვირის ნიშნის) -ი-ს გავლენით:

აი > ეი: დეიფსო (ოქრ. წერეთ., 15 რ, 5 რ), დეიჯინო (იქვე, 7 რ), დეიხურე (იქვე, 7), დეილოს ყურები („ცოლები დაეკარგეთ“, 7) და მისთ.

აი > ეი ფუძეშიც არის მოსალოდნელი: ლეინის კაბით (ოქრ. წერეთ., 4 ვ) // მის ფერ ლაინს (4 ვ); ამავე ავტორთან რა ნაცვალსახელი ბრუნვის ნიშნის გავლენით ასეთ სახეს იღებს: „რეი, ბეჩა, რეი“ (2 რ, შდრ. რეიზა < რეისდა < რაისდა).

აი > იე ფუძეებში: გაიეფდეს ოქრო (თ. ბაგრატი, 55), ხსიეთი („გერ დაიხოცენ...“ 10, 11, 16-სისტემები; ოტ. თავმარგ., „ერთი დესიატინა“. 1; „ერთი საზოგადო სურათი“, 7; ივ. კერესელ., „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა“. 15) — როგორც ვხედავთ, ერთობ გავრცელებული ფორმაა.

აე > ეე (სრული ასიმილაცია ხდება): დეემზადე (ოქრ. წერეთ., 7 ვ), გეეზვია („გერ დაიხოცენ...“ 8), გეელება („ყვარყვარე...“, 19 ავტ.).

მასიმილირებელია -ებ სუფიქსი: სუდარეები („დავით აღმაშ.“, 61), ნაწლებები („ირაკლის დრო“, A₂ 9) / ნაწლავეები („ცისკ.“, 8), რაღაცეები („შული უმანკობისა“, 55).

მოწმე-დან მიღებულია ხმოვანთა ეე > ე შერწყმის შედეგად: **მოწმები** აქა ბრძანდებიან („ბრუნავი სტოლები“, 38).

აუ > იუ: ზმნისწინის ა ხმოვანი სასხვისო ქვევის უ-ს წინ; დამსგავსება ხდება ბაგისმიერობის მიხედვით: ცეცხლს წოუკიდებს (ოქრ. წერეთ., 21 ვ).

ეუ > იუ: შოუტყე („ჩემი ქმარი...“, 25), შოუტყოს (იქვე, 7).

ოი>ეი: მეიტა („ჩემი ქმარი“, 8), მეიკლავს (იქვე, 8).

უო>ოო>ო⁹: უთოთ („რას ვეძებდი“, 16) / უთოთ (იქვე). პროცესი შერწყმის ასეთი: უთოთ>უთოთ>უთოთ>უთოთ.

ოო>ო: ამოხვართ („ძველი ამხანაგები“) — ამ სიტყვაში სისტემებრ. კონტაქტური დისიმილაციის მაგალითებია:

ოა>უა¹⁰. მუახლებმა (თ. ბაგრატი, 26) / მოახლებმა (იქვე); მუახლე ვარდუა („ირაკლის დრო“ A₂ 44 ავტ., „ცისკ.“ 35, ავტ.). საკუთარი სახელი ვარდო კინობოთობის ა აფიქსის წინ გვაძლევს ვარდუას (იქვე, 97), იგივე პროცესი არ მომხდარა გიგო-სთან: გიგოას შეუნახოთ („ცისკ.“, 25). შდრ. დიალექტური გიგუა.

იე>ია: ნუ შეარჩენ ამ ჩემ უდიარობას („ნუ დაჰკარგავ...“, 7).

ეა>ია: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად ეა>ია>მა>ა დიფთონგიზაციის გზით ხმოვანთა კომპლექსის გამარტივებისა-კენ (ერთ ხმოვანზე დასვლა) სწრაფვია [17, გვ. 33]. საანალიზო ტექსტში ამის მაგალითებია: მიამა („ირაკლის დრო“, A₂ 13, „ცისკ.“, 11; „ჯერ დაიხოცენ...“, 18), გიამათ (იქვე, A₂ 24, „ცისკ.“, 20; „ყვარყვარე...“, 38), გიამებათ („რას ვეძებდი“, 53) და ა. შ. სხვადასხვა ფორმით. გიახლებიან („ირაკლის დრო“, A₂ 39, „ცისკ.“, 31), გიახლებოდი („უამნი...“, IV მოქმ.), გიახელ („ირაკლის დრო“, A₂ 64, „ცისკ.“, 50). ეგვევ ფორმები ხშირად გვხვდება ო. თავბრკვალაძის, ელიოზიშვილის, ივ. კერესელიძის, ბ. ჭორჭაძის, რაფ. ერისთავის სხვა პიესებშიც.

მეტათეზისის შემთხვევები არც თუ ხშირია ჩვენს მასალაში. ხშირად იგი მეორეული მოვლენაა (სხვა ფონეტიკური პროცესის თანხლები) და შეპირობებულია სიტყვაში მორფოლოგიური ცვლილებით. მაგალითების უმრავლესობა ტიპურია და მეორადება კიდევ სხვადასხვა ავტორთან, ზოგთან კი, საერთოდ, არ წარმოჩნდა. ტექსტებში ასეთი მაგალითები მოვიძიეთ:

ბანალი (ოქრ. წერეთ., 5 V), სურიელი („ირაკლის დრო“, A₁; A₂ 89, „ცისკ.“, 5; „ჩემი ქმარი“, 18, 21), მადრიელი („ერთი დესიატინა“, 12); ყველა მოვიმადრიელოთ („რა გავიგე ლოტოზედ“, 4) და სხვ. საკმაოდ ხშირად ვხვდებით მსგ>მზგ>მგზ ძირიდან ნაწარმოებ ფორმებს: მგზავსი („დავით აღმაშ.“, 5; „ყვარყვარე...“, „ჩემი ქმარი...“, № 5, 10), შევამგზავსებ („დავით აღმაშ.“, 5); აქვეა კონტამინირებული ფორმა: უმზგავსო (29, შდრ. უმზგავსო უმზგავსო და უმზსგავსო). ასევე ხშირია ქმარ>ქმარ/რქმ: საქრმო („უამნი“, I და II მოქმ.), ქრმებსაც (9), ქრმები („ჩემი ქმარი...“, 4). ზოგ ავტორთან პარალელური ფორმები გვაქვს: ქრმისა („ყვარყვარე...“, 3) // ქმრისა (იქვე, 46), ქრმის // ქმარის. შდრ. „ჩემი ქრმის სურათი ბრძანდებით“ და „ჩემი ქმარის პორტრეტი ბრძანდებით“ (როცა ფუძე შეუკუმშავია).

მეტათეზისი ხდება თხუთმეტ-სა: „თუთმეტ თუმნამდინ“ („რა გავიგე ლოტოზედ“, 2) და ხმალ-ში: ხმლები („დავით აღმაშ.“, 58; შდრ. არქაული ხმლები) // ხმალს (იქვე, 69). დახხნა გვაქვს დახხნის ადგილას (ცხ/ხს სხ): ვერ დაგისხნიან („ცოლები დაკვარგეთ“, 46). სამღრთო („ყვარყვარე“, 34; 59). დიალექტებში დადასტურებული სამხთო-ც მეტათეზისს გვავარაუდებინებს: საღმერთო>საღმრთო>სამღრთო>სამღთო>სამხთო. ცალკეულ შემთხვევათაგან საყურადღებოა წყმდ>წყმდ: „მამაჩემი ვახტანგი არ წამრწყმდება“

⁹ ორი ხმოვნის (ე+ე>ე>ე...) შერწყმის შემთხვევები განხილულა ქვევით.
¹⁰ ოა>უა>ჭა განხორციელებულია სამხრულ-დასავლურ დიალექტებში.

(„ჩემი ქმარი...“, № 5, 2); უჩვეულოა **ღველფი**-დან მიღებული **ღვრფლი** (ღველფლი-ღვრფლი (რ ჩაერთო) > ღვრფელი (მეტათეს.), თუ ეს უკანასკნელი (ღვრფელი) კალმისეული არ არის.

სუბსტიტუციის (ბგერათშენაცვლების) მაგალითებია:

ლ/ნ: ნიტრა (თ. ბაგრატი, 59); ზოგი ავტორი არ ამყარებს განსხვავებას ქორწილ/ქორწინ-ს შორის; მაგ.: ქორწინი (ოქრ. წერეთ., 31), ქორწინში (იქვე, 3 v და ა. შ. ყოველთვის). მაგრამ რად. ერისთავი ყოველთვის ხმარობს ქორწილ-ს და სათაურშიც ასე გამოაქვს: „ჩერ დახოცენ. მერე იქორწინეს“. კრილოვანის ადგილას ვხვდებით „კრიანოსანს ათამაშებს“ („ბრუნავი სტოლები“, 2 ავტ.) და „სასიკვდინო¹² ქაშს“ („დავით. აღმაშ.“, 7).

მ/ნ: ავანტყოფი („რა გვიგე ლოტოხედ“, 1); ავანტყოფობა („ყამნი“, IV მოქმ.); პანბულაებს („ყვარყვარე...“: „ამ სახლის პანბულაებს“, 9), მოვანწყდიო („ჩემი ქმარი...“, 15).

ვ/მ/ნ მონაცვლეობა ივარაუდება კიდენ-ში: ერთი კიდენ დამანახეე“ („ნუ დაჰკარგავ...“, 14; „ბრუნავი სტოლები“, 19, 20; „ჩერ დახოცენ...“, 12, 46, 48) და სხვ.

ვ/მ მონაცვლეობა სხვა პოზიციაშიც (სიტყვის თავში) არის შესაძლებელი. ამის მაგალითები დიალექტებში გვაქვს [23, გვ. 70—71; 10, გვ. 136]. მაგალ., ვარსკვლავი/მასკვლავი, ვიწრო/შიწრო და მისთ. ჩვენს მასალაში ხშირია ვითომ/შითომ: მითომ („ჩერ დახოცენ...“ 16, 47, 48; „რას ვეძებდი...“, 2, 12, 23, 42, 48). ბ. ჯორჯაძესთან პარალელური ფორმაც გვაქვს: ვითომ (იქვე, 46). არის ასეთიც: მითამა [25, გვ. 614] (იქვე, 45).

გვაქვს ასეთი მაგალითიც: დღემანდელი (თ. ბაგრატი, 25; შდრ.: დღე-ვან-დ/ლ/ელი, სადაც ვ ხმოვანთგამყოფია, რომელიც მერე შეცვალა მ-მ).

ნ/მ ცვლილება მოხდა -გან თანდებულში: „მეშინიან ხმისაგამ¹³ არ გიღვიძოს“ („ყვარყვარე...“, 23).

ქ/ჭ შენაცვლება ხდება სტრუქტურის დაურღვევლად: ჭუჭრუტანიდგან („ჩერ დახოცენ...“, 35; „ბრუნავი სტოლები“, 19).

ასევე მ/ბ (მრ/ბრ): ბრავალი (ოქრ. წერეთ., 14 v). შდრ. დიალექტ. ბრავალძარღვა („მრავალძარღვა“).

ზ/ხ: კათალიკოზი („დავით აღმაშ.“, IV, ავტ.), მაგრამ იქვეა ეპისკოპოსი; კავკაზისი (იქვე, 111) //კავკასიის (იქვე, 88). ასეთსავე ფორმებს ვხვდებით თ. ბაგრატიონის პიესაშიც, რაც ამ პერიოდის მართლწერის გამოხატულებაა.

ბგერათმონაცვლეობა (აფრიკატიზაცია ხდება) ზ/ძ (ზღ>ძღ, ზრ>ძრ, გზ>გძ) საგძლით („დავით აღმაშ.“, 46); განძრახვა („დავით აღმაშ.“, 73; „შელი უმანკობისა“, 46); სამძღვარი („დავით აღმაშ.“, 87; „ირაკლის დრო“ A2 51, „ცისკ.“, 41).

ხ/ქ: ჭეხა/ჭექა¹⁴ (თ. ბაგრატი, 46) — ხმოვნის მომდევნოდ და ხმოვნის წინ თანაბრად დასაშვებია, ამით არ იცვლება ფონოლოგიური მოდელი (ჭეხ//ჭექ ექსპრესიული ბუნებისა).

11 იხმარება **ღვერფლი-ც**. ხომ არ მოხდა ასეთი რამ: „ღველფი>ღვეფლი (მეტათეს.)>ღვერფლი (რ ჩაერთო)>ღვრფელი (მეტათეს.), თუ ეს უკანასკნელი (ღვრფელი) კალმისეული არ არის.

12 შდრ. **სასიკვდინო** და **მოკუდინება** (სასიკვდინო — ის, ვინც სხვას მიერ უნდა იქნეს მოკლული, მოკუდინებული). ხომ არ არის იმ ამ ფორმებში კაუზაციისა? (მაგ., გვაქვს სიკუდილი, მაგრამ არ არის სიკუდინი), **ლ/ნ** მონაცვლეობა გამოირიცხება? შესაძლოა ანალოგია მოქმედებს (შდრ. სიკუდილი, აქედან: სასიკუდილო, მაგრამ მოკუდინება — სასიკუდინი).

13 შდრ. ჩვენს ვარაუდს **ითგამ>იღგამ** დაბოლოებაშიც ნ/მ ფონეტიკური მონაცვლეობის შესახებ. ქ ს ქ საკითხები, IX, გვ. 167—168.

14 ავტორს სქოლიოში აქვს სწორება: ჭეხა — ჭექა.



ს/ზ მონაცვლეობა უნდა იყოს ინტერვოკალური პოზიციაში — ეზ უბე-
 ღური („ჩემი ქმარი...“, 8), ალზოზ-მალზოზ//ალზოს-მალზოს (თ. ბაგრატიანი, 43)¹⁵.

ბეგრათშერწყმა. ასიმილაციისა და დისიმილაციის გზით სახელებში ხმოვანთა შერწყმისა და მათი ერთ ხმოვნამდე დაყვანის შემთხვევებზე ზევით იყო საუბარი.

განსახილველ ძეგლებში ძალზე ხშირად ვა>ო: თუ /ვ/ მოსდევს ჩქამიერ თანხმოვანს, იგი ვაბგერდება /ჭ/-დ, რის შედეგად მომდევნო ა-სთან შერწყმით იძლევა ო-ს. ეს პროცესი ჭა>ო ძველი ქართულისა და კლასიკური პერიოდისათვის არ არის დამახასიათებელი, შედარებით ახალია. საშუალო ქართულის ბოლო პერიოდისაა.

უა>ო უმთავრესად ზნულურ ფორმებში იჩენს თავს; **დაუცოს:** „ღმერთმან დაუცოს სიკვდილი“ (თ. ბაგრატიანი, 57); აღმოუშოთ („დავით აღმაშ.“, 6); ეთქო („დავით აღმაშ.“, 21; „ერთი საზოგ. სურათი“, 3).

სმა (დალევის, შესმის მნიშვნელობით): სომს („უამნი...“, II მოქმ.), რა ესო („რას ვეძებდი“, 19), შემსოთ (ჩქვე, 25).

სმა (დასმა, „ჩვედ“): წამოსომს („ირაკლის დრო“, A₂ 31, ავტ. „ციცყ.“, 25 ავტ.), ჩვენთან სომდენ („უამნი...“, I მოქმ.).

სმა („ხელის მოსმა“): უსომდენ („უამნი...“, 33), ისომს (ჯერ დაიხოცნენ...“, 36); გაუსო ხელი („ბრუნავი სტოლები“, 30).

წავართო („დავით აღმაშ.“, 54), **წავართო** („ჯერ დაიხოცნენ...“, 14), **ჩაუცოში** („ირაკლის დრო“, 40, „ციცყ.“, 32), „რაც უნდა ეცოს“ („ყვარყვარე“, 2).

როგორც ვხედავთ, ნიშნუები ტიპურია. ორიოდ მაგალითი ჭე>ო: რას შობი (ოქრ. წერეთ., 2V; შდრ. შურები, და-შურ ფუძიდან) და „არ გაგიშვას და თუ გაგიშობს“ (თ. ბაგრატიანი, 19V, შდრ. გამუხება)¹⁶.

რაც შეეხება სახელურ ფორმას **ცოდო**¹⁷ („ნუ დაჰკარგავ...“, 5) იგი მიღებულია ამ გზით: ცოდ-ავა>ცოდვა>ცოდო და წარმოშობით საწყისია (ნაზმნარი სახელი).

ბეგრის გაჩენა (დართვა-ჩართვა) და დაკარგვა. ბეგრის გაჩენა — დართვა

¹⁵ ს/ზ ასონანსი ჩანს, რაც ფონოლოგიურად იმით არის შეპირობებული, რომ V-პოზიციაში ს/ზ მონაცვლეობა ბუნებრივია.

¹⁶ ეჭრადლებას მივაქცევთ ერთ გარემობას: 1. დაშურ (საწყისი: შურთმა<შურ-ერ-ომ-ა) ირთავს აწმყოს წრეში ებ-ს: ვშერები, შერები... (შდრ. ძვ. ქართ. დაშურე, დაშერე...) // ვშევი, შევი... ფორმათა გარეგნული დამთხვევა ხდება **შევა** (ქმნა, ევთება) და **გაშევა** (გან-სვლა) ზნებისა. 2. როგორც კი ვ /ტ/-ს ებ-ი დართვის, ვიღებთ შობა-ს. ორავე (რას შობი და **გაგიშობს**) დიალექტურია, დამახასიათებელი დასავლური კოლონისათვის (გურული, იმერული). ეს რომ ასეა, **გაგიშვას** ფორმაც მიუთითებს: აღმოსავლეთში **გაგიშოს** იტყობდნენ. ერთი პირის ნათქვამში, ერთ ფრაზაში ვერ მოექცევა **გაგიშოს** და **გაგიშობს** ფორმები. ე. ი. თ. ბაგრატიონთან ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

¹⁷ არს. ჩიქობავას გამოყვანილი წესის მიხედვით ძველი ქართულს ჭა დიალექტებში იძლევა ო-ს (დაწეა>დაწო), ვა კი უცვლელი რჩება (დაწვა, დაწვეო, დაწვეო): იბ. არს. ჩიქობავა ე, ვინის რედუქციები ფერეიდნულში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 2—3, გვ. 69—87; მისივე, ფერეიდნულს მთავარი თავისებურებანი, ტფილას უნივერსიტეტის მოამბე, 1927, ტ. VII, გვ. 196—247.

ძალზე სიმპტომატურია **ცოდო**; ჯერ მოხდა ე>ჭ/ღვ>ღმ/ჩქამიერი დ-ს მომდევნოდ შემდეგ კი ჭა>ო. მაგრამ საკითხავია, რატომ არ მოხდა იგივე **დაწვა** („წოლა“) ზნასთან, ე. ი. რატომ არა გვაქვს **დაწო**; წ-ს მომდევნოდაც ხომ უნდა ქვეულიყო ვ თანხმოვანი ჭ-დ? როგორც ჩანს, ეს შეპირობებულია სემანტიკური განსხვავების შენარჩუნების მცდელობით, დაწო „დაწვა“ (ცეცხლი წაუქადა) ზნის გვერდით; შდრ. ამ მხრივ დაღდე, დასდე, დაღ-და/დაღა>დადო. ბოლო მაგალითის გვერდით ფონეტიკურად **დაწო-ს** (აჩრ) არარსებობა შეიძლება მხოლოდ ლექსიკური მიზეზით ახსნათ.



სიტყვის თავში ან ჩართვა ფუძეში, შემონახვა და დაკარგვა სხვადასხვა გზით მოებით არის ხოლმე გამოწვეული. მოვლენა მრავალგვარია და მიზეზებიც მრავალგვარია. ამ მოვლენათაგან ზოგი იმთავითვეა ცნობილი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან და უმეტესად შემთხვევითი ხასიათი არა აქვთ (იშვით გამოწვევებს დროთა ვითარებაში ალბათ დაეძებნება ახსნა), მაგრამ მყარი წესების დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში თითქოს მოგვარებულია ეს წესები **ვ** ბგერასთან დაკავშირებით [18, გვ. 9—22]. საანალიზო ტექსტების მიხედვით საყურადღებოა:

ვ არის განვითარებული **ო** და **უ** ხმოვნებით დაწყებულ ფუძეებში. იგი ლაბიალურ ხმოვანთა მახასიათებელია და ვერ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლილებას [4, გვ. 16]. მაგ., ოქრ. წერეთლის პიესაში „ქორწილი იმერეთის თავადისა“ გვხვდება: ვოთხი (2v, 4r), ვორი (4r: „უამნი“ II მოქმ.), ვოჯახი (4v, 15r), ვუმალ (21v, „უწინ“, „ადრე“) — „ამ ვოთხის წლის ვუმალ ჭიხვობის თვეშიდ ქართლში წევიდა“. მსგავსი ნიმუშები ი. ელიოზიშვილის პიესაშიც არის: ვოთხი („ჩემი ქმარი...“, 9), ვუბედური (იქვე, 14).

ვ ხმოვანთგამყარია: შუვასა (თ. ბაგრატი, 21), უვარი¹⁸ (იქვე, 18, 44: შდრ. „უარი“ და დიალ. „ვარი“); ერთიმეორის გვერდით გვხვდება: სიცრუვე (იქვე, 6, 23) // სიცრუე (იქვე, 6), შდრ. ცრუვი, ბუვი და მისთ.; ბ. ჯორჯაძის პიესაში „რას ვეძებდი“ არის: ვსტყუევი (42), მოგატყუე (37) — მაგალითები ტიპურია; „ჭკუვენს კაცს კი სჯერა“ („ბრუნავი სტოლები“, 15).

ვ ჩნდება ხმოვანთგამყარად ლაბიალურ ხმოვანთა შორის სიტყვათმწარმოებელი აფიქსის (სა-ო) **ო**-ს წინ: „საუცხოვო ყმაწვილი კაცი გახლდათ“ (ვ. ბარათ., 1); სხვათა სიტყვის **ო**-ს წინ: „რა სთქვა? სერგოვო?“ („ჯერ დიხონენ...“, 48); როცა დადასტურებითი ნაწილაკი **პო** გვაქვს: „თავი გაიქნია, პოვოვო“ („ჩემი ქმარი...“, 31); ზმნის პირიანი ფორმა და სხვათა სიტყვის **ო** ერთვის: „სიმათლე უნდა გამოვაშკარავოვო“ („უღ დაპკარგავ...“, 8) — ამ მაგალითში კავშირებითი II-ის **ო**-ს წინ გაჩენილია ხმოვანთა გამყარი **ვ** ფუძისეული **ა** ხმოვნის მომდევნოდ¹⁹, მეორე **ვ** კი ჩნდება კავშირებათის **ო**-სა და სხვათა სიტყვის **ო**-ს შორის. იმავე მწკრივში კვლავ ჩნდება **ვ** გამყარად: „უნდა მამულებს მოუაროვო“ („ერთი საზოგ. სურათი“, 3), „ჯუარი უნდა დავსწეროვო“ („ირაკლის დრო“, „ცისკ.“, 26); „ტურამ კი სულ ამოვადოვო“ („ჩემი ქმარი...“, 9).

ვ ჩანს ფუძეში: სასაწუნებელი (ოქრ. წერეთ., 21r)²⁰, მზვარეულს წავყევი („ბრუნავი სტოლები“, 10), მაშორვოს (თ. ბაგრატი, 39)²¹. ამ უკანასკნელ მაგალითში **ვ** შენახული ჩანს (ავ>ვ).

მ ნ ლ სონორთა განვითარება ჰომორგანულ ჩქამიერებთან ჩვეულებრივ მოვლენაა ქართულში (მაგ., ჰამინდორი, ჰანდარი...). ამის გამოვლენა ჩვენს ტექსტებში: ჰანდრაკია (თ. ბაგრატი, 39, ავტ.) // ჰანდრაკს ეთამაშება (იქვე,

¹⁸ ილ. აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონში ამ სიტყვებისათვის გავწვდის ფორმებს: უარის ყოფა, უვარის ყოფა, უვარება; შოვა, შუვა, შუა — „საშოვალ“, შორის, ე. ი. თეიმურაზთან მოპოვებულ მასალა იდენტურია ძველი ქართლისა.

¹⁹ „აშკარა“ სპარსული ენიდან ნასესხები ფუძეა (იხ. ქართულ-რუსულ-ფრანკოციული ლექსიკონი, კმნილი დავით ჩუბინოვის მიერ, СПб, 1840).

²⁰ ზომ არ არის აქ **ვ** სუფიქსისეული (ევ>ვ)? შდრ. დაწე(ვ) თთთი//დაწაწება — „დაკარება“.

²¹ ილ. აბულაძე გავწვდის ფორმებს: შოქ/რება — შორება; შორს//შოვრს. შორება (შოვრება — აბულაძით) გვევარაუდებინებს შორ-ავს და აქედან მაშორ-ვ-ოს (ე. ი. ჩვენი მაგალითი აბლუტის შედეგია), შო(ვ)რება კი გვევარაუდებინებს მეტათეზის ძველი ქართლისათვის.

41); მედალი („ძველი ამხანაგები“, 13) //მედალი (იქვე, 12); მანგრე (იქვე, 2 ავტ.). **ნდ** იმდენად გავრცელებული პროცესია, რომ შემოსულ სიტყვაშიც კი სიტყვის ბოლოს ნ-ს შემდეგ ანალოგიით **დ** ჩნდება /ნდ/ „ბარაბან“ (ნა-
рабан) სიტყვაში: „ლამის გაკუტრების ბარაბანდი დაუქრან ჩემ თავზედ“ („ჩემი ქმარი...“, 28; შდრ. იმავე პოზიციაში: ხილაბანდი...).

ნ ჩნდება სიტყვებში: ფანთერაკი დაემართა (ოქრ. წერეთ., 23r), გამე-
ლენმა (იქვე, 5v), გამეღვინძემა (იქვე).

საკმაოდ ხშირად მასუბსტანტივებული **მ** ჩნდება ფუძის თავში. მოვიყ-
ვანთ რამდენიმე მაგალითს: ჩვეულებრივია **მდივანი** „დგამის“ მნიშვნელობით
და განსხვავება **მდივანს** — ხელობის სახელსა და **დივანს** (დგამს) შორის ფორ-
მობრივად არ არის. მაგ., მდივანზედ ჩამოსხედით („ძველი ამხანაგები“, 8f,
მდივანი და წინ სტოლი უდგას („ბრუნავი სტოლები“, 2 ავტ.), პრუფინიანი
მდივანი („ნუ დაჰკარგავ“..., 1). ეგვევ **მ** ჩნდება სიტყვებში: მსწავლული
 („შვილი უმანკოებისა“, 24); მწვევრთაგანი („ერთი დესიატინა“, 6 ავტ., 7 ავტ.,
14 ავტ.), მწვევრნი (იქვე, 5).

მ არის ც-ს წინ: მცასაც წითლათა ვხედამ („ჩემი ქმარი...“, 18), ძლიერ
გამცხარდება (იქვე, 5v). შდრ. მცხვარი, მემცხვარე...

გვაქვს: მდაბლათ თავს უკრავს („ბრუნავი სტოლები“, 2 ავტ., 12 ავტ.),
მჯავრი ნუ გავქვს (ოქრ. წერეთ., 8r) და სხვ.

მასუბსტანტივებულია **მ** სიტყვაში **მწნილი**, **დამწნილი**, რომელმაც მოგვცა
და**წნილი** (თ. ბაგრატი., 24). დამწნილი > დაბწნილი. დიალექტებში (გურული,
იმერული) და**წნილი** ფორმაც გვხვდება. **მ** ჩნდება პ-ს წინ სიტყვაში დიშმი-
პიტო („ჯერ დაიხოცნენ...“, 31). **მ** ხან-ის მომდევნოდ გვაქვს სიტყვაში **მიხ-
მუქავს**: გულს მიხმუქავს რალცა (იქვე, 35). (საფიქრებელია ასეც: ხომ არ
არის ამ სიტყვაში კონტამინირებული **ხუქავს** და **მუქი**?).

გვხვდება **კენდ** ვნებითი ძირი, სადაც კ გვიან არის განვითარებული:
ორივე დაქცნდებით მწუხარებით („ჯერ დაიხოცნენ...“, 12). შდრ. ძვ. ქართ.
დაქცნდება და ახ. ქართ. დაქცნება.

საინტერესოა ასეთი ფორმაც: **ნოღბათი** (შდრ. ნობათი): ჩემო თაის გუ-
ლო, ჩემო გაზაფხულის **ნოღბათო** („ჩემი ქმარი...“, № 5, გვ. 22).

რ უნდა იყოს განვითარებული სიტყვაში: რწყვილი²² (ოქრ. წერეთ., 4r),
ერთი რწყვილი (შდრ. ძველი „წყვილი“).

სხვა კერძობითი შემოხვევებიდან ყურადღებას იქცევს ხ-ს მომდევნოდ
ხ-ს განვითარება სიტყვაში: თავსხლაფდასხმულს (ოქრ. წერეთ., 6v) (თავს-
ხლაფი იმერულში იხმარება). სიტყვაში ორი ხხ კომპლექსია (შდრ. თავს
ლაფ დასხმული > თავლაფდასხმული) როგორც ჩანს, ეს ექსპრესიულ საფუძ-
ველზე ხდება, რადგან ეროდროულად ორ პარამონულ კომპლექსს ქართულ
სიტყვებში ვერ შევხვდებით [19, გვ. 306].

თანხმოვანთა დაკარგვა. თანხმოვანი ბგერის დაკარგვა, ისევე როგორც
ჩართვა, სხვადასხვა მიზეზით ხდება. ერთი და იგივე თანხმოვანი შეიძლება
გაჩნდეს სიტყვაში ან დაიკარგოს. ვ ბგერა ხშირად იკარგვის ხმოვნის წინ და
ხმოვნებს შორისაც. თუ ვ Sa-ის ნიშანია, იგი შეიძლება დაიკარგოს სასხვისო
ქცევის უ-ს წინ: მაგ., უყუროთ (თ. ბაგრატი., 59), რა უყოთ (ოქრ. წერეთ., 5)
უგზავნოთ („ღვით აღმაშ.“, 18), შეუღეკით საქმეს (იქვე, 14) — მაგალითები
ბევრია. აქვე შევნიშნავთ, რომ ვ-ს დაკარგვის ასეთი ნიმუშების სიხშირისდა
მიუხედავად არის ვ-ს **შენახვის** შემთხვევებიც ამავე პოზიციაში. მოვიყვანთ

²² შდრ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი: რწყ(უ)მა, შერწყმა — და-
წყვილება, შერება.

რამდენიმე მაგალითს პიესებიდან: ყველა ვუთხარ და შევავაგონე („ყვარუკურე...“, 20), ამავე პიესაში შერეული ფორმაც შეგვხვდა: მე ვალვიაარებ (ჩქვე, ჩქვე) ჩემი იყო სასტიკი (შდრ. აღვიაარებ>ვალვიაარებ და ვალვიაარებ); მე ვიცი რასაც ვუხამ („ჩემი ქმარი...“, 1) და ა. შ. S₁-ის ვ დაიკარგა მ-ს წინ: ავსდექე და გამოგზავრდი ამ სოფელში („შული უმანკობისა“, 19). ვ იკარგვის, თუ იგი S₁-ს გამოხატავს ვარდ (ვარდნა) ფუძის წინ (ორი ერთნაირი თანხმოვნის შეუთავსებლობის გამო): ჩავარდი („ჩემი ქმარი...“, 9, 19), ლამის დავარდე (იქვე, 23), ავდექ და გავარდი კარზედ (იქვე, 9). ვლ ფუძისეული მთლად ვაქრა: უნდა შეასწაოთ ჩემ ქალსა („შული უმანკ.“, 41), შდრ. სწავლა.

ვ ხმოვნებს შორისაც შეიძლება დაიკარგოს, უმეტესად ლაბიალურ ბგერებთან შეუთავსებლობის გამო: სანაძლეო („ყვარუკურე...“, 18, 57), შაოანნი („ირაკლის დრო“, „ცისკ.“, I ავტ.), გავათათ („ერთი დესიატინა“, 6), საეჭოა („ჩემი ქმარი...“, 19), დაობ (იქვე, 24) და სხვ.

წოდებითი ბრუნვის ნიშნის ო-ს წინ: ჩემო ნათესაო („ირაკლის დრო“, A₂ 64; „ცისკ.“, 59), მოურაო („რას ვეძებდი...“, 11, 33).

თავ ფუძე ორგვარად არის წარმოდგენილი თ. ბაგრატიონის პიესაში: „თავი თავსა თავობდა უმეტეს მთისა, სადამცა ის თაობდა“ (64). პირველ შემთხვევაში „თავობდა“ ნიშნავს „თავი იყო“ (სხეულის ნაწილი), მეორედ — „თაობდა“ იგივეა, რაც „უფროსობდა“, „მეთაური იყო“. ერთი ფუძის (თავ) ასეთი ვარიანტით ავტორი ლექსიკურ მნიშვნელობათა სხვაობას ამყარებს (ომონიმური მნიშვნელობა სიტყვისა).

ვ იკარგვის: ტუჭ ძირში ო-ს წინ: უსიტყოდ („დავით აღმაშ.“ 111 ავტ.); ა, ე და ი ხმოვნებს შორის: ნეტაი შენ (თ. ბაგრატ., 42), მესახიენი/მესახიენი (20), (იქვე, 49 ავტ.), რასაკვირელია („ჟამნი...“, I მოქმ.).

ვ იკარგვის -ვიენ კალხაციის მაწარმოებელში: ვადამახდენებ („ჩემო ქმარი...“, 8), მათქმეინებ (იქვე, 8).

ქვრივ (<ქმრივ) ფუძეში: შენისთანა ქვრიების („ბრუნავი სტოლები“, 27). პირის ნიშანთან ერთად დაკარგულია ფუძისეული ვ(ტ): აქედვან ვაუძლები ჯარს („ირაკლის დრო“, A₂ 42; „ცისკ.“, 33).

ვ იკარგვის ხვდ, მვლ, ჩქვნ, ღვრ... კომპლექსებში: შეხდომია („ირაკლის დრო“, „ცისკ.“, 4 ავტ.), დავხვდა („ჟამნი“, I მოქმ.)...

ვ დაკარგულია კაფვა ფუძეშიც (შდრ. კაფვა-ა>კაფვა): ხმლის კაფით „ირაკლის დრო“, A₁ 7, A₂ 91; „ცისკ.“, 55, 71); ვ-ს გარეშე: დავდრი (შდრ. დალტრა) შენს სისხლსა („ჩემი ქმარი...“, 16) და უნდა დამიბრიყონ (იქვე, 20). მწითევ ფუძეში: უმწითოთ („რას ვეძებდი...“, 37); ვალ ფუძეში: არ მოსლოდეს („რას ვეძებდი...“, 4; შდრ. მოსვლა/მოსლვა): — ერთდროულად ძირისეული და S₁-ის ნიშანი იკარგება. კვდომა-ში ძირისეული ვ/ტ/ დაიკარგა ხომ არავინ მოჰკვდომია?! („ბრუნავი სტოლები“, 6); „დავლახროს მღერტომა“ („ჯერ დაიხოცენ...“, 20, შდრ. „ლახვარ“).

როგორც ვხედავთ, ვ ბერის დაკარგვის ფართო შესაძლებლობები გამოვლინდა²³.

ფონეტიკური მიზეზით ზრდ, ბრძ, გრძ, მრთ... კომპლექსებში იკარგვის რ თანხმოვანი. ამის ნიმუშებია: ვაუზდელიობა (თ. ბაგრატ., 17), ვაზდილნი („დავით აღმაშ.“, 13), ვაზდილობა („ჟამნი“, II მოქმ.), ვაზდილი (იქვე), ზდილობა („ყვარუკურე...“, 22) — მაგალითები სხვა ავტორებთანაც არის.

ბრძ>ბძ: ბძანე („ძველი ამხანაგები“, 1), მიბძანე („ირაკლის დრო“, A₂

²³ სანტერესო ჩანს ფორმა რაჰველო (შდრ. რაჰველი); თუ ამოსავალია რაჰა, -ელ სუფიქსის დართვით რაჰ-ელ-ს მივიღებთ, ე. ი. ვ ჩართულია რაჰველოში.



15, „ცისკ.“; 13), ბძანდებით („ყვარყვარე...“, 25), ერთი მიბძანეთ (იქვე, 2).
 ამავე პიესაში არის: მიბრძანა ბატონმა (53), ბრძანება მეფისა (34) და მისთა
 ბარალელური ფორმები სხვა ავტორებთანაც გვხვდება.

გრძ>გძ: გძელი („ირაკლის დრო“, 9, ავტ., „ცისკ.“, 8, ავტ.).
 ბრტყ>ბტყ>ბტყ. ბტყელი („დავით აღმაშ.“, 7).
 რ არა ჩანს ტყორცნ ფუძეში: გადასტყორცნის ჩადრს („დავით აღმაშ.“,
 8 ავტ.)²⁴.

მ მასუბსტანტივებელი იკარგვის S₁-ის ვ-ს შემდგომ ვზბრძ>ვზრძ (სამი
 ბაგისმიერი იყრის თავს ერთად): ვზრძანებლობ („ნუ დაჰკარგავ“, 10).

მცხეთა>ცხეთა — ჩქამიერის წინ დაკარგულია სონორი: ცხეთას წავიდა
 („ირაკლის დრო“, A₂ 85; „ცისკ.“, 2).

მოსალოდნელი ორი მ-დან ერთი ხშირად იკარგვის ჩემ ფუძის მოთხრო-
 ბითი ბრუნვის ფორმაში. დაკარგვა მარცვლის პოზიციიდანაა ჩემ-მა>ჩემ-მა:
 ჩემა მზემა („ჩემი ქმარი...“, 4, 7, 23, 29; „ერთი დესიატინა“, 11) //ჩემმა
 ქალმა („ჩემი ქმარი...“, 9); ჩემა ბებერმა („ცოლები დავკარგეთ“, 31), ჩემა
 გამჩენმა (იქვე) და სხვ.

ვინმე ნაცვალსახელი მოთხრ. ბრ-ში მ-ს გარეშეა²⁵: ერთი ხელი მანლოთა
 ვინმე? („ჩემი ქმარი...“, 5, 1), ვინმე გკითხოს („რას ვეძებდი...“, 34).

სისტემებრ — ობიექტური პირის ნიშანი მ გონ ფუძესთან იკარგვის. მო-
 იცადეთ, გონა ვილაცის ფეხის ხმაა („ცოლები დავკარგეთ“, 6, 14...) და სხვ.

ლ იკარგება სონორი მ-ს წინ სიტყვაში ხელმწიფე და მეწვრილმანე: ხე-
 მწიფე („დავით აღმაშ.“, 14), სახემწიფო (იქვე); მეწვრიმალე („ირაკლის
 დრო“ A₁ და A₂) //მეწვრილმანე („ცისკ.“, 64); ლ დაკარგულია სიტყვაში
 ფლური (სამი კაპიკი, ფულის ერთეული): „ლიტრა ყველი სამ ფულათა“
 („ქამნი...“, IV მოქმ.).

ნ დაკარგულია CVC კომბინაციაში: მომაყვანებ გულსა (თ. ბაგრატი, 20);
 წაარონიე („ირაკლის დრო“ A₂ 94, „ცისკ.“, 9), დაერონიება („ჩემი ქმარი...“,
 8, 11): ვინცალა სიმონიკი დაერონიება (8). ნ არა ჩანს: აფუტკვილის („ირაკ-
 ლის დრო“ A₁ და A₂ 8) //აფუტკვილს („ცისკ.“, 7). CVC კომბინაციაში ბუ-
 ნებრივი არ არის ერთი და იგივე თანხმოვანი, მაგრამ არც VV კომბინაცია
 არის ბუნებრივი. მომაყვანებ, წაარონიე... მავალითებში ცვალაზეა ხდება
 პირველი თვისების მიხედვით. საყურადღებოა დიალექტების მიხედვით მოსა-
 ლოდნელია მომაყვანებ — აღმოსავლურ კილოთათვის და მომაყვანებ — და-
 სავლურ კილოებში [21, გვ. 308; 482]. ასევე წაარონიე... (შდრ. რონინი)²⁵ —
 დასავლურ კილოებში უფროა მოსალოდნელი (თუმცა აღ. ორბელიანთანაც
 არის). საყურადღებოა, რომ აღმოსავლურ კილოებში -ვეინ კაუზაციის მაწარ-
 მოებელში ვ (ე. ი. CVC კომბინაციის პირველი თანხმოვანი) არის ჩავარდნი-
 ლი. შდრ. მათქმეინებ და სხვ. ხოლო დასავლურ კილოებში — მათქმევეე...
 ინმარება (ენის ფონემატური შესაძლებლობების ორგვარი რეალიზაცია კი-
 ლოებში).

მოიყვანთ მასალას ოქრ. წერეთლის პიესიდან. როგორც წესი, იკარგვის
 კალზატივის -ინ სუფიქსისეული ნ ხმოვნებს შორის: დავაწყებო (3r), გათ-
 ქმევიოს (3r), გათქმევი (15v), მოატანიე (21r), ცრემლს დააღვრეიებს (91v),
 ნუ გამატეხიებთ (22v) და მისთ. ჩამოთვლილი ნიმუშები იმერელი პერსონა-

²⁴ შდრ. საბა, ტყორცა — „შორს გასროლა“.

²⁵ ასეთი ფორმები შეიძლება იმიტაც აიხსნას, რომ „ვინ“ არის ნახშირი მოთხრობითი
 ბრუნვის გაგებით; მაშინ მ-ს დაკარგვა არ იგულისხმება.

²⁶ სულხან-საბა: რონინი — კვლით ტარება.



ქის მეტყველებას განეკუთვნება. აშკარა სტილიზებას მიმართავს ავტორი, როცა ერთმანეთისაგან მიჯნავს იმერლისა და ქართლელი პერსონაჟის მეტყველებას: შევატყობინო (3r) და შევატყობინო (15v), შევატყობინებ (იქვე) ფორმების ხმარებით. თვით ავტორის მეტყველების ნიმუში სალიტერატურო ნორმას: შევატყობინე (16v) და სხვ.

ამავე ავტორთან გვაქვს: გაარონია (5r), გადმოვარონიეთ (10r), რომ მო-
 ირონიო (13v)...

ნ უნდა იყოს დაკარგული ჯღაბნა-ში: მაგ ნაფოტის ნაჯღაბით ქალს როგორ გადავაგდებ („ბრუნავი სტოლები“, 33; შდრ. ჯღაბნის და ჯღაბავს ჩვენი მასალიდან). **ქრუანტილის** ნაცვლად გვაქვს: ქრიატელმა დამიარა ტანში²⁷ („ბრუნავი სტოლები“, 30), ლურსმით (ოქრ. წერეთ., 2r). შდრ. ლურსმანი-ით > ლურსმნ-ით > ლურსმით — თანხმოვანთა თავმოყრის გამო.

ბ-ს დაკარგვის შემთხვევებიდან აღსანიშნავია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა -ზე, -ში, -თან... თანდებულებთან და S_გ-ისა არი და მისთ. ზმნებთან. მიცემითის **ხ** იკარგვის, თუ მოსდევს ფუძისეულს, ორი თანხმოვნის თავმოყრის გამო: უკეთეს ვერას წარმოიდგენდით (ფ. ბარათაშვი., 3), უკეთეს ვის შევირთავდი (იქვე, 5).

ცალკეული შემთხვევებიდან ყურადღებას იქცევს ასეთი ნიმუშები: „მწრაფლ შინ მიიჭრება („რა გავიგე ლოტოზედ“, 1, ავტ. შდრ. მსწრაფლ).

მხდ კომპლექსიდან რატომღაც **ხ** ამოვარდნილა: ნუ გამდიო (შდრ. გამხდლით) მტრის გულისად („ცოლები დაკვარეთ“, 9); **ხ** დაკარგულია სიტყვაში შეურაცხყოფა: გაბედა შეურაც-ყოფა დედოფლის სასახლისა („ყვარეკვარე...“, 15). სიტყვით შეურაც-პყო დედოფალი (იქვე) // შევიქენ შეურაცხყოფელი (იქვე, 42)²⁸.

უბნობა სიტყვაში სისტემებრ იკარგვის **ბ**: უნობენ („ჩემი ქმარი...“, 12), უნობს (იქვე, 25)... სხვა მაგალითების მოძიებაც შეიძლება.

ბგერის დაყრუება სიტყვის ბოლოში, დ>თ. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ად>ათ (დ>თ) სხვადასხვა პოზიციაში (Vთ და VთV); ეგვევ ვრცელდება ზმნისართებზე — ფორმაცვლელ სიტყვებზე.

არნ. ჩიქობავა ეხებოდა რა „ყრუ ღონის“ საკითხს [შდრ. 22, გვ. 3—7], ჭერ კიდევ 1924 წ. აღნიშნავდა, რომ მიმართულებითს (resp ვნებითს) ბრუნვაში „გარე-კახურში ჩვეულებრივია დაბოლოება თანი და არა ღონი, თუნდაც ყრუ: შესაძლოა, ეს თანი ამ ყრუ ღონის მემკვიდრე იყოს“ [23, გვ. 53].

დ-ს ადგილას -თ სხვა დიალექტებისა და, საერთოდ, სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი; დ/>თ ჰარალელური ხმარება და თ-ს სიხშირე პიესებში ამითაც უნდა იყოს შეპირობებული. მოვიყვანო მაგალითებს:

თ. ბაგრატიონი: კარგათ (16, 33), ცუდათ (3), საკვირვლათ (34), სწორეთ (40). ამათ გვერდით არის ღონ-იანი ფორმებიც: უნებურად (16), შინაურად (35), შინაურულად, ნაღვლად (36), მხეცად (6), კელმწიფედ (6)...

დაყრუებულნი, თან-იანი ფუძე გამოყენებულია ახალი ფუძის საწარმოებლად: ავათ: ავათ-ობა: მიზეზი ავათობისა (2).

ოქრ. წერეთელი: შენებურათ (22), სახლებიანათ (4v), უთოთ (16).
 ალ. ჯ.-ორბელიანი, „დავით აღმაშენებელი“: ვითარებითი ბრუნვის ნიშ-

²⁷ შდრ. ქრიალი/ქრული, ქრიალ-ქრული, ია>უა დისიმილაცია.

²⁸ ამავე პიესაშია ძველი ფორმები: „გვარის შეურაცხება“ (10), „თავის სახლიდან შეურაცხებით გააგლო“ (25) — ასეთ პოზიციაში CC VC (ცხ+ხმოვანი) ხ-ს დაკარგვა არც ელის.

ნისეული დ ხშირად არის დაყრუებული: დიდათ მოხუცნი (გ.ვ III, ავტ.), მან-
ლობათ (16).

გვხვდება პარალელური ფორმები: საზიზღრათ//საზიზღრად (13); ზოგ-
ჯერ დონიანიც: გულმდიდრად (101), უკმაყოფილოდ (8 ავტ.) და სხვ. „ირაკ-
ლის დრო“: დ>თ ძალზე ხშირია: უსირცხვილოთ (A₂ ავტ.) //უსირცხვილოდ
(„ცისკ.“, 5 ავტ.), მდევრათ (A₂ 4 ავტ. „ცისკ.“, 5 ავტ.), უსამართლოთ (A₂ 5
ავტ. „ცისკ.“, 5 ავტ.), ტლეთ დავედო (A₂ 15, „ცისკ.“, 13), ჯარათ (A₂ 48,
„ცისკ.“, 38) და ა. შ.

ვითარებითი ბრუნვის დ-ს ხმარების წესის აღრევის მიზეზია, რომ სახე-
ლის ნორმა ზმნაზეა გადატანილი: ეკადრებად („ირაკლის დრო“, A₂ 6 ავტ.)
//ეკადრებათ („ცისკ.“, 6 ავტ.). მორფემები /-დ/-ად და თ სხვადასხვა მნიშვნე-
ლობისაა. ასეთ აღრევებს დღესაც ვხვდებით.

„უამნი...“: შეუძლოთ (I მოქმ. ავტ.), სუბუქათ (იქვე), განუყრელათ (იქ-
ვე), ერთიანად (II მოქმ. ავტ.), გვხვდება ასეც: ძალღუმადურად (I მოქმ.),
ეშმაკად (იქვე, ავტ.).

როგორც ნიმუშები ცხადყოფენ, არც ავტოგრაფები და არც „ცისკარი“
ერთ პრინციპს (დ-სა ან თ-ს გატარებაში ნორმად) არ იცავენ. მეტრც: ავტო-
გრაფის ჩვენებები „ცისკარისათვის“ არც არის სავალდებულოდ ქცეული. სუ-
რათი ერთობ ჭრელია, თუმცა თან-იანი ფორმები აშკარად ჭარბობს. „ცის-
კარში“ არ შეიმჩნევა რაიმე პრინციპული წესის გატარების ცდა.

„ვ. ბართაშვილი, დ>თ: ნაკლებათ (3), საშინლათ (2), უცნაურათ (2
ავტ.)...

დ გვაქვს: საშინლად (2), ერთს მოქმედებად (1 ავტ.) ჩემ გვარად (2).

ა. წერეთელი, „ძველი ამხანაგები“: vთ პოზიციაში დ>თ სიტყვის ბო-
ლოს ძალზე ხშირია: რათ (1), რა რიგათ (11), რა ნაირათ (4), მსუბუქათ (2)...
vთv პოზიციაში: ავათა ვარ (6), როგორ არის ავათა (20), დიდათაც მიხა-
რის (11).

დ დატულია: ხელახლად (14), ერთბაშად (29), ბედნიერად (10), ავად (20).
დ>თ ფორმები ჭარბობს, თუმცა ერთგვარობა დატული არ არის.

რაფ. ერისთავი, „ჯერ დაიხოცნენ...“:

დ>თ vთ პოზიციაში: მაგალითათ (7), უნებურათ (20), ეშმაკათ (16)...

vთv პოზიციაში: რათა (18), ბლომათა (51), კარგათა (5), უქეიფთათ
(47)...

იშვიათია: ორს მოქმედებად (1 ავტ.), უეშველად (13).

„ბრუნავი სტოლები“: vთ — რათ მინდა (17), კარგათ (8), მაგოდენათ
(15), ბლომათ (37), ამაყათ (38, ავტ.), მხიარულად (8), უეცრათ (4), დიდგუ-
ლათ (37)... რა რიგათ (8) //იმ რიგათვე (8, ვე ნაწილაკის წინ).

vთv: ლეკურათა (8, „მაშინ დაუვლი მე ლეკურათა“, ანწუწურათა (8,
„ფხვს ავაყოლებ ანწუწურათა“).

იშვიათად გვხვდება დონ-იანი ფორმებიც: მაგ., „სარჩოიან კაცად გიცნო-
ბენ“ (2) და მისთ.

გ. ერისთავი, „ყვარყვარ“, vთ პოზიციაში: რათ (19, 51), რა რიგათ (3,
22), ჩუმათ (5, 18, 27, 41), ავათ (18), ტყუილათ (52), უკანასკნელათ (36)...

vთv: შხათა ვარ (52), კარგათა ხარ (21), მორთე კარგათათ (53).

არცთუ იშვიათია, მაგრამ შედარებით ნაკლებია: დიდად (2), ცრემლად
(58)...

როგორც ვხედავთ, გ. ერისთავის ამ პიესაში მეტერი და ყრუ დაბოლო-
ებანი ფორმები ერთმანეთის გვერდით არსებობენ. ზოგჯერ ერთი ფრაზის
ფარგლებშიც კი არ არის დატული ერთგვარობა: მაგ., „ბრუნდეთ იყურებთან.



უთუოდ მე დამკინიან“ (12), „ჭეშმარიტად ყვარყვარე, უცხოთ გვიანდელნი“
და სხვ.

ი. ელიოზიშვილი, „ჩემი ქმარი...“: დ>თ vთ პოზიციაში: უკაცრავთ
(№ 5, 14), ცივთ (13), ოხრათ (№ 5, 11), მზათ (№ 5, 1), გასაქცევთ (19), უეც-
რათ: (27)..

vთv — რათა (3, 7, 32), სადილათა (10), წითლათა (18), ცივათა (13)...
იშვიათია დონ-იანი ფორმები: ორს მოქმედებად (2 ავტ.), მოსაქარებ-
ლად (9), ახლად (4), ერთად (№ 5, 16), უწყალოდ (6), საუბედუროდ (3).
ამ ავტორთანაც ყრუ ვარიანტიანი (დ>თ) ფორმები ჭარბად არის.

ო. თავმარგვალაძე, „ერთი დესიატინა“: vთ — მზათ (2), კარგათ (2), გულ-
ვრილათ (1), კაცურათ (6), ახლათ (11, ავტ. 13 ავტ.), რათ (8, 9 ავტ.)...

vთv — საფიქრებლათაც (2).
„ერთი საზოგადო სურათი“: vთ — მანეთთ (2), რუსულათ (7), სწორეთ
(2)...

თითქმის არ შეგვხვედრია ად//დ დაბოლოებიანი მაგალითები.
კ. ბერძნიშვილი, „აი, რა გვიგე ლტოზუნდ“: vთ — ავთ (1), ლოგინათ
(2), სათქმელათ (5), დიდგულათ (8), ბლომათ (7), ერთი ათასათ (9), რათ (3)...

vთv — მასხარათაც (1), სანახებრათაც (2), ვარდათა ჰყავთ (9).
ბ. ჯორჯაძე, „რას ვეძებდი...“: vთ — წვრილათ (44), მინდვრათ (45), ერ-
თათ (46), ტყულათ (46), ოხრათ (48), ცუდათ (48), მოციქულათ (49)...

vთv — რალათა (3), სადილათა (5), შავათა (12), ჩუმათა (28), გასასყი-
დათაც (3), უპატიოთა მზდის (37)...

ძალზე იშვიათია: თალხად (20, ავტ.).
ივ. კერესელიძე, „შული უმანკობისა“: vთ პოზიციაში: ავთ (2), ავთ
მყოფი (2, 4) //ავთმყოფი (22, 48) //ავადმყოფი (21), ცუდათ (22), ბლო-
მათ (56) მაგალითები ძალზე ბევრია.

vთv: ავათა (11), ავგუნებათა (48), დიდათა (61), მეტათა (28), ძვირათა
(43).

vთv (ემფატური ა-ს წინ) პოზიციაში დ ყოველთვის დაყრუებულია.
მცირეა დონ-იანი ფორმები: ცუდად (45), საკუთრად (74), მართლად
(36)...

პარალელური ფორმები ზევით მოვიყვანეთ.
„ცოლები დაკარგეთ“: vთ -რათ (42), ერთთ (21, 52), თავთ (20), ნა-
ზურათ (39 ა. შდრ. ნაზი ნაზურად), სანახავთ (21), მზათ (2, 5)...

vთv — მზათა ვართ (თავფურც.), კარგათა (48), როგორათაც (39, 45)..
სისტემებრ დ არის დაცული რამდენიმე სიტყვაში: ესრედ (48), დიდად
(15), ჭეშმარიტად (23), უპატიურად (35).

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა“: vთ — კარგათ (6), მტრათ (15), ჩუმათ
(8), წვრილათ (11), ქართულათ (4), ძირიანათ (3) //ძირიანად (5)...

vთv — ჭეშმარიტათა (11), პასუხათაც (12), მართლათაც (2).
ორიოდე ნიმუშია დონ-ით: პასუხად (5) და ძირიანად (5, იხ. ზევით).
„სიქსტი v“: vთ — უმრავლესათ (4), უხიკათ (8), ბედნიერათ (6), კარ-
გათ (6), იაფათ (5), სანადიროთ (3), საქეიფოთ (4), სწორეთ 5, 9—სისტე-
მებრ ასეა).

vთv — იოლათაც წამილოს (12).
გვხვდება დ დაბოლოებაც: დიდებულად გაივლის (თავფურც., ავტ.), ბრი-
ყულად იღრიჭება (9 ავტ.) — ძირითადად ავტორისეულ მეტყველებაში.
ერთი ფრაზის ფარგლებში თანაბრობა არ არის: „ახლანდელს დროში
შეუწყვენელად არა იქნება რა, შენ თითონ ხომ კარგათ იცა“ (6).

იქნებ საჭიროც არ იყო ამ საკითხზე ამდენი ერთგვაროვანი მასალის მოწოდება, მაგრამ მიზანი ერთი იყო — გვეჩვენებინა XIX ს-ის შუა პერიოდის დრამატურგიის ენაში როგორ რეალობდება იმდროინდელი სამეცნიერო თუ სამწერლობო ნორმა, როგორია ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასხვეწისა და სალიტერატურო ნორმების ჩამოყალიბების წინა პერიოდი.

XX საუკუნის დასაწყისშიც ვითარებით ბრუნვაში ჩვეულებრივი იყო -თ>ათ დაბოლოება. ამას იცავდა, მაგ., მიხ. ჯავახიშვილი, შემდეგ ნორმად დაიღო -დ და -ად დაბოლოება ა. შანიძის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით [18, გვ. 61], რაც არ იყო გამართლებული მორფონოლოგიური თვალსაზრისით, მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ სალიტერატურო ენის ტრადიციით...

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ XIX ს-ის ქართულ დრამატურგიაში აისახა იმდროინდელი ქართულის მრავალფეროვანი ფონეტიკური მოვლენები.

1. თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.
2. რ. ლამბაშიძე, ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.
3. ვეფ-ფშველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1969.
4. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
5. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
6. ი. კიკნაძე, ავტორიზებული მეტყველების ზოგი საკითხი ქართულ დრამატურგიაში.
1. დიალექტობებისათვის, ქსეკ საკითხები, IX, თბ., 1989.
7. ლ. კოკნაძე, ხ ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში, თსუ შრომები, ტ. 24, თბ., 1942.
8. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა, შრომები, III, თბ., 1979.
9. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
10. ვ. თოფურია, ქართული, „არილი“, ტფ., 1925.
11. ვრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბ., 1974.
12. გ. როგავა, ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემო ადიღურსა და ქართულში, ივე, II, თბ., 1948.
13. გ. ცოცანიძე, სპირანტის აფრიკატიზაციის შემთხვევა ქართულ დიალექტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.
14. ა. ლომთაძე, სპირანტის აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, 13, თბ., 1990.
15. შხ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
16. კლ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში; ალ. წულუციძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიკური შრომები, XIX, ქუთ., 1959.
17. შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, ივე, I, თბ., 1946.
18. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.
19. თ. გამყრელიძე, გ. შაქვაჯარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
20. ი. კიკნაძე, ხე>ხივ ფუძის ერთი მნიშვნელობისა და „მესახენის“ დახუსტებისათვის, „მაგნა“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1992, № 3.
21. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
22. გ. ახვლედიანი, ყრუ mediae ქართულში, ტფ., 1920.
23. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, ტფ., 1925.
24. ა. შანიძე, „წელიწადის“ ეტიმოლოგიისათვის, „წელიწადული“, ტფ., 1923—24.
25. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
26. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III, თბ., 1979.
27. არნ. ჩიქობავა, მახვლის საკითხისათვის ძველ ქართულში, სპამ, ტ. III, № 3, თბ., 1942.
28. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
29. შ. ძიძიგური, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
30. ს. ძლენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963.



31. არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერვიდნულში, «ჩვენა მეცნიერებათა ინსტიტუტი» № 2—3.
32. არნ. ჩიქობავა, ფერვიდნულის შთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927.
33. Hans Vogt, Alternances vocaliques en georgien, NTS, XI, 1939.
34. ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.
35. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
36. ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, კმნილი დავით ჩუბინოვის მიერ, СПб, 1840.
- ზ. ანტონოვი, პიესები, თბ., 1876.
- თ. ბაგრატიონი, „სამსახეობა რაინდისა“, ზეგვიდის საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერების ფონდი 23381, № 23; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A 1762-ე.
- ივ. ბარათაშვილი, სხვა რიგი სიყვარული, „ცისკარი“, 1870, № 5.
- კ. ბერძნიშვილი, პო, აი, მეორეც რა გავიგე ლოტოზედ, „ცისკარი“, 1869, № 4.
- ი. ელიოზიშვილი, ჩემი ქმარი სხვას ირთავს, 1869, №№ 4, 5.
- გ. ერისთავი, ყვარყვარე ათაბაგი, „ცისკარი“, 1852, №№ 11, 12.
- რაფ. ერისთავი, ბრუნავი სტოლები, „ცისკარი“, 1868, № 10.
- რაფ. ერისთავი, ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწილეს, „ცისკარი“, 1868, № 1.
- თ. თავმარგვალაძე, ერთი დესიატინა, „ცისკარი“, 1864, № 12.
- ო. თავმარგვალაძე, ერთი საზოგადოების სურათი ტფილისში, „ცისკარი“, 1865.
- ივ. კერესელიძე, შული უმანკოებისა, „ცისკარი“, 1858, № 1, 3, 4.
- ივ. კერესელიძე, ცოლები დაკარგეთ, „ცისკარი“, 1860, № 10.
- ივ. კერესელიძე, სიქსტი მესხეთე, „ცისკარი“, 1864, № 4.
- ივ. კერესელიძე, ნუ დაჰკარგავთ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა შეგობარსა, „ცისკარი“, 1868, № 12.
- კონდრ. კლდიაშვილი, კომედია იმერეთის ზალხის ცხოვრებითან, „ცისკარი“, 1869, № 11—12; 1870, № 1.
- ა. წერეთელი, ძველი ამხანაგები, „ცისკარი“, 1861, № 7.
- ა. წერეთელი, ძველსა და ახალს შუა, „ცისკარი“, 1868, №№ 3, 6.
- ა. წერეთელი, არსენა, „ცისკარი“, 1868, № 7.
- ოქტ. წერეთელი, ქორწილი იმერეთის თავადისა, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 232.
- ალ. ჯ. ორბელიანი, ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებსა, „ცისკარი“, 1864, №№ 3, 4.
- ალ. ჯ. ორბელიანი, დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ეჟიპტის სეპტუაგუა, ისტორიული დრამა ოთხ მოქმედებად, თ. ალექსანდრე ჯამბაყურ-ორბელიანსა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1891.
- ალ. ჯ. ორბელიანი, ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებსა, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 473.
- ალ. ჯ. ორბელიანი, ეჟიპტის მეფობენ, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 473.

И. Г. КИКНАДЗЕ

ФОНЕТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ
ДРАМАТУРГИИ XIX В.

Проанализирован язык пьес грузинских драматургов среднего периода XIX века. На основе исследования первоисточников сделан вывод, что в пьесах отражаются многообразные фонетические особенности грузинского литературного языка в рассматриваемый период.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

კითხვან მიზნოვანი

 «ლორის» აღმნიშვნელი სიტყვები და მათი სინგოლიკა
 „ვის-ო-რამინსა“ და „ვისრამინსი“

ფაზრ ედ-დინ გორგანის პოემის „ვის-ო-რამინის“ სულისკვეთებისა და საერთო ხასიათის გამოვლენისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ლექსიკის საფუძვლიან შესწავლას. ამ საკითხზე არაერთ ქართულ მკვლევარს უმუშავია (იუსტ. აბულაძე, დ. კობიძე, ალ. გვახარია, მ. თოდუა, თ. ჩხეიძე, მ. მამაცა-შვილი). მათ მიერ საინტერესო მოსაზრებანია გამოტყმული XII საუკუნის პირველ ნახევარში თარგმნილი ძეგლის „ვისრამინის“ ლექსიკაზე XI საუკუნეში შექმნილი პოემის „ვის-ო-რამინის“ ლექსიკასთან შეპირისპირებით.

ჩვენ განზრახული გვაქვს „ვის-ო-რამინის“ ცხოველთა სამყაროს აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლა „ვისრამინის“ მონაცემებთან ურთიერთშეჯერებით. რამდენადაც ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ენის უძველესი ფენის კუთვნილებაა, უკვე ეს ფაქტი განსაზღვრავს მისდამი განსაკუთრებულ ინტერესს [1]. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ „ვის-ო-რამინის“ მდიდარი ფაუნის მხოლოდ ერთ წარმომადგენელზე — ღორზე.

ფაზრ ედ-დინ გორგანის თხზულებაში ამ ცხოველის აღსანიშნავად ორი სიტყვა გვხვდება — *gurāz* და *xūg*:

I. *gurāz* — *sus scrofa* — ტახი, ტყის ღორი, გარეული ტახი, გარეული ღორი [2].

„ვის-ო-რამინი“: *Gurazi z-an yakī gūša burūn g̃ast*. ერთი ტახი გამოხტა ერთი კუთხიდან [3, გვ. 518₂].

„ვისრამინის“ შესაბამის ადგილას ვკითხვლობთ: „ანაზდეულად ტყისაგან დიდი ტახი გამოვიდა“ [4, გვ. 313₆].

„ვის-ო-რამინი“: *Gurāz ašufta šud az bāng u faryād, ba laškargahī šahanshāh dar uftād*. ტახი გამძინვარდა ხმაურზე და ყვირილზე, შაჰინშაჰის ბანაკში შემოვარდა (თავს დაესხა) [3, გვ. 518₃₀].

„ვისრამინი“: „ღორმა მიდამო ბრუნვა და სირბილი დაიწყო, კარავთა შიგან შემოუხტა“ [4, გვ. 313₇].

„ტახი“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს „მამალ ღორს, გარეულ ღორს“ [5, გვ. 418]; სულხან-საბასთან კი განმარტებულია მხოლოდ როგორც „ღორი მამალი“ [6, გვ. 135].

როგორც ვხედავთ, ქართველი მთარგმნელი ამ ცხოველის სახელის თარგმნისას ორივე ლექსემას იყენებს. არსებობს დაკვირვება, რომ „ტახ“ ფუძე იშვიათად გვხვდება ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში. ამ ცხოველის აღსანიშნავად ჩვეულებრივ „ღორი“ ფუძე დასტურდება [1, გვ. 162]. „ვისრამინსი“ „ღორ“ ფუძის ხმარების ექვსი შემთხვევის გვერდით „ტახ“ ფუძის გამოყენების სამი მაგალითი გვაქვს. ამათგან ქართული „ტახ“ ორ შემთხვევაში შეესაბამება სპარსულ *gurāz*-ს, ერთხელ *xūg*-ს; „ღორ“ ფუძე სამჯერ სპარსული *xūg*-ის შესატყვისია, ერთხელ ენაცვლება *gurāz*-ს. დარჩენილი ორი



მაგალითი „ვის-ო-რამინის“ სპარსული ტექსტის შესაბამის ადგილას არ ჩემბნება.

ახ. სპარსული სიტყვა *gurāz* უკავშირდება არშაკიდულ-ფალაურ ფორმას — *varāz* — „გარეული ტახი“. ავესტური *warāza* „ტახი“ — ვერეთრანგანს წმინდა ცხოველია (ქართულში შემოსული საკუთარი სახელი ვარაზიც ამ ფუძიდან მომდინარეობს) [7, გვ. 464].

„ვის-ო-რამინში“ ეს ცხოველი ძირითადად ფიგურირებს პოემის ბოლო ნაწილში, სადაც აღწერილია შაჰი მოაბადის ტრაგიკული აღსასრული ტახისაგან. გარეგნულად თითქოს ყველაფერი მარტივადაა, სინამდვილეში ეს ეპიზოდი დიდ შინაარსობრივ დატვირთვას შეიცავს.

თხზულების კულმინაციურ წერტილს წარმოადგენს ორ ძმას შორის მოსალოდნელი სასიკვდილო შებრძოლება. მოაბადსა და რამინს შორის ომი გარდაუვალი იყო. აუცილებლად დაიღვრებოდა ამათა შორის სისხლი, ბრძოლაში თვით განგების ხელი რომ არ ჩარეულიყო. მოულოდნელად ტყიდან გამოვარდება გარეული ტახი და ცხენდაცხენ დადევნებულ მოაბადს ეშვებით გაუპობს გულს (მოგვიანებით რამინი ღმერთის მადლობას სწირავს, რომ მისი ხელით არ მოაკვდინა ძმა). რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის. ამ მონაკვეთის სწორი გაგება იძლევა პოემის იდეოლოგიური პრინციპების გამორკვევის მნიშვნელოვან გასაღებს. თავის დროზე ეს ადგილი სხვადასხვა მკვლევრის დაინტერესების საგანი გამხდარა. ი. ბრაგინსკი თვლის, რომ შაჰი მოაბადის სიკვდილი „სატირის უკანასკნელი აკორდია“. მისი აზრით, მაშინ როცა მოქმედება კულმინაციას აღწევს, *Deus ex machina*-ს როლში გამოდის ღორი, მუსლიმანი მსმენელისა და მკითხველისათვის აბსოლუტურად მიუღებელი ცხოველი, და ამით ავტორი შაჰინშაჰს სასტიკ და სამარცხვინო აღსასრულს უშზადებს [8, გვ. 12—13]. მ. მამაცაშვილი არ იზიარებს ი. ბრაგინსკის ამ შეხედულებას. იგი დაწვრილებით ჩერდება მოცემულ მონაკვეთზე, ბოლომდე ხსნის გარეული ტახის სიმბოლიკას, რითაც ფარდა ეხდება ავტორის ჩანაფიქრს და სხვაგვარად გაიაზრება მოაბადის სიკვდილის სცენა.

ქართველი მკვლევრის აზრით, „ვის-ო-რამინის“ შესაბამის ადგილას მუსლიმანური წარმოდგენების ღორზე არაა ლაპარაკი და გარეული ტახის ასპარეზზე გამოჩენაც არაა „სატირის უკანასკნელი აკორდი“. იგი განმარტავს, რომ ზოროასტრული მოძღვრების მიხედვით, მითრა დემონებისა და ავი სულების წინააღმდეგ მებრძოლი ღვთაებაა. ის, როგორც სინათლისა და სიკეთის ღვთაება, ყოველგვარ სიბნელესა და ბოროტებას თრგუნავს. მითრა, როგორც ღვთაება, განუწყვეტლივ იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში „მას თანახლავს მფარველად გამარჯვების ღმერთი ვერეთრანგა და „ბრძენთა ფიცი“, რომლებიც გარეული ღორის სახით არიან წარმოდგენილი და თავიანთი მახვილი ეშვებით ბოროტ სულსა კმუსრავენ“ (ავესტა). მითრას ცხოველური იპოსტასი იყო გარეული ღორი, ტახი. მკვლევარი პარალელს ავლებს ანტიკურ სამყაროსთან და დასძენს, რომ დემეტრას ცხოველური იპოსტასიც გარეული ღორი იყო. დემეტრას მისტერიებში სამსხვერპლოზე გარეული ტახი იკვლებოდა, რომში კი ღვთაება იანუსს სწირავდნენ ღორს. გარეული ღორი იყო, აგრეთვე, ატისის განხორციელება. ლეგენდა იმის შესახებ, რომ ატისი მოკლულ იქნა ტახისაგან, ამ აზრს ასაბუთებს. ღორი ღვთაებრივ ცხოველს წარმოადგენდა აგრეთვე სირიელებისათვის [9, გვ. 54—55]. წმინდა ცხოველად ითვლებოდა ეს ცხოველი მიკენურ ბერძნულ სამყაროშიც. ამის დადასტურებაა ჯარისკაცთა „ტახის ეშვებიანი“ საბრძოლო მუზარადები, როგორც სიმბოლო მეომრული სულისკვეთებისა: ძველ ისლანდიურში „გარეული ტახის“ არქაული სახელწოდება იხმარება მხოლოდ „თავადის“ (ასევე „ღმერთის“) მნიშვნელო-



ბით. ბალტიისპირა სლავებში შემონახულია წარმოდგენა უზარმაზარ მითოლო-
 გურ ტახზე, რომელიც ზღვიდან წამოიმართებოდა ზოღმე ყოველთვის. როცა
 წმ. ქალაქ პეტრეს უბედურება ემუქრებოდა. საერთოდ, ძველი წარმოდგენები
 „გარეულ ტახზე“, როგორც განსაკუთრებულ რიტუალურად მნიშვნელოვან
 ცხოველზე, სხვადასხვა ინდოევროპულ ტრადიციებში ემთხვევა ერთმანეთს
 [10, გვ. 516—517].

გარეული ტახის სიმბოლიკის გარკვევის შემდეგ მ. მამაცაშვილი ასკვნის,
 რომ ტახისაგან მოაბადის მოკვლა იმაზე მიუთითებს, რომ „ჯერ ერთი, ეს იყო
 ღვთაებრივი სურვილი, თვით მითრა გამოდის ბრძოლის ასპარეზზე თავისი
 ცხოველური იპოსტასით, და მეორე, — მოაბადი არის ბოროტების განსახი-
 რება, რომელსაც თრგუნავს მითრა. ბოროტების დათრგუნვით, ე. ი. მოაბადის
 სიკვდილით, აღდგება პოემაში დარღვეული პარმონია, „ვისი და რამინი ერთ-
 დებიან, მეფედებიან და ქვეყნად სიკეთე და სამართლიანობა მყარდება“ [9,
 გვ. 55].

ამგვარად, ამ ეპიზოდის განხილვა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გორ-
 ვანის „ვის-ო-რამინი“ წინაისლამური პერიოდის სპარსულ კულტურასთან არის
 ორგანულად დაკავშირებული.

11. განვიხილოთ პოემაში მოცემული ღორის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა
 xūg[xūk*—sus — ღორი:

„ვის-ო-რამინი“: (1) *ču bišnid īn suxan Viru zi xwāhar, digar bar xūg
 nafšānd īč gawhar.* როდესაც ვირომ დისაგან ეს სიტყვები მოისმინა, მეორედ
 აღარ დააბნია ღორის წინ მარგალიტი [3, გვ. 173₉₄].

„ვისრამიანი“: „რა ვირომან ვისისაგან ესე შეუწონელი სიტყვა მოისმინა,
 მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა“ [4, გვ. 92₁₃].

„ვის-ო-რამინი“: (2) *Xatā šud xišti ū vān xūg čun bād ba dast u pāy-i
 xingi šah dar uftād.* აცდა მისი შუბი და ის ღორი, როგორც ქარი, შაპის
 ცხენს ფეხებში ეცა [3, გვ. 519₃₄].

„ვისრამიანი“: „ტახსა შემოსტყორცნა სათხელი და დააცდუნეა. მერმე
 ღორმან შემოუტევენა, ეცა ცხენსა და წააქცია“ [4, გვ. 313₁₁].

„ვის-ო-რამინი“: (3) *hanūz uftāda būd šahi ǧahāngīr, ki xūg urā bazad
 yaškī ruvāngīr.* ჯერ კიდევ ძირს ეგდო ქვეყნის მპყრობელი შაჰი, როცა მას
 ტახმა სულის ამომხდელი ეშვი ჰკრა [3, გვ. 519₃₇].

„ვისრამიანი“: „კვლა მოუხდა ღორი, მოჰკრა ეშვი მეკრდსა და უბემდის
 გაუბო“ [4, გვ. 313₁₃].

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართველი მთარგმნელი *gurāz*
 ფუძის დარად სიტყვა *xūg*-საც ხან ღორ-ს უნაცვლებს, ხან ტახ-ს.

საერთოინდოევროპული ფუძე, რომელიც ყველა ძველ ინდოევროპულ
 დიალექტშია წარმოდგენილი, მომდინარეობს ძირიდან *su-*; მაგ.: ავესტ. *hū-*;
 „ღორი“, მიკ. ბერძ. *su-qo-ta* „მელორე“, ლათ. *sus* „ღორი“ და ა. შ. გამოი-
 ყოფა ჯგუფები: 1. ძირზე *-n-* თანხმოვნის დამატებით (ლათ. *suīnus* „ღორი“,
 გოთ. *swein*, ძვ. ისლ. *svīn*, ძვ. სლავ. *svinija*—„ღორი“.

2. საერთო ძირზე *-k[h]* თანხმოვნის დამატებით: ლათ. *sucula* — „ახალ-

* *k--g*: *afgandan* || *aikandan*; *tagāwar* || *takāwar*.



საერთოინდოევროპული ძირი sū- ნიშნავდა „დიდ შინაურ ღორს“, „გარე-ული ტახისაგან“ განსხვავებით, რომელსაც თავისი განსაკუთრებული სახელ-წოდება გააჩნდა [10, გვ. 593]. სპარსულ ენასაც მოეპოვება, როგორც ზემოთ ვნახეთ. „გარეული ღორის“ აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი gurāz, თუმცა პომის ავტორი მკაცრად არ ასხვავებს ამ ორ ლექსემას მნიშვნელობის თვალსაზრისით და მათ ერთმანეთის გვერდით ხმარობს.

მოცემული ნიმუშებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს პირველ მაგალითში გამოყენებული გამოთქმა: bar xūg gawhar fašandan. მოაბადთან ურცხვად მოუბარ ვისს ვირო კეთილგონიერებისაკენ მოუხმობს, მაგრამ მიხვდება, რომ გამიჯნურებულ დასთან საუბარს ისევე არა აქვს აზრი, როგორც ღორის წინ მარგალიტის დაბნევას (gawhar — აქ: სიტყვა, შეგონება; xūg — აქ: გრძნობამორეული ვისი).

ამ გამოთქმას სპეციალური წერილი მიუძღვნა ირანელმა მკვლევარმა ბაჰ-მან სარქარათიმ [11]. იგი იკვლევს მოცემული ანდაზური თქმის წარმომავლობას. ეს გამოთქმა გვხვდება მათეს სახარების მე-7 თავის მე-6 მუხლში: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძალღთა, ნუცა დაუფნეთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა...“ [12, გვ. 125]. წერილის ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ანდაზა „murwārid pīsi xūg afsāndan“ ძველირანულია და შემდეგ არის შესული ბერძნულ ენაში. ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტორად მას მოყვანილი აქვს ეპიზოდი პართულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებიდან „პალმის ხე და თხა“. ეს არის წინაისლამური პერიოდის გაკამათება-გაბაასების ყანარის პოემა. თხა თავისი უპირატესობების ჩამოთვლის შემდეგ მიმართავს პალმის ხეს:

„ოქროს სიტყვები,
შენ რომ გიხარო,
პგავს მარგალიტი
დაუგო ღორსა,
ან ჩანგი უკრა
ატეხილ აქლემს“ [13, გვ. 47].

პომის ეს ნაწილი თავის დროზე გ. ვიდენგრენს მიუჩნევია სემიტური გავლენის ნიმუშად და მას არამეულიდან შემოსულ ირანულ სესხებად ხსნის ამაში ეკვი შეუტანია ქრ. ბრუნერს, რომლის აზრით, გნოსტიკური „მარგალიტის სიმღერა“ ზეპირი გზით გავრცელდა ირანში. მეტიც, იგი თვლის, რომ შესაძლოა საღვთო ტექსტი ეყრდნობოდეს ამ შემთხვევაში რომელიმე მსგავს ხალხურ ამბავს [13, გვ. 15].

ირანელი მკვლევარიც შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „პალმის ხე და თხა“ ძველი და ძირეული პოემაა, რომელიც არშაკიდების ეპოქაში და, შესაძლოა, ამ ეპოქის დასაწყისში შეიქმნა“.

გამოთქმა „ღორის წინ მარგალიტის დაყრაც“ ირანული წარმოშობისაა და ანდაზის სახით არშაკიდების პერიოდის ირანში გავრცელდა; ირანის მოსაზღვრე ხალხების მიერ იგი შეთვისებულ იქნა და პალესტინამდეც კი მიადღწია, ხოლო შემდეგ გზა პოვა ახალი აღთქმის წიგნებში“ [11, გვ. 475—479]. ბაჰმან სარქარათი თავის წერილში აღნიშნავს, რომ სახარების ეს ეპიზოდი ყოველთვის ბუნდოვანი რჩებოდა მკვლევართათვის და შეცდომით გაიზარებოდა. მაგალითად,

გნოსტიციზმის მიმდევრები მარგალიტს განმარტავდნენ, როგორც „ზეციური სულის“ მაჩვენებელს, ხოლო xüg — ღორს, როგორც სიმბოლოს მატერიალური სამყაროსი და მიწიერი სხეულისა [11, გვ. 481]. ასევე ეკამათება იგი ცნობილ მკვლევრებს ფ. პერლესსა და იერემიას, არ იზიარებს პერლესის აზრს, რომლის მიხედვითაც ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა არამეუღლია და მცდარი გაგების შედეგად ბერძნულ ენაზე არასწორად ითარგმნა და სახარებაშიც უზუსტო ფორმით შევიდა [11, გვ. 481]. ბაჰმან სარქარათის აზრით, სინამდვილეში ამ იდიომს საფუძვლად უდევს ძველი სპარსული გამოთქმები „guhār afsāndan“, „durr fešāndan“, „guhār bārīdan“ — მარგალიტის გაღაფრებვა დაყრა, რასაც მიმართავდნენ ირანში მეკლისების, დღესასწაულების, ქორწილების და სხვა სახეობო რიტუალების დროს [11, გვ. 483]. ეს გამოთქმები გვხვდება კლასიკური სპარსული ლიტერატურის თითქმის ყველა ძეგლში, მათ შორის „ვის-ო-რამინშიც“:

Mahānās ġāma u gawhār fašāndand
kohānās fandūq u šakkar fašāndand.
დიდებულები მის მარგალიტსა და ქსოვილებს აყრიდნენ,
მღაბიონი — თბილსა და შაქარს.
guhār sad ġam dar pāyās fašāndand
ასი ჯამი მარგალიტი მის ფეხქვეშ დაყარეს.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ მოსაზრებას გავიზიარებთ, როგორც დავინახეთ, გამოთქმა „ღორის წინ მარგალიტის დაყრა“ საკმაოდ პოპულარულია უკვე ძველ ირანში და საჭირო შემთხვევაში მხატვრული სახის შესაქმნელად მას მიმართავს ფახრ ელ-დინ გორგანიც.

განსახილველი ცხოველის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის შემცველ მგავლითებზე დაკვირვებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

„ვის-ო-რამინში“ ღორის აღსანიშნავად გვხვდება ორი ლექსემა gurāz და xüg, რომელთაგან პირველი სპარსულ ენაში ჩვეულებრივ აღნიშნავს „გარეულ ტახს“, „ტყის ღორს“, ხოლო მეორე „ღორს“, თუმცა პოემის ავტორი არ ასხვავებს მათ მნიშვნელობის თვალსაზრისით. gurāz ტექსტში გვხვდება 5-ჯერ, xüg — 7-ჯერ.

„ვისრამიანში“ შესაბამისად გამოიყენება სიტყვები ღორი და ტახი. პირველი მათგანი გვხვდება 6-ჯერ, მეორე 3-ჯერ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების იდეური მხარის სწორად აღქმისათვის „გარეული ტახის“ სიმბოლიკის ბოლომდე გახსნას, რომლის მიხედვითაც ტახის მიერ მოაბადის მოკვლაში თვით განგების ხელი ურევია; შაჰინშაჰის ტრაგიკული სიკვდილი არის სიმბოლო ბოროტების დათრგუნვისა, უსამართლობის აღკვეთისა და სამართლიანობის დამკვიდრებისა მითრას ცხოველური იბოსტახის ტახის მეშვეობით, რის შედეგადაც ვისი და რამინი ერთდებიან და ქვეყნად სიკეთე იმარჯვებს.

საინტერესო მხატვრულ სახეს ქმნის ლექსემა xüg გამოთქმაში „marvārīd piši xüg afsāndan“. არსებობს ორი მოსაზრება: ერთის მიხედვით, ეს სემიოტიური გავლენის ნიშნულია და არამეუღლიდან შემოსულ ირანულ ნასესხობას წარმოადგენს, ხოლო, მეორის მიხედვით, ის არის ძირძველი ირანული იდიომი, რომელიც მომდინარეობს უკვე ძველ ირანში საკმაოდ პოპულარული გამოთქმებიდან „durr afsāndan“, „gawhār bārīdan“ — „მარგალიტის დაყრა“.

1. ირ. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1986.
2. Wörterbuch Persisch-Deutsch, von Heinrich F. J. Junker und Bozorg Alavi, Leipzig, 1986; Рубинчик Ю. А., Персидско-русский словарь, М., 1983.
3. Vis o Rāmin, tashihe Magali Todua va Alexander Gvakharija, Tehran, 1349. (1970).
4. ვისრამინი, ქართული მწერლობა, ტ. 3, თბ., 1988.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
6. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1966.
7. შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბ., 1966.
8. Фахри Гургани, Вис о Рамин. М., 1963.
9. შ. შამაცაშვილი, გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამინი“, თბ., 1977.
10. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В. Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб., 1984.
11. Bahman Sarkarati, morvārid piši xūg afsāndan—yek masale irani dar ketabe 'ohde jadid. Našri-yie daneškade-yie adābiyat va 'olume ensaniye Tabriz, 1352, šomare 108.
12. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1986.
13. ფინიკის ხე და თბა, ფალაქრიდან თარგმნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თეო ჩხეიძემ, თბ., 1991.

კ. ფ. მეგრელიშვილი

СЛОВА, ОБОЗНАЧАЮЩИЕ «СВИНЬЮ», И ИХ СИМВОЛИКА В «ВИС О РАМИНЕ» И «ВИСРАМИАНИ»

Резюме

Для обозначения свиньи в «Вис о Рамине» встречаются две лексемы *gurāz* и *xūg*, соответственно в «Висрамиани» использованы корни *ღორ* (*gor*) и *ტახ* (*tax*). Как автор, так и грузинский переводчик не различают эти слова в отношении значения.

В статье также освещена символика дикой свиньи, что дает возможность понять идейную сторону произведения. Дикая свинья — животное, ипостась божества Митры и убийством Моабада кабаном осуществляется само желание божества. Интересный художественный образ создает слово *xūg* в следующей пословице: *Marvārid pišši xūg afsāndan*, которая была широко распространена еще в древнем Иране.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ირანული ფილოლოგიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ალ. გვახარიამ

გუბაზ გოგაბოშვილი

ფშაური ლემსიკის დარგობრივად შესწავლის მნიშვნელობისათვის

(წისკვილისა და მეწისკვილეობის ლექსიკის მიხედვით)

დიალექტთა მონაცემების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ენის თეორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის სწორად გადაჭრა. დიალექტები მეტყველებაში მოქმედ კანონთა ყველაზე ნათლად გამოვლენის უმნიშვნელოვანესი სფეროა, ხოლო თვით მეტყველება ენისა და მისი ძირითადი კანონების რეალიზაციაა. ამიტომაც დიალექტთა შესწავლას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მკვლევართა მიერ გაზიარებულია მოსაზრება, რომ „ენაში ცვლილებების იმთავითვე მოცემული იმპულსი ყველაზე ხელშესახებ გამოხატულებას პოულობს ტერიტორიულ, ეთნიკურ, სოციალურ თუ პროფესიულ ჯგუფებში წარმოქმნილი მეტყველებრივი ნაირსახეობების სახით, თუმცა საფუძველს იღებს იდიოლექტში (ცალკეულ პიროვნებათა მეტყველებაში)“¹.

ენა შედგვის სახით მოცემული შემოქმედებითი აქტია, რომელიც თავის თავში გულისხმობს მუდმივ ცვლილებათა გარკვეული კანონზომიერებების არსებობას (ფ. დე სოსიური, ვ. ჰუმბოლდტი)², რაც, როგორც ქრონოლოგიური, ასევე სივრცული განზომილების ფარგლებში (ე. ი. დიალექტებში) გამოიხატება. ცვლილებები კი განპირობებულია როგორც ლინგვისტური, ასევე ექსტრალინგვისტური (ეთნიკური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური) ფაქტორებით. ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით ერთი ეთნოსის ფარგლებში ორი (ან მეტი) დიალექტის (კილოკავის) განვითარება საკმაოდ ხშირი მოვლენაა. ცნობილია, რომ დასაშვებია პირიქითი მოვლენაც: ორი ეთნოსისათვის გამაერთიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს ერთი დიალექტური მეტყველება. მაგალითად, ისტორიული ვითარების გამო (ქართლ-კახეთთან სიახლოვე და გვიან პერიოდში გახშირებული კონტაქტები) იერის ხეობაში, დაბა თიანეთის ახლომდებარე ფშაურ სოფლებში მცხოვრებ პირთა მეტყველება მდიდარია იდიოლექტებით და ენობრივი თვალსაზრისით (გრამატიკულ და ლექსიკურ დონეზე) ქართულთან და კახურთან მომეტებულ სიახლოვეს ამჟღავნებს (ან ამ სიახლოვის წინაპირობას ქმნის), მაგრამ ეთნიკური ფაქტორის მიხედვით არაგვისხეური და იერისხეური ფშაური ერთ დიალექტად ერთიანდება³ (შდრ.: „ზემოიმერული და ქვემოიმერული ეთნიკურმა ფაქტორმა გააერთიანა, თორემ ქვემოიმერული ენობრივად, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ზემოგურულთან ან ლეჩხუმურთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ზემოიმერულთან“⁴).

¹ ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 28.

² Вильгельм фон Гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влияние на духовное развитие человечества, Избранные труды по языкознанию, Москва, 1984; Фердинанд де Соесюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.

³ აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართული სუპერსტრატული დანამარევი შეიმჩნევა ასევე არაგვის ხეობის ფშავის სამხრეთ რეგიონში მცხოვრებთა მეტყველებაში.

⁴ ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 32.



არსებითად ასევე, ოღონდ განსხვავებულობის თვალსაზრისით უფრო ხელშეწყობილად დაისმის საკითხი ქართლურის ან თუნდაც კახურის მიმართ. „ქართლურის დიალექტისათვის მანაც ეთნიკური ფაქტორი აღმოჩნდა განმსაზღვრელი, თორემ შიგაგანობრივი დიფერენციაცია, ჩანს, უფრო მეტია. ვინემ ოდენ კილოკავური სხვაობა (ჩრდილო ქართლური და ბორჯომის ხეობის ქართლური, გარეკახური და ქიზიყური)“⁵.

ეს პროცესი, რასაკვირველია, თავს იჩენს დიალექტთა ინტენსიური ურთიერთშეხების რეგიონებში. ასე ხედება ეთიმანეთს, მაგალითად, ქართლურ-ზემო-იმერული მეტყველება სურამის ქედის კალთებზე, ქართლურ-მთიულური და ქართლურ-ფშაური არაგვის ხეობაში, ასევე გარეკახურ-ფშაური ივრის ხეობაში.

დიალექტების ურთიერთხევაგვლენის შემთხვევები კარგად არის ცნობილი. ურთიერთხევაგვლენასთან ერთად მომიჯნავე დიალექტებში და აგრეთვე ერთი დიალექტის კილოკავებში ხშირად თავს იჩენს ურთიერთამიჯნვის აშკარად გამოხატული ტენდენციაც. ეს ტენდენცია ფშაურ დიალექტურ გარემოში თავის დროზე კარგად შეინიშნა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ა. შანიძემ. მან იმთავითვე, ჯერ კიდევ 1913 წელს, აღწერს განსხვავებულობა ფშავის ცალკეულ რეგიონებში მცხოვრებ სხვადასხვა თემის წარმომადგენელთა მეტყველებაში, რაზეც საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მის მიერვე შედგენილ მივლინების ანგარიშში, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერმა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილებას წარუდგინა⁶.

ბოლომდე გასაზიარებელი არ ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს დღევანდელ ფშავში მხოლოდ ფშაური მეტყველებების ასაკობრივი დიფერენციაცია შეინიშნებოდეს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს⁷. რასაკვირველია, მეტყველებაში ე. წ. „კუთხურობის“ ელემენტის მეტ-ნაკლები დაცულობა ცალკეულ ინდივიდთან, ზოგან კი წმინდა ლიტერატურულ ნორმათა სიჭარბის არსებობა, გარდაუვალი პროცესია ნებისმიერი დიალექტისათვის და იგი, შეიძლება ითქვას, უნივერსალურ მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნის კილო-თქმათა განვითარების ყოველ ეტაპზე, მაგრამ მთავარია მოვლენათა პირველადობა-მეორეულობის გათვალისწინება. უნდა გვახსოვდეს, რომ: ერთეული თავისებურებანი აბსტრაქციისა და განზოგადების საშუალებას ვერ მოგვცემს. მთავარია გამოკვეთა ტიპობრივი თავისებურებისა, მოვლენათა ძირითადი მახასიათებლებისა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგობრივი ლექსიკის აღწერსხვა-ანალიზის შედეგად მოპოვებულ ფშაურ ლექსიკურ ერთეულთა ფორმათწარმოების სტრუქტურულ თავისებურებათა, მათი სემანტიკური მრავალფეროვნების, რეგიონული კლასიფიკაციისა და სადერივაციო აფიქსთა ფუნქციური სემანტიკის გამოკვეთისას.

მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული სავსე მუშაობის დროს ფშაური მეტყველების შესწავლის შედეგად, რასაკვირველია, გამოიკვეთა სხვაობა ასაკობრივი — ქრონოლოგიური განზომილების, ანუ ინფორმატორთა ასაკის, მიხედვით, რაც პარალელურ ფორმათა დამამკვიდრებელ და საბოლოოდ დიალექტური მერყეობის გამომწვევი იდიოლექტური ინოვაციების მოჭარბებით აიხსნება მომავალი თაობის მეტყველებაში. ამ დროს ხდება დიალექტურ ნორმათა რღვევა-ცვალებადობა და პარალელურ ფორმათაგან ახლად შემოსულის დამ-

⁵ ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 32.
⁶ ა. შანიძე, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров, ИАН, 1913; „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, I, 1957, გვ. 3—8; თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 11, თბ., 1981, გვ. 7—12.
⁷ გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978, გვ. 9.

კვიდრება, რაც ნებისმიერი დიალექტური ერთეულისათვის (და მათ შორის ფშაურისთვისაც) არის დამახასიათებელი. ასაკობრივ განსხვავებულობას კარგად გრძნობს თვით ადგილობრივი მკვიდრი ფშაველი: „დასიცილს დაუწყებენ ძველ ნაუბარსა, არაად არი გამოსადეგი“ (მიგრიალთა). მაგრამ, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ასევე გამოიკვეთება სხვაობა ტერიტორიული მეტყველებრივი ნაირსახეობების სახით, როგორც ენობრივი, ასევე ლექსიკური დონის მიხედვით. ამიტომაც ფშაურ დიალექტზე უშუალო დაკვირვებათა შედეგად გაგვიჩნდა მოსაზრება, რომ იგი საინტერესოა როგორც ქრონოლოგიური, ასევე სივრცული განზომილების, ანუ რეგიონული, თვალსაზრისით. ეს კი ძალზე ფასეულია, რადგანაც აღნიშნული დიალექტური ერთეული ამ თვალსაზრისით არ ყოფილა სპეციალური დაკვირვების საგნად ქცეული. ამ პრობლემაზე ყურადღება ჩვენ ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან გავამახვილეთ და სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში ნარკვევების სახით გამოეთქვით ჩვენი შეხედულებანი.

აღნიშნული ტერიტორიული მეტყველებრივი განსხვავებულობა, ანუ განსხვავებულობა სივრცული განზომილების ფარგლებში, რაც თავის დროზე ჯერ კიდევ ა. შანიძემ შენიშნა, როგორც აღნიშნეთ. დღესაც ნიშანდობლივია ფშაური დიალექტისათვის. ამ თვალსაზრისის იზიარებს ბ. ჯორბენაძეც: „მართალია, ფშაური კილოკავებად არ იყოფა, მაგრამ ფშაური მეტყველება მანც ყველგან ერთნაირად არაა წარმოდგენილი. საფუძვლიანად იგი უკანა (უკვენა) ფშაველია დაკული. ამას თვით ფშაველებიც გრძნობენ და ზედმიწევნით განარჩევენ კიდევ მეტყველების ნაირსახეობებს“⁸. აღსანიშნავია, რომ კილოური თავისებურებებისა და განსხვავებულობისადმი მათი დამოკიდებულება არა ინტუიციური და ინერციულია, არამედ შეგნებულია, რაც გამოიხატება ადგილობრივ მკვიდრთა მისწრაფებით თვით ეთნოსის შიგნით შიგაენობრივი დიფერენციაციისა და ენობრივი თვითგამიჯვნის ტენდენციისადმი. ეს კი, თავისი მხრით, განაპტიკვებს ერთი ეთნოსის ფარგლებში კილოკაურ სხვაობათა წარმონაქმნებს ისე, ამავე დროს, აფერხებს მათი ნიველირების პროცესს. ამა ხელს უწყობს დიაც, რომ დღეისათვის ეთნიკური ფშავე ეცილებით მეტ ტერიტორიას მოიცავს გეოგრაფიულთან შედარებით, რასაც ენობრივ ფაქტორთან, ენობრივი თვითგამიჯვნის ტენდენციასთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფშაველები კომპაქტურად სახლობენ შირაქში, სოფ. ქვემო ქედში, ახმეტის რაიონში, ცივ-გომბორის კალთებზე. აი, როგორ რეალისტურად გამოხატავს ჩარგლელი ფშაველი (მადაროსკარის თემი) თავის პოზიციას ამ ფაქტისადმი (ჩარგალი ტერიტორიულად წინა ფშავეს ეკუთვნის): „დასიცილი (=დაცინვა) იციან უკვენა ფშავეში აქიურ სიტყვებზე“, — აღნიშნავს იგი⁹. აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე სიტყვებით გამოხატული იდენტური აზრი ჩვენ იერის ხეობის ფშავეში, სოფ. ჩაბანოშიაც დავადასტურეთ. ე. ი. ჩანს, რომ განსხვავებულობა ფშავეს ცალკეულ რეგიონებში მცხოვრებთა მეტყველებას შორის პირველად მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ფშაური მეტყველების ასაკობრივი დიფერენციაცია მეორეული მოვლენაა და, ამასთან, იგი საერთოა ნებისმიერი დიალექტისათვის.

აღსანიშნავია, რომ ფშაურისა და ხევსურულის გარდა დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია ხელშესახებად იჩენს თავს ზემო და ქვემო იმერულის, ზემო და ქვემო გურულის, მესხურისა და ჯავახურის და ზოგი სხვა დიალექტისა თუ კილოკავის ურთიერთობისას. დიალექტური მასალის შესწავლანალიზმა დავგარწმუნა, რომ ეს ტენდენცია ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და

⁸ ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 242.
⁹ ი. გიგინეიშვილი, ე. თ. ფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 127.

ლექსიკურ დონეზე გამოიხატება აგრეთვე, ერთი მხრით, არაგვისა და, მეორე მხრით, ივრის ხეობის ფშაველთა მეტყველებაში. ფორმათწარმოების სტრუქტურულ თავისებურებათა ანალიზის დროს ჩვენ საგანგებოდ ვამახვილებდი ყურადღებას ამ საკითხზე¹⁰.

უნდა ითქვას, რომ ფშავრი დიალექტის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საფუძვლები რამდენადმე რყევას განიცდის სალიტერატურო ენისა და მომიჯნავე ბარის კილოების გავლენის შედეგად, რაც ხელს უწყობს თავისთავადი ფშავრი ინოვაციების წარმოქმნასა და დამკვიდრებას. შეიძლება ერთი და იგივე, ან ერთმანეთის მომიჯნავე, მიმყოლ ფორმებში ორგანულად იყოს შერწყმული მთისა და ბარის კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები.

თვით დიალექტური ლექსიკის სრულად წარმოჩენისა და საფუძვლიანი ანალიზის მიზნით მისი დარგობრივად შესწავლისა და სემანტიკური ბუნებების მიხედვით გამოვლენის უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით უკვე დადგენილია¹¹. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მეურნეობის ამა თუ იმ დარგთან და ხალხის ყოფით მოვლენებთან დაკავშირებული რიტუალების თანმიმდევრული შესწავლა და აღწერა. ასეთი აღწერის საშუალებით გამოვლენილი მასალა უფრო მისაწვდომი და გასაგებია, ამავე დროს ეთნოგრაფიულადც ფასეულია და, რაც მთავარია, სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარე ლექსიკური მარაგის ურთიერთობაზე, მათ შორის იდენტურისა და განსხვავებულის ზარისხის შესახებ დამაჯერებელი მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს.

ისტორიული დიალექტოლოგია წარმოუდგენელია დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიის მიერ ამჟამად მოპოვებულ დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა ქრონოლოგიური კორექტირებისა და სემანტიკური მრავალფეროვნების გარეშე¹², რაც ლექსიკური ღირებულების სრულყოფილი დადგენისა და დეტერმინაციის საშუალებას იძლევა. ამდენად საშურია, რომ დროულად და სრულად იქნეს გამოვლენილი ქართული ენის ყველა დიალექტის ლექსიკური მონაცემები, რაც ამა თუ იმ დიალექტურ არეალში მცხოვრებთა ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობასა და ყოფასთან არის დაკავშირებული, რამდენადაც მათ მიერ საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები, შრომის იარაღებისა და საქმელ-სასამელთა სახელები და სხვ., რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ენის ლექსიკის გამდიდრებისა და მისი ისტორიის სრულფასოვანი შესწავლის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გამოუვლენელი და აღუნუსხავი რჩება. ბევრი მათგანი თავისებური შედგენილობით იქცევა ყურადღებას და, ამასთანავე, პირვანდელ სახეს ამჟღავნებს. ამიტომაც ფშავრი ლექსიკა ჩვენ დარგობრივად შევისწავლეთ და შევეცადეთ, რაც შეიძლება სრულად აგვეწერა ფშავისათვის დამახასიათებელი მეურნეობის ყველა დარგი. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეთა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა საქართველოს მთიანეთში მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს და, ამდენად, მეურნეობის ძირითად დარგებთან დაკავშირებული ლექსიკის მიმართება მთის სხვა დიალექტების¹³ ამავე დარგების ლექსიკასთან დაგვეხმარება გავარკვიოთ, რა არის მათ შორის საერთო და რაა საკუთარი ჩვენთვის საინტერესო დიალექტისა.

¹⁰ გ. გოგატიშვილი, წარმოქმნილ სიტყვათა და დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფები ფშავრში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1990, 189 გვ.

¹¹ ალ. ჭინჭარაული, ზეუსურლის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 193.

¹² Г. А. Богатова, В. И. Дерягин, Г. Я. Романова, Славянская историческая лексикография и проблемы региональной характеристики слова, ВЯ, 1982, № 3, გვ. 34.



რამდენიმე წლის მანძილზე სისტემატურად, თითქმის ყოველ წელიწადს, ეგვიპტეში ვაგროვებდით ტექსტობრივ მასალას და აღწერსხავდით ფასეულ ლექსიკურ ნიშნებს. მოვიარეთ ფშავლებით დასახლებული თითქმის ყველა რეგიონი და მასალა მოვიპოვეთ სხვადასხვა სახის ჩანაწერების სახით, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ლექსიკურ ერთეულთა ლოკალიზაცია-კვალიფიცირება რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით. ლექსიკურ-სემანტიკურ ურთიერთმიმართებათა გამოსაკვეთად, რამდენადაც ამის საშუალებას ნაშრომის მოცულობა იძლევა, მოპოვებული მასალა შედარებული გვაქვს ქართული ენის სხვა დიალექტთა (უფრო ინტენსიურად მთის დიალექტთა) ლექსიკურ მონაცემებთან.

რა თქმა უნდა, ამგვარ ნაშრომს სისრულის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს და არც აქვს, რამდენადაც ლექსიკა ჩაკეტილი სისტემა არ არის: „იგი განუწყვეტლივ იცვლება დროში, განუწყვეტლივ იცვლება მისი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულება“¹³. ამიტომ, ენობრივი საუნჯის — კალოური მეტყველების აუწყავი მარაგის აბსოლუტური გამოვლენა-აღწერა პრაქტიკულად მიუღწეველია.

ამრიგად, მდიდარი ენობრივი საუნჯე — დიალექტური ლექსიკა მუდმივი დაკვირვებისა და საფუძვლიანი კვლევა-ძიების საგანი არის და იქნება თავისი ევოლუციური ბუნების გამო. ფშავრი დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებისადმი ყურადღება და გულმოდგინება კი არ დაგვიკლია წლების მანძილზე არაგვისა თუ იგრის ხეობის ფშავის ცალკეულ სოფლებში უბან-უბან, ხევ-ხევ თუ შარა-შარა წელიწადის სხვადასხვა დროს ნებისმიერ აწინდში ჩატარებული გამოწველილვითი მუშაობის დროს, იქნებოდა ეს მეცხვარეთა ბინები, სამთოები, კარის-პირულები, საქნოვრები, სათიბები, კალოები, ზატობები თუ სხვადასხვა საწესჩვეულებო რიტუალები.

მოპოვებულა მდიდარი დიალექტური დარგობრივი ლექსიკური მასალის ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება გამოვავლინოთ:

1. სიტყვათა ექსტენსიონალზე დამოკიდებული **ჰიპონიმია**, **ჰიპონიმის პრინციპი** — ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვის მიერ უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვის დაქვემდებარება, რომლის დროსაც ცალმხრივ იმპლიკაციასთან გვაქვს საქმე: წვერი (მაგალითად, „იაბო“) გულისხმობს იმ მნიშვნელობას, რომელიც კლასისათვის („ცხენი“) არის დამახასიათებელი და სწორედ ამიტომ არის იგი გაერთიანებული მოცემულ კლასში, მაგრამ „კლასი არ გულისხმობს თავისი წვერის მნიშვნელობას“¹⁴.

კუთხური ლექსიკის დარგობრივად ასახვის დროს ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეების მიხედვით ასახვა-წარმოდგენისას მყარდება ჰიპონიმური მიმართება: ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა იქვემდებარებს კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს და ამ გზით წარმოიქმნება სუბორდინაციული მიმართება კლასსა (სემანტიკური ველი) და მის წვერებს შორის (ლექსიკური ერთეულები). მაგალითად, შდრ., ერთი მხრით, „ცხენი“ (კლასი) და, მეორე მხრით, ფშავრ დარგობრივ ლექსიკაში დადასტურებული ჰიპონიმური მიმართებანი (წვერები): კვიცი, იაბო და მისი სახეები: გამქცევი // მოზბოლი // მედოლე, გულიანი // ხანიერი, გულფთიანი; ულაყი, აჯილა, ფაშატი // დელა ცხენი; საფერკე და მისი სახეები: სრული, მატარებელი, ჩაქჩაქა; იორლა და მისი სახეები: მატარებელი // ნაბიჯის იორლაი, გამალებული; ჯაგლაგი // ლაჯლაჯა, უმანძილო. გაუსანო, რბილი ცხენი; საპალნე და მისი სახეები: ნაბიჯიანი ან ჩქარნაბიჯიანი (იხ.: საჯლომი და საბარგე პირუტყვი).

¹³ ბ. ფოჩხუა, სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში, იყ. ტ. XVII, თბ., 1970, გვ. 224.
¹⁴ გ. ნეზირიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1990, გვ. 224.



ან კიდევ: ძნა (ძნების გროვა) — სემანტიკური ველი და ფშაურში დადასტურებული მისი ჰიპონიმური მიმართება: ხადურა // კადურა // კანდურა // რეულა, წერა (ორფეკაის წერა, სამფეკაის წერა), მელეური, ხუთულა // კუთულა (იხ.: პურეულისა და მარცვლოვან-პარკოსან კულტურათა მოყვანა) და ა. შ.

„თუ ენის ლექსიკა მოწესრიგებული სიმრავლის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სემანტიკურ ველებსა და მის წევრებს შორის, ან თვითონ სემანტიკურ ველებს შორის სუბორდინაციის მიმართება გვაქვს“¹⁵. ამ თვალსაზრისით დიალექტური ლექსიკის დარგობრივად შესწავლა გვეხმარება, რომ კუთხურ სიტყვათა მნიშვნელობების ინტერპრეტაცია მოვახდინოთ არა მხოლოდ სემანტიკური ველის დონეზე (რაც უფრო ზოგადია), არამედ საკუთრივ წევრების დონეზე (გამოწვლილვით, დამატებით მნიშვნელობათა გამოვლენა-ზუსტი კლასიფიკაციით). „ხშირად ჩვენ გვიჭირს არა მარტო ნასესხები, არამედ მშობლიური ენის სიტყვების ინტერპრეტაციაც კი კლასის წევრების დონეზე და ვკმაყოფილდებით მხოლოდ მათი ინტერპრეტაციით სემანტიკური ველების დონეზე. ალბათ ბევრმა ქართველმა არ იცის, თუ რა განსხვავებაა „პუნე“, „ტიაჭი“, „მერანი“, „რაში“ სიტყვებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით. მაგრამ რადგანაც ყველა მათგანი „ცხენის“ მნიშვნელობას შეიცავს, ჩვენც ვკმაყოფილდებით მხოლოდ იმ საერთო ცოდნით, რაც ამ სიტყვებს აქვთ სემანტიკის დონეზე“¹⁶. სწორედ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას ითვალისწინებს დიალექტური ლექსიკის დარგობრივი შესწავლა არეალური თვალსაზრისით, რამდენადაც თვითონ „სემანტიკური ველის ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე ამ ველში შემავალი სიტყვებისა, მაგრამ ერთ სემანტიკურ ველში შემავალი სიტყვების ინტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე თვითონ სემანტიკური ველისა“¹⁷. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ გამოწვლილვითი სემანტიკური ანალიზი ჰიპონიმურ მიმართებას — ნაკლები ექსტენსიონალის მქონე დიალექტური ლექსიკური ერთეულების გამოვლენას გულისხმობს ერთი (მოცემული) სემანტიკური ველის ფარგლებში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, დიფერენცირებული საზოგადოების დროს, როდესაც უფრო საგრძნობია დარგობრივისა და საერთო ენობრივის განსხვავება ლექსიკაში. ამავე დროს ანგარიშგასაწევეია ისიც, რომ საზოგადოებრივი განვითარება სხვადასხვა ენობრივ ჯგუფთა ურთიერთობის გაცხოველებასაც გულისხმობს.

2. ლექსიკურ ერთეულთა გავრცელების ძირითადი და ლატერალური არეალები. არაგვისა და ივრის ხეობის ფშაველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია და მათი ლოკალიზაცია რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით, რაც გამოკვლევაში გზადაგზა, დარგობრივი ლექსიკის ამსახველ ნიმუშებშია მოცემული. დარგობრივი ლექსიკის ამგვარი სახით შესწავლა და განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულთა გამოვლენა კი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ ამოცანის გადაჭრა ხელს შეუწყობს ქართული ენის ცილო-თქმათა არეალურ შესწავლას.

3. დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა — სიტყვათა პოლისემანტიკურობა, რაც სხვადასხვა შინაგანი თუ გარეგანი (ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური) ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ითვალისწინებს.

ფშაური დარგობრივი ლექსიკის ამგვარი წარმოდგენა-განხილვის დროს ასახულია არალინგვისტური ფაქტორები: რეგიონული მონაცემები — სიტყვის

¹⁵ იქვე.
¹⁶ იქვე.
¹⁷ იქვე, გვ. 224.

მნიშვნელობაში რეგიონული მომენტის გათვალისწინება (რაც სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას ითვალისწინებს), ეთნოგრაფიული არეალები და, რა თქმაუნდა, ლინგვისტური ფაქტორებიც, როგორცაა: ა) სიტყვათა მნიშვნელობის ქრონოლოგიური კორექტირება; ბ) კონოტაცია; გ) სემანტიკური ძვრები; დ) რენტერპრეტაცია.

ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინება ლექსიკური თვალსაზრისით მოცემული არეალის სრულყოფილი დიალექტოლოგიური დახასიათების წინაპირობაა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზემოხსენებულ ფაქტორთა გათვალისწინებით აღნუსხული ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ლექსიკური ღირებულებების სრულყოფილი დადგენა და დეტერმინაცია, ამოწურავად განვმარტოთ მრავალი იშვიათი სიტყვა და იდიომური ერთეული, რაც ყუთხური ლექსიკის აუწყავს საუნჯეს შეადგენს; ბევრი მათგანის სემანტიკური მრავალფეროვნება კი ჯერ კიდევ სრულად არ არის დადგენილი, და, ამდენადვე, არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული.

ამ მხრივ საინტერესოა მოცემული დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში ასახული:

ა) ლექსიკონში შეტანილი და დახასიათებული სიტყვები, რომელთა დამატებითი, განსხვავებული ფშაური მნიშვნელობანი გათვალისწინებული არ არის და, ამდენადვე, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი;

ბ) ლექსიკური სინონიმია, სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტების არსებობა თვით ფშაურში;

გ) ფშაურსა და სხვა დიალექტებში ერთი და იგივე მნიშვნელობით დადასტურებული ლექსიკური ერთეულები, რომელთა ფშაურში გავრცელებულობაზე დღემდე არ არის მითითებული;

დ) პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულები მათი დამატებით, განსხვავებულ მნიშვნელობათა (სემანტიკური პარალელების) გავრცელების განმსაზღვრელი ტერიტორიის (დიალექტური არეალის) დადგენით;

ე) პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულები რეგიონულ დაყოფას დაუქვემდებარებელი, თავისუფლად მონაცვლე დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობებით (სემანტიკური პარალელებით);

ვ) დღემდე აღუნუსხავი სიტყვები და იდიომური გამოთქმები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის.

აღსანიშნავია, რომ საველე მუშაობის დროს მოპოვებული, დარგობრივ ლექსიკაში ასახული და აღნიშნული ფაქტორების მიხედვით კვალიფიცირებული ფშაური ლექსიკის საინტერესო ნიმუშებს ამჯერად წარმოვაჩინოთ წყლით მბრუნავი წისქვილისა და მეწისქვილეობის ლექსიკის ანალიზის მიხედვით.

წყლით მბრუნავი წისქვილის ფშაურ ლექსიკაში შემონახულია ბევრი სიტყვა, რომელიც დღესაც დამახასიათებელია ადგილობრივი მეტყველებისათვის და მრავალი მათგანი სპეციალურ ლექსიკონებშიც არის შეტანილი: **ალატი** (ქართლ. ფშ., ხევს., მოხ., თუშ.) — ხის ყუთი, რომელშიც ფქვილი ჩადის; **ბუჭულა** // **ბუჭურა**, იგივე **ჭურულა** — პატარა წისქვილი; **დაკვლი** (ხევს., ფშ.) — ნაწვერის ფერფლი; **ფერფლი**¹⁸; **ნაქლია** — ხის ღარი, საიდანაც საფქვაკი წისქვილის ყელში ჩადის. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულ-

¹⁸ აღ. დ. ლ. მ. ტ. ი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის ენა, თბ., 1984, გვ. 175.

შიც¹⁹. მისი მთიულური შესატყვისია ნავი²⁰, მოხეტრი — ნაველა²¹; სარულე არხი, რომელშიც წყალი მიედინება (შდრ. ასევე: მოხ.)²², საურთი — ეტრანულში წყლის რუს შემდეგ გაკეთებული მცირე რუ, იმ წყლის წასაყვანად, რაც შიშველ რუს გასდის²³; საღორე (ხევს., ქართლ., თიან., მთიულ.) // საღვარე — ქვედა სართული წისქვილისა; ფირქლი ძალიან მცირე, ერთი ბეწოა²⁴; ფშანტალა — ძალიან რბილი ქვა; ქრიჯა // ქრიჯაი (ფშ., ხევს., თუშ.) — ალატიდან ფქვილის ამოსაღები ნიჩაბი, ჩამჩა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით მეჰკვიდრობას შემოუნახავს ძვ. ქართული ალფი (შდრ. საბა), რომელიც პოლისემანტიკური ერთეულია. ალ. ჰინჭარაულის მიერ შედგენილ „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ დადასტურებულია მისი მნიშვნელობანი: 1. აღნიშნავს დავლას, ომში ნაშოვარ ქონებას (ა. შანიძე); 2. იგივეა, რაც მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი (ქეგლ), ანუ იგივე, რაც ა. შანიძის მიხედვით — მეფქვილე²⁵. აღნიშნული ლექსიკური ერთეული ამ მნიშვნელობით სავლელ მუშაობის დროს ჩვენ არ დავციდვართ.

ბრავალი ლექსიკური ერთეული მნიშვნელობის მხრივ საერთოა სხვა დიალექტებთან. სპეციალურ ლიტერატურაში ზოგი მათგანი ფონეტიკური სახესხვაობით არის დამოწმებული და მიჩნეულია სხვა კუთხის კუთვნილებად, სინამდვილეში ფშაურშიც გვხვდება, ასევე არ არის ფიქსირებული სხვა დიალექტებთან ფორმით ერთნაირი, ხოლო შინაარსით განსხვავებული ლექსიკური ერთეულები, მათი სრული გამოვლენა-აღნუსხვა კი შესაძლებლობას მოგვცემს ეთნოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად განვსაზღვროთ დიალექტების გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ დიალექტური ლექსიკის კლასიფიცირება და ლოკალიზაცია:

ალატი (მთ., მოხ., თუშ., ხევს.) — საფქვილე ხის ყუთი, რომელშიც ახლად-დაფქული ფქვილი ჩადის. ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი ფშაურშიც. **ალატი ფიცრები** // **მკლავები** იხ.: საზუღარი.

ბთა (←**ფთა**←**ფრთა**) — აღნუსხულია ქიზიყურში. წისქვილის ბორბლის ფირფიტაა, რომელსაც წყალი სცემს და ბორბალს ატრიალებს²⁶. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურშიც.

ბოწკინტი (←**ბოძკინტი**) ხევს., ქართლ., მთიულ.²⁷: 1. პატარა ბოძი; 2. ნაყოფით დახუნძლული ტოტის შესაყენებელი სარის სიმსხო პატარა ორკაპი ბოძი, ტოტი რომ არ ჩამოიმტვრეს; კაპიანი სარი, რომელსაც ხის მეტად მსხმოიარე ტოტებს უყენებენ. ამავე მნიშვნელობებით დასტურდება ფშაურშიც. აგრეთვე ბოძად იყენებენ სარუეში წყლის გადმოსაყვანად გამოზადებულ ღარბერის გასამაგრებლად.

გლა, გაგლა თუშურსა და ფშაურში გათელვა, გარეგვა, გათქერვა, ჩეჩქვა, ხეთქებაა. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც²⁸. მოხეტრსა და ქართლურში დანაყვა, დაცეხვაა²⁹. დავლა (მთ., მოხ.,

¹⁹ ალ. ჰინჭარაულე, ხევსურულს თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 209.

²⁰ ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 108.

²¹ ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეტრი დიალექტი, თბ., 1985, გვ. 290.

²² იქვე, გვ. 208.

²³ თ. რაზიკაშვილი, „ივერია“, 1900, № 138. - ი. ჟუონ.

²⁴ ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჰინჭარაულმა, თბ., 1969.

²⁵ ალ. ლლოტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 28.

²⁶ იქვე, გვ. 542.

²⁷ იქვე, გვ. 85.

²⁸ ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჰინჭარაულმა.

²⁹ ალ. ლლოტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.



ხევს.) დაეყვება, დანარცხებაა. **გლა გულისა, გულის გავლა** ფშაურში დარღისაგან გულის შეწუხება, გულის ვათელვაა: დარღმა **გამიგალა გულიო**, — იტყვი შეწუხებული ადამიანი.

გაცხრილვა // დაცხრილვა — მარცვლეულის (ანუ კოვის) ცხრილში გატარება. სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირებულია ამ სიტყვის ქართლური ვარიანტი: **მოცხრილვა, მოცხრილვა** ფშაურში გაქცევას, მოკურცხლვას ნიშნავს³⁰.

გულნი — ხის ნახევარკალისებრი „სოლები“, რომლებითაც ამოვსებულია ძირის წისქვილში ღერძის ირგვლივ ადგილი — **სადერძე**, რათა მარცვალი არ ჩაცვიოდეს წყალში, „წისქვილს გულთ არ გეედინოს“. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულში³¹.

დაროხვა (ზ. აჭარ.) — სიმინდის, ხორბლის მსხვილად დაფქვაა. ამავე მნიშვნელობით ფშაურში გამოყენება **დაროხვა // დაროკვა // დაღერღვა**, რაც ცუდად და მსხვილად ფქვის ეპითეტებია.

დაცხავება (თუშ.) — რამის ვახერცთა ბევრგან ისე, რომ ცხავს დაემსგავსოს³². **დაცხაული** კი ფიქსირებულია, როგორც (მთიულ.): ძალიან გაცვეთილი, დატრეცილი. აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსიკური ერთეული ფშავშიც არის გავრცელებული. მნიშვნელობის იდენტურობის გარდა, რაც ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონშიც“ დასტურდება, **დაცხავება** აღნიშნავს აგრეთვე საფქვავე მარცვლეულის (იგივე კოვის) ცხავში გატარებას, რაც ლექსიკონებში აღუნუსხავია; ხოლო დაცხაული მთიულურში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა ფშაურში დაცხავებულს, მრავალგან დახერცილ სავანს აღნიშნავს, ამასთანავე **ცხავში** გატარებული მარცვლეულის აღმნიშვნელიცაა, ე. ი. პოლისემანტიკურია.

თოკი — წისქვილის ბორბლის ღერძის თავზე ზემოდან დამაგრებული რკინა, რომელიც ზევითა წისქვილის სათოკეშია ჩასმული და ატრიალებს მას. ქართლურის გარდა ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურში და მთის სხვა დიალექტებში.

კოდი (ქართლ., ქიზიყ., ხევს., მთიულ., ფშ., გუდამაყარ., თუშ., მოხ., იმერ., ზ. აჭარ.) პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულია³³. ძირითადად იგი აღნიშნავს: 1. დიდ კასრს, გულგამოთლილი მორისაგან გაკეთებულ ძირიან ჭურჭელს ფქვილის, მარცვლეულის, კარაქისა და სხვ. პროდუქტების შესანახად; 2. მარცვლეულის საწყაო ერთეულია. 3. ქიზიყურში **კოდს** ფუტკრის გეჯადაც (სკად) იყენებენ. ასევეა ფშავშიც: არსებობს **უძირო კოდიც**, რომელსაც წყაროზე ჩადგამენ ხოლმე წყლის დასაგუბებლად. ამ სახის კოდს ფშავში იყენებენ ღარის დანიშნულებით, საღვარეში წისქვილისათვის წყლის მისაშვებად. ამგვარ. ღარის დანიშნულებით გამოყენებულ კოდს თავი ფართო აქვს, ბოლო კი — ვიწრო და მას ფშავში **ღარის კოდი** ეწოდება, ხოლო ისეთ წისქვილს, რომელსაც ღარად კოდი აქვს ჩადგმული, **კოდის წისქვილი** ჰქვია.

კოდის წისქვილი, ფიქსირებულია ამ ლექსიკური ერთეულის (გურ. და იმერ.) მნიშვნელობანი: ერთთვლიანი პატარა წისქვილი. ღარის ქვემოთ ჩადგმული აქვს ხის კოდი, სადაც წყალი ღარიდანვე ეცემა ბორბალს და ატრიალებს; ღარის ნაცვლად ძალზე დაქანებული ქვის ან ხის მილი აქვს, წყალი ცოტა უნდება³⁴. **კოდის წისქვილი** ფშავშიც ყოფილა გავრცელებული. ეს არის წისქვილი, რომლის საღვარეშიც წყალი კოდით (ან კოდებით) მიედინება. იგი იყო

³⁰ ივ. ქეციკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ., 1969, გვ. 77.
³¹ ს. ბედუქაძე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1960, გვ. 209.
³² აღ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 196.
³³ იქვე, გვ. 297.
³⁴ იქვე, გვ. 297.



ორნარი: კოდის სათავე ჰქონდა ფართო, ბოლო კი — ვიწრო. ეს იყო **ლარის კოდი**. მეორენაირი კოდი იყო როგორც კასრი, მოკლე, რამდენიმეს დღეა დასრულებული. დნენ ხოლმე ერთმანეთს. „კოდის წისკვილ იქ იციან, საცა ბატარა წყალ მიღის. წინა ფშავში იცის, ვანკევშიაც არის, ძველად აქაც ყოფილა“ (მუქო, პ. კუწაშვილი).

კოჭი — თუშ.: ქუსლი; ხევს.: პირუტყვის კოჭი, ხმარობენ სათამაშოდ. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშავურში: „კომახში მოთავსებულია კოჭი, კოჭასთან არი ბატარა წვრილი ძვლები — ღილეები“ (ჩარგალი). ამასთან, ფშავურსა და ხევსურულშიც³⁵ აქვს დამატებითი მნიშვნელობა, წისკვილის ბორბლის შემადგენელი ნაწილია (იხ. ქვემოთ).

სამაქნენი (← სამანქნენი), იგივე მანქანანი (მთ., ხევს.) — წისკვილის ამწე-დამწევი მოწყობილობა.

სარეკელა (ხევს., იმერ., ზ. აჭარ.) — ხის პატარა თავკომბალის ფორმის პალო, რომელიც ერთი ნაპირით (თავით) დოლაბზე დევს, ხოლო მეორეთი ნაკლიასთან არის შეერთებული. წისკვილის ტრიალისას სარეკელა ხტუნაობს, არხევეს ნაკლიკას და ეს იწვევს მარცვლის თანაზომიერ ფენას წისკვილისაკენ³⁶. ეს ლექსიკური ერთეული ფშავურშიც ამავე მნიშვნელობით დასტურდება, ოღონდ, აღსანიშნავია, რომ ნაკლიკას უკავშირდება **სარეკელას ხმალი**, რაც სპეციალურ ლიტერატურაში ჭერხნობით აღნიშნული არ არის. ბაჩანასთან სარეკელას სინონიმად **კუჯნი** გვხვდება: „ზოგი ბუჭულა დამდგარა, კუჯნს აღარ აკაკუნებსა“³⁷.

სარუე (ხევს.) — წისკვილის წყლის არხი. ასევეა ფშავურშიც: სარუე არხია, რომელშიც წისკვილის მამოძრავებელი **წისკვილის წყალი** მოედინება.

საღორე // საღვარე // საღვარენი. იხ. ქვემოთ.

ჭრიჭა // ქრიჭაი (ფშ., ხევს., თუშ.) — ალატიდან ჭქვილის ამოსაღები ნიჩაბი, ჩამწა.

ყვილი (ხევს.) — როცა წისკვილს საფქვავე შემოაკლდება და ქვა ცარიელი ბრუნავს, იმაზე იტყვიან³⁸. ასევეა ფშავურში. ამ დროს წისკვილი შეიძლება „გახურდეს და გასქდეს“.

კვიმური — გადმობრუნებულ პირამიდისებურად შეკრული ხის ყუთი, რომელშიც საფქვავე იყრება. ქართლში, რაჭაში და ზ. აჭარაში ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ხვიმირი**; შდრ. ასევე: მითულ., მოხ. **კვიმირი**; ხევს.: **კუმბური**; თუშ.: **კვიმბური**³⁹.

მართალია, ლექსიკონებში შეტანილი სიტყვები სათანადოდაა დახასიათებული, მაგრამ ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ცალკეული ლექსიკური ერთეულების დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობანი, რაც ფშავურ დიალექტში დასტურდება და საინტერესოა დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინების თვალსაზრისით. შედეგად ამისა, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელები სრულყოფილად წარმოდგენილი, რის გამოც ბევრი ფასეული სიტყვა და იდიომური ერთეული, რაც კუთხური ლექსიკის აუწყავი საუნჯეა და სამეურნეო ყო-

³⁵ ალ. ჭინჭარაძე ლ., ხევსურულს თაისებურებანი, გვ. 208.

³⁶ ალ. ლლონტი, ქართულ კლო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 474.

³⁷ ივ. ქეშიკიაშვილი, თედო რაზუკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, 33-69.

³⁸ ალ. ჭინჭარაძე ლ., ხევსურულს თაისებურებანი, გვ. 209.

³⁹ ა. შანიძე, მთის კლოთა ლექსიკონი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 1, თბ., 1984,

ფის ამსახველ მეტად საინტერესო ენობრივ მასალას შეადგენს, არ არის სათანადოდ კვალიფიცირებული:

ბაქანი — სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობის გარდა, აქვს განსხვავებულიც: საჩეჩლოს ხის რკალი (ქსნის ხეობ.)⁴⁰. აღნიშნული ლექსემა ფშაურში წისქვილის ბორბლის ფთის (← ფრთის) შემადგენელი ნაწილია: ფთას აქვს ბაქანი და ყბა, ხოლო ზურგის მხარეს სიმბაგრისათვის აქვს გვერდი, წყალმა რომ არ გატეხოს და მალე არ დაილიოს.

პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულია გვირგვინი. ამ სიტყვის ფშაური მნიშვნელობანი სემანტიკური ნაირფეროვნების გამომხატველია და მათი გათვალისწინების გარეშე არასრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ ამ ლექსემის კვალიფიკაცია. გვირგვინი ფშაურში მრავალი მნიშვნელობით დასტურდება: 1. „ზეით წისქვილს (წისქვილის ზემოთა ქვას. — გ. გ.) აქვ წისქვილის ყელი“ — ნახერტი, რომელშიც მარცვალი ჩადის, ყელს ირგვლივ აქვს გვირგვინი. 2. ხატის სახურავი „სიპით შართულია“, ზემოთ აქვს „სათაური — სიპზე ძე ქვის გუმბათი, გურგვალი და მალაია“, მას გვირგვინსაც ეძახიან. არის აგრეთვე ბელის გვირგვინი. 3. გვირგვინი ქობისადაც იციან. ვედრასაც აქვს გურგვალად შამოვლებული სარტყელივითა“ (შუაფხო). 4. „წინათ ეკლესიაშიც იყო ოქროს წყალში გავლებული მძივები და ძაფები, რაღაც ერთურთზე გაკეთებული კოხტად. გვირგვინს ამასაც ძახნილან. ვისაც ჭვარს დაჟწერდა, იმას დაძხურავდა მღვდელი“ (მუქო, ჯომარა).

გულთგაცვევნა, გულის გამაგრება — ძირის წისქვილში ღერძის ირგვლივ ადგილი — საღერძე ამოვსებულია ხის ორი ნახევარკალისებური სოლით, რათა მარცვალი არ ჩაცვივდეს წყალში, „წისქვილს გულთ არ გეედინოს“. როცა ღერძა და გულთ შორის თანდათან ადგილი მაინც რჩება და მარცვალი იბნევა საღერძეში, ამას გულთ გაცვევნას ეძახიან. ასეთი წისქვილი გულთგაცვენილია. გულის ზომამზე დაყენებას, რომ შიგ ღერძი თავისუფლად მოძრაობდეს და არც მარცვალი გაატაროს, გულის გამაგრება ეწოდება.

დაფარებული — „მიწით აფარებდენ წისქვილებს ბანურად წინათა, — დაფარებულს ვიტყოდით, ეხლა კი საბძლურად აკეთებენ, კავენ გაუკეთებენ“ (ელიაგზა, მუქო).

დაცხავენა, დაცხაული იხ. ზემოთ.
თავანჯარი სუფთა, გარჩეული ხორბლისაგან დაფქული ყველაზე კარგი ხარისხის ფქვილია. მისი სინონიმია წმინდა, თავანჯარა (ლეჩხ.) კარგი, არაჩვეულებრივია⁴¹.

კალო — ლექსიკონებში მითითებულია მისი ქიზიყური და გურული მნიშვნელობანი. ფშაური შინაარსი კი, რაც თავისთავად საყურადღებოა ამ ლექსემის პოლისემანტიკურობის გამო, გათვალისწინებული არ არის. 1. მიგვანიშნებს ძნის რაოდენობას: „წმინდის“, ქერისა და „ტრუპკის“ კალო 120 ნაწყობია, ე. ი. 240 ძნა; 2. სახნავი მიწის ფართობის საზომია. ფშავში საკანაურის სიდიდეს მასში მოწყული პურეულისაგან რამდენი კალოც გამოვა, იმის მიხედვით საზღვრავენ; 3. წისქვილის ქვის სიგანეა, რადიუსით ცენტრიდან. წისქვილის ქვის სიდიდეს კალოს სიდიდით ახასიათებენ: „დოლაბ წისქვილი ხანიერია, დიდ კალო აქვის“. პატარა, ბუჭულა წისქვილის კალო მტკაველნახევარი, მტკაველი და ერთი ვოჯია, დოლაბ წისქვილის კალო ორი, ორმტკაველნახევარია. 4. ძნის გასალეწი, მოსწორებული მრგვალი ადგილი. ამავე მნიშვნელობით აქვს დადასტურებული სულხან-საბა ორბელიანსა და ნ. ჩუბინაშვილს. ფშავში იციან საფ-

⁴⁰ იქვე, გვ. 62.
⁴¹ იქვე, გვ. 240.



რის კალო და ველის კალო. საფრის კალოს გადახურვილი კალო-ც ეწოდებოდა. სალექსად ჩვეულებრივ იყენებენ მოსუფთავებულნიადგიან მიწის კალოს. იცნობიან სიბებიით მოფენილი სიბის კალო-ც (იხ. მემინდგრეობისა და პურეულის ლექსიკა). 5. ივრისხეურ ფშაურში დასტურდება ამ ლექსემის ქიზიყური მნიშვნელობა: კალო — მოსახელად მომზადებული ლამკირი ან ხრეში. ლამკირს, ხრეშს ან საჭურჭლე მიწას მრგვლად დაყრიან, გულს გადაუშლიან, წყალს დაასხამენ და გადახევენ. 6. მცენარის ძირის გარშემო იციან მიწის მოკალოება — ჯამივით ან ფილოვით მოკეთება, რომ მცენარეს წყალი დაუგროვდეს და ფესვებში წაუეიდეს (მდრ. ქიზიყ.). 7. მოკალოება ფშაურში ზოგადად მიწის მოსწორება-მოსუფთავებასაც ნიშნავს, ხოლო კალოობა ლეწვაა.

კალოს სანაპირო ფიცრები // წისქვილის ნაპირები // წისქვილის გარემორგელობა — ორი მორკალული ხე, რომელიც შემოწყობილი აქვს წისქვილის კალოს ირგვლივ, რათა ფქვილი არ გადაიყაროს (აჯადი, შუაფხო). (მდრ. ხევს.: სანაგრაშო; აქარ.: საგვერდულები; მთიულ.: საგარემო).

კვილი — მთიულურში იგი თვის პატარა ზეონია. აღუნუსხავია მისი ფშაური მნიშვნელობა: წისქვილის ლერძის „განტოტვილ-გაკუთხვილი“ დაბოლოება ბუდეში უძრავად გაჩერების მიზნით.

კოკი // კოკა — ლექსიკონებში ფიქსირებულია ამ სიტყვის თუშური (ქუსლი) და ხევსურული (პირუტყვის კოკი, ხმარობენ სათამაშოდ). ფშაურში აქვს დამატებითი მნიშვნელობა: წისქვილის ბორბლის შემადგენელი ნაწილია. იგი ჩასმულია კაჭკაჭაში, რომელიც ფარცხის ხეში გაკეთებულ ბუდეშია ჩაგდებული. კოკს ივრისხეობის ფშავლები ასტამსაც უწოდებენ (მდრ. კახ.: აატკამი). ეს ლექსემა ამავე მნიშვნელობით ხევსურულშიც არის დადასტურებული⁴².

მეწისქვილე ივრის ხეობის ფშავსა და ნაწილობრივ წინა ფშავში (იქ, სადაც დიდი „დოლაბ წისქვილები“ გვხვდება) წისქვილის მეთვალყურე, დაფქვის პროცესის წარმმართავია, მინდის ამღები პიროვნებაა; უკანა ფშავში კი მეწისქვილე ის პირია, ვინც წისქვილის გამართვაზე მუშაობს.

მოგდება სარუეში წისქვილის წყლის გამოყვანა-მიშვებაა. ამგვარი წყალი მოგდებულია. სპეც. ლიტერატურაში დადასტურებულია ამ სიტყვის გურ., იმერ., ლეჩხ. მნიშვნელობანი: 1. მოხურვა კარისა; 2. პირუტყვისაგან ვადაზე აღრე მოგება ნაშიერისა. მკვდარი ან ცოცხალ-მკვდარი პირუტყვის (ხბო, კვიცი, ბატკანი, თიკანი) შობა დროზე ან ნაადრევად; მკვდრად ან ცოცხალ-მკვდრად შობილი⁴³.

ნაგალი პოლისემანტიკური ერთეულია როგორც ფშაურში, ასევე დიალექტთშორისი მნიშვნელობების მიხედვითაც⁴⁴. აღნუსხული აქვს თ. რაზიკაშვილს: წყლისაგან გაცვეთილი კლდე. დაგლილი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 134, 1900; ი. ჭყონ.) შემონახული აქვს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას **გაგლილის, გათელილის მნიშვნელობით**⁴⁵. ქეგლ-ს მიხედვით, გვხვდება თიანურში და ვახურბული რკინის ფერფლს ნიშნავს. მოხეურში ნახმარ-ნამუშევარს (ურემს და სხვ., მაგ., იარალს) აღნიშნავს. ამავე დიალექტში იგი ნატანჯის, ბევრი ჭირის მნახველის, გამობრძმედილის მნიშვნელობითაც დასტურდება⁴⁶. **ნაგალი** ქიზიყურში ჩალაბულა, ნალეწი ნამჯა, ნალეში შამბი და მისთანანია⁴⁷. აღსანიშნა-

⁴² აღ. შინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 208.

⁴³ აღ. დლონტი, ქართულ კოლო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 369.

⁴⁴ იქვე, გვ. 401.

⁴⁵ ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, გვ. 210.

⁴⁶ ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პენინსტიტუტის შრომები, XI, ცხნევალი, 1967, გვ. 375—451. შ. ძიძიგური, ა. ყაზბეგის ლექსიკონი: ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტტ. I—IV, თბ., 1948—1950.

⁴⁷ სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.



ვია, რომ ფშაურში **ნაგალი**, ისევე როგორც დაკელი, მარტო ნამწვრის ფერფლს კი არ აღნიშნავს, არამედ ზოგადად ფერფლის აღმნიშვნელია, რაც მეწისქვილეობის ლექსიკაში დასტურდება: „საფქავი რო გამოილევა, იტყვიან **ნაგალი გაღმოდისო // ჩამოდისო**. **ნაგალი ფირფლი** (იგივე ფერფლი. — გ. გ.) დაკელია“ (ს. შუაფხო).

ნაღერდალა ხევსურულში პურის ნამუსრეკია⁴⁸, ფშაური დამატებითი მნიშვნელობანი კი აღუნუსხავია. ფშაურში იგი პოლისემანტიკური ერთეულია: 1. ძალზე მსხვილად ნაფქავი, **ნაღერდეღეში // სანახორხლეში** (წისქვილის ქვის პირის ადგილი) გადასული და იქ დაგლეჯილ-დაკუწული მარცვლის ნაკუწებია, იგივე **ნახორხალი**; 2. ზმელი ხის წვრილი ნაკუწია.

ნახორხალი // ნაკორჭლი (ფშ. საქმელად უვარჯის პურის ნატეხები, ნაფხვენებია⁴⁹. აღუნუსხავია ამ ლექსემის დამატებითი მნიშვნელობა: იგივეა, რაც **ნაღერდალა** — ძალზე მსხვილად ნაფქავი, წისქვილის ქვის **სანახორხლეში // სანაკორჭლეში** გადასული და იქ დაგლეჯილ-დაკუწული მარცვლის ნაკუწები.

როში (ლექს., აქარ., ქიზიყ.) დაღერდილი ქერი ან ასლია საქონლის საქმელად: დაღერდილი სიმინდი ან ქერია ხარისა და კამეჩისათვის⁵⁰. საბას მიხედვით, „სხვლად დაფქულია“. აღნიშნული ლექსიკური ერთეული ფშაურშიც დასტურდება: „დაროხვილი (ე. ი. მსხვილად დაფქული. — გ. გ.) ქერი **როშია**, გაზაფხულზე საქონს აჰმევენ, როცა გალუბდება“ (ელიაგზა).

საბუდარი // წისქვილის საბუდარი ადგილია, რაზედაც არის დასახლებული (უძრავად გაქედვლი) ძირის წისქვილი. **საბუდარი** კუთხად გათლილი ხის ორი მორია, ერთმანეთთან **მკლავებით // ალატ ფიცრებით** დაკავშირებული. ამ სიტყვას ფშაურში პოლისემანტიკური გაგება აქვს: საბუდარი აგრეთვე წისქვილის შენობის იატაკი, ანუ ნიადაგია, რომელიც საღვარის თავზე გადებულ **საღვარეთ ხეებზეა** მოწყობილი.

სამართი — ფიქსირებულია ამ სიტყვის იმერ. და მოხ. მნიშვნელობანი⁵¹: 1. ბზის ჯოხი ტყავის პირის გასასწორებლად, მეუნაგირენი ხმარობენ; 2. ცულის, ნამკლისა და მისთ. გამოსაპირავი რკინის იარაღი. აღუნუსხავია ამ ერთეულის დამატებითი, ფშაური მნიშვნელობა, რაც მეწისქვილეობის ლექსიკაშია შემონახული: **სამართი** ჯოხია, რომელსაც წისქვილის მფქეავი პირების — ძირის პირების ზუსტად დამუშავებისათვის იყენებენ. **სამართით** მოკოდილობის სიზუსტესაც ზომავენ.

სამიმარი (// თიხის სამიმარი) — განმარტებით ლექსიკონში დადასტურებული კვალიფიკაციის გარდა ფშაურში მას დამატებითი მნიშვნელობაც აქვს: ხანგრძლივი მუშაობით გალულ, ე. ი. თხელ, წისქვილის ქვას ამძიმებენ — შავ თიხას ადებენ: „ჩაფხვრეტენ, პატარა რკინებს ჩაფხვრით, მემრე დაადებენ შავ თიხას და ის იჭერს. ამძიმებს“, რასაც **სამიმარს (// თიხის სამიმარს)** უწოდებენ. სამიმარი ხანმატის ჯვარის (წმინდა გიორგის) ერთ-ერთი დობილთაგანიცაა⁵².

საპირობე ძირის წისქვილის (ქვის) მფქველი პირის კიდეა, სადაც საფქავი პირობად (საბოლოოდ დაფქულად, გადმოსასვლელად გამზადებულად) იქცევა. ძირის ქვას საკოდელათი შეუტეკნავენ, შეუთლიან ხოლმე, რასაც **საპირობის მოჭრა** ეწოდება. შემდეგ ფქვილი ალატში გადმოედინება პირობის გადმოსას-

⁴⁸ აღ. კონკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 209.
⁴⁹ ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, 1969, გვ. 80; აღ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 418.
⁵⁰ ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, გვ. 80; აღ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 455.
⁵¹ იქვე, გვ. 467.
⁵² ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, გვ. 256.



ვლელით // საპირობით. ე. ი. საპირობე (2), ალატში ფქვილის გადმოსასვლელით
 ცაა, იგივე პირობის გადმოსასვლელია, მისი კახური სინონიმი **საპირობე**

ინგლისელ მეცნიერს შემოქმედებითი კონტაქტები აქვს დამყარებული ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან. მას მიმოწერა აქვს ალექსანდრე ბარამიძესთან, ალექსანდრე გვახარიასთან, შერმადინ ონიანთან, მერი გუგუშვილთან, ლიანა კეკელიძესთან, ბენი დობორჯგინიძესთან, სერგო თურნავასთან, რუსუდან თურნავასთან, შოთა ძიძიგურთან და სხვებთან.

რობერტ სტივენსონი ქართული ლიტერატურით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის ორმოციანი წლებში. მას ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლაში ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები და მწერლები. იგი წარმატებით დაეუფლა ქართულ ენას და შეუდგა მუშაობას.

რობერტ სტივენსონთან შემოქმედებითი კონტაქტები მაქვს 1978 წლიდან. მეცნიერს სისტემატურად ვუგზავნი მისთვის საჭირო ლიტერატურას. მისგან დღემდე მიღებული მაქვს ასამდე წერილი, რომლებშიც ავტორი მადლიერებას გამოხატავს მიღებული ლიტერატურისათვის. მისი წერილები ძალიან საგულისხმოა. მკითხველი გაეცნობა იმ დიდ მუშაობას, რომელსაც მეცნიერი ეწევა ქართული კულტურის კვლევის საქმეში. იგი საზღვარგარეთის საზოგადოებრიობას აცნობს ქართული კულტურის წარმატებებს და ხელს უწყობს ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

რობერტ სტივენსონისაგან მიღებული გვაქვს მრავალი საინტერესო ინგლისური მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ ბატონ რობერტს.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მაქვს სტატიები და რეცენზიები რობერტ სტივენსონის მეცნიერულ მოღვაწეობაზე: „რობერტ სტივენ-



სონი“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი IX, 1985, გვ. 569), „ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანი“ (გაზეთი „თბილისი“, 1. VI. 1978), „ქართული კულტურის მეგობარი“ (გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 23. VIII. 1980), „ქართული კულტურის ამბავი“ (გაზეთი „სამშობლო“, 1981, № 12), „ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი“ („მნათობი“, 1982, № XII), „უცხოელ მოკეთეთა აზრით“ (გაზეთი „თბილისი“, 11. 3. 1982).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზვიად გამსახურდიამ „მაცნეს“ (ელს) 1982 წლის მეორე და მეოთხე ნომრებში გამოაქვეყნა ორი რეცენზია რობერტ სტივენსონისეულ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანზე. რეცენზენტი ტენდენციურად მიუღდა თარგმანის შეფასებას.

ზ. გამსახურდია გააკრიტიკეს ქართველმა მეცნიერებმა: ალ. ბარამიძემ, ალ. გვახარამმა, შ. ძიძიგურმა, გ. ჯიბლაძემ, შ. ონიანმა და ბენო დობოჯინიძემ. აღნიშნულ რეცენზიასთან დაკავშირებით რობერტ სტივენსონმა გამომიგზავნა წერილი, რომელიც გამოქვეყნდა „მაცნეს“ 1984 წლის მეორე ნომერში.

რობერტ სტივენსონი ასე იწყებს თავის საპასუხო სტატიას: „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული ჩვენ მიერ, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ ორ რეცენზიაში... რეცენზიების სათურების მიხედვით მოსალოდნელი იყო ამომწურავი შეფასება, მაგრამ სინამდვილეში, ლიტონი განცხადებებისა და ანტიპათიის გამომღვანების გარდა, თარგმანის მთლიანი შეფასება არსებითად არაა მოცემული. ამ რეცენზიებისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა ასეთი სათაურები — „ზოგერთი მოსაზრება“...

ეს ორი რეცენზია მათმა ავტორმა იმიტომ გამოაქვეყნა, რომ საშუალება მისცემოდა, გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი რუსთაველის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ. საკუთარი აზრების ამგვარად გადმოცემა მაინდამაინც არაა მოსაწონი. პირველი რეცენზიის მთელ გვერდზე და ბევრგან სხვაგანაც თარგმანი ნახსენებიც კი არ არის, ხოლო მეორე რეცენზიაში ჩართულია ნარკვევი „რუსთაველის მონოთეიზმი და თეოდიცია“, რომელსაც ზუთი გვერდი ეთმობა და აქ მხოლოდ ორჯერ გაკვირთია ნახსენები თარგმანი. ასე და ამგვარად, თარგმანის, უფრო სწორად მისი ცალკეული მონაკვეთის, განხილვა აღრეულია. ხოლო ზოგჯერ მთლიანად იკარგება რეცენზენტის მიერ საკუთარ შეხედულებათა გადმოცემაში“.

ამის შემდეგ ზ. გამსახურდიამ მიიღო კრიტიკა და რობერტ სტივენსონის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი და ორიგინალური ნაშრომები დადებითად შეაფასა. ზ. გამსახურდია წერს: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ბატონ რობერტ სტივენსონის ღვაწლს ქართული ლიტერატურის ძეგლების პოპულარიზაციისა და კვლევის საქმეში. „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ პრობლემებს რ. სტივენსონი განიხილავს შუა საუკუნეთა დასავლეთის ლიტერატურის კვლევის ფონზე და რამდენადაც „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისათვის დღეს აუცილებელია მედიევისტის მიღწევების გათვალისწინება, რ. სტივენსონის დაკვირვებანი განსაკუთრებით ღირებულია თანამედროვე რუსთაველოლოგიისათვის და მრავალი საკვანძო პრობლემის გადაწყვეტაში გვეხმარება. „ვეფხისტყაოსნის“ მისეული პროზაული თარგმანიც თვალსაჩინო მიღწევაა, რომელშიც, როგორც ფილოლოგიური, ასევე მხატვრული თვალსაზრისით, ტექსტის საინტერესო ინტერპრეტაციაა მოცემული, რაც ჩვენ აღვნიშნეთ კიდევ ჩვენს რეცენზიაში (გვ. 143, 145)“ (ზვიად გამსახურდია, „წერილები, ესსეები“, თბილისი, 1991, გვ. 396).

ბატონ რობერტ სტივენსონის საპასუხო წერილს მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა მეცნიერებმა, მისწერეს მას წერილები და დაგმეს ზ. გამსახურდიას უსაფუძვლო რეცენზიები. პროფ. ბენო დობოჯინიძე წერს: „ქართველ მკი-
10. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 1

თხველთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია თქვენმა საპასუხო წერილმა, ეზრნალი ხელიდან ხელში გადადის. ყველა შეგნებული მკითხველი წერილში მოხუცობს ნათლად დასაბუთებულ პასუხებს მისთვის მრავალ საჭირობორც სვეტთხზე. როგორც მოსალოდნელი იყო, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანთა და საერთოდ თარგმანის თეორიის საკითხებზე ბატონმა პროფესორმა რობერტ სტივენსონმა სავესებით კომპეტენტური მოსაზრებანი გავეიზიარა. მაგრამ ამასთან ერთად, ბატონი რობერტ სტივენსონი არგუმენტირებულად უარყოფს მცდარ თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ, რელიგიურ ტრაქტატად გაგების შესახებ. მართლაც, „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიურ ტრაქტატად წყაითხევა-გაგება არის მიუტევებელი მკრეხელობა შოთა რუსთაველის რენესანსულ-ჰუმანისტური პოემისადმი. მსგავს გაუგებრობათა დაძლევისათვის ბატონ რ. სტივენსონის წერილი ფრიად მნიშვნელოვანია“ (ფილისი, 18 იანვარი, 1985 წ.).

საინტერესოა ბატონ რობერტ სტივენსონის საპასუხო წერილი:

„ძვირფასო პროფ. ბატ. ბენო დობორჯინიძე,

ნება მომეცით, გეთაყვა, მადლობა მოგახსენოთ მეტად სასიამოვნო შენიშვნებისათვის ზვიად გამსახურდიასადმი ჩემი პასუხის თაობაზე. ეს შენიშვნები მივიღე თქვენი კარგი მეგობრის სერგო თურნავას წერილით.

როგორც ჩემს პასუხში აღნიშნეთ, თავს არ ვთვლი იმდენად კომპეტენტურად, რომ ქართველ მეცნიერებს შევეკამათო რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ, მაგრამ არ შემიძლია დავფარო ის ფაქტი, რომ ჩემი კრიტიკოსის აზრები ამ თემაზე ძალიან უცნაურად მიმაჩნია. საუკეთესო სურვილებით, გულწრფელად რობერტ სტივენსონი, შოტლანდია, 1985 წლის 20 მარტი“.

პროფ. შერმადინ ონიანი თავის 1986 წლის 19 იანვრის წერილში სწერს რ. სტივენსონს: „...წავიკითხე თქვენი პასუხი ზვიად გამსახურდიას შენიშვნებზე, დაერწმუნდი, რომ ამას თქვენს დონეზე სხვა ვერ დაწერდა და ეს იყო საჭიროც. თქვენ იცით ჩემი დადებითი აზრი თქვენს ნაყოფიერ მეცნიერულ და მთარგმნელობით მუშაობაზე. ამიტომ ამას აღარ გავიმეორებ. თქვენ აკეთებთ ჩვენი კულტურისათვის დიდად სასარგებლო საქმეს და ამისათვის დიდი მადლობა“.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველს გავაცნოთ რობერტ სტივენსონის წერილები¹, რომლებშიც ნათლად ჩანს ის დიდი მეცნიერული მუშაობა, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ეწევა ქართულ-ინგლისური კულტურული, მეცნიერული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

სერგო თურნავა

შოტლანდია, 13 ივლისი, 1978

ძვირფასო ბატონო სერგო თურნავა,

მადლობას გიხდით წერილისათვის, აგრეთვე რეცენზიისათვის, რომელიც გამოაქვეყნეთ ქართულ გაზეთში რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ჩემეულ ინგლისურ თარგმანზე. მივიღე გაზეთიდან ამონაჭერი, სადაც დაბეჭდილია თქვენი რეცენზია.

¹ ყველა წერილი დაწერილია ინგლისურ ენაზე. ისინი ქართულად თარგმნა რუსულიდან თურნავამ.

ბოდიშს ვიხდით, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. მივიღე აგრეთვე თქვენ მიერ გამოგზავნილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ელისაბედ ორბელიანისეული ფრანგული თარგმანი, რომელმაც ძალიან გამაზარა. სიამოვნებით წავიკითხე თარგმანი, პირველი შთაბეჭდილება კარგია. სრულყოფილად მაშინ შევაფასებ, როდესაც დაწვრილებით გავეცნობი თარგმანს.

მე ყოველთვის მზიბლავდა სერგი წულაძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი. რაც შეეხება ელისაბედ ორბელიანის თარგმანს, ესეც კარგია. რა კარგი იქნებოდა, რომ პროფესორ სერგი სერებრიაკოვის შესავალი სტატია უფრო ვრცელი ყოფილიყო. ბევრი საკითხი, რომელსაც ავტორი ეხება (ელისაბედ ორბელიანის თარგმანის საკითხები), ახლოა ჩემს მოსაზრებასთან, რომელიც გამოვთქვი ჩემი თარგმანისადმი მიძღვნილ წინასიტყვაობაში. სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ არ მაქვს ჩემი თარგმანის მეორე ეგზემპლარი და არც ცალკეული წერილების ასლები. ვიმედოვნებ, რომ „ბედი ქართლისას“ რედაქცია პარიზიდან თქვენ გამოგიგზავნით ჩემი წერილების ამონაბეჭდებს. თუ გამომცემლობიდან მივიღე „ვეფხისტყაოსნის“ ჩემულის ინგლისური თარგმანი, ერთ ეგზემპლარს აუცილებლად გამოგიგზავნით. მანამდე მისი თბილისში გამოგზავნა ვამიძინელებდა, რადგან „იუნესკოს“ არ ექნება ამის შესაძლებლობა.

რაც შეეხება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ ჩემულ ინგლისურ თარგმანს, იგი თბილისის ბიბლიოთეკებშია დაცული და შეგიძლიათ ისარგებლოთ. ამ თარგმანის ერთი ეგზემპლარი მე უკვე გავუგზავნე ქალბატონ ვენერა ურუშაძეს, მეორე კი რამდენიმე წლის წინათ უკვე გავუგზავნე უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მათ „ყარამანიანის“ გამოგიგზავნეს. ამასთან ერთად გაახლებთ ჩემს ფოტოსურათს და ზოგიერთ ავტობიოგრაფიულ მონაცემს თანახმად თქვენი თხოვნისა.

ღარწმუნებული ვარ ეს ის არის, რაც თქვენ გნებავთ. ვიმედოვნებ, რომ ეს ჩემი ინფორმაციული ცნობები თქვენთვის სასარგებლო იქნება. თუ თქვენ კიდევ გაქვთ ჩემს მიმართ დამატებითი კითხვები, ბედნიერი ვიქნები გიპასუხოთ.

როგორც იცით, რუსთაველის პოემის ინგლისური თარგმანი დავასრულე. ახლა კი დაინტერესებული ვარ XVII—XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურით და ძალიან მადლობელი ვიქნები თუ ამასთან დაკავშირებით დამეხმარებით ლიტერატურით. მე მინდა თეიმურაზ პირველის, თეიმურაზ მეორის, ჩოლოყაშვილის, მამუკა ბარათაშვილისა და საიათნოვას ნაწერები. ჩემს ბიბლიოთეკაში ამ თხზულებებს ვერ ნახავთ. ძალიან მოხარული ვიქნები თუ მექნება კიდევ სხვა რომანები ვარდა „ყარამანიანისა“, რომელიც უკვე მაქვს.

მე მინდა მქონდეს პროფ. ალ. გვახარიას წიგნი 1966 წლის გამოცემა, ან ამ ისტორიის წიგნის მსგავსი გამოცემა.

მივიღე „ბარამ-გულიჯანიანის“ 1958 წლის გამოცემის ფოტობირი, რომლითაც ძალიან დაინტერესებული ვარ. ამასთან დაკავშირებით ზომ არ შეგიძლიათ მიშოვოთ პროფ. ალ. გვახარიას წიგნი „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან“ 1973 წლის გამოცემა? მაგრამ ეფიქრობ, ამ სახის გამოცემების ხელში ჩაგდება ძალიან ძნელი იქნება.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი სალაში ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, რომლებმაც მომიკითხეს.

უნდა ვითხრათ, რომ ბატონ პროფ. აკაკი შანიძის მეცნიერულ მოღვაწეობას მას შემდეგ გავეცანი, როდესაც დავიწყე ქართულის შესწავლა. კარგად ვიცნობ აკადემიკოს ალ. ბარამიძეს, ვენერა ურუშაძეს, რომლებიც კეთილგან-



წყობილნი არიან ჩემს მიმართ. კარგად ვიცნობ აგრეთვე პროფ. სეფილიძის რიაკოვის შრომებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა ავიცენას ტრაქტატი.

ერთხელ კიდევ დიდ მადლობას მოგახსენებთ ელენე ორბელიანისეული „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის გამოგზავნისათვის და იმ ინტერესისათვის, რომელსაც იჩენთ ჩემი შრომებისადმი.

თქვენი გულწრფელი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 5. X. 1978

ძვირფასო დოქტორო სერგო თურნავა,

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისა და ორი წიგნის გამოგზავნისათვის. მადლიერების გრძნობით ვარ აღსაცემ ორივესადმი: თქვენსადმი და ალ. გვახარიასადმი, რომ მომაწოდეთ მისი წიგნი „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან“. კონვერტში ვდებ სამადლობელ წერილს პროფ. ალ. გვახარიასადმი და ვიმედოვნებ, რომ გადასცემთ. ვიმედოვნებ, რომ თქვენს წიგნს მივიღებ, როგორც კი გამოვა. მანამდე კი მიიღეთ ჩემი გულწრფელი და მხურვალე სალამი. გისურვებთ წარმატებებს. არ დაგერიდოთ, თუ რომელიმე საკითხზე დაგჭირდეთ ინფორმაცია, მომწერეთ და მაშინვე მოგაწვდით ინფორმაცია.

თქვენი ერთგული რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 23. XI, 1978

ძვირფასო პროფესორო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ „დიდმოურავიანის“ გამოგზავნისათვის. წიგნი გუშინ მივიღე. თქვენ ალბათ მიხვდებით, რომ ამ ქვეყანაში თითქმის შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა იბეჭდება საქართველოში მეცნიერული შრომების დარგში, რომ არაფერი ვთქვათ ასეთი ნაშრომების შექმნაზე, თუკი ვინმე გაიგებს მათ შესახებ.

ამ მიზეზის გამო სტუდენტები, რომლებიც ქართულ ლიტერატურას სწავლობენ საზღვარგარეთ, დიდად უნდა უმადლოდნენ თქვენისთანა კეთილმოსურნე ქველმოქმედებს, რომლებიც მათ ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ. მაქვს გიორგი ლეონიძის გამოცემა თბილელის პოემისა, რომელიც დიდი ხნის წინ გამომიგზავნა პროფესორმა ალ. ბარამიძემ, ვისგანაც დავალებული ვარ ბევრი რამისათვის. ვაპირებ ამ ნაშრომის წაკითხვას რიმა ფირცხალაიშვილის ნაშრომთან ერთად, რომელსაც გვერდით დავიდებ, რომ ავხსნა გაუგებარი სიტყვები და შემდეგ გავითვალისწინო უკანა პლანის ინფორმაცია.

ახლა სხვა საზრუნავმა ცოტა დრო დამიტოვა ქართულისათვის, მაგრამ იმედი მაქვს მალე გავაგრძელებ ჩემს ნაშრომს რაინდული რომანების შესახებ.

იმედი მაქვს, რომ პროფ. ალ. გვახარიაშვილს უვნებლად მიიღო ჩემი წერილი, რომელშიც მადლობას ვუხედი მისი წიგნის გამოგზავნისათვის.

კიდევ მადლობთ ძვირფასო ბატონო სერგო.

ვრჩები თქვენი ერთგული რობერტ სტივენსონი.

ძვირფასო სერგო თურნავა,

დიდი მადლობა თქვენი წერილისათვის და ახალ წელთან დაკავშირებით კეთილი სურვილებისათვის. დიდი მადლობა აგრეთვე ორი წიგნისათვის. მე კიდევ უნდა გავიმეორო ჩემი უდიდესი მადლიერება ყველა წიგნისათვის, რომლებიც კეთილი ინებთ და გამომიგზავნეთ ამ უკანასკნელ თვეებში.

ვფიქრობ, თქვენი წიგნი „ლიტერატურული ნარკვევები“ ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია. მასში შეტანილი ნარკვევები, რომლებიც ეხება „ზედი ქართლისას“ ისტორიას, ძალიან კარგია. შესანიშნავია აგრეთვე შვეიცარიელ ქართველოლოგებზე დაწერილი ნარკვევები. მე ერთხელ თუ ორჯერ ვიყავი პარიზში ბატონ კალისტრატე სალიასთან, მისი ჟურნალის დაარსების მეტად ადრეულ დღეებში, და ამ დროიდან დავინტერესდი ამ ჟურნალის წარმატებით. ქალბატონ დოქტორ რუთ ნოიკომს არ შეეხვედრივარ, მაგრამ მასთან კონტაქტები დავამყარე მას შემდეგ, რაც გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ მისეული გერმანული პროზაული თარგმანი, რომელმაც დიდი სიამოვნება მომგვარა. დასავლეთ ევროპაში ქართულ ლიტერატურას ჭერჭერობით ძალიან მცირე რაოდენობის სტუდენტი სწავლობს.

უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან ცოტა ვიცი „შუშანიკის წამების“ შესახებ, იგი არის ადრეული ქართული ლიტერატურის (V საუკუნე) მნიშვნელოვანი პირველი ძეგლი. იმედო მაქვს, რომ ბევრს შევისწავლი პროფ. შერმადინ ონიანის ნაშრომებიდან. ახლახან წერილი მივიღე ერთი ახალგაზრდა კანადელისაგან. ეს არის ედვარდი კარ-პარისი, რომელიც ამჟამად თბილისში ქართულ ფოლკლორს სწავლობს. ეს ვაგი დაახლოებით ათ დღეში მოვა ჩემთან და აქ შევეკითხები თუ შეხვდით მას.

თქვენი გულწრფელი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 29 აპრილი, 1979

ძვირფასო დოქტორო სერგო თურნავა,

კიდევ ერთხელ დამავალეთ, ამდენი წიგნი რომ გამომიგზავნეთ, დიდ ვალში ვარ თქვენთან. ვფიქრობ, ყველა წიგნი მივიღე, დიდ მადლობას მოგახსენებთ. მივიღე „არსენ იყალთოელი“, იან ამოს კომენსკის წიგნი, „ჩეხოვის ჯავლენა საქართველოში“ და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით გამახარა პროფ. დავით კობიძის ორმა წიგნმა. ბედნიერება მხვდა წილად მიმეღო მისი „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“. ძალიან მომეწონა ეს წიგნი. კონვერტში ჩავდევი სამადლობელი წერილები: ერთი პროფ. დავით კობიძისათვის, მეორე აკად. გიორგი ჭიბლაძისათვის. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ გადასცემთ ამ წერილებს მათ.

მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისათვის. მომავალში შეგიძლიათ დამისვით ნებისმიერი კითხვები ჩემ მიერ გამიზნული და შესრულებული სამუშაოების შესახებ, ან კიდევ სხვა რამის შესახებ.

თქვენი მხრივ დიდი გულკეთილობაა, როცა მთხოვთ ვითხრათ, რომელი წიგნები მჭირდება. ჩემი გასაჭირი ამჟამად იმაშია, რომ ძალიან მაინტერესებს ქართული ლიტერატურა XII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. განსაკუთრებით რაინდული მოთხრობები და პოემები. ჯერ არ ვიცი, რომელ სამუშაოს დავიწყებ უახლოეს ხანში, თუმცა ვიცი, ეს იქნება რაიმე თარგმანი. გასული ერთი თუ ორი წლის განმავლობაში ვკითხულობდი შექსპირის ივანე მაჩაბლისეულ თარგმანებს. ამ თარგმანებმა მომიზიბლა.



გასულ წელს გადავთარგმნე ნაწილი „ბარამგულიჯანიანიდან“ (კალატიონოვი; იფერაძის გამოცემა). იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან დაემათვრება ამ თარგმანს.

ვფიქრობ, შევადგინო პატარა „ქართული კრებული“, რომელშიც შევა პატარა ნაწყვეტები ჩახრუხაძიდან ბესიკამდე. მაგრამ არ ვიცი, გამოვა თუ არა რაიმე აქედან. მე კი მიჩვენია, გადავთარგმნო რომელიმე ცალკე ნაწარმოები. ვფიქრობ, ვთარგმნო „როსტომიანი“. არ ვიცი გამოიცა თუ არა ეს ნახევარი საუკუნის წინათ.

წავიკითხე ინფორმაცია, რომ გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მაგრამ ეს წიგნი ჯერ ჩემთვის არ გამოუგზავნია უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას.

პირველი ორი ტომი მიღებული მაქვს. ხომ არ შეგიძლიათ იკითხოთ, ხომ არ აბირებენ ამ წიგნის გამოგზავნას? (ათონელის ქ. № 25).

მე ძალიან მწყინს, რომ დევიდ ლენგსა და ქეთრინ ვივიანს თქვენი წიგნების თაობაზე თავიანთი მოსაზრებანი არ გამოუთქვამთ და პასუხი არ გამოუგზავნიან. ბატონ დევიდ ლენგს ბევრი საქმე აქვს (ბევრი რკინა აქვს ცეცხლში, როგორც ამას ამბობენ ინგლისში). ვფიქრობ, მას ეს საქმე დაავიწყდა, ან საზღვარგარეთ არის წასული. რაც შეეხება ქეთრინ ვივიანს, რამდენიმე ხნის წინათ ვაცნობე, რომ მე ვთარგმნი რუსთაველს, მაგრამ მისგან პასუხი აღარ მიმიღია ჩემს წერილზე. შეიძლება ქალბატონს წერა არ ეხერხება.

სხვათა შორის ვფიქრობ, რომ „რუსულდანიანის“ რუსული თარგმანი გამოსცა 1971 წელს ვინმე ა. ბესტავაშვილმა. მაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე შანსი მისი მიღებისა. მე უკვე ვმუშაობ ქართულ ორიგინალზე. ნაყოფს ალბათ ვიხილავთ თავის დროზე.

გულწრფელად თქვენი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 29 აპრილი, 1979

ძვირფასო ბატონო პროფესორო დავით კობიძე,

ძალიან ძნელია გამოვხატო ჩემი მადლობა სიტყვებით იმის გამო, რომ კეთილი ინებეთ და გამომიგზავნეთ საჩუქრად თქვენი წიგნები. ესენია: „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“ და „სპარსული ლიტერატურის ისტორია“.

მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ქართული ლიტერატურის რეალურად შესწავლისათვის საჭირო იყო კლასიკური სპარსული პოეზიის ღრმა ცოდნა. მე ძალიან აღფრთოვანებული ვიყავი, როდესაც წავიკითხე თქვენი წიგნი „შპანამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“. ბედნიერება მხვდა წილად, რომ ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ სწრაფად მივიღე ერთი ეგზემპლარი. მზობლავს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი. მიხარია, რომ კონტაქტი დავამყარე თქვენთან. გამოჩენილ ავტორიტეტულ სპეციალისტთან.

რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 7 ივნისი, 1979

ძვირფასო პროფესორო სერგო თურნავა,

დიდად მადლობელი ვარ პროფესორო ალ. გვახარიას წიგნის გამოგზავნის გამო, რომელიც ეხება იუსუფსა და ზელეიკას ქართულ ვერსიებს სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით. პროფ. ალ. გვახარიას წიგნის მიღება ჩვეულებრივი გზით ჩემთვის ძალიან ძნელია. თქვენ კი მათი გამოქვეყნების შესახებ საქმის



კურსში ხართ. თქვენ კარგად იცით, რომ ყველაფერი, რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, ჩემთვის ძალიან საინტერესოა და ვიმედოვნებ, რომ ერთ დღესაც შევძლებ ამ ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე რაიმე შრომა დაუწერო ინგლისურად მოლაპარაკე ხალხს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.
გულთადად რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 5 X. 1979

ძვირფასო ბატონო პროფ. სერგო თურნავა,

უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ გამომიგზავნეთ „ომიანიანი“ ახალი გამოცემა. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აღნიშნული ნაშრომის ჯაკობიასეული გამოცემა გამომიგზავნა ქალბატონმა ვენერა ურუშაძემ. ამრიგად, ამ ნაშრომს დიდი ხანია ვიცნობ, ეს წიგნი მე ყოველთვის მაინტერესებდა, ყოველთვის მსიამოვნებდა მისი წაყითხვა. თუმცა აქვე უნდა გამოგიტყდეთ, რომ პოეტურ ნაწილში არის ბევრი ადგილი, რომლის მნიშვნელობაში დარწმუნებული არ ვარ. წინათ ფრანგული ჟურნალის „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩემი გამოკლევა პოემის შესახებ. ნაშრომში შევეცადე ვაღმომეცა ჩემი დაკვირვება იმის შესახებ, რომ ქართველმა მკვლევარებმა შესაძლებელია ეს ნაწარმოები ვერ გააანალიზეს. ჩემი აზრით, ამ ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მეტად საინტერესოა როგორც ქართული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდის ნაწარმოები, ნაწარმოები აღორძინების ხანისა, ქმნილება XVII საუკუნის კულტურის ისტორიაში. ამრიგად, მიხედვით, თუ როგორ გამიხარდა ამ ახალი ტექსტის და მისი კრიტიკული შესავლის შექმნა. ვინ არის ლიანა კეკელიძე? განსვენებული კორნელი კეკელიძე და ლიანა კეკელიძე ერთი ოჯახიდან არიან? ვასულ კვირას, „ომიანიანი“ რომ მივიღე, საპასუხო წერილი არ მოგწერეთ მაშინვე, რადგან ვგრძნობდი, რომ მალე მივიღებდი თქვენგან წერილს და ასეც მოხდა. ახლა კი მეორე მადლობას გიხდით იმისათვის, რომ მომიხერხეთ „ფირმალიანის“ ფოტო ასლის გამოგზავნა.

ძალიან კმაყოფილი დავრჩი პროფ. გიორგი ზაუტაშვილის სტატიის გამო, რომელიც მას თქვენს წიგნებზე გამოუქვეყნებია ისეთ ავტორიტეტულ გაზეთში, როგორც არის „ზარია ვოსტოკა“. გმადლობთ, რომ ამ გაზეთის ამონაკვეთი გამომიგზავნეთ.

თქვენ მთხოვთ, მოკლედ გამოვთქვა ჩემი აზრი კორნელი კეკელიძეზე მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, მე არ ვარ კვალიფიციური იმისათვის, რომ დავწერო ნაშრომი ადრეული ქართული ლიტერატურისა და კულტურის სფეროში შექმნილ მნიშვნელოვან ძეგლებზე, რომელთანაც მკიდროდაა დაკავშირებული კორნელი კეკელიძის სახელი. ცხადია, ქართველ მეცნიერს ყველაზე უკეთ შეუძლია დაწეროს ნაშრომი და სრულყოფილად შეაფასოს კორნელის მეცნიერული მოღვაწეობა.

მიუხედავად ამისა, მე შემიძლია გამოვთქვა ჩემი აზრი კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომზე. გამოვთქვა აზრი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩემთვის. ეს იყო პირველი ქართული წიგნი, რომელმაც თვალწინ გადამიშალა ქართული ლიტერატურის მთელი სიმდიდრე. ჩემი მუშაობის პირველ ხანებში, როდესაც რომელიმე ნაშრომს ვსწავლობდი, უპირველეს ყოვლისა, კორნელი კეკელიძის „ისტორიაში“ ვინებდებოდი. ეს წიგნი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. დაწერილია იგი ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე.



მკითხველი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ კორნელი კეკელიძის წიგნში იზოვის კრიტიკულ განხილვას იმ ნაშრომისა, რომლის შესახებ ეჭვს იწვევს ფორმაცია-ცნობებს ნაწარმოების ავტორის ვინაობის, დაწერის თარიღის, ადგილისა და ბეჭდვის თარიღის, მნიშვნელოვანი ხელნაწერების, ვერსიფიკაციისა და კრიტიკული შეფასების საკითხებზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ საკითხზე მოწოდებული ყველა მასალის სისწორეში. როგორც კი წაიკითხავდი კორნელი კეკელიძის ნაწერს ქართული ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხზე, უკვე შეიარაღებული ვიყავი თვით ტექსტის შესწავლის დაწყებისათვის. უდავოა, რომ კორნელი კეკელიძის „ისტორია“ ყველასათვის აუცილებელი იარაღია ქართული ფილოლოგიის დარგში.

ჯერ კიდევ დეტალურად არ შემისწავლია ლიანა კეკელიძის გამოკვლევა, „ომანიანის“ ახალ გამოცემას რომ აქვს წამძღვრებული. მაგრამ მის ამ გამოკვლევაში უმალვე შეენიშნე ის ფაქტი, რომ ლიანა ისე მსჯელობს, როგორც მე, და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. პროზაულ ადგილებს ამ ნაწარმოებში მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულება აქვს.

პროფ. გიორგი თევზაძის წიგნი „რუსთაველის კოსმოლოგია“, ცხადია მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს, იგი დაწერილია მეტად საინტერესო თემაზე, რაც მაცვიფრებს, რადგან ვიცი, რომ წინათ ამ პრობლემის შესახებ წიგნი არ დაწერილა.

გასტონ ბუაჩიძე თუ ნახოთ, უთხარით მას „სიბრძნე სიცრუის“ მისეული ფრანგული თარგმანი შევადარე ორიგინალს, მივედი იმ დასკვნამდე, რომ თარგმანი შესრულებულია უმაღლეს დონეზე. მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც ვკითხულობთ მის მიერ გადმოცემულ ფრანგულ სტრუქტურებს, პირდაპირ გეხიბლავს. მაშ ასე, ყველაფერი მოგწერეთ. რასაც ვფიქრობდი. მოუთმენლად ველოდები „ფირმალიანის“ ფოტობირების მიღებას.

კეთილი სურვილებით თქვენი გულწრფელი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 4. XII, 1979

ძვირფასო მეგობარო სერგო,

ვაცნობებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მივიღე „ფირმალიანის“ ფოტობირები და წაიკითხე უდიდესი ინტერესით. ჩემი პირველი შთაბეჭდილებით, ადვილად შესაძლებელია, რომ ეს იყოს ორიგინალური ქართული ნაწარმოები და არა სპარსული ორიგინალის თარგმანი. „ფირმალიანი“ ქართულ სულზე მიმანიშნებს. ვფიქრობ, არის თუ არა ამ დროის ნაწარმოებში არგოს მოგზაურობის შესახებ ბერძნული ლეგენდის გამომხატურება? ჩემი აზრით, „ფირმალიანს“ აქვს მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულება. ვიმედოვნებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მის შესახებ დაწერ კრიტიკულ გამოკვლევას.

თქვენი ერთგული რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 19 იანვარი, 1981

ძვირფასო დოქტორი შოთა ძიძიგურო,

ულრმესი მადლობა იმისათვის, რომ დოქტორ სერგო თურნავას ხელით გამომიგზავნეთ თქვენი ახლახან გამოცემული მონოგრაფია დავით გურამიშვილის ენის შესახებ. ახლავე უნდა მოვიხადო ბოდიში პასუხი რომ დაგიგვიანეთ. საქმე იმაშია, რომ მინდოდა დოქტორ სერგო თურნავასათვის განსახილველად გამო-



მეგზავნა პირველი მონახაზი, რაზედაც ვმუშაობდი ამ პერიოდში და ამის შესრულებას დიდი დრო დასჭირდა.

მინდა დეტალურად შევისწავლო თქვენი წიგნი. უნდა ვაღიარო, რომ დავით გურამიშვილი ჩემთვის ყოველთვის იყო ძნელად გასაგები პოეტი. შესაძლებელია, ეს ნაწილობრივ იმით არის გამოწვეული, რომ მისი სტილი ძალიან განსხვავდება ჩემთვის ცნობილისაგან, რომელსაც შეჩვეული ვიყავი. დავით გურამიშვილი რომ ინგლისელი მწერალი ყოფილიყო, ვფიქრობ, „დავითიანში“ მოცემული თემების განსახილველად იგი პროზით წერას აპრობინებდა ლექსად წერას. ესეც ართულებს მის გაგებას. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ თქვენი ნაშრომი დიდ დახმარებას გამოიწვევს დავით გურამიშვილის შემოქმედების გაგებაში. კიდევ ერთხელ გმადლობთ. მაპატიეთ, რომ ინგლისურად გწერთ. საერთოდ თავისუფლად ვკითხულობ ქართულად და რუსულად, მაგრამ არ შემიძლია ამ ენებზე თავისუფლად წერა.

საუკეთესო სურვილებით თქვენი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 19 მარტი, 1983

ძვირფასო სერგო.

პირველ რიგში, თუ ეს ჩემი მხრიდან უხერხული არ იქნება, მინდა გამოვხატო ჩემი თანაგრძნობა პროფ. ისიდორე გვარჯალაძის ოჯახისადმი და საერთოდ კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისადმი იმ დიდი დანაკლისის გამო, რომელიც მათ განიცადეს. ბატონ პროფესორ ისიდორე გვარჯალაძეს მივადგებთ დიდ პატივს, როგორც ქართული ლექსიკოლოგიის პიონერს. როგორც ჩემთვის ცნობილია, პროფ. ი. გვარჯალაძეს არ ჰყოლია წინამორბედები ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკოლოგიის დარგში.

ჩვენ ყველანი, რომლებიც დაინტერესებული ვართ ამ ორი ენით, მარად ვალში ვართ მის წინაშე. მუდამ ხელში მიჭირავს ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკონები, რომლებიც მან შეადგინა თავის დასთან — თამარ გვარჯალაძესთან ერთად. ასევე ყოველთვის ვსარგებლობ ბატონ ისიდორეს მიერ ივანე მაჭავარიანთან ერთად შედგენილ და გამოქვეყნებულ ფრანგულ-ქართული ლექსიკონით. მე პატივს ვცემ პროფ. ი. გვარჯალაძის ხსოვნას. პროფესორმა ბევრი რამ გააკეთა ჩვენს ეპოქაში ინგლისური ენის საქართველოში და ქართული ენის ინგლისურენოვან სამყაროში შესწავლისათვის, ვიდრე სხვა ვინმემ.

თქვენ მთხოვთ, რამდენიმე სტრიქონი მივუძღვნა აკად. გიორგი ჯიბლაძის დაბადების 70 წლისთავს. ამ გარემოებამ ცოტათი დამაფიქრა, ვფიქრობ, ამ საკითხზე საქართველოში უკეთ წერენ, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში.

შეიძლება თქვენ დაგავიწყდეთ, რომ მე ამ აკადემიკოსის მეცნიერულ მოღვაწეობაზე ძალიან ცოტა ვიცი, გარდა იმისა, რაც თქვენ მიაშვეთ მის შესახებ და გამომიგზავნეთ მისი შექცეულ ტომი. მე ვიტყვი, რომ აღნიშნულ წიგნში ნამდვილად საინტერესო საკითხები აქვს განხილული როგორც ძველი, ასევე ახალი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. მაგრამ ეს მე მაინც საფუძველს არ მაძლევს გიორგი ჯიბლაძეზე დავწერო წერილი იმ სტილით, როგორც დავწერე აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით. მე ბატონ ალ. ბარამიძის მოწაფე ვიყავი თითქმის 30 წლის მანძილზე. შეიძლება ითქვას, რაც ლიტერატურაში კორნელი კეკელიძისაგან ვერ ვისწავლე, დანარჩენი ალ. ბარამიძემ შემასწავლა.

ახლა კი უნდა დაუბრუნდე ზვიად გამსახურდიას ნაწერების არასასიამოვნო-

ნო საკითხს. პროფ. სერგი სერებრიაკოვი ყურადღებას ამახვილებს ზვიად გამსახურდიას ტონზე; რაც მთავარია, სწორედ მისი რეცენზიის ტონია ჩემთვის შეურაცხმყოფელი. მხოლოდ ჩემი შინაგანი ხმა რომ არ მამოძრავებდეს, თავი უნდა დამენებებინა ამ საკითხზე რეაგირებისათვის და დავიწყებისათვის მიმეცა, მაგრამ მე ვგრძნობ ჩემს პასუხისმგებლობას „იუნესკოს“ წინაშე, „ვეფხისტყაოსნის“ ჩემული ინგლისური თარგმანი რომ გამოსცა, პასუხისმგებელი ვარ ჩემი მკითხველების, ქართველი მეცნიერებისა და ინტელექტუალური სამყაროს წინაშე.

მადლიერების გრძნობით ვეთანხმები აკად. ალ. ბარამიძის კეთილშობილ წინადადებას, გამოვიგზავნოთ ჩემი პასუხი „მაცნეში“ დასაბეჭდად. ეს კი ჩემთვის ნაძალადევი შრომაა, დროს უმიზნოდ დაკარგვია, მაგრამ მაინც უნდა გავაკეთო.

არ ვიცი, მეტი რა მოგწეროთ ამ საკითხთან დაკავშირებით. მე, ერთი მხრივ, შეშფოთებული ვარ იმით, რომ ეს ასე მოხდა, მაგრამ ჩრდილი არ უნდა მივაცენოთ ინგლისურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას, რაც ჩემთვის ახლობელია, როგორც თქვენ იცით: მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ეს გარემოება. თქვენთან, როგორც მეცნიერთან და მეგობართან, პირნათელი და პირდაპირი უნდა ვიყო.

ზვიად გამსახურდიას რეცენზიებში ყველგან იგრძნობა ტენდენციურობა, რალაც პიროვნული შუღლი, რაც ძალიან მალიზიანებს.

ამ ცოტა ხნის წინათ მივიღე სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ ქეთრინ ვივიანისეული ინგლისური თარგმანი. ერთი თვალის გადავლებით აღვნიშნავ, რომ თარგმანი შესრულებულია სასიამოვნოდ და წარმატებით. დასანანია ის, რომ მთარგმნელმა გასტონ ბუაჩიძის მსგავსად თარგმანს ვერ წარუძღვარა შესაფერისი წინასიტყვაობა.

სხვათა შორის ყოველთვის მიკვირდა, როდესაც მთარგმნელები წინა პლანზე წარმოაჩენდნენ სიტყვა „ლაიზს“ (ტყუილი). ფაქტია, რომ აქ ტყუილი არ იგულისხმება. განა ნათელი არ არის, რომ მნიშვნელობა ფაქტობრივად დაკავშირებულია არარეალურ მოთხრობებიდან გამომდინარე სიბრძნესთან.

ეს-ეს არის დავამთავრე ეს წერილი და იგიგზავნით. თქვენ ალბათ გავაოცათ ჩემი დიდი ხნის დუმილმა. გეთაყვა, გადაეცი ჩემი დიდი გულითადი სალამი და საუკეთესო სურვოლები იმ თქვენს კოლეგებს, რომლებიც ჩემი კეთილისმყოფელები არიან.

თქვენი გულწრფელი კოლეგა რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 10 აგვისტო, 1983

ძვირფასო სერგო,

ამასთან ერთად გიგზავნით ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით ჩემი პასუხის პირველ ნაწილს. მეორე ნაწილი, რომელიც 60-ზე მეტი კრიტიკული შენიშვნისაგან შედგება, გამზადებული მაქვს მონახაზის სახით, რომელიც საბოლოო რედაქტირებას საჭიროებს. ვფიქრობ, რომ ამ სამუშაოს დასრულებას ბევრი დრო აღარ დასჭირდება, მაგრამ ჯერ ვამჯობინე პირველი ნაწილის გამოგზავნა, რომელიც მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. მე შეუსვენებლად ვმუშაობდი ამ საკითხებზე. უკვე დავამთავრე მუშაობა, იმ შემთხვევაში თუ ეს საჭირო იქნება. ვფიქრობ, თქვენ ადვილად შეხედებით, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი. ვინც წაიკითხა ზვიად გამსახურდიას სტატია, არ ვიცი, რას იტყვიან ჩემზე. მაგრამ მე ვიცი, რომ ჩემს საპასუხო წერილს წაიკითხავენ თბი-



ლისის აკადემიის კოლეგები. მე უცხოელი ვარ; მათთვის პირადად უცნობი, ძალიან შორს ვცხოვრობ მათგან. მე უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ რასაც ვწერ, არ აღმოჩნდეს სასაცილო, შეურაცხყოფელი თქვენი და თქვენი კოლეგებისათვის. ყველაფერი ეს მე ძალიან მაწუხებს. იქნებ ჯობია, სრულებით არ დავწერო პასუხი? თუ პატიოსნად არ გამოვთქვი ჩემი აზრი, მაშინ საერთოდ რაღა აზრი აქვს ჩემს ამდენ წერას.

ასე რომ, ისლა დამრჩენია, გთხოვთ, საჩქაროდ მითხრათ — ხომ არ არის რაიმე მიუღებელი ჩემს სტატიაში? შეიძლება ზოგიერთი სიტყვა აქა-იქ გადასადგილებელი ან პირდაპირ ამოსაღები იყოს. ფანქრით შემოვავლე ხაზი სათაურებს და ა. შ. ეს სიტყვები უნდა დარჩეს ინგლისურად. ასეთი რამ მეტი იქნება მეორე ნაწილში, რომელიც მოპყვება პირველს რამდენადაც მოხერხდება სწრაფად.

როგორც ჩანს, მუშაობაში ნელი ვარ. რა თქმა უნდა, ყოველთვის ნელა ვმუშაობდი. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა შევერიგდე ამ ნელს მუშაობას.

ზევიად გამსახურდიას სტატიებმა გამიძნელა საქმე და გადაამაქტია განსაკუთრებულ ნელ მუშაკად. განსაკუთრებით მაკვირვებს ის გარემოება, რომ ჩემი კრიტიკოსის სტატიებში კეთილშობილების, დიდსულოვნების ერთი ნაბერ-წკალიც კი არ ჩანს. მე ყოველთვის მიმაჩნდა ქართველები ბუნებით განსაკუთრებულ კეთილშობილ ხალხად.

ახლა კი ბოდიში უნდა მოგიხადოთ, რომ ვერ შეგატყობინეთ თქვენი ამა წლის 20 მაისის წერილის მიღების შესახებ. ძალიან გამიხარდა, რომ ქართულ ენაზე ითარგმნა ჩემი ნაშრომის „ორი კომენტარი“, რომელიც ჩემს თარგმანს უძღვის წინ. თქვენთვის გასაგებია, თუ როგორი კმაყოფილი ვარ ირაკლი კენჭოშვილისა; ძალიან კარგად გაუკეთებია თარგმანები. ეს ჩემთვის მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩემს მიერ ამ ორ ნაწყვეტში გამოთქმული შეხედულებანი ფართო აუდიტორიას პოეებს. გთხოვთ, შეგატყობინოთ პროფ. ირაკლი კენჭოშვილს ჩემი აზრი მისი თარგმანის შესახებ.

ალბათ, ახლა დასასვენებლად იქნებით წასული, შესაძლებელია შავი ზღვის პირას. ხანგრძლივი ცივი, სუსხიანი, ნესტიანი გაზაფხულის შემდეგ შესანიშნავი ზაფხული დაგვიდგა ჩვენს კუნძულზე, რაც ყოველთვის არ ხდება. ამა წლის ივნისში მთელი ჩემი ოჯახი შეიკრება ჩვენი „ვერცხლის ქორწილის“ აღსანიშნავად. თქვენ გაქვთ ასეთი გამოთქმა ქართულში? ეს ნიშნავს ჩვენი ქორწინების 25 წლისთავს. თქვენ რამდენიმე ხნის წინათ გაივლიდით ამ თარიღს. იღბლიანი ხალხი ვართ. სულ კარგად.

თქვენი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 7. X. 1983

ძვირფასო სერგო,

როგორც იქნა გიგზავნით პასუხის მეორე ნაწილს „იმონ ამი“ ზვიად გამსახურდიასათვის. ვწუხვარ, რომ ასეთი დავვიანებით გამოგიგზავნეთ, მაგრამ ასეთი საქმეები ზოგჯერ ჭიანჭურდება. სიმართლე რომ გითხრათ, ეს იმან გამოიწვია, რომ გამიჭირდა ასეთ საქმესთან შეჭიდება და მისი თავიდან მოშორება.

ბოდიშს გიხდით ორივეს, თქვენც და იმას, ვისაც მოუწევს ამ სტატიის თარგმნა ქართულ ენაზე. ნაბეჭდიც საკმაოდ მკრთალია, მაგრამ სტატია დროზე უნდა გქონდეთ ხელთ, ვიდრე კარგად დაბეჭდილს დაელოდოთ.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ ამოშალოთ ყველაფერი, რასაც უხერხულად მიიჩნევთ, ისე როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ამ წერილს გიგზავნით,

როგორც ჩემს გულწრფელ მეგობარს. თუ უხერხული ადგილები იყოს შიგნით, გთხოვთ ამოშალოთ, მაგრამ არ მგონია, რომ რაიმე ზედმეტი დაწვერა შეეძლოს. თქვენი გულწრფელი კოლეგა რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 7. XII. 1984

ძვირფასო სერგო,

დიდი მადლობა თქვენი კოლეგის ნელი უბილავა-ანდრონიკაშვილის წიგნის „სტივენსონის ქართველოლოგიური ძიებანი“ გამოგზავნისა და თქვენი ამა წლის 30 ოქტომბრის წერილისათვის. კარგა ხანია არ მომიწერია. ბოლოს მივიღე წიგნი, რომელსაც ჩემთვის გაურკვეველი მიზეზის გამო გზაში ძალიან ბევრი დრო დასჭირდა. ეს წიგნი სამიოდე კვირის წინ ვადმომცეს. გარდა ამისა, გარკვეული დრო მჭირდებოდა, რომ წიგნს გავცნობოდი, გამომეთქვა ჩემი აზრი, თუმცა ამომწურავ აზრს ვერც ახლა გამოვხატავ. მაგრამ ნამდვილად მინდა მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ავტორი ამ წიგნის დაწერისათვის. განსაკუთრებით მომწონს ის ადგილი, სადაც ავტორი წერს, რომ მე ყურადღებით მოვეკიდე რუსთაველის მეტაფორებს და გარკვეული გზა გამოვინახე პოემის რიტმის გადმოსაცემად. მაგრამ წიგნი სხვადასხვა დაკვირვების ჩამოა ამა თუ იმ პუნქტის შესახებ. მე გარკვეული დრო მჭირდება ყოველივე ამას რომ ჩავუკვირდე. მოგვიანებით, ეს შეიძლება საინტერესოც იყოს ქალბატონ ნელი ანდრონიკაშვილისათვის, გამოთქვამ ჩემს აზრს ჩემი თარგმანის შესახებ.

ნელი ანდრონიკაშვილს მოსაწონად მიაჩნია 40, I-ის ენერა ურუშაძისეული თარგმანი იმის გამო, რომ ქართული ტიტულის შენარჩუნება „ელფერს“ უქმნის, მაგრამ თუ „ამირ-სპასალარის“ შენარჩუნება სასურველია, მაშინ „სპასპეტმა“ რა დააშავა? რა საჭიროა მათი შენარჩუნება, თუკი სავსებით ადვილია მათი თარგმნა? თუ შევინარჩუნებთ, აუცილებელი გახდება შენიშვნებში განმარტება. „ამირ-სპასალარი“ ენერა ურუშაძის თარგმანში არა ტიტულის, არამედ საკუთარი სახელის შთაბეჭდილებას ტოვებს. სულ სხვაა „ამირბარი“, რამეთუ „ადმირალი“, რაც ფორმალურად გამართლებულია, ამ კონტექსტში უაზრო იქნებოდა.

ნელი ანდრონიკაშვილს მიაჩნია 84, I-ში „მოყმეს“ არ შეესაბამება „ლორდ“. მე ზოგჯერ ვფიქრობ, თუ არ დამძრახავთ, რომ ქართველი მკვლევრები ძალიან ხშირად ყურადღებას ამახვილებდნენ გარკვეულ წერტილზე, ცალკეულ სიტყვაზე იმ დროს, როცა საჭიროა უფრო ფართო კონტექსტის გათვალისწინება. მომიტყევეთ, თუ ეს საწყენია. „ლორდ“ ცხადია არაა „მოყმეს“ შესატყვისი, მაგრამ ნუ დაგვაიწყნებება, რომ ინგლისურ ენას არ მოეპოვება ამ სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი, მაგრამ როგორც პოემის სათაურში, ასევე ტექსტში „ლორდ“ მაინც ქმნის ზოგად შთაბეჭდილებას. მართალი გითხრათ, მეექვსეა, რომ ნელი ანდრონიკაშვილს მთლიანად გააზრებული ჰქონდეს „პოეზიისა“ და „პროზის“ საკითხი ჩემს თარგმანში, ვერ გავიგე, რის თქმა უნდა. მე საღდაც დაწვერე, რომ ინგლისური ენა ღარიბია რითმებით და რუსთაველის ლექსების რითმებით გადადება ინგლისურად ამ ნაწარმოებს საღაღობო ლექსს დაამგავსებს. არც ურთიმო კატრენები მიმაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ინგლისურ პოეზიას ამის საშუალება არ მოეპოვება. და გარდა ამისა, ეს ხელს შეუშლის პოემის შინაარსის გადმოცემას.

ძვირფასო, გადავიკითხე ჩემი „წერილის“ ბოლო აბზაცი და მეტისმეტად მკაცრი და ულმობელი მეჩვენა, მაგრამ მე შორს ვარ ასეთი განზრახვისაგან. როგორც უკვე ვთქვი, მე მადლობელი ვარ ნელი ანდრონიკაშვილის, მისი მრავალი კეთილმოსურნე შენიშვნისათვის. ისინი ზოგჯერ გადამეტებულია, ვიდრე



ამას იმსახურებს ჩემი თარგმანი. ინგლისური ლიტერატურა მისი სპეციალობაა? პო, მართლა ნელი ანდრონიკაშვილს მიაჩნია, რომ „ონე ინ უნიტი“ (გვ. 59) სასურველი იქნებოდა. ასეთი გამოთქმა ინგლისელისათვის სრული უაზრობაა და მეჩვენება, რომ აქ ნელი ანდრონიკაშვილი იმეორებს ზვიად გამსახურდიას შეცდომას. ძალიან ძნელია თარგმანში ასეთი საკითხის გადაჭრა, რაზეც ქართველ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. თუ კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა ამ კატრენის გაგებაში სხვადასხვა აზრის არიან, რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ თარგმნის მას სტივენსონი? (ლაპარაკია კატრენებზე 6, 66). შეიძლება დღეს მოდაღ იქცეს ერთი თვალსაზრისი, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, თუ რა აზრი გაბატონდება ათი წლის შემდეგ?

ვუბრუნდები თქვენს წერილს. იწერებით, რომ ჩემი პასუხი ნოემბერში უნდა გამოქვეყნდეს. ველი უტრნალის მიღებას.

გულწრფელი სალმით და კეთილი სურვილებით თქვენი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 30 იანვარი, 1985

ძვირფასო სერგო,

ჩემი უტრადლება მიიპყრო ცნობამ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, საფრანგეთის არტურ რემბოს „კულტურის ცენტრისა“ და კანადის საზოგადოების „ეკრიტიკურ ფრანსეზ დან ლე მონდის“ წევრ-კორესპონდენტს — სერგო თურნავას დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს ქართველოლოგები მიესალმებიან იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, გამოთქვამენ მაღლიერების გრძნობას მის მიმართ და უსურვებენ შემდგომ წარმატებებს.

სერგო თურნავა თავისი ძირითადი სამუშაოდან, ლიტერატურის ინსტიტუტიდან უგზავნის წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, ინფორმაციებს იმ უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც გულმოდგინედ სწავლობენ ქართული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა.

სერგო თურნავა სისტემატურად აქვეყნებს ნაშრომებს თანამედროვე ფრანგული და გერმანული ლიტერატურის საკითხებზე. ამ დარგში ქართველ მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი კრიტიკული გამოკვლევები, მაგრამ მან გულუხვად გაუწია დახმარება კორესპონდენტებს ინგლისურენოვან სამყაროშიც, ისე როგორც ფრანგულ და გერმანულენოვან ქვეყნებში.

ჩვენთვის, შორეულ ქვეყნებში დაინტერესებული რომ ვართ ქართული ლიტერატურით, დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისში გვეყვდეს კორესპონდენტი, რომელიც ყოველთვის მზადაა ჩვენთვის შეიძინოს საჭირო წიგნი, მოგვცეს რჩევა-დარიგება, ან კოლეგას ჩვენი სახელით გაუზიაროს თავისი აზრი.

საბედნიეროდ, ვიცი, რომ 70 წლის ასაკში იუბილარი არ ებუება ასაკს. დაე, ჩვენმა დაუცხრომელმა, კეთილმყოფელმა მკვლევარმა კიდევ მრავალი წლის მანძილზე განაგრძოს თავისი მუშაობა ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე.

სერგო თურნავა ჩვენ მიმართ ყოველთვის იჩენს გულუხვობას, გულმოდგინეობას, ენთუზიაზმს, ჩვენ კი ვალდებული ვართ მის წინაშე.

კეთილი სურვილებით პროფესორი რობერტ სტივენსონი.

ქვირფასო ბატონო სერგო,

დიდი სიხარულით გაცნობებთ, რომ ამა წლის 14 მაისს მივიღეთ „როსტომიანის“ ფოტოპირები. სიტყვებით შეუძლებელია თქვენდამი და ბატონ შერმადინ ონიანისადმი ჩემი მადლიერების გრძნობის გამოხატვა ყველაფრისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ ამ საქმეში ჩემს დასახმარებლად. აგრეთვე დიდ მადლობას მოვასწავნებ მათ, ვინც ასე შესანიშნავად მოამზადა ფოტოპირები. ეს თავისთავად დიდი სამუშაოა. ამას ემატება ფურცლების წიგნად აკინძვა. უღრმესი მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ საქმეში.

ახლა უკვე შეივსო ჩემი ბიბლიოთეკის ქართული წიგნების ხარვეზები. „როსტომიანი“ ძველი ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, ყოველ შემთხვევაში იმ სახის ლიტერატურაში, რომელიც მე მაინტერესებს და რომლის ტექსტი არ გამაჩნდა. ახლა კი საქმე გამოსწორდა.

საუკეთესო სურვილებით თქვენი რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 30 ივლისი, 1987

ქვირფასო სერგო,

ეს-ეს არის მივიღეთ თქვენი 17 ივლისის წერილი. მე პირველ ივლისს წერილი გავუგზავნე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ციციშვილს, რომელშიც სინანულს გამოვთქვამ, რომ შემოდგომაზე ვერ შევძლებ ილია ჭავჭავაძის იუბილეზე დასწრებას. ეს წერილი, ალბათ, ფოსტაში შეხვდებოდა იმ წერილს, რომელიც ახლა მივიღე თქვენგან. დღეს კიდევ მივიღე მეორე დეპეშა. დავიბენი, კვლავ მწერს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ციციშვილი იმავე საკითხზე. ჩემი წერილი, ალბათ, მოგვიანებით მოვა თბილისში. გთხოვთ, გადასცეთ ბატონ თავმჯდომარეს ჩემი ბოდიში, რომ ვერ მოვდივარ. თქვენ თავაზიანად მეკითხებით ჩემი ვაჟის ალექსანდრეს შესახებ. იგი დაავადებულია სულით, აწუხებს აგრეთვე მწვავე ასთმა. იგი ნორმალურად არასოდეს ყოფილა, მაგრამ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდა ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. ვასულ ღამით საჭირო ვახდა მისი მოტლოდნელად წაყვანა საავადმყოფოში. ვშიშობ, რომ ჩემი მდგომარეობის გამო მე მეორე ოფიციალური წერილის მიწერას ვერ შევძლებ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სახელზე. ჩემი თხოვნაც ამით არის გამოწვეული.

ჩემი მეუღლე და მე ძალიან აგვაღელვებ თქვენმა წერილმა, რომელშიც სიმბათიურად და თავაზიანად კითხულობთ ჩემი ვაჟის ალექსის ამბავს.

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი ქალიშვილის რუსუდანიის მიერ შესრულებული ჩემი სტატიის თარგმანისათვის. თქვენთვის ძალიან საამაყო უნდა იყოს რუსუდანი, იგი თქვენი კოლეგა ინსტიტუტში. იმედია მაპატიებთ, რომ დაწვრილებით არ გწერთ. საუკეთესო სურვილებს გადავცემთ თქვენს ოჯახს.

თქვენი კოლეგა რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 9 იანვარი, 1980

ქვირფასო დოქტორო მერი გუგუშვილო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ სერგო თურნავას მეშვეობით გამომიგზავნეთ თქვენი ახლად გამოცემული წიგნი „თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა“. რა თქმა უნდა, წაკითხული მქონდა თეიმურაზის რამდენიმე ლექსი,



ასე თუ ისე, ვიცნობ მის ცხოვრება-შემოქმედებას, მაგრამ, ცხადია, მეტად ზოგადი ცოდნა გამაჩნდა საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ. თქვენ ეს შესანიშნავი ნაშრომი დიდ დახმარებას გამოიწვევს, მომწვედის საფუძვლიან დეტალურ მასალას. მიიღეთ ჩემგან მოლოცვა თქვენი ნაშრომის გამოსვლის გამო.

ძვირფასო ქალბატონო მერი, იმედი მაქვს მომავალში შექნება სიაშოვნება კვლავ წაიკითხო ახალი ნაშრომები. მახატოვან, რომ პასუხი დაგივლიან, რადგან დაკავებული ვიყავი შობითა და ახალი წლით.
რობერტ სტივენსონი.

შოტლანდია, 22 იანვარი, 1981

ძვირფას დოქტორ გიორგი ნატროშვილს,

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ სერგო თურნავას მეშვეობით გამომიგზავნეთ თქვენი წიგნი დავით გურამიშვილზე. ბოდიშს გიხდით, რომ მაშინვე ვერ გიბასუხებთ. საქმე იმაშია, რომ ამერიკული ენციკლოპედიისათვის შეკვეთილი მაქვს სტატია რუსთაველზე. ვმუშაობდი ამ საკითხებზე, რომ სერგო თურნავასათვის გამეგზავნა გვერდები საკონსულტაციოდ. რაც შეეხება თქვენს ნაშრომს, დიდი ინტერესით შევისწავლი, რადგან დავით გურამიშვილის პოეზიის გაგება ჩემთვის ძალიან ძნელია როგორც თავისი კონცეფციით, ისე ენის თვალსაზრისით. ჩემი აზრით, ნაწილობრივ სიძნელე იმაშია, რომ ჩვენ დასავლეთ ევროპაში პოეზიის ენით არ ვმსჯელობთ იმ საკითხებზე, რომლებიც დავით გურამიშვილს მოცემული აქვს „დავითიანში“. ასეთ დიდ თემაზე ჩვენ ლექსად არ ვწერთ. ეს ძალიან რთული საკითხია და მას რამდენიმე სტრიქონში ვერ გავარკვევთ. მე ძალიან კარგად მესმის ის ამბავი, რომ ქართველებს დ. გურამიშვილი რუსთაველის შემდეგ უდიდეს პოეტად მიაჩნიათ. ამიტომ ჩემი მოვალეობაა დ. გურამიშვილის შემოქმედება უკეთ შევისწავლო. ბოდიშს გიხდით, რომ ინგლისურად გწერთ. ჩვეულებრივ ქართულ და რუსულ ენებზე კარგად ვკითხულობ და ვიგებ, მაგრამ ამ ენებზე წერა მიძნელდება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა წიგნის გამოგზავნისათვის.

კეთილი სურვილებით თქვენი რობერტ სტივენსონი.

პ რ ი ბ ი კ ა ლ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ა

მ. მ. ჩხეიძე, ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა, თბილისი, 1993

ახლახან გამოვიდა საინტერესო მონოგრაფია, რომელიც ეხება ენათმეცნიერების ერთ-ერთ საკირბორბოთო საკითხს — ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემას.

ამ პრობლემაზე დღემდე გაკემული პასუხი ი. ტრიჩისა და ლ. ვაისგერბერისეული „სემანტიკური ველის“ თეორიის სახით გელისხმობს ველის, როგორც ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულის უნივერსალობას.

მ. ჩხეიძე ამ თეორიისა და მის მიმდევართა გამოკვლევების ანალიზისა და სისტემატიზაციის საფუძველზე სეაშს და პასუხობს პრობლემას ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის აგებულების შესახებ და ახდენს „სემანტიკური ველის“ თეორიის თავისებურ კორგვირებასა და დაზუსტებას. ავტორი მიიჩნევს, რომ ველი არის ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის არა ერთადერთი, ანუ უნივერსალური სტრუქტურული შემადგენელი, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი. ველის გარდა ავტორი სცნობს „თემატური ჭგუფისა“ და „სინონიმური რიგის“ არსებობას და აყალიბებს საშივე ერთეულის სტრუქტურას. ამ საში განსხვავებული სტრუქტურული ერთეულის არსებობას ავტორი ხსნის შათ შემქმნელ შინაარსთა პრინციპული თავისებურებით და, აქედან გამომდინარე, მათი ენობრივი გამოხატულებისა და სტრუქტურის შიგნით მიმართებათა ხასიათის სხვაობით. დასკვნები კეთდება ინგლისური, ფრანგული, რუსული და ქართული ენების მთელი ლექსიკურ-სემანტიკური შემადგენლობის ამომწურავი ანალიზის საფუძველზე, საშივე სტრუქტურული ერთეულის ნიმუშების აგების გზით.

მ. ჩხეიძის კონცეფცია საინტერესოა და მეცნიერულად მისაღები, რადგანაც დამაჭრებელია მისი ამოსავალი (თეთი შინაარსთა და მათი ენობრივი გამოხატულების ტიპების დადგენა), თანმიმდევრული და ლოგიკური მთელი შემდგომი კვლევის პროცედურა.

გურამ რამიშვილი

50 18/1

ინფორმაცია
საქართველოს
ინფორმაცია